694
1957/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

2

1957

Ისარი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალაკ ც. კ-ის მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

1957

ივლისი

სასელგამი

7581

შინაარსი

შ. ნიშნიანიძე — წითელი ბალადა. ყველა და ყველაფერი 3

✓ედ. ყიშიანი — ათფურცლიანი რვეულები (მოთხრობა) 8

მ. მრევლიშვილი — ლექსები 42

ა. თევზაძე — ლირიკა 44

ა. დავითიშვილი — ჩინური ფინჯანი (მოთხრობა) 49

ნ. კილასონია — ლექსები 59

ი. ვ. გოეთე — ლექსები 60

რ. ბეჟანიშვილი — ზამთრის საღამო (მოთხრობა 63

1917 — 1957

რ. იმნაიშვილი — სახელოვანი რევოლუციონერი 68

კ. ივანიძე — ჩვენი პოლიტიკა ხალხის სამსახურია 72

★

გ. ზომართელი — მარად სამახსოვრო დღეები (რეპორტაჟი) 75

კრიტიკა და ჟურნალისტიკა

ო. ჯინორია — დადებითი გმირის საკითხისათვის კრიტიკული რეალიზმსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ რომანტიზმში 78

ბ. ბაბუნია — თანამედროვე მოთხრობის სპეციფიკისათვის 89

ნ. კაკაბაძე—ლიონ ფოიხტვანგერის რომანი გოიას შესახებ 94

შ. ხანთაძე — სამეგრელოში, ასი წლის წინათ 98

მოგზაურის დღიური

ი. იედლიჩკა — მოზღვავებული შთაბეჭდილებანი 104

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელოვნება

მ. კარგელაშვილი — გიორგი ოჩიაურის
პორტრეტები და ბარელიეფები . 107
გ. ქიქოძე — ლადო გუდიაშვილი . . 113
ირ. ციციშვილი — რასაც ყოველდღიურად ხედავს თვალი 117
ე. მარიამიძე — 5 წლის ბავშვის „ატელიეში“ 121

მემუარები

შ. დადიანი — რაც გამახსენდა . . . 124

სპორტი

ს. პოპოვი — სასიქადულო ექვსეული . 137
რ. ქორძია — ბრძოლა სისწრაფისათვის . 140
გ. გეთანელი — უფერული ნოკაუტი (მოთხრობა) 142

სატირა და იუმორი

გ. შანგუალიძე — ავტორიტეტის ძალა . 147
ალ. სამსონია — გაზაფხულის ღამეს . 149
ჯ. ლოლუა — ნახატი-ხუმრობა . . . 151

ყოველი მხრიდან

ალ. გამყრელიძე — ძველი ქართული
მწერლობის შესწავლა უცხოეთში . 152
ქრონიკა 154

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ვახტანგ ჭელიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:
თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ნომერი გააფორმა ჯ. ლ ო ლ უ ა მ

ტექრედაქტორი რ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

ზითელი გალადა

1. ატამანის თარეში

ტრამალებზე სულიერის არ ჩანს ნატამალი
შავი რაშით დანავარდობს თეთრი ატამანი.
— ატამანო, რას გასცქერი გუმანით და იქვით
ჰოი, გულქვა ატამანო, ორბის თვალი გიჭრის.
იქნებ კიდეც შეამჩნიე სერზე მდგარი ბიჭი...
ატამანმა მიაშვირა ბიჭს მათრახის ყუა,
თეთრი რაზმის თქარათქურმა სტეპი გააყრუა.
შეიპყრეს და მითრიეს ისიც ატამანთან
მაგრამ ბიჭი არ შეშინდა, კიდეც გათამამდა.
მხედრულ ქუდზე წითელ ვარსკვლავს ისწორებდა განგებ,
მერე, რაკი ვერ გატეხეს, ჩამოჰკიდეს თავქვე —
ყრუ დუმილი კლიტესავით დაეკიდა ბაგეს.
— „გეყო, მეფის მოღალატევ შე წითელო ლეკვო“ —
დაიშეტა ატამანმა, შორს გავარდა ექო.
წაააქციეს, გადათელეს, აღირებდნენ შუბებს
და... წარბები წურბლებივით მიუსრისეს შუბლზე.
ახრიალდა მომაკვდავი: „თქვენც და მეფეც თქვენი,
მე ჩაპაის რაზმელი ვარ, გაუმარჯოს ლენინს!“

. . . . . .

კაზაკები კონდახებით მირეკავენ ნახირს,
ატამანი ბუღის რქებზე ლესავს თავის მახვილს.
ნაგაზების ყეფა ერთვის ღრიანცელს და ბღავილს,
საყდრის ჯვარზე ნადავლისთვის ჩამოჯდება ყვავი.
სოფელს ცეცხლით გადაძოვილს ეგლისება ჭვარტლი,
მარგილებზე იჩეჩება კვამლის შავი მატყლი.

2. წითელი რაზმის იერიში.

მეთაურმა ცხენი ყალყზე შეაგდო და დაჰყივლა
მეთაურის ნაბადს ზემოთ გაიელვა მახვილმა.
მებრძოლებმაც ცხენებს ფიცხლად დასჭყივლეს და უჭუსლეს,
მიწას მოსწყდნენ... მიწა იძრა „ტაჩანკების“ გუგუნზე,
მზის სხივებზე ანთებული ხმლები გვანან მუგუზლებს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დაღმა-დაღმა თქარათქურით, გაქაფული ᲭᲘᲜᲔᲑᲘᲗ
ტალღა-ტალღად გადართული მიგელავენ ცხენები.
ნაბდიანი მეთაური წინ-წინ გადაუფრინდა,
ელვასავით ელავს ხმალი შავი ნაბდის ღრუბლიდან.
სად ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გარმონის ნაუბარი ველზე ჰყვავის ჯეჯილად.
— შენს მიწაზე მოვკვდე ნეტა,
დამეფინოს თეთრი ვერხვის ჩერო,
უკრაინა, ჩემო დედა,
ცრემლებო და სიყვარულო ჩემო...
და ეს ხმები სურათებად მისცურავენ ტრამალზე,
მამაც წითელ რაზმელებზე და ვერაგ ატამანზე.

4. უკანასკნელი ლამე

ბანჯგვლიანი ქოფაკივით ჰყეფს კოცონი ზორბა,
ტოტზე დგება, იფოფრება, ყრის ნაპერწკლებს დორბლად.
მოჩანს თუჯის სახეები მრისხანე და კუშტი,
ჩექმის ნალი... ფლოქვის ნალი და ფლოქვივით მუშტი,
ამზეურებს ცეცხლის შუქი სიზმარეულ ფფოთვას
ტუჩზე ღიმილს... და ქალივით ჩახუტებულ კონდახს.
შუაცეცხლზე შემომჯდარი მთვარე ფერდებს ითბობს,
გეგონება ჯარისკაცის კარდალაა თითქო.
და ხიშტების ანარეკლი თუჯის ლამეს ბზარავს
და გუშაგის ნაბიჯები დადის კარით-კარა.
სიჩუმეა... არე-მარე ტკბილ ბურანში ყვინთავს,
შეთქმულები ლანდებივით მოცოცავენ ტყიდან.
ამოცვივდნენ ქარქაშიდან მახვილები მკვეთრი
გადაიქცა ქარქაშებად გუშაგების მკერდი.
ველურ სტვენით, თქარათქურით, ყიკინით და სროლით
დაერივნენ მძინარეებს, თავს დაჰხვიეს ბოლი.
მაგრამ თავგზააბნეულებს ჩეხდა ხმალი მჭრელი
მიცელავდა გაქცეულებს ტყვიამფრქვევის ჭერი.
და როდესაც განთიადი ცას გაეკრა ზოლად,
მაშინ მისწყდა კვნესა — გმინვა, უთავბოლო სროლა.
მდინარეში გადაეშვა დაჭრილების გუნდი,
თეთრპერანგა მეთაურმა მოიხედა წუთით.
და ტალღებთან მორკინალი ერთი იმათგანი,
ჩანდა როგორც დალუპული გემის იალქანი.
— ჰეი, სად ხარ, სტეპის ქარო, ქარო ბობოქარო
თეთრგვარდიელს დამიზნება არ ადროვო ქარო,
ქარო, ქარო, თეთრგვარდიელს აუკარი მხარი,
განა ვერ ცნობ? რომ მიცურავს ჩაპაევი არი,
— ცისკარივით სისხლისფერი ეს რა მოჩანს წინა?
— ეს ჩაპაის პერანგია...
— დროშასავით ბრწყინავს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ

I

ყოველი კარგი
ლამაზი დღე არ იკარგება;
ჩემში სახლდება, ჩემში სუნთქავს, ჩემში ხმაურობს.
ღიმილი რაა?
კარგი ღიმილი,
კარგი სალამი არ მავიწყდება
და ყველა გულზე მაქვს დაჭდეული,
როგორც ხეს შიგნით აჩნევია წლები წრეებად;
ერთ დღესაც ყინით ატყდება გული,
ერუანტელივით დაიძვრება სხეულში სითბო
და სიტყვად ქცევას მოინდომებს მაშინ ყოველი.

II

მაშინ ვარ როგორც სააპრილოდ მოხნული მიწა,
ყოველი სიტყვა ნაწვიმარი თესლივით ღვივის,
მე ვარ ვენახი —
მზე მასხია ყურძნის მტევნებად,
ვარ სქელი ყანა — ქარის მკლავზე გადაწვენილი —
ამოხეთქილი სიმინდებად და თავთუხებად,
და ყველა ფერი, ხმა თუ სურნელი,
ჩემში მწიფდება და ბუბუნებს მაჭრის დუღილით.
მიწით და ცეცხლით ვარ მოქსოვილი
და ყველა ფესვით ვარ ამოწნული,
მზის სქელი თაფლით
და მთვარის რძით ვარ გავსებული.
ასე მგონია ყველაფერი შემოდის ჩემში,
ყველა ფოთოლით ვარ გაფოთლილი,
ვარ ყველა კვირტით ტანდაკოჭრილი,
ტანს მიბურდავენ ყველა ფესვები.
ვიწვი, ვგიზგიზებ, მიკიდია ტანს გათენება.

III

მომაგონდება, ბავშვი ვიყავი,
სამხრის წყლება ბაბუასთვის მიმიხაროდა,
მთელი დღე მინდვრად დავრბოდი მზეში
და როგორც კაჟზე,
მზე კვესავდა ჩემს მკვრივ სხეულზე,
და როცა რბენით დავიღლებოდი,
ცისფერ პერანგად ჩავიცმევდი მდინარის ტალღას,
მოვშუშდებოდი ხნულების ორთქლში,
ხან შევიწოვდი სინესტეს ტყისას
და საღამო ჟამს შინისკენ მავალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევუხტებოდი მეზობლის ურემს —
ჩალით დაზვინულს.
დავემხობოდი მერე გულაღმა
და ამავსებდა ბუნების მადლით
მიწა, შემხმარი ჩალის ფესვებზე,
ჯერ კიდევ თბილი, სურნელოვანი.

IV

ყველა იმათი სახეები ამოტივტივდნენ,
ვინც მყვარებია ოდესღაც წინათ:
დავიწყებულნი, დაკარგულნი და საყვარელნი.
მათ ჩემი ჩუმი აღტაცება არც კი იცოდნენ,
არც ჩემი სევდა, დაფარული და უჩუმარი...
აი იმათი სახეები — ვინც მე მიყვარდა!
აი ისინიც — ვინც დღესაც მიყვარს.
ამ წუთას ყველა სიყვარულსაც ერთად განვიცდი —
ძველსაც, ახალსაც;
ამ წუთას თითქოს ახალია ძველიც, ახალიც.
ო, დიდო წუთო,
საიდან ხარ მოვლინებული!

V

ასეთი წუთით შევუერთდი მარადისობას:
ვიყავი მწიფე ძნა თავთავების;
ნიავი მფშვნიდა ხელისგულებით
და მარცვლებივით ვფანტავდი სიტყვებს;
მოფრინდებოდნენ ჩიტები ტყიდან,
კენკავდნენ სიტყვებს ყივილ-ნივილით
და როცა ისმის გალობა მათი —
თქვენ უსმენთ ჩემი სიტყვების წკრიალს...
ასეთი წუთით ვუერთდები მარადისობას.
ქარი ავსებდა მცენარეთა რძიან ბუტკოებს
სიტყვების მტვერით...
და როცა მინდვრად ყვავილები აპალდებიან,
როცა პეპლები იყვავილებენ,
როცა ფუტკარი შეესევა ხეს კვირტებივით,
აფუტკრდებიან კვირტები როცა
და მსუყე ხნულებს ამოხეთქავს ზღვა სიმწვანისა:
ეს თვითეული ბალახის ღერი,
ეს თვითეული თესლი, მარცვალი,
ყვავილთა მტვერი, წვიმის წვეთები,
პეპლების ფიფქი, ყველა ფუტკარი,
ყველა ფოთოლი, ყველა კვირტი, ყველა ნაყოფი —
ჩემი სიტყვები მგონია ყველა.
შევუერთდები, შევერწყმები ბუნების წიაღს
და შემოქმედის სიხარული ამივსებს სხეულს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

ათფურცლიანი

რვეულები

რა კარგია თბილისი სექტემბრის დღეებში. შემოდგომის გრილი ნიავი გავიწყებს ზაფხულის პაპანაქებას, ისვენებს თვალი ოქროსფერში ამოვლებული სახლებისა და ღრუბლების ცქერით, ჰაერი ხალისის აღმძვრელი მსუყე სურნელებითაა სავსე, ქუჩები კი — ახალგაზრდებით, მზით დამწვარი, მზით შეღებილი გოგონებითა და ბიჭებით, ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნებული სტუდენტებითა და მოსწავლეებით. ქრიამულითა და სიცილ-კისკისით აყრუებენ ქუჩებს, ყველას სახე ულიმის, ყველა გახარებულია, თუმცა გარკვევით ვერც გეტყვიან, რა ახარებთ ასე რიგად — მშობლიურ ქალაქში დაბრუნება, ისევ სკოლაში მისვლა, თუ დიდხანს უნახავ მეგობრებთან შეხვედრის მოლოდინი.

უბერავს მთაწმინდიდან გრილი ნიავი, ჩამოაღწევს მტკვრის ნაპირებთან, უერთდება მდინარის ნიავს და თავს ესხმის ხიდზე მიმავალ ბიჭუნას ქოჩორს, ნაწნავებს დაურხევს გოგონებს, აქრობს პაპიროსის მოსაკიდებლად აალებულ ასანთს, ეჭიდავება პირველ შეყვითლებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ყუნწმაგარ ფოთლებს და ერთბაშად იმალება, საღდაც ქრება, თითქოს ხედება, ჯერ აღრეა აგრილება და ფოთოლთცვენაო.

მაგრამ ყველა როდი ამჩნევს ამ ოქროსფერ სახლებსა და ქუჩებს, ყველა როდი გრძნობს ნიავსა და ჰაერის საამო სურნელს. აი, ხიდზე მიაბიჯებს შუახნის ქალი, თავი ჩაუღუნავს და ასფალტს დაშტერებია გაფართოებული თვალებით. თმებში ჭაღარა ჭარბობს, სახეზე ნაოჭები ემჩნევა, გაზეთშემოხვეული ათფურცლიანი რვეულები მიუხუტებია მკერდზე და ღრმად ჩაფიქრებული მიჰყვება გზას.

იგი ხიდამდე გამოაცილეს მოსწავლეებმა, ახლაც ყურში ესმის მათი ხმა:

— პატივცემულო მასწავლებელო, ხვალაც არ მოვა ვაჟა სკოლაში?

— რითაა ავად?

— ქვიშხეთშიც ავად იყო?

ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან. ბოლოს ღიმილით გამოემშვიდობნენ:

— ნახვამდის, ქეთევან მასწავლებელო!

ქეთევანი ახლაც ვაჟაზე ფიქრობს, იმიტომ მიაბიჯებს თავჩაღუნული ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაში. „რა დაემართა ჩემს ბიჭს? მთელი ზაფხული ისე გაატარა, ფრჩხილებიც ... ასტკენია... რაღა წამოსვლის დროს გახდა ავად?“

ვაჟა ავადმყოფი ჩამოიყვანეს ქვიშხეთიდან და უკვე მესამე დღეა, რაც ლოგინად წევს. ქეთევანს ჯერ ფილტვების ანთება ეგონა, გზაში გაცივდებოდა მანქანაზეო. მერე ტიფი არ იყოსო, შეეშინდა. ექიმმა თქვა: „ნერვიული ბავშვია, ცოტა გადაღლილიც უნდა იყოს, სიწყნარე უნდა და მალე გაუვლის, საშიში არაფერია, იცის ხოლმე ამ ასაკში“...

ქეთევანი თითქოს დამშვიდდა, მაგრამ ექიმის დიაგნოზით შეშფოთებული იყო...

პირველ სექტემბერს პირველი გაკვეთილი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ქეთევან საყვარელიძემ მეშვიდე „ა“ კლასს ჩაუტარა. მისი შვილი, ვაჟა საყვარელიძეც ამ კლასში სწავლობდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო სკოლაში ვერ მოვიდა.

იმ დღესვე ქეთევანმა საშინაო დავალება მისცა ბავშვებს:

— დასწერეთ ზაფხულის შთაბეჭდილებანი, როგორ გაატარეთ არდადეგები, რა მოხდა თქვენთვის ყველაზე საინტერესო, რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად... მომაეალ კვირისთვის მზად გქონდეთ.

— როგორც შარშან სექტემბერს დავწერეთ, ქეთევან მასწავლებელო, არა?

— დიახ. როგორც შარშან, მხოლოდ უფრო კარგად, უფრო დალაგებულად, თქვენ უკვე დიდები ხართ, — გაუღიმა ქეთევანმა მოსწავლეებს.

შინ მისვლისას ლოგინში მწოლარე ვაჟამ დაწვრილებით გამოჰკითხა ქეთევანს, რა საგანში რა დავალება მისცეს ჩემს ამხანაგებსო.

— შენ რა დაავალე, დედი? — ჰკითხა ბოლოს.

ქეთევანს არ უნდოდა, რომ მეცადინეობით დაღლილიყო ისედაც ავადმყოფი შვილი, მაგრამ ვაჟა ძალიან წუხდა, გაკვეთილებს ვაცდენ და სულ არ ჩამოვრჩე ამხანაგებსო.

— ზაფხულის შთაბეჭდილებანი უნდა დაწერონ, სად ისვენებდნენ, როგორ გაატარეს არდადეგები. გახსოვს? შარშანაც დაწერეთ...

— მახსოვს, დედი, — თქვა ვაჟამ და საწოლზე ჩამომჯდარ ქეთევანს მოეხვია, მერე წამოიზიდა და ლოყები დაუკოცნა. — მეც დავწერ, — ჩაიბუტბუტა ქეთევანის მკერდში თავჩარგულმა.

— დაწერე, შვილო, მხოლოდ არ დაიღალო, ფანქრით დაწერე და რომ მორჩები, მერე გადააფთრე...

დღეს ქეთევანმა შინ წამოიღო რვეულები გასასწორებლად. ყველას შეესრულებინა საშინაო დავალება და ძალზე აინტერესებდათ მასწავლებლის აზრი. სკოლიდან განათლების სამინისტროში შეიარა და შინ მოგვიანებით დაბრუნდა.

ვაჟას ჩასძინებოდა, „საშინაო დავალებათა რვეული“ კი მაგიდაზე დაედო ქეთევანის ოთახში. იქვე იდო ქეთევანის მეუღლის არჩილ საყვარელიძის ახალმოსული დეპეშა მოსკოვიდან. მივლინებაში გაგზავნეს სამსახურიდან და იწერებოდა, მშვიდობით ჩავედიო.

ქეთევანმა სწრაფად ივახშმა, ფეხაკრეფით გავიდა თავის ოთახში, კარიც ფრთხილად გაიხურა და მაგიდას მიუჯდა. ჯერ ვაჟას რვეული გადაფურცლა, რამდენი დაუწერიაო, გაიფიქრა გუნებაში. როცა სათაურს დახედა, გაეღიმა,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სიხარულმა გაუბრწყინა სახე. „ჩემი დედა“, დაეწერა ვაჟას თავისი ნაბრძოლის სათაურად. მაგრამ ქეთევანი ერთბაშად დანაღვლიანდა, ხელი შუბლზე აიცურა და ფიქრებს მიეცა, ასე იყო დიდხანს. მერე ვაჟას რვეულს დასწვდა, აქედან უნდოდა საშინაო დავალებათა კითხვა დაეწყო, მაგრამ გადაიფიქრა, სულ ბოლოსთვის მოვიტოვებ, ჯერ სხვებისას წავიკითხავო.

ქეთევანმა გვერდზე გადადო თავისი შვილის რვეული, გაზეთშემოხვეული ერთმანეთზე დაწყობილი რვეულები მოიახლოვა, სულ ზედას დასწვდა და კითხვა დაიწყო.

ოთარ გორგოძე
VIIა კლასი

ლუკა გაგუა

ზაფხულის არდადეგებს ყოველთვის მამის სოფელში ვატარებ. წელსაც იქ ვისვენებდი. ჩემს ბიძაშვილებთან და სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად წელსაც დავდიოდი საბანაოდ. როცა ღელის ცივი წყალი ტანს აგვიბურძგლავდა, აკანკალებულნი ფხვიერ მიწაზე გავგორდებოდით, ამოვიგანგლებოდით, მერე გავწვებოდით და ასე ჩურჩხელებივით ვხმებოდით მზეზე. წელსაც, როგორც ყოველთვის, მთაში ავრეკავდით საქონელს, ვმწყემსავდით და ვეჯიბრებოდით, თუ ვინ უფრო გააძღობდა თავის ძროხას, ვინ უფრო მეტ ფიჩხს შეაგროვებდა შინ წასაღებად, მერე ხმელ ტოტებს ავიღებდით და ვამოწმებდით, მართლა შეეძლო თუ არა პირველყოფილ ადამიანს ხახუნით ცეცხლის მიღება. წელსაც წინანდებურად ვთამაშობდით რიკტფელას და დანასობანას. საღამოობით დავდიოდით სოფლის კლუბის წარმოდგენებზე და ხშირად თავსხმა წვიმაში ვბრუნდებოდით უკან, გალუმპულნი, ფეხშიშველნი და ხელში ფეხსაცმელმომარჯვებულნი. წელსაც, როგორც ყოველთვის, ლამაზი და მომშიბლავი იყო სოფელი, მაგრამ ჩემთვის ძველებური ხალისი და ინტერესი აღარ ჰქონდა.

ამის მიზეზი ჩემი საყვარელი ლუკა ბაბუა იყო.

ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს, როდესაც სწავლის დაწყებას ერთი კვირაღა აკლდა და მალე თბილისში უნდა წამოვეყვანე მამას, ლუკა ბაბუა გაეცივდა და ლოგინად ჩაწვა. იმედოვნებდა, რომ სულ მალე წამოდგებოდა ფეხზე. მაგრამ რაკი ავადმყოფობამ ლოგინთან მიიტყუა, მორჩა, აღარ მოეშვა. მერე ცივი ზამთარიც წამოეწია და საწოლზე მიაყინა.

ამ ზაფხულს თბილისიდან ახლადჩამოსული, გახარებული შევვარდი ბაბუას ოთახში გადასახვევად და საკოცნელად და... კინაღამ ტირილი ამივარდა. ლუკა ბაბუას ჩემსკენ არც კი მოუხედავს, ჩემი შესვლაც არ გაუგია. მხოლოდ მაშინ შეატრიალა თვალის გუგები, როცა წინ დავუდექი, თითქოს გაღიმება უნდოდაო, ტუჩები ოდნავ შეარხია. არც თავი წამოუწევია, არც ხელი გაუნძრევია, არც ხმა ამოუღია. მე კი გადავეხვიე და დამჭკნარი ლოყების კოცნა დავუწყე: ჩემო ლუკა ბაბუა, ხომ კარგად ხარ... ნუ გეშინია, მორჩები-მეთქი, ვამბობდი და თან ვგრძნობდი, რომ მალე ტირილი ამივარდებოდა.

იმ ღამეს აივანზე გამიშალეს ლოგინი. გვიანობამდე არ ჩამძინებია. გრილი ნიავი უბერავდა. მოაჯირის ჭუჭრუტანიდან გავყურებდი მთვარის შუქითა და ხის ფოთლების ჩრდილით მოხატულსა და მოქანავე ეზოს. ყურს ვუგდებდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღარიდან გადმოვარდნილ წყლის ჩხრიალს და როცა ყური შევაჩვიე, შევეცადე სუნთქვის ხმა გამეგონა მეზობელ ოთახიდან. ყრუდ, ოდნავ გასაგონად ხრიალებდა ლუკა ბაბუა...

ყოველთვის, როცა საზაფხულოდ ჩამომიყვანდნენ, ლუკა ბაბუა სათამაშო ურემს მახვედრებდა ხოლმე. ძალზე მიკვირდა, საიდან იცის ლუკა ბაბუამ, როდის ჩამოვალ და როგორ ასწრებს ურმის გაკეთებას-მეთქი. მერე, სულ მერე, გავიგე, რომ თურმე ერთი და იგივე ურემი იყო — წამოვიდოდი პირველ სექტემბრისათვის თბილისში, ლუკა ბაბუაც ოდის ქვეშ, ძელზე შემოდგამდა ურემს, რომ კარგად შენახულიყო და წვიმას არ დაელპო. დავბრუნდებოდი გაზაფხულზე სოფელში და ლუკა ბაბუაც შენახულ ურემს ისევ უკან გადმოიღებდა, ხარებივით შიგ ჩალის ღერებს „გაბამდა“ და ეზოში გამომიგორებდა. წელს კი...

ჩემი პირველი შეკითხვა ყოველთვის ეს იყო:

— ლუკა პაპა, რამდენი წლის გახდი?

და ლუკა პაპას პასუხიც, რაც მე მახსოვს, ყოველ წელს ერთი და იგივე იყო:

— ოთხმოცდათხუთმეტის, შვილო.

— ოთხმოცდათხუთმეტის ხომ შარშან იყავი?

ლუკა პაპას გაეღიმებოდა და მეტყოდა:

— შარშან, ალბათ, ოთხმოცდათოთხმეტის ვიქნებოდი.

მახსოვს ერთხელ შვილდ-ისრის გაკეთება მინდოდა და ბებიას დაუკითხავად მის ზანდუკში სანთელს ვეძებდი თოკის გასასანლოდ. შემთხვევით ხელში მომხვდა პატარა შავყდიანი წიგნაკი, ძაფით გადაკრული. მე რაღაც საკითხავი წიგნი მეგონა, ძაფი გადავაძვრე და გავშალე. ჩასაწერი უბის წიგნაკი იყო, სქელი და გაყვითლებულფურცლებიანი. აქა-იქ, ზოგიერთ ფურცელზე, ფანქრით რაღაცეები ეწერა. პირველად ვერაფრით ვერ ამოვიკითხე, მერე თანდათან შევაჩვიე თვალი:

„1878 წელსა, აგვისტოს 17-სა, მე ლუკა გიორგის ძე გორგოძემ ჯვარი დავიწერე ნინო ქოჩიაშვილის ქალზედ“, ეწერა ერთ ადგილზე. მერე, რამდენიმე გვერდის შემდეგ ამოვიკითხე: „ყანაში მომივარდა კოლია მიქელაძე ცხენოსნებით. ექვსი გოდორი სიმინდი წამართვეს. მოწმე არის კლიმენტი გორგოძე, ზეჭიკო ბურჯანაძე და სვიმონ ქარჩხაძის ნაშვილები“.

ორი ფურცლის შემდეგ ეწერა:

„წუღა ვუყიდე კოწიას“.

კოწია ჩემი უფროსი ბიძაა, ისიც მოხუცდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ ვაჟკაცს ჯობნის.

ამ ჩანაწერებს ათეული წლები აშორებდა ერთმანეთს.

„1903 წელსა, იანვრის 20-სა, შემეძინა ვაჟი დიმიტრი“.

ეს კი მამაჩემი იყო.

მაგრამ მე წიგნაკის კითხვა აღარ მაინტერესებდა, აღარც სანთელი მიძებნია, გავიქეცი ბებიასთან და რაღაც-რაღაცეებზე ლაპარაკის შემდეგ, ფრთხილად შევეპარე, რამდენი წლის იქნებოდა ბაბუა, როცა შეგირთო-მეთქი. ბებია არც კი დფიქრებულა, გაზეპირებულივით მიპასუხა:

— ბაბუაშენი ოცდაათი წლის იყო, მე კი თხუთმეტისა გავთხოვდი. სულ ბავშვი ვიყავი, მამაჩემი ცივ უარზე იდგა, არ უნდოდა ჩემი...

მაგრამ ბებია ნინოსთვის ყური აღარ დამიგდია, ისევ გარეთ გამოვვარდი, ჯერ ზეპირად მინდოდა გაანგარიშება, მაგრამ სულ ერთმანეთში ამერია რიცხვები. დავმარტოხელდი, ფანქარი და ქაღალდი ავიღე და ვიანგარიშე. გამო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დიოდა, რომ თუ ლუკა ბაბუა 1878 წელს, ცოლის შერთვისას, 30 წლის
მაშინ 1848 წელს დაბადებულა, ახლა კი 107 წლის ყოფილა. რა მოხუცი ბაბუა
მყოლია-მეთქი, გავიფიქრე, ბევრი ვერ დაიკვეხნის ასე ხნიერი ბაბუის შვილის-
შვილობას-მეთქი. გავიქეცი ბაბუას მოსაძებნად, ის მუდამ კოლმეურნეობის
სანერგეში ან ბოსტანში მუშაობდა და იქ მეგულებოდა.

— აუჰ, ბაბუა ლუკა! — დავუძახე შორიდანვე და როცა მივუახლოვდი,
ვუთხარი — ბაბუა, შენ 107 წლისა ყოფილხარ თურმე... აკი ოთხმოცდათხუთმე-
ტისა ვარო.

ლუკა პაპამ თოხის პირს ზედ დაკრული მიწა ჩამოაცილა ტატაპით, მერე მო-
მიბრუნდა და მკითხა: „რას ამბობ, ბიჭო?“ მე გავუმეორე და ისიც ვუთხარი.
როგორ ვნახე ის ძველი წიგნაკი, შიგ ჩაწერილი თარიღი და როგორ გამოვიან-
გარიშე წლოვანება.

— მართლა? — გაუკვირდა. — აბა, ასს გადავცილდი? — ჩაფიქრდა და
დიდხანს იყო ასე ჩაფიქრებული.

მერე უეცრად ამოძრავდა, თოხი მოკლედ და მძლავრად მოიქნია, დიდი
შავი ბელტი გადმოაბრუნა და თოხის ყუით ჩაშალ-ჩაიფხვიერა.

— ალბათ, შეგცდა, სწორად ვერ იანგარიშებდი, — წაიბუტბუტა თავის-
თვის და მცირე სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — სკოლაში თუ გასწავლეს ჯერ
ასამდე ანგარიში?

— კი, ბაბუა.

— ჰო... შეგცდა, ალბათ, — წარმოთქვა დაბეჯითებით.

მეორე დღეს აივნიდან შემთხვევით მოვკარი თვალი — ლუკა ბაბუას ზან-
დუკი გაეხსნა და იმ წიგნაკს ფურცლავდა...

კიდევ ბევრი რამ გამახსენდა იმ ღამის ბაბუას შესახებ, სანამ ძილმა თავი
არ წამართვა...

ცხენის ჭიხვინმა თუ ფრუტუნმა გამომაღვიძა. უკვე შუადღე წამოსულიყო.
წამოვწიე ლოგინიდან და აივნის მოაჯირს იქით გადავიხედე. ალუბლის ხეზე
ცხენი გამოებათ აღვირით, სულ გაოფლილი და ქაფმორეული იყო. ხან ზევით
და ქვევით იქნევდა თავს, ხან ყურებს ცქვეტდა, ლამაზად მოიღერებდა კი-
სერს, გაშვშდებოდა და სახლს იქით ვიღაცას თუ რაღაცას უყურებდა. ხან კი,
თითქოს ყველაფერი დაავიწყდა ამ ქვეყანაზეო, თავს დაბლა დახრიდა და ლა-
შის ცმაცუნით სასუნავს დაეძებდა მიწაზე. ხანგამოშვებით ათრთოლებდა და
ათამაშებდა ხოლმე კუნთებს, სადაც კუდი და პირი არ სწვდებოდა ბუზების
მოსაგერიებლად.

„ვინ მოვიდა ნეტავ?“ გავიფიქრე თუ არა, ბაბუას ოთახის კარი გაიღო და
აივანზე ბებია გამოვიდა. ხელში გაქათქათებული პირსახოცი ეჭირა, „მობრძან-
დით, ბატონო, აქეთ მობრძანდით“, ეპატიჟებოდა ვიღაცას. მე რატომღაც თავი
მოვიმძინარე, მაგრამ სახეზე აფარებული ხელით შენიღბულს, შემეძლო
თითებშუა მეკვირტა. აივანზე ჩვენი სოფლის ექიმი გამოვიდა და ქაფურის
სუნი გამოიტანა ოთახიდან. სახელოები ოდნავ აიკეცა და აივნის მოაჯირს
გადაეყრდნო, ბებიამ წყალი დაუსხა ღოქიდან. წყლის შხაპუნზე ცხენმა ისევ
ასწია თავი, ისევ მოიღერა კისერი და თავის პატრონს მოაჩერდა. ექიმი მაგი-
დასთან მიდგმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა, სწორედ იმ კუთხეში, სადაც მე
მიყვარს საღილობისას ჯდომა. ბებიამ მსხალი დათალა და თეფშით ექიმს მიაწო-
და, მერე არაყი დაუსხა:

— მიირთვით, ბატონო! — მიიპატიჟა ბებიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ წუხდებით! — უპასუხა ექიმმა.

— ღმერთო, შენ შემეწიე, სიმწარე მაშორე! — ტუჩების ცმაცუნით ლაპარაკობდა ბუტბუტა ნინო ბებიამ და არაყი მოწრუპა, — მიირთვით, ბატონო, — გაუმეორა ექიმს.

მაგრამ მე მივხვდი, რომ ბებია ზრდილობისათვის, ექიმის პატივისცემისათვის აკეთებდა ყველაფერს. მივხვდი, რომ თავს ძალას ატანდა და ძლივსძლივობით იმაგრებდა ცრემლებს. იგი თავისდაუნებურად ასრულებდა მასპინძლის მოვალეობას, მისი ფიქრი და გონება კი ავადმყოფ ბაბუას დასტრიალებდა თავს და აკი წამოსცდა კიდეც:

— დეეიღუპე. დეეიღუპე, ბატონო ვანია, რაღა მეშველება მე დავრდომილს.

— გამხნევდით, ნინო ბატონო, უარესი ავადმყოფიც მინახავს მორჩენილი.

— რაღა მოარჩენს მაგ უბედურს, რაღა მოარჩენს, — აქვითინდა ბებია და და უეცრად სხაპასხუპით გააგრძელა: — შარშან ზაფხულს სტუმრები გვყავდა, ბატონო ვანია, ჩემმა დიმიტრიმ ამხანაგები მოიყვანა... ე, ეგერ რომ ძინავს, დიმიტრის უმცროსი ვაჟია...

— მართლა? — მხარი შეუბა ექიმმა ბებიას საუბარს.

— წუხელ ჩამოვიდა თბილისიდან, მაგას ენაცვალოს ბებია, დაღლილი იყო და... ოთარიკო, ბიჭო, გეიღვიძე, დაღამდება აწი... ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ბატონო ვანია, სტუმრები გვყავდა-მეთქი. შუაღამემდი იქეიფეს. ლუკაც არ მოშორებია მაგ-დას, ოცი წლის ბავშვივით მხიარულობდა, მღეროდა, ხუმრობდა. მერე, როცა წამოიშალენ, ლუკა ეზოში ჩავიდა, სანერგე მოათვალიერა იმ უკუნ ღამეში, საქონელი არ იყოს შესულიო, მერე ძროხას საბელი მოუსინჯა, საქათმის კარს დახედა და ისევ ოთახში რომ შემობრუნდა, თავის საწოლზე სტუმარი დახვედრია წამოწოლილი. გაუხდელად ეძინა და ხვრინავდა თურმე. აღარ გაუღვიძებია საწყალობელს, სკამები ერთმანეთზე მიუდგამს და ზედ გაწოლილა. იმ წყეულ ღამეს გაცივდა, ზაფხულის ღამე იყო, მაგრამ ნაღვინეს მაინც მოერია. ჩვენ ყველას ჩაგვძინებოდა, ჩვენ უბედურებს, თორემ დიმიტრი ამას რაკა იზამდა... არ მოერიდებოდა და წამოაგდებდა თავის ამხანაგს...—უკვე მეასედ ჰყვებოდა ამ ამბავს ბებია.

კიდევ დიდხანს ანუგეშებდა ექიმი ნინო ბებიას. თუმცა მე გაგონილი მქონდა, რომ ნუგეში და გამხნევება ყოველი ექიმის ვალდებულება იყო, რა მძიმეც არ უნდა ყოფილიყო ავადმყოფის მდგომარეობა, მაგრამ მაინც მჯეროდა მისი სიტყვებისა, მაინც მჯეროდა, რომ ბაბუა გამომჯობინდებოდა. ექიმი გამოეშვიდობა ბებიას, ცხენი ახსნა და ეზოს ჭიშკრამდე ასე ქვეითად მივიდა. ბეგბიაც ჭიშკრამდე მიჰყვა და მერე ორივენი თვალთაგან დაეკარგე.

სწრაფად ჩავიცვი და ბაბუას ოთახში ფეხაკრეფით შევედი. გული ბაგაბუგით მიცემდა, ნუთუ დღესაც არ დამელაპარაკება ბაბუა? ნუთუ მართლა ასე ცუდად არის?

ბაბუა ისევ გაუნძრევლად იწვა. თვალები გაეშტერებინა და ორიგმბრივ გამოღებულ ფანჯრიდან თავის ცაცხვის ხეს გაჰყურებდა.

ეს ცაცხვი არა ჰგავს სხვა ცაცხვებს. ახალგაზრდობაში ლუკა ბაბუას თურმე საგანგებოდ შეურჩევია სწორი და თავქორორა ნერგი, დაურგავს და ასე უთქვამს: „მანამდე არ მოვკვდები, სანამ ამ ცაცხვიდან საწნახელი არ გამოითლებაო“, ხე მართლაც სწორი და წვივმაღალი გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ პატარაა, მისგან საწნახელი ჯერ არ გამოითლება, თუმცა ისე მსხვილია, რომ მე ხელებს ვერ ვაწვდენ და ვერც ზედ ავდივარ...

ჰოდა, გაჰყურებდა ამ ცაცხვის ხეს ბაბუა, ვინ იცის რას ფიქრობდა, იქნებ თვალდათვალ ზომავდა ცაცხვის სიმსხოს, ანდა იქნებ ჩემზე ბრაზობდა, რომ ტომ არ შემოვიდა დღეს, რატომ არ მნახულობსო.

მე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და გავუღიმე:

— ხომ კარგად ხარ, ბაბუა?

მაგრამ ბაბუას ჩემი შეკითხვა თითქოს არ გაუგონია. თითქოს არ შეუმჩნევიკარო, ისევ ისე თვალგაშტერებული გაჰყურებდა ფანჯარას.

„იქნებ უკვე მოკვდა?!“ გამიელვა უეცრად გუნებაში და მუხლები მოშეკვეთა. ამის გაფიქრება იყო და ლუკა ბაბუამ თვალები შემოატრიალა, შემომაცქერდა, თითქოს მიხვდა ჩემს შიშს და საყვედურს მეუბნებაო. საწოლთან მივვარდი და ჩავუხვევ.

— ჩემო ბაბუა, ნუ გეშინია, ჩემო კარგო ბაბუა, სულ მალე მორჩები, ექიმმა თქვა, სულ მალე მორჩებაო... მე სათამაშოდ აისად არ წავალ, ბაბუა, სანამ არ ადგები, — ვეუბნებოდი სიყვარულით და მე თვითონ რწმენას მინერგავდა ჩემი სიტყვები, — მე ახლა წავალ, შენს სანერგეს მოვუვლი, ბაბუა, შენს ბოსტანს დავხედავ, და თუ რამე გაფუჭებულია, ყველაფერს გეტყვი...

გახალისებული და გამხნევებული გამოვვარდი ეზოში, ის მახალისებდა, რომ დარწმუნებული ვიყავი, ბაბუას გულის სათქმელს მოვუხვდი-მეთქი. ქარივით ჩავურბინე ლეღვის ხეებს, თხილის ბუჩქებს, თავდაღმართში დავეშვი მიწაზე ქუსლების ცემითა და ხელების ქნევით, და მალე იმ ბოსტანსა და სანერგეს მივადექი, რომელთა მოვლა-პატრონობა და თვალყურის დევნება ბაბუას ევალებოდა კოლმეურნეობისაგან. ბოსტანში ვიღაცის ინდიური და ინდიურის ჭუკები დაჩერჩეტობდნენ. ერთი დავშყივლე და ბელტები დავუშინე, სულ ფრენა-ფრენით გადაცვივდნენ შემორაგულს იქით. მერე სანერგეში ჩავედი. წითელ აყალო მიწიდან შაბიამანმოსხურებული პატარა ფოთლები იქყიტებოდნენ. ზოგს უფრო ამოეყარა და ნამდვილ ვაზს დამსგავსებოდა მოყვანილობით, სულ ერთმანეთის გვერდზე იყვნენ ჩარგულნი. „ორმოცი ათასი ძირიაო, — ამბობდა შარშან ლუკა ბაბუა, — სულ რომ გაიხაროს, მთელ იმერეთს მოიკლის ვენახებიო“.

დიდხანს ვიარე სანერგეში, ვერაფერი ნინჯი ვერ ვუპოვნე, რომ ბაბუა გამეფრთხილებინა. უკან გამობრუნებას ვაპირებდი, რომ უეცრად შევნიშნე უზარმაზარი კვალი ადამიანისა. პირდაპირ ნერგებზე დაებიჯებინა ვიღაც უგულოს, სულ ერთიანად გაეთელა. მიეყვებოდი კვალს და თანდათან ბრაზი მერეოდა. ალბათ, ღამით გადმოიარა ვიღაცამ, ანდა მთვრალი თუ იყო, თორემ ასე დაუნდობლად როგორ მოსრესდა ამ ნერგებს-მეთქი. ვფიქრობდი და ვადგენდი გეგმას, თუ როგორ მომეხსენებინა ბაბუასთვის. ეწყინება, მაგრამ მაინც უნდა ვუთხრა, იმ კალოშების კვალით იცნობს დამნაშავეს და საკადრის პასუხსაც გასცემს-მეთქი. იმ „კვალს“ დაბალი ღობე ჩაეღეწა და ღელისკენ დაშვებულიყო. ო, როგორ გაბრაზდება ბაბუა, კბილებს არ შეარჩენს იმ თავხედს...

ამ შემთხვევამ ერთი ძველი ამბავი გამახსენა.

ერთხელ ბაბუამ ყანაში გამგზავნა, იქნებ მწიფე კვახი ნახო, ვახშმობისთვის მოვხარშავთო. ჩავირბინე ყანაში, დიდხანს ვეძებე, სულ ერთიანად დავფრჩხილე ბარდებში მიმალული და მიყუჟული გოგრები, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა მწიფე. ამ ცუცქვა-ცუცქვაში ღილი ამწყდა და შარვალი ჩამეგრა. მაშინ ცხრა წლისა თუ ვიქნებოდი და მოკლე შარვალს ვატარებდი. აქეთ-იქით გავიხედე შერცხვენილმა, ხომ არავინ დამინახა-მეთქი, მერე შარვალი ავიწიე, მაგრამ სანამ მწიფე გოგრას ვიპოვნიდი და შინ ავიდოდი, ერთი ხელით სულ შარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი უნდა მჭეროდა. იქვე ვენახში გადავედი, ვაზის მოზრდილი შეფოთოლილი ღერო ჩავგლოჯე და ქამარივით წელზე შემოვირტყი. მალე მწიფე გოგრა ამოვიღე, წავაწყდი და სტეენა-სტეენით შინისკენ გამოვსწიე. ბაბუა ცაცხვის ძირას იჯდა და სველ ქვაზე ნაჯახს ლესავდა. როცა დამინახა, მუშაობას თავი მიანება და დაჟინებით დამაკვერდა. ეზოში თავისუფლად გაშვებული ჩვენი ხბო ამდევნებოდა და გზადაგზა ჩემი „ქამრის“ ფოთლებს წიწკნდა. ვიფიქრე ამ ამბავმა გაართო და იმიტომ მიყურებს-მეთქი ბაბუა. როცა მივუახლოვდი, გოგრა მაღლა ავწიე და ღიმილით ვუთხარი: აი, ბაბუა, ვიპპოვნე-მეთქი. მაგრამ ლუკა ბაბუას გოგრისთვის არც კი შეუხედავს.

— მოდი აქ! — რადაც გამოცვლილი ხმით მითხრა. მივედი.

— რა არის ეგ?! — და ჩემს „ქამარზე“ მომითითა.

— შარვალზე ღილი ამწყდა, ბაბუა, ვაზის ლერწი შემოვიკარი! — სიცილით ვუთხარი მე, რადგან მეგონა, რომ ამ ამბით ბაბუასაც გავაცინებდი, მაგრამ...

— აბა, მეეხსენი!

— შარვალი ჩამვარდება! — გადავიკისკისე მე. ლუკა ბაბუა ცოტა ხნით დადუმდა. მერე მშვიდად მითხრა:

— წადი, ბროწეულის წკნელი მომიტეხე და მომიტანე, მჭირდება... ფრთხილად მოტეხე, ხელი არ გეიკაწრო.

ძალიან მიყვარდა ბაბუას დავალების შესრულება. ხან ქათამს ფრთას გამოვაძრობდი ხოლმე და აივანზე ავუტანდი. ბაბუა ფრთას გაბუშმლავდა, მხოლოდ წვერში დასტოვებდა ცოტას და ყურებს მოიქავებდა, თან ცალ თვალს რაც შეეძლო მოჭუტავდა. ვატყობდი, დიდ სიამოვნებას გვრიდა ეს საქმიანობა. ხან ბიძაჩემთან გამაგზავნიდა და თუთუნს მამატანინებდა. განსაკუთრებით მიყვარდა ბაბუას სათვალის ძებნა, რომელიც მუდამ იკარგებოდა. ახლაც სიხარულით გავიქეცი წკნელის მოსატეხად.

როცა წკნელი მივუტანე, ბაბუამ შემაქო, კარგი შეგირჩევიაო, მერე ნაჯახი აიღო და ნელ-ნელა სხეპა დაუწყო. მე მოუთმენლად ველოდი, თუ რისთვის გამოიყენებდა ამ წკნელს ბაბუა. იქნებ უფრო კარგი ქამარი უნდა გამიკეთოს? ან იქნებ ტყეში წასვლას აპირებს და საქონლის გასადევნად სჭირდება? ამ ფიქრებში ვიყავი, როცა უეცრად იმ წკნელმა ჰაერში გაიშხუილა და წვივებზე ორმაგად შემომესალტა. ვაი, დედა-მეთქი, წამოვიყვირე ტკივილისაგან და ადგილზევე შევხტი. ისე მოულოდნელი იყო ეს ჩემთვის, რომ მეგონა, ლუკა პაპამ შემოხვევით მომახვედრა-მეთქი, მაგრამ „შხუო“, მეორედ გაიშხუილა წკნელმა და ახლა სულ ერთიანად ამიწვა კანქუები, თითქოს ცეცხლი წამეკიდაო.

— ახლაც არ დეისწავლი? არ დეიმახსოვრებ? კიდევ დატეხავ ვენახს, შე მამაძაღლო, შე? — მიყვიროდა ბაბუა. მე კი სიმწრისაგან ცრემლმორეული ვეეედრებოდი და გაქცევა აზრადაც არ მომდიოდა:

— აღარ ვიზამ, ბაბუა, მეტს აღარ ვიზამ... აღარ ვიზამ, ჩემო ბაბუა.

უეცრად, ჩემს ბედზე, ფეხსაცდენილი ჯოხი ბაბუას ხელში შეატყდა სწორედ იმ დროს, როდესაც ჩემმა რწმენამ, რომ დირსეულად ვისჯებოდი, მიღალატა და გულიც მომივდა ბაბუაზე.

— ეე, ეგრე გინდა, ხომ გადაგიტყდა ჯოხი, ხომ გადაგიტყდა, ეგრე გინდა, ეგრე გინდა! — ნიშნისმოგებით ვეუბნებოდი ბაბუას და ახურებულ წვივებს ხელის გულებით ვიგრილებდი. ლოყები კი ცრემლებით მქონდა დამბალი...

ახლა, როცა ეს ამბავი გამახსენდა, ტირილის მაგივრად ტკბილად გამეღიმა. ახლა სიამოვნება მომგვარა წარსულის გახსენებამ. ასეთი სიმკაცრით შემაყვარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბუამ ვენახი, ხე, ბალახი. პირველად ისე ვიყავი დაშინებული, რომ ბლის ტოტებსაც აღარ ვტეხდი, ლელვის ღეროსაც აღარ ვჭრიდი სასტვენის გამოსაკეთებლად, ბროწეულის ტოტს — მშვილდის გასაკეთებლად. მალე ეს შიში სიყვარულმა შესცვალა. ასე მგონია, მას შემდეგ უფრო მეტად შემიყვარდა სოფელიც და ჩემი ლუკა ბაბუაც...

... ამ თავხედს კი აუშვერია ფეხი და გაუჯეგავს სანერგე, მართლა უგონო და მთვრალი იყო, ალბათ, თორემ რა გული მისცემდა ამის ნებას. ანდა, ავადმყოფი დაიგული ბაბუა, მაინც ვერ გაიგებს, მაინც ვერ დაინახავსო. შემოვლა შეეზარა და გზა შეიმოკლა... ერთი ვუთხრა ბაბუას, მაგას შეუმოკლებს გზას...

ასე ვეტყვი: „ბაბუ, შენ ხომ იცი, ვინც ატარებს დიდ კალოშებს? მე მეზობლებს ჩამოვთვლი, და როცა იმ კაცის სახელს ვიტყვი, შემომხედე თანხმობის ნიშნად, შემომხედე და მე მივხვდები, ვინც არის“.

მართლაც, როცა ოთახში შევედი, ყველაფერი დაწკრილებით ვუამბე ბაბუას, მერე დავიწყე მეზობლების სახელთა ჩამოთვლა, მაგრამ ბაბუას ერთხელაც არ გამოუხედავს ჩემსკენ, ისევ ღია ფანჯარას გაჰყურებდა, რომელზეც ახლა ცაცხვის ჩრდილი გადმოკეცილიყო და ბაბუას საბანზე ირხეოდა.

გულდაწყვეტილი გამოვედი გარეთ.

ასე გაიარა წლევანდელი ზაფხულის პირველმა დღემ. მეორე და მესამე დღეც შინ გავატარე, ეზოს არ გავცილებულვარ, თუმცა სოფლელმა ამხანაგებმა გაიგეს ჩემი ჩასვლა და ღობეზე მომდგარნი ხმადაბალი ძახილით მიწვევდნენ სათამაშოდ. თუ ეზოში შემოვიდოდნენ, მაშინ ხომ სულ ჩაუვარდებოდათ ენა, ძლივს გასაგონად ჩურჩულებდნენ, ალბათ, ავადმყოფის ხათრით და რიდით.

განვლო კიდევ ორმა დღემ და ჩემდა სამარცხვინოდ, ვუღალატე ბაბუას, გავტეხე სიტყვა, ვეღარ დავუცადე მის გამოჯანმრთელებას და ისევე, როგორც წარსულში, შარშან და შარშანწინ, დავიწყე ღელეში საცურაოდ სიარული, მთაზე საქონლის მწყემსვა, ხეებზე პოტიალი, მთვრიან ღამეებში დამალობანას თამაში...

ისე ხშირად აღარ შევდიოდი ბაბუასთან სასაუბროდ, ისე ხშირად ვეღარ ვხედავდი ვანია ექიმის გახვთქულ ცხენს. ბებიას თქმისა არ იყოს, სულ გარეგარე დავწაწაწალებდი და შინ გვიან ვბრუნდებოდი.

ერთხელ ღელის პირს ისხდნენ ბიჭები, ბაბუას სანერგეს ბოლოში კაკლის ხე იდგა. მე ტოტზე ვიყავი გასული, ვარხვედი, ბიჭები კი კაკალს აროვებდნენ, არჩევდნენ და თითებსა და ტუჩებს იღებავდნენ წენგოთი. უეცრად ჩემმა ბიძაშვილმა უშანგიმ ამომძახა ქვევიდან:

— ოთარ, გინდა დავთვრეთ?

— დავთვრეთ?

— ჰო, კაკალზე ღვინო მოგვიხდება, თუ გინდა ამ წუთში გავაჩენ, — თქვა უშანგიმ და ეშმაკურად ჩაიცინა.

— აბა, შენ იცი, — ვუპასუხე მე, რადგან მეგონა, რომ ხუმრობდა ჩემი ბიძაშვილი.

უშანგი უეცრად შებრუნდა, ორი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, ბუჩქთან ჩაცუცქდა, ხელებით მისწი-მოსწია ეკალ-ბარდები, შიგ შეიქვრიტა, მერე მკლავი შეჰყო, დიდხანს აფათურა ასე ბრმად და ბოლოს ენგისფერი, ტუჩიანი დოქი გამოათრია.

— არ გაბედო, არ გაბედო! — დავუყვირე ზევიდან, გულმოსული ჩამოვცურდ-ჩამოვფოფხდი ხიდან და უშანგისთან გავჩნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გაბედო, დადე თავის ადგილზე!

— რა მოხდა, ოთარ, ცოტა მოვსვათ და ისევ შევინახოთ.

— არა, გიგეგეს ლუკა ბაბუა და ეწყინება.

— მართლა ეწყინება, რად ღვინო, შეინახე, — წამოიძახეს აქეთ-იქიდან ბიჭებმა.

ყველას გაგონილი ჰქონდა სოფელში ლუკა ბაბუას ჩვეულება და ამიტომ ბიჭებსაც არ გაჰკვირვებიათ.

კარ-მიდამოს სიახლოვეს, სანერგესთან თუ ბოსტანთან, ტყისკენ მიმავალ გზაზე თუ წყაროსკენ გაჭრილ ბილიკზე, იქ, სადაც შრომისმოყვარეობა დილიდან საღამომდე მიწასთან მიაჯაჭვავდა ხოლმე ლუკა ბაბუას, ბუჩქებში, ეკალ-ბარდებში, ბალახით მოვლილ ღობის ძირებში, ხუთ-ექვს ადგილს შენახული ჰქონდა ნაქურჩლით ან ლეღვის ფოთლებით თავდაცობილი ღვინით სავსე დოქები.



18584

რად უნდოდა? გამოივლიდა გზად ვინმე სოფლელი, შეაჩერებდა ლუკა ბაბუა, წუთით თავს მიანებებდა მუშაობას, მიიპატიჟებდა და შეჰყვებოდნენ ლაპარაკს, იტყოდნენ ამ მთისას, იმ ბრისას. „სტუმარს“ ხომ მასპინძლობაც უნდოდა: გადასწევდა ხელს ბაბუა, გამოიღებდა ბუჩქიდან დოქს და ცივი ღვინით ყელს გაისველებდნენ. ანდა, გამოივლიდა უცნობი, გამარჯობა-გაგიმარჯოსო, ეტყოდნენ ერთმანეთს, უცნობი სოფლის საბჭოს გზას იკითხავდა, თუ არ იკითხავდა, მაინც გააჩერებდა ბაბუა, „საიდან მობრძანდებით, ვისას მიბრძანდებით, ხომ კარგი ამბავია თქვენს მხარეს“, აქაც გაიბმებოდა ლაპარაკი, აქაც დაილეოდა ღვინო... მთელი ქვეყნის მასპინძლად თვლიდა თავს ლუკა ბაბუა.

— მოვსინჯოთ მაინც, იქნებ მოჭანგული? — თავისი გაიმეორა უშანგიმ.

მე დავტაცე ხელი დოქს და ისევ ბარდებში ჩავმალე.

ის იყო კაკლის ძირას მოვგროვდით და „კაკლობანას“ თამაში უნდა დაგვეწყო, რომ უეცრად ჩვენი სახლიდან მოისმა გაბმული, გულის გამაწვრილებელი კივილი. მუხლები მომეკვეთა, ოფლმა დამასხა, რაღაც წაგილუღლუღე, ღმერთ მახსოვს. და ასე ალუღლუღებული, სატირლად გამზადებული, გულ-აფართხალებული უკვე შინისკენ გავიქეცი. უკან ენაჩავარდნილი უშანგი და ბიჭები მომდევდნენ. სირბილით ავსკენით ავირბინეთ და ეზოში შევედით. უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორბოდნენ სხვადასხვა მხრიდან მეზობლები, „ვაი, ვაის“ ძახილით, თავსაფრებსა და ჭაშრების სწორებთა. ოთახიდან კი ისმოდა ნინო ბებიას კივილი და მოთქმა...

მესამე დღეს ჩამოვიდნენ დედა და მამა, ჩემი და-ძმები, ბიძები, მეზობლები, უამრავი ნაცნობი და უცნობი. ხალხით აივსო ჩვენი ეზო. იდგნენ აივანზე კედელს მიყუდებულნი, მძიმედ ჩამოდიოდნენ კიბეზე, გროვდებოდნენ ხეთა ჩრდილებში და სულ ლუკა ბაბუაზე ლაპარაკობდნენ.

ერთხელ მამაც გამოვიდა აივანზე, თვალებზე ცრემლი შევნიშნე. მაშინ კი მეც ავტირდი, აკვნითინდი, ბელღლის უკან დავიმალე და დიდხანს არ გამოვჩენილვარ. „დამეძღურე, ჩემო ბაბუ?—ვსლუკუნებდი მე. — შენს მორჩენას რომ არ დავუცადე და სათამაშოდ გავვარდი, ისეთომ მოკვდი, ჩემო კარგო ლუკა ბაბუა? ის ხომ არ გეწყინა, ერთხელ რომ წლოვანება მოგიმატე და ერთბაშად დაგაბერე? ან ის ხომ არა, — ვაზის ღერო რომ მოვამტვრიე?“ ვებაასებოდი ლუკა ბაბუას და არ მჯეროდა მისი სიკვდილი, ვერ წარმომედგინა. მეგონა, როგორც კი ამას გავიფიქრებ, საყვედურით გადმომხედავს ბაბუა-მეთქი, მერე ისევ ღია ფანჯარას მიაშტერდება და თვალდათვალ მოზომავს ცაცხვის სიმსხოს... ბაბუამ ხომ თქვა: მანამ არ მოვკვდები, სანამ ამ ცაცხვიდან საწნახელი არ გამოითლებაო... მაგრამ ცაცხვი ხომ ჯერ პატარაა, მისგან ხომ საწნახელი ჯერ არ გამოითლება?

მე გაისს ზაფხულზეც ჩვენს სოფელში ჩავალ, ორი წლის შემდეგაც, სამი წლის შემდეგაც. მერე სულ იქ დავსახლდები. არც ერთ ბავშვს არ დავაგლეჯინებ ვაზის ტოტებს ქამრის გასაკეთებლად, არავის არ გადავტარებ ბაბუას სანერგეში დიდი კალოშებით, მეც დამალავ ბუჩქებში ღვინით სავსე დოქებს და გამველელ-გამომველელს დავალევინებ. მერე კი იმ ცაცხვიდან საწნახელს გამოვთლი, დიდსა და უზარმაზარს, რომ მთელი სოფლის მოსავალი შიგ ჩაეტიოს.

ქეთევანმა რვეული დახურა. „კარგი ბავშვია ოთარი, — გაიფიქრა გულში. — როგორ შეეწუხებია ბაბუას სიკვდილს. მე კი უბრალოდ მითხრა: იცით, ქეთევან მასწავლებელო, ბაბუა გარდამეცვალაო, და თავი ჩაღუნა. თურმე რამდენი ტკბილი მოგონება აკავშირებდა ბაბუას ხსოვნასთან. გულწრფელი ბავშვია, ჭკვიანი და უეშმაკო. კარგი იქნება, ვაჟა რომ დაუმეგობრდეს...“

ქეთევანმა ახლა მეორე რვეული აიღო და გადაშალა:

მანანა ლაღიძე
VIII₃ კლასი

ზელიზადის დროინ

შემიძლია დავიკვეხო, რომ ქუთაისსა და მის მიდამოებს ძალიან კარგად ვიცნობ, თუმცა ამ ზაფხულს პირველად ვიყავი იქ. მე და ჩემი ბიძაშვილები — ციალა და გუჯუ — ხშირად დავდიოდით ქალაქგარეთ, ხან ბიძაჩემის თანხლებით, ხან — მეზობლებთან ერთად.

მე გადაწყვეტილი მაქვს, რომ ისტორიკოსი გამოვიდე, თბილისის უძველესი ადგილები უკვე რამდენიმეჯერ მოვიარე. ყოფილვარ ბეთანიაშიც, მცხეთაში, თელავსა და იყალთოში. მაგრამ ექსკურსიით წასვლა ცუდია, ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან სწრაფ-სწრაფად, სულმოუთმელად ათვალიერებენ, მე კი დიდხანს ვფიქრობ და ვუცქერო თვითეულ ქვას, თვითეულ სვეტსა და წარწერას. ასე მგონია, მეცნიერებს რაიმე საყურადღებო აღმოცენებულად გამორჩენოდათ და რაღაც ახალს ეიპოვნი და აღმოვაჩენ-მეთქი. შინ კი ერთი ყუთი სავსე მაქვს ექსკურსიებიდან ჩამოტანილი თიხის ჭურჭლის ნატეხებით, სხვადასხვა მოყვანილობის ქვებით. ჯერჯერობით, ჩემი კოლექციიდან ყველაზე უფრო მოყვარს ბაგინეთიდან წამოღებული, ნახევრად დანახშირებული ხის ნატეხი. ათეული საუკუნეების წინათ მძვინვარებდა ხანძარი ამ ციხე-ქალაქში, წელს კი იმ ნახშირით ჩემმა პატარა ძმამ სახე მოიითხუანა...

როდესაც ალექსანდრე ბიძიას — ციალასა და გუჯუს მამას — ჩემი არჩევანი გავანდე, მომიწონა და შემპირდა, აქაური ისტორიულ ძეგლებს გაგაცნობო. მართლაც, მეორე დღესვე ბაგრატის ციხის ნანგრევები ვინახულეთ, მერე მანქანით გელათში წაგვიყვანა და ძველი ტაძარი დაგვათვალიერებინა. გზად მოწამეთაში დავისვენეთ. შემდეგ კვირას გეგუთისკენ გასეირნებას გვპირდებოდა ალექსანდრე ბიძია, იქაც ძველი ციხე-დარბაზიაო, მაგრამ შემოხვევით ვაიგო, რომ მე მუსიკის სწავლას თავი დავანებე და ძალიან იწყინა, გამიჯავრდა და: ხვალ დილამდე გემდურიო, მითხრა. ეს არც გამკვირვებია, რადგან ალექსანდრე ბიძია მუსიკის მასწავლებელია, ფორტეპიანოს კლასს ხელმძღვანელობს ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში. მამას ხშირად უთქვამს, ალექსანდრე ახალგაზრდობაში ძალიან კარგი პიანისტი იყოო. ახლა კი ბიძიას მარჯვენა ხელის შუა თითი გაშეშებული აქვს, ფრონტზე დაიჭრა სამამულო ომში, მაგრამ მაინც უკრავს, გვა ხოლმე თავის ოთახში. მიუჯდება როიალს და აამღერებს, ისე მომხიბვლელად, ისე ნაზად, რომ არ შეიძლება არ გაინაბო და ყური არ დაუგდო.

თუმცა მე ვერასდროს ვერ ვხვდებოდი, რა ნაწარმოებს უკრავდა. ალბათ თვითონ იგონებდა მელოდიებს.

— ხომ გიყვარს შოპენი? — მკითხავდა ხოლმე, თუ როიალის სიახლოვეს დამინახავდა.

— ეგ ვითომ შოპენია?

— ვითომო? — გაიკვირვებდა ბიძაჩემი და ლაპარაკ-ლაპარაკში შეუმჩნევლად გადავიდოდა შოპენის რაიმე ნაწარმოებზე. მერე გამიღიმებდა, ხომ მიმიხედი ეშმაკობასო, ადგებოდა და როიალის სახურავს ფრთხილად ჩამოუშვებდა.

ვინც ბიძაჩემთან ოდესმე სტუმრად ყოფილა, ალბათ ყველამ იცის ამ როიალის ისტორია, რადგან ალექსანდრე ბიძია არა თუ გარეშე ხალხთან, შინაურებთანაც ხშირად ტრაბახობდა: „იცით, ვინ გვაყიდინა ეს როიალი? ზაქარია ფალიაშვილმა. წაჰყვა მამაჩემს და თვითონ ამოარჩია, საკუთარი ხელითა და ყურით... აბა, ისე ნუ კი უყურებთ...“

ბიძაჩემს სახლში მოწაფეები დაუდიოდა. შეიყვანდა თავის სამუშაო კაბინეტში და ამეცადინებდა. როდესაც მოწაფე გაკვეთილს მორჩებოდა და ნოტებმომარჯვებული თავდახრილი გაიელდა ჩვენს ოთახს, ალექსანდრე ბიძიას მუდამ ახსენდებოდა ჩემი დაუდევრობა, წინ გამიელდა და იტყოდა:

— შენ კი იჯექი სახლში და უკარი პატეფონი, მალე პატარა გუჯუ გაჯობებს.

— მე რაც ვისწავლე, ყველაფერი მახსოვს, ბიძია. ახალი ნოტების გარჩევაც შემიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, შეგიძლია... ენახოთ გაისად რას იტყვი, ასეთი სმენისა და თვალისმომგებელ პატრონი როიალს თავს არ დანებებდა.

— ვერ ვასწრებდი, ბიძია, გაკვეთილების მზადება, რეფერატების წერა...

— კინოებში სიარული, — ნიშნისმოგებით შემაწყვეტინებდა და დაუმატებდა, — ყველაფერი უნდა მოასწრო, მუსიკა არაფერში არ შეგიშლის ხელს, პირიქით.

და კიდევ ერთხელ ჩამომართმევდა პირობას, რომ თბილისში ჩასვლისას აუცილებლად დავუბრუნდებოდი მუსიკის გაკვეთილებს. მე უარის თქმას ვერ ვუბედავდი, პირობას ვაძლევდი, გულში კი გადაწყვეტილი მქონდა მუსიკისთვის დრო აღარ გამეცდინა. ჯერ მარტო წიგნი რამდენი მქონდა წასაკითხი, სულ ჩამორჩენილი ვიყავი ჩემს ამხანაგებს. მე რომ მუსიკის გაკვეთილებზე დავდიოდი, ჩემი ტოლები ისხდნენ და თვალები უშტერდებოდათ საინტერესო წიგნების კითხვით, ანდა კინოში ახალი ფილმით. სტკბებოდნენ. ესეც რომ არ იყოს, მე პიანისტად გახდომას არ ვაპირებდი და იმდენი მუსიკალური ცოდნა კი მქონდა, რომ ახალი სიმღერა ამეწყო როიალზე.



ამიტომ ბიძაჩემის თხოვნას, რომ დღეგამოშვებით მაიხც მეკარეჯიშნა ინსტრუმენტზე, წავუყრუე და კვლავ განვაგრძე ქუთაისის გაცნობა. დავათვალიერე ძველი გიმნაზია, სადაც სწავლობდა აკაკი წერეთელი და ვლადიმერ მაიაკოვსკი. მარტო წავედი ალექსანდრე წულუკიძის სახლ-მუზეუმში. ძალიან მომეწონა ეზოში აღმართული წულუკიძის ძეგლი. ვიყავი გაღმა, გორაზე წამომდგარ ეკლესიაზე, სადაც დასაფლავებულია მწერალი მამია გურიელი.

მაგრამ ბიძაჩემი მაინც არ მისვენებდა. ერთ საღამოს დაცინვით მითხრა: ქალბატონო მანანა, ხვალ ჩემი კლასის საჩვენებელი კონცერტია, იმედი მაქვს, ინებებთ და კარგი მუსიკის მოსმენაზე მაინც არ იტყვით უარსო.

მართლაც ყველანი წავედით: მე, ციალა, გუჯუ, ძია ალექსანდრე და მისი მეუღლე — ბიცოლა ნატო.

მუსიკალური სასწავლებლის შესასვლელ კარზე დიდი აფიშა იყო გაკრული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲔᲡ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ

ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ ᲐᲚᲔ. ᲚᲐᲓᲘᲫᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲩᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲨᲘᲐ Ჯ. Ი. ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ — „ᲧᲔᲚᲘᲜᲬᲐᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲜᲘ“

№ 1. იასვარი. ბუხართან. — ასრულებს ზაზა ნუცუბიძე.

№ 2. თებერვალი. ეკალიერი. — ასრულებს ლიანა გოქსაძე.

№ 3. მარტი. ტროლას ხიმღერა. — ასრულებს თინათინ ფეალი.

№ 4. აპრილი. ეხმეკლა. — ასრულებს მეგი ვამპლიშაძე.

№ 5. მაისი. თეორი დამეები. — ასრულებს ლიუდმილა ხკვორცოვა.

№ 6. ივნისი. ბარკაროლა. — ასრულებს ოთარ ონიანი.

№ 7. ივლისი. მთიბაველის ხიმღერა. — ასრულებს ეკა სოფაროვა.

№ 8. აგვისტო. მკა. — ასრულებს ლალი ძებადიშვილი.

№ 9. სექტემბერი. ნადირობა. — ასრულებს ჯანსულ საგანელიძე.

№ 10. ოქტომბერი. შემოდგომის ხიმღერა. — ასრულებს შბილ ხოტარია.

№ 11. ნოემბერი. ხმცხენა მარხილზე. — ასრულებს ვიქტორ ივანოვი.

№ 12. დეკემბერი. შობის დღეები. — ასრულებს ეთერ ოსეფლიანი.

დასაწყისი საღამოს 6 ს. 30 წ.

პროგრამის პირველი სტრიქონი — „იანვარი. ბუხართან — ასრულებს ზაზა ნუცუბიძე“ ვიღაცას წითელი ფანქრით წაეშალა.

— რატომ? — ეკითხე ალექსანდრე ბიძიას.

— გუშინწინ ავად გამხდარა, მაგრამ აფიშა უკვე დაბეჭდილი იყო.

ჩვენ გავიარეთ ახალგაზრდებით სავსე დერეფანი. სანამ საკონცერტო დარბაზში შევიდოდით, ძია ალექსანდრემ ერთი პატარა ოთახის კარები შეაღო და შედგა. ამ ოთახიდან კიბის რამდენიმე საფეხურით პირდაპირ სცენაზე შეიძლებოდა ასვლა, ჯერჯერობით კი შიგ კონცერტის მონაწილენი ჩაკეტილიყვნენ, ღელავდნენ, ერთ ფაცაფუცში იყვნენ. მღელვარებას ზოგი ყურებამდე გაეწითლებინა, ზოგი გაეფითრებინა, ერთი გოგონა ტუჩებს იკვნეტდა, მეორე...

— ეგ რაა, ლიანა, დღესაც ვალერიანის წვეთები მოიტანე? — გაუცინა ძია ალექსანდრემ გამხდარსა და მაღალ გოგოს. ლიანამ შუშა ზურგსუკან დამალა და შერცხვა, ამხანაგს ამოეფარა დაბნეული ღიმილით.

— სცენაზე გამოსვლამდე სვამს ხოლმე, პატივცემულო მასწავლებელო, — დაირიხრიხა თეთრკბილება, შავულვაშა ბიჭმა, — მაგრამ წვეთები მხოლოდ მაშინ მოქმედობს და უშშვიდებს გულს, როცა შინ მივა და ლოგინში ჩაწვება.

ყველას გაეცინა. მე კი კმაყოფილებით გავიფიქრე, რომ ასეთი უსიამოვნო წუთებს აღარასოდეს აღარ განვიცდიდი ჩემს სიცოცხლეში, აღარასოდეს მომიხდებოდა კონცერტზე გამოსვლა, სკოლის გამოცდებზეც მეყოფოდა მღელვარება...

— ზაზა ხომ არ გინახავთ? — ჰკითხა ძია ალექსანდრემ თავის მოსწავლეებს. არავის არ ენახა, ყველა კონცერტის სამზადისით ყოფილან დაკავებული: „ამ საღამოს ვნახავთ ან ხვალ, აუცილებლად“.

— რა დაემართა, არ იცით?

— თეთრი ხიდიდან გადამხტარა რიონში, — თქვა შავულვაშა ბიჭმა.

— მერე? — შეკრთა ბიძაჩემი.

— მერე ფეხი გასჭრია ქვაზე, დიდი სიცხე აქვსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალექსანდრე, აღარ შოდიხარ? სადმე მაინც დაგვაჯინე. — უკანასკნელი მოისმა ბიცოლაჩემის ხმა და ბიძია გარეთ გამოვიდა.

დარბაზი სავსე დაგვხვდა. ძია ალექსანდრეს დანახვისთანავე მოსწავლეები სკამებიდან წამოხტნენ და ადგილები დაუთმეს. პატარა გუჯუ ბიცოლაჩემმა კალთაში ჩაისვა, მე და ცოალა კი ერთ სკამზე მოვთავსდით. ძია ალექსანდრე პირველ რიგში დაჯდა, სასწავლებლის სხვა პედაგოგთა გვერდით.

ფარდა გაიხსნა. სცენის შუაგულისკენ ისე წამოვიდა პატარა, თეთრკბიანი გოგონა, თითქოს ჩაფიქრებული მიდის ქუჩაში და სადღაც მიეჩქარებაო. ერთბაშად შეჩერდა და ერთბაშადვე გამოაცხადა, მოსწავლის ავადმყოფობის გამო პირველი ნომერი არ შესრულდებაო. მერე ქადალდს დახედა და წაიკითხა:

— „თებერვალი. ყველიერი“, ასრულებს ლიანა გოქსაძე.

სანამ კლავიშებს თითებს შეახებდა, ლიანა (ეს ის არის, ვალერიანის წვეთებს რომ სვამს) დიდხანს აწვალებდა სკამს, წინ და უკან აჩოჩებდა, ხან ნაპირისკენ წაიწევდა, ხან ღრმად ჩაჯდებოდა. მერე ცხვირსახოცი ხელისგულებზე გაისვა, მერე კლავიატურაზე გადაატარა მსუბუქად და კუთხეში დადო, სწორედ იმ ადგილს, სადაც ბიძაჩემი ნაფტალინის ბურთულებს აწყობს ხოლმე თავის როიალზე.

ტყუილად ღელავდა ლიანა, კარგად შეასრულა „თებერვალი“, ჩქარი, საცეკვაო ადგილებიც გამოკვეთილად ისმოდა, ნოტებს არ „ყლაპავდა“, და თვითონაც ისეთივე მხიარული და სიცოცხლით აღსავსე ჩანდა, როგორიც მუსიკა იყო. აიღო თუ არა უკანასკნელი აკორდი, კარისკენ გაიქცა, სირბილშივე დაუკრა თავი ხალხს და გაუჩინარდა.

— „მარტი. ტროოლის სიმღერა“, ასრულებს თინათინ დვალი, — გამოაცხადა პატარა, თეთრკბიანმა გოგონამ. იგი ახლა იღიმებოდა.

თინათინ დვალი მართლაც ლამაზ ჩიტს ჰგავდა, შავ კაბაზე თეთრი საყელო ჩიტის მოხატულ ყელს მოგაგონებდა, თითსაც ისე უმიზნებდა კლავიშებს, თითქოს ჭიკნკავსო. მუსიკაც ჩიტის ჟღურტულს. სტვენასა და სიმღერას ბაძავდა. ძალიან მომეწონა, პირველად ვისმენდი ამ ნაწარმოებს. ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონიდან“ მხოლოდ „ნოემბერი“ მახსოვს, გარჩეულიც მაქვს ნახევრამდე, მაგრამ ძნელი შესასრულებელია, განსაკუთრებით — შუა ნაწილი... მიჰქრის და თანდათან თვალს შორდება სამცხენა მარხილი და თანდათან ყრუდ ისმის ეკენარის წკრიალის ხმა...

შემდეგ მაღალმა ომბეშეკრეჭილმა გოგომ შეასრულა „აპრილი. ენდელა“. ძია ალექსანდრეს მოსწავლეთა უმეტესობა ჩემზე უფროსები იყვნენ, მხოლოდ თინათინ დვალი იქნებოდა ჩემი ტოლი.

სცენაზე კვლავ გამოჩნდა თეთრკბიანი გოგონა და გამოაცხადა:

— „ივნისი. ბარკაროლა“, ასრულებს ოთარ ონიანი.

— „მაისი“?

— „მაისი“ დაგავიწყდათ?

— „მაისი“... „მაისი“!

დაიძახეს ჩაბნელებული დარბაზიდან. ძია ალექსანდრე წამოდგა და სცენას მიუახლოვდა, თეთრკბიანი გოგონა დაიხარა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ბიძაჩემმაც რაღაც უთხრა.

— „მაისს“ შემსრულებელი ლიუდმილა სკვორცოვა საპატიო მიზეზით კონცერტზე არ გამოცხადებულა, — ხმამაღლა დაიძახა თეთრკბიანმა, — მოისმენთ „ივნისი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია ალექსანდრე უკვე თავის ადგილზე დამჯდარიყო, ხანდახან თავსაც აქნევდა, თითქოს ვიღაცას უჯავრდებოდა გულში.

როდესაც შავულვაშა ბიჭმა „ბარკაროლა“ დაიწყო, მაშინვე გამახსენდა, რომ ამ ნაწარმოებსაც ვიცნობდი, ერთბაშად გული ამიჩქროლდა, როგორც დიდხანს უნახავ ნაცნობთან შეხვედრისას. გატაცებით ვუსმენდი ამ ნიჟვლიანსა და გაბმულ მელოდიას, რომელიც ხშირად მეორდებოდა სხვადასხვა სიმაღლეზე. მეც ტუჩმოკუმული ვღიღინებდი და ცალას ვეჩურჩულებოდი, „ბარკაროლა“ აუცილებლად შეისწავლე-მეთქი. გადავწყვიტე, რომ ამ კონცერტზე რომელიმე ახალი მელოდია დამემახსოვრებინა და უფრო ყურადღებით განვაგრძე მოსმენა.

უკრავდნენ მოსწავლეები, ზოგი ჩქარსა და ტექნიკურად რთულ ნაწარმოებს, ზოგი სეედიანსა და მდორეს, ერთნი მთელი სხეულის მოძრაობით აჰყვებოდნენ ხოლმე მუსიკის რიტმს, როლში შედიოდნენ და ძლიერი აკორდების დროს სკამსაც ასცილდებოდნენ ოდნავ. სხვანი აუღელვებლად, მაგრამ უფრო გამოკვეთილად უკრავდნენ, თითქოს თვითეულ ნოტს უზოგავდნენ მსმენელთ...

კონცერტი ღამის ათ საათზე დამთავრდა. ძია ალექსანდრე ისევ იმ პატარა ოთახში შევიდა და თავის მოსწავლეებს ხელი ჩამოართვა. ამხანაგებიც შედიოდნენ და ულოცავდნენ, ეხვეოდნენ და კოცნიდნენ კონცერტის მონაწილეებს.

ბარეთ გამოვედით. აფშაზმა ვიღაც ონავარს ნიშნები ჩამოეწერა კონცერტის მონაწილეთათვის, ყველა „2“-ზე იყო „შეფასებული“.

თბილი, ლამაზი ღამე იყო. რომელიღაც ქარხნის მილზე თეთრი მთვარე შემჯდარიყო და თანდათან შიგ მიძვრებოდა.

ჩვენ უკვე ქალაქის ბაღთან ვიყავით გამოსული, როდესაც პატარა გუჯუმ სიროფიანი წყალი მოისურვა. ბაღში შევედით, წყალი დავლიეთ, მერე ჯაჭვის ხიდისკენ გავემართეთ. წინ ბიცოლა ნატო, გუჯუ და ცალა მიდიოდნენ, უკან— მე და ბიძია.

როდესაც ფფთიაქს მივუახლოვდით, ძია ალექსანდრე უეცრად შედგა, ვიტრინის შუშის იქით ვიღაცას დაუწყო ჭვრეტა. მერე ერთბაშად შემობრუნდა და კარისკენ წავიდა. ჩემთვის ხელი არ გაუშვია და უნებურად მეც შევყევი აფთიაქში.

რძისფრად შეღებილ სარკმელთან, რომელსაც შავი ასოებით ეწერა „რეცეპტების მიღება“, რიგი იდგა. მოპირდაპირე მხარეს კი, გრძელ სკამზე, ვიღაც გოგონა იჯდა, თავი ჩაეწინდრა და თითებს აწვალებდა. სწორედ მისკენ წავიდა ძია ალექსანდრე. ნაბიჯის ხმაზე გოგონამ გამოიხედა, უეცრად თვალები გაუფართოვდა და ფეხზე წამოიჭრა, უნდოდა შეგებებოდა ძია ალექსანდრეს, მაგრამ თითქოს თავი შეიკავა, სკამის ზურგს ჩაეშიდა.

— ლიუდმილა, რა გინდა აქ, დედა ხომ არ გაგიხდა ავად? — ჰკითხა ბიძაჩემმა და მხარზე ხელი დაადო. გოგონამ თავი ასწია. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, რომ აღტაცებისგან კინაღამ წამოვიყვირე, დიდი, ლურჯი თვალები ჰქონდა, სეედიანი და წყლიანი. გრძელ, შავ წარბებს თითქოს მაგნიტივით მაღლა იზიდავდა მსხვილი, წაბლისფერი კულულები. მაღალ, თეთრ ყელზე გიშრის მძივებივით გაბნეოდა ხალები. მართლაც ზღაპრულ ლიუდმილას ჰგავდა. ჩემზე ორი-სამი წლით უფროსი იქნებოდა.

— არა, — თქვა ლიუდმილამ.

— აბა, ვინ გაყავს ავად?

— არავინ...

— არავინო? — გაუკვირდა ძია ალექსანდრეს. ლიუდმილამ ისევ ჩაღუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი, — ვინ არის-მეთქი ავად, არ იტყვი? — ცოტა გაბრაზება დაეტყო ალექსანდრეს.

ბიძაჩემი ხან რუსულად ლაპარაკობდა, ხან ქართულად, ლიუდმილაც მას ბაძავდა.

— თქვენც ხომ იცით... ხომ გითხრეს, პატივცემულო მასწავლებელო, ზაზას შესახებ... ძალიან ავადაა.

— ზაზა? — ბიძაჩემი ცოტახანს ჩაფიქრდა. — მერე მშობლები სადა ჰყავს?

— უკვე მეოთხე დღეა, თბილისში წავიდნენ და ჯერ არ ჩამოსულან, შინ კი მხოლოდ ზაზას ბებია დარჩა, მოხუცია, ვერ უვლის.

— მერე?

— მერე... მე და ზაზა მეზობლები ვართ. — ლიუდმილა გაწითლდა.

— და შენ უვლი, ხომ?

— დიახ.

— რა დაემართა, მართლა გადახტა ხიდიდან?

— არა, რიონის ნაპირზე ამხანაგს დაედევნა, შუშაზე გაიჭრა ფეხი...

— სისხლი ხომ არ მოეწამლა?

— ჰო... — უნებურად წამოიკვნესა ლიუდმილამ, მისი გრძელი წარბები ერთმანეთს მიესრისნენ.

— საშიშია? რა თქვა ექიმმა?

— ჰო, — და ლიუდმილას უეცრად ტირილი წასკდა. სახე ხელებით დაიფარა და კედლისკენ შებრუნდა.

— აბა, აბა, არ გრცხვენია, ლიუდმილა? ამოდენა გოგო ხარ... ნემსები ხომ გაუკეთეს?

ჩვენსკენ ზურგშებრუნებულმა ლიუდმილამ თავი დაიქნია, გაუკეთესო. ძია ალექსანდრე მივიდა და შემოაბრუნა, ხელები ძალით ჩამოაცილა სახიდან.

— არ გრცხვენია? რა გატირებს... შენ ეს მითხარი, სიცხემ ხომ დაუკლო?

— ღამით ისევ აუწევს, — სლოკინით თქვა ლიუდმილამ, ცრემლები მოიწმინდა და მე შემხედა. ისეთი ლამაზი იყო და ისე მეცოდებოდა, რომ მინდოდა გადავხვეოდი და გადამეკოცნა.

— არ მეგონა ასე ავად თუ იყო. — თქვა ძია ალექსანდრემ. — ძილი როგორი აქვს?

— წუხელ გათენებისას ჩაეძინა, — თქვა ლიუდმილამ.

— შენ რა იცი?

— მე და ზაზას ბებია ვმორიგეობდით ღამით...

— მაშ ღამე გაათიე?

— დიახ.

— გუშინწინაც?

— დიახ... სიცხე ჰქონდა, ცივ ტილოებს ვადებდი.

— მე კი მეგონა, შენც ავად გახდი და კონცერტზე გამოვაცხადებინე, თითქოს საპატიო მიზეზით არ მოხვედი. — მკაცრად თქვა ძია ალექსანდრემ.

ლიუდმილამ მუდარის თვალებით აეხედა ბიძაჩემს, ტუჩები გახსნა, ღრმად ჩაისუნთქა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მე მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ლიუდმილა და ზაზა ის ორი მოსწავლე იყო, რომლებიც დღევანდელ კონცერტში არ მონაწილეობდნენ. „უჰ, რა კარგი გოგო ყოფილა, — გავიფიქრე, — როგორ ჰყვარებია თავისი ამხანაგი“...

— ახლა რას ელოდები? — ჰკითხა ძია ალექსანდრემ.

— წამალი უნდა დამიმზადონ ჭრილობაზე დასადებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კეთილი, ზაზას მოკითხვა გადაეცი, ხვალ აუცილებლად ვნახავ... ეს ბიჭი ზომ არაფერი სჭირდება?

— არა.

— ღამე მშვიდობისა, — თქვა ბიძაჩემმა და გასასვლელისკენ გააბიჯა.

— ალექსანდრ ნიკალაევიჩ! — წამოიძახა ლიუდმილამ და ბიძაჩემს დაედევნა, ძალიან აღელვებული ჩანდა.

— რა იყო, ლიუდმილა?

— ალექსანდრ ნიკალაევიჩ... დამნაშავე ვარ, ზაზა... ზაზას ვერ მოვცილდებოდი... ბავშვივით უმწეო ყოფილა ავადმყოფობის დროს, არაფრით არ შემეძლო კონცერტზე მოსვლა. დამსაჯეთ, ალექსანდრ ნიკალაევიჩ, თუ გნებავთ ორ ნაწარმოებს ჩაგბარებთ „წელიწადის დრონიდან“, ანდა...

— არ არის საჭირო, — ღიმილით თქვა ბიძაჩემმა.

— ალექსანდრ ნიკალაევიჩ, მაშინ რაღა მეშველება, — გადაუტყდა გრძელი წარბები ლიუდმილას, — რაღა მეშველება, კონცერტზე გამოსვლა აღარ ჩამეთვლება, შეიძლება დირექტორმა კლასშიაც დამტოვოს...

ძია ალექსანდრე ლიუდმილასკენ შემობრუნდა, იგი კვლავ იღიმებოდა:

— დღეს რა უნდა შეგვსრულებინა?

— „მაისი. თეთრი ღამეები“. — უპასუხა ლიუდმილამ.

— თეთრი ღამეები... — თავისთვის გაიმეორა ძია ალექსანდრემ და ლიუდმილას ჩალურჯებულ უხეებს დააცქერდა. — კეთილი, ჩაგეთვლება.

— ჩამეთვლება?! — წამოიძახა ლიუდმილამ და სახე გაებადრა. „რა ლამაზია, — გავიფიქრე გულში — ნეტავ ჩემი და იყოს“.

— ჰო, ჩაგითვლი, რომ კონცერტზე გამოხვედი.

— უჰ, როგორ გაეხარდება ზაზას! ჩემი ჯავრი აწუხებდა. — უზომოდ აღტაცებულმა ლიუდმილამ, თითქოს ერთბაშად გადაავიწყდა ძია ალექსანდრეკი, აფთიაქის დახლისკენ გაიწია, სწორედ რომ გაქცევაზე იყო.

გარეთ გამოვედით. მოშორებით ბიცოლა ნატო და ბავშვები იდგნენ და გაკვირვებით იყურებოდნენ ჩვენსკენ.

მე მიგამიჯვებდი ქუჩაში, თვალწინ ლიუდმილას ლამაზი, შეშფოთებული სახე მედგა და არ ვიცი რატომ ვფიქრობდი, რომ თბილისში ჩასვლისას აუცილებლად, აუცილებლად დავუბრუნდებოდი მუსიკის გაკვეთილებს.

ქეთევანი იღიმებოდა და მანანა ლაღიძის რვეულს დასცქეროდა. „დიდი სიყვარულის დასაწყისია ლიუდმილასა და ზაზას შეგობრობა, — ფიქრობდა იგი. — ნეტავ როდის მოვესწრები, ჩემი ვაჟა რომ პირის პარსვას დაიწყებს და გამოპრანჭული იქლის ინსტიტუტში... ენაცვალოს დედა“.

ქეთევანს თავისი სტუდენტობის წლები გაახსენდა და გაიღიმა. მესამე კურსზე იყო, როცა წერილი გამოუგზავნა ვიღაც უცნობმა ვაჟმა. მაგრამ ქაღალდზე სიტყვების მაგივრად რიცხვები იყო ჩამოწერილი. ქეთევანი გაბარაზდა, გაწითლდა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. ის იყო წერილი უნდა დაეხია, რომ ქაღალდის კუთხეში ირიბად წაწერილი წვრილი ასოები შეამჩნია: „ამოიხსნება მენდელეევის ცხრილით“, ამოიკითხა ქეთევანმა. მაინც აპირებდა დახევას, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ამხანაგსაც გაანდო ეს ამბავი. ოთახში ჩაიკეტნენ და დიდი წვალების შემდეგ ამოხსნეს რიცხვების მნიშვნელობა. ქიმიის კათედრის ასპირანტი, არჩილ საყვარელიძე, საუკუნო სიყვარულს ეფიცებოდა...

ქეთევანმა ახლა სხვა რვეული გადაშალა და კითხვა დაიწყო.



გიორგი ავაზაშვილი
VII ა კლასი

ყვინჩილა ღრუბლებში

1 ივნისი

უკვე მეორე დღეა, ჩემს დედულეთში ვარ. დავიარე მეზობლები. ყველა მეუბნება, გაზრდილხარ და ხმა დაგბოხებიაო, მე კი ვერაფერს ვამჩნევ.

დედამ ჩემი ჩემოდანი გამოათრია საწოლის ქვეშიდან და ისევ საყვედურები დაიწყო: რად გინდოდა, ამდენი წიგნი რომ წამოიღე, ისედაც ბლომად გვქონდა ბარგი.

დედა მართალია, შარშანაც ბევრი წიგნი წამოვიღე სოფელში, მაგრამ ნახევრის წაკითხვაც ვერ მოვასწარი. ამ ზაფხულს გადაწყვეტილი მაქვს, ყველა წავიკითხო, იქნებ არც მეყოს...

მიშკო. დილით წისქვილში წაჰყვა მამას და მის დაბრუნებას ველოდებოდი. ჩემოდნიდან ამოვიღე რუსულად თარგმნილი უცხოელი მწერლის წიგნი, აივანზე წამოვწექი და კითხვა დავიწყეუეცრად ჭიშკრის მხრიდან გაბმული ძახილი მომესმა:

— გოგიაა!

ამას ძაღლის ყეფაც მოჰყვა.

პირველად მეგონა, მიშკო დაბრუნდა წისქვილიდან და ის მეძახის-მეთქი, მაგრამ ხმა ვერ მივამსგავსე.

— გოგიაა! — მოისმა ხელმეორედ. აივანზე ფატი ბებია გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაიქეცი, ბიჭო, ჩვენი ფოსტალიონია და გაზეთებს მოიტანდა.

მეც გავიქეცი და მოვიტანე. ჩვენი ფოსტალიონი შარშან ზაფხულს გავიცანი, „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამოვიწერე მაშინ. მოადგებოდა ჩვენს ჭიშკარს, ალაგზე ფეხს შედგამდა, რომ მუხლზე წამოეგდო გაზეთებით გაჭედილი ბრეზენტის ჩანთა და დაიძახებდა: „გოგიაა!“, რადგან შინ ყველაზე უმცროსი მე ვეგულებოდი. მერე თურმე შეჩვეულა და ჩემი წასვლის შემდეგაც სულ „გოგიას“ იძახდა...

მიშიკო არ დაბრუნებულა, ღელეში წყალმა იკლო და, ალბათ, ძლივს ბრუნავს წისქვილი.

2 ივნისი

დილით მიშიკოსთან გადავედი. დეიდა პელაგიამ მითხრა, გვიან ღამით დაბრუნდნენ და სძინავთო. ისევ ჩვენს აივანზე წამოვწექი და წიგნი გადავშალე, მაგრამ მისი წაკითხვა არ მიწერა ბედად. ჯერ ბებია ფატიმ გამომძახა ოთახიდან, ქათამი კაკანებს, კვერცხს დადებდა სადმე, მოძებნე და ამოიტანეო; მერე დედამ კაკლის ნეშოს დასაკრეფად გამგზავნა, ჭადებზე უნდა დავაკრაო. ბოლოს, როგორც იქნა, ისევ დავუბრუნდი წიგნს, მაგრამ ეზოდან რადაც შლიგინი და რკინის წკარუნი მომესმა, ყურები ვცქვიტე... ვინმეს ეგონებოდა, თითქოს მე არ მინდოდა წიგნის კითხვა და განგებ მეჩვენებოდა ეს შლიგინიც და ეს რკინის წკარუნიც.

— არიქა, არიქა, გოგიაა! — უეცრად აყვირდა ბებიაჩემი თავის საწოლზე. — ნამდვილად ღორმა აიშვა და სულ გააოხრებს ყველაფერს.

წამოვხტი და კიბეებს გადავევლე. ტანყარილ სიმინდებში შესულიყო ჩვენი ღორი, რამდენიმე ძირი გადაეთელა, რაღაცას სულმოუთქმელად სვლეპდა და ნეტარებისგან ღრუტუნებდა ხანგამოშვებით. კისერზე გამობმული ჯაჭვის ბოლო ორ ნაბიჯზე იყო ჩემგან, მიწიდან ამოგდებული წვერდანოტიებული პალოც ჯაჭვს გამოჰყოლოდა. ფრთხილად გავიწიე, დავიხარე, მაგრამ ღორმა იგრძნო და გაიქცა, ხელიდან წამგლეჯა პალო. ისევ მივეპარე და ერთბაშად ფეხი დავადგი ჯაჭვს. ღორი ადგილიდან მოწყდა. მივხედი, რომ წამაქცევდა, ამიტომ მე თვითონ წავიქეცი, ხელებითაც ჩავფრინდი ჯაჭვს, თუმცა რას დავაკავებდი ამ მართლა ღორს, რომ სულელივით არ შემოერბინა ხის გარშემო და თვითონვე არ დაება თავისი თავი. ჩემის აზრით, ღორს იმიტომ დაარქვეს ეს სახელი, რომ მუდამ ღორულად იქცევა: ასე რომ არ იყოს, მაშინ სხვა სახელს დაარქმევდნენ.

სადილობის შემდეგ ისევ მიშიკოსთან გადავედი. ეზოში იჯდა, სადაც შორს გაჰყურებდა სიერცეს და თითით ცხვირს იჩიჩქნიდა (ეეღარ გადაეჩვია ამ სიგლახეს. ნეტბოები ყოველ წელს თანდათან უფართოვდება).

— გამოიძინე? — დავუძახე შორიდანვე. გამომხედა და ოდნავ გაიღიმა, არაფერი მიპასუხა.

— სად იყავით აქამდე? — ვკითხე და გვერდით მოვეჯექი. — წყალი დაუშრა ჩვენს წისქვილს?

— ჩვენს წისქვილს... — გამაჯავრა მიშიკომ და დამცინავად შემომხედა. — ჩვენი წისქვილისთვის რომ გვეცადა, ახლაც იქ ვიქნებოდით.

— აბა, სად იყავით?

— გამოიცან.

— არხის წისქვილებზე?

— არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშიკოს, საერთოდ, უყვარს გაზვიადება. ფიჩხის შესაგროვებლად რომ გაგზავნინა, წარმოიდგენს, ვითომ დაიკარგა, განგება გზა-კვალს აიბნევს ტყეში, მერე საღამომდე შარაგზის მიგნებას უნდება. ერთხელ მართლაც დაიკარგა და თავისებური გამკივანი ბღავილი რომ არ იცოდეს, ვერც მიაგნებდნენ გლეხები. ცხენს თუ მოახტა, რა თქმა უნდა კოლმეურნეობის თავჯდომარეა. ტყემლის კურკის ოდენა ძაღლი ჰყავს ეფეხიას ეძახის. ერთხელ ვეფხია შემთხვევით გადავარდა მაღალი აივნიდან, გადარჩა, მაგრამ ფეხი იტკინა, თუმცა მერე მიშომ დამარწმუნა, რომ ყველაფერი „ბომჩვენებოდა“: კატა დაინახა ეზოში და იმას დააცხრა თავზეო.

— ჰა, არ იტყვი რომელ წისქვილში იყავი?

— შენ, ალბათ, არც გაგიგონია, — თქვა მიშომ და ისევ გაჰხედა სივრცეს. — ხანჰესზე ვიყავით, მდინარე საკრეულას ნაპირთან. იცი როგორი წისქვილია?

— ტყუილებს ხომ არ ფქვავს? — გავბრაზდი უეცრად.

— არა, ურწმუნოებს ფქვავს, — მიმიხედა დაცინვას და ამრეზილად შემომხედა. — ელექტრო-წისქვილია, ჩემო ბატონო, ქალაქელი ხარ, მაგრამ შენზე უკეთ მე ვიცი მისი მოწყობილობა. — უეცრად გაიღიმა და თვალები შემომანათა: — ჰო, მართლა, იცი ვინ ვნახე? ღამით ვიღაც ბიჭები მოვიდნენ წისქვილში, დიმიდან ვართო, ათი ტომარა საფქვავი მოიტანეს. ერთი მათგანი თბილისიდან ყოფილა ჩამოსული და ვკითხე, გოგი ავაზაშვილს ხომ არ იცნობ, ჩემი დეიდაშვილია-მეთქი. როგორ არ ვიცნობ, ერთ კლასში ვსწავლობთო.

— რა ერქვა?

— მგონი, ნუგზარი.

— უჰ, ნუგზარ ენდელაძე იქნებოდა... რა გითხრა? — გამეხარდა მე.

— ჩამოდით ჩემთანო...

ერთხანს ჩუმად ვიჯექით. მიშიკო რაღაცას უსტვენდა თავისთვის. უეცრად სტვენა შესწყვიტა. თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, ტუჩებში ღიმილი შეეპარა, ჩემთვის ნაცნობი ღიმილი, რომელიც რაღაც ახალი თამაშობის წამოწყებას მოასწავებდა. მიშიკომ აქეთ-იქით გაიხედა და ჩამჩურჩიცა:

— თუ იცი, ფატი ბებია კვერცხებზე კრუნის დასმას ხომ არ აპირებს?

— რა ვიცი, კვერცხებს კი აგროვებს და...

— ჰოდა, ესე იგი აპირებს, — გაუხარდა მიშიკოს.

— რატომ კითხულობ?

მიშიკომ კვლავ თვალი მოავლო ეზოს, ხომ არ გვისმენენო. ახლომახლო არავინ ჩანდა. ჩვენ წინ ვეფხია იწვა, თავი მიწაზე განერთხო და ხან ჩემსკენ შემოტრიალებდა ყვითელ თვალებს, ხან მიშოსკენ.

— გადი, გადი, ძაღლო, იქით! — უეცრად დაუყვირა მიშიკომ და ხელი აუქნია. შეშინებული ძაღლი წამოხტა და რაღაც ალმაცერად გაიქცა. იქნებ მართალია, მიშიკო რომ ამბობს, ვეფხვიას ლაპარაკი ესმისო? იმიტომ გაადგებდა.

— იცოდე, არავის უთხრა, — დაიწყო მიშომ, როდესაც ძაღლი შორს დაიგული, — წუხელ ზღაპრის მოყოლა ვთხოვეთ მეწისქვილეს და იცი რა გვიამბო? გაზეთში წავიკითხეო, ქათმის კვერცხში ბატის კვერცხის ცილა და გული შეურევიათ მეცნიერებს და სულ რაღაც ახალი ფრინველი გამოჩეკილაო. ამაზე მეტი ზღაპარი რა გინდათო.

— მართლა?

— აბა... თურმე ქათამსაც ჰგავს და ბატსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტავ წყალშიც დაცურავს ბატივით?

— ჰო, და ქათამივით იბუდებს ხეზე.

— მერე? შენც ხომ არ გისდა სცადო? — კკითხე დაცინვით.

— არა... მოიცა... — მიშომ ძალლისკენ გაიხედა, რომელიც ჭიმკართან გაჩერებულიყო და ჩვენსკენ იყურებოდა. — მე სულ სხვანაირად მოვიფიქრე.

— მაინც?

— გამიგე, მართლა თუ აპირებს ფატი ბებია კრუხის დასმას და მერე ყველაფერს გეტყვი.

3 ივნისი

— როგორ არ ვაპირებო, ხვალ-ზეგ დავსვამ კრუხს, ისედაც დამაგვიანდაო, — გადავეცი მიშიკოს ფატი ბებიას ნათქვამი.

— შე სულელო, პირდაპირ ჰკითხე?

— არა, ისე... სხვათა შორის.

— კარგი გიქნია, ახლა ყური მიგდე...

ჩვენ ორღობეში ვიდექით, ეზოდან გადმოზნექილი ბროწეულის ტოტებქვეშ.

— წადი, ძველი შარვალი და ჩუსტები ჩაიცვი, — განაგრძო მიშიკომ, — წყალში და ეკალ-ბარდებში უნდა ვიაროთ.

ერთი საათის შემდეგ ჩვენ უკვე ღელეს მივყვებოდით აღმა, ღრმა და ვიწრო ხევის ორივე ნაპირი ზევით თითქოს შეერთებულიყო გადაწოლილი და ერთმანეთში ჩახლართული ხეების ტოტებით. ქვევით, წყლის ზედაპირზე, აქა-იქ აღწევდა მზის სხივები, ციოდა ხევში, არ დაიჯერებდი, თუ მინდვრად პაპანაქება სიცხე იდგა. მიშიკო მარჯვედ მიხტოდა ქვიდან ქვაზე და ფერდობებზე შეფენილ ბუჩქებს აკვირდებოდა.

— ახლაც არ მეტყვი, სად მიგყავარ? — დავარღვევ სიჩუმე.

— მოითმინე და გეტყვი.

უჰ, როგორ უყვარს მიშოს გაზვიადება და ყველაფრის იდუმალებით შემოსვა, მართლა საიდუმლო რომ გაუნდოს ვინმემ, ალბათ, სამუდამოდ დამუნჯდება.

უეცრად წინ მიმავალი მიშო გაჩერდა და სმენად იქცა, მერე გამომხედა და თითი ყურზე მიიდო, თუ გესმისო. სადღაც ახლოს, გვიმრაში თუ შქერის ბუჩქებში, ჩიტი გალობდა. მიშომ ხელი დამიქნია და ახლა ტუჩთან მიიდო თითი, ხმაური არ ატეხოო. ძალიან აღელვებული იყო. მე ველოდებოდი, რომ მალე თვალთანაც მიიტანდა მიშო თითს და კიდევ რაიმეს მანიშნებდა...

— იცი, რა ჩიტია? — ჩამჩურჩულა მან, როდესაც გვერდით დავუდექი.

— შოშია?

მიშიკომ პირზე ხელი აიფარა, რომ სიცილი არ წასკდომოდა.

— ბულბულია, ბიჭო, გაიგე? — გამოცრა თითებს შორის.

— მერე?

— მერე ბუდეც აქვე ექნება.

— ჰქონდეს, რა!

— ახლაც ვერ ხედები, რატომ წამოგიყვანე?

მე თავი გავაქნიე უარის ნიშნად.

— კვერცხები უნდა ამოვიღოთ, გესმის? კვერცხები.

— ცოდო არ არის?! — ვუსაყვედურე მე.

— ჩუმად! — სახე მოეღუშა მიშიკოს. — თორემ გაფრინდება და ვეღარ მივაგნებთ ბუდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშიკო ქვიდან ღელის ნაპირზე გადახტა და იქვე ჩაიჩოქა. მეც მივბაძე. ვიმალებოდით, თითქოს ჩვენ უნდა გვშინებოდა ჩიტისა და არა — პირიქით.

— ბულბულის კვერცხის ცილას ქათმის კვერცხში შევუშვებთ... ხომ მიხვდი? — თქვა მიშიკომ და ნესტოები მოიჩიჩქნა...

მე თვალები გამიფართოვდა გაკვირვებისაგან; ალბათ, მართლაც გამიფართოვდა, რადგან მიშიკოს ცხვირი ერთიორად ფართო მომეჩვენა.

— მერე რა გამოვა?

— მომღერალი ქათამი, — დარწმუნებით თქვა მიშომ.

ერთბაშად მომაჯადოვა ამ აზრმა, უცბათ წარმოვიდგინე — ეზოში გაფანტული ქათმები კრიახისა და კაკანის ნაცვლად ბულბულივით ტკბილად გალობენ „სულიკოს“ და არც კი უკვირთ, აინუნშიაც არ აგდებენ ამას, ვითომც დასაბამიდან მათი წინაპრებიც „სულიკოს“ მღეროდნენ.

— მერე როგორ უნდა შეურიო ცილები?

— ეს ბიუმბა იცის! — ჩაიჩურჩულა მიშომ და ბუჩქებისკენ გახოხდა. მეც მივყევი. ხმაური რომ არ ამეტეხა და გზა რომ არ გამემრუდებინა, იძულებული ვიყავი სულ გადამეთელა მარწყვით მოფარული მიწა. ალაგ-ალაგ, სადაც მოვახერხებდი, პირდაპირ ტუჩებით ვწყვეტდი მარწყვს, მეშინოდა მიშომ არ დამინახოს და საქმისადი გულგრილობა არ დამწამოს-მეთქი, მაგრამ მაინც შემამჩნია, თუმცა ვეღარაფრის თქმა მოახერხა, რადგან პირი მარწყვით ჰქონდა გამოტენილი... ცოტახნის შემდეგ მიშო შეჩერდა და ოდნავ წამოიწია. უეცრად ბულბულის სტვენა შეწყდა.

— ხედავ? — თითი გააპარა მიშომ. — ასკილის ტოტზე ზის, ხედავ?

მე დავინახე პატარა, რუხი ფერის ჩიტი, გულზე ოდნავ ღია ფერის ბუმბული ჰქონდა, კოხტა თავს მოუსვენრად აქნევდა. უეცრად ასკილის ტოტიდან აფრინდა და მიშორებით შქერის ბუჩქზე ჩამოჯდა. უფრო აწრიალდა, თითქოს შეშფოთდაო. ჯერ მწვანე, მოგრძო ფოთლებში დაიმალა, მერე ისევ გამოჩნდა, ახლა სხვა ტოტზე გადაჯდა. ერთ ადგილზე არ ისვენებდა, მაგრამ შქერის ბუჩქსაც არ შორდებოდა.

— ნამდვილად იქა აქვს ბუდე, — თქვა მიშომ და წამოდგა, მაგრამ ბულბული ისევ აფრინდა, ღელეს გადაეკლო და გვიმრაში დაიმალა. დიდხანს არ გამოჩენილა. ბოლოს თავი გამოჰყო ბალახებიდან, წყლის პირას მიირბინა და ისევ გვიმრაში შესრიალდა ფრთების უცნაური ფარფატით.

— ბიჭოს! — წამოიძახა მიშიკომ. — იქნებ გვიმრაში აქვს? ბულბული მიწაზეც იკეთებს ბუდეს.

ჩვენ ღელე გადავტოპეთ. ბულბული აფრინდა და მოშორებით, ხეზე ჩამოჯდა. მიშომ გვიმრისა და ანწლის ღერები აქეთ-იქით გადასწია და ჩაიჩოქა.

— შენც ეძებე, მხოლოდ ფრთხილად, ფეხი არ დააბიჯო, — გასცა ბრძანება.

მაგრამ იქ ბუდის ვერავითარ კვალს ვერ მივაგენით. ბულბული კი ახლა ხეზე იჯდა და ჩვენსკენ იყურებოდა. მიშომ ხის ტოტებს დაუწყო თვალთვალი.

— უნდა ავიდე, — თქვა მან, — ხეზე ექნება ბუდე.

მიშო ისე მსჯელობდა და ისე მოქმედებდა, თითქოს ბულბულს თან დაჰქონდა თავისი ბუდე.

დაღლილი და სულ ფეხებდაკაწრული ჩამოვიდა ხიდან მიშიკო. ვერაფერი იპოვნა, ბულბულმა კი მაღლა, კლდეზე ამოსულ ბუჩქზე გადაინაცვლა.

ასე მთელი დღე ვსდიეთ ბულბულს, მაგრამ ბუდეს ვერსად მივაგენით.

— გაგვიტყუა, კვალი აგვიბნია, — თქვა მიშომ, როდესაც შინისკენ ვბრუნდებოდით, — მაცალოს მაგან, კვერცხებსაც წავართმევ და თვითონაც ცოცხლად დავჭერ.

— ცოცხლად?

— ჰო, ორმო უნდა ამოთხარო, ფსკერზე შუშები მიატკეპნო და ჭია-ღუა ჩაყარო. ბულბული ჩახტება, მაგრამ შუშაზე ფეხს ვეღარ მოიკიდებს და უკან ვეღარ ამოვა, ვერც გაშლილი ფრთებით ამოტეცავ.

— დაგიჭერია ეგრე?

— მე არა, მაგრამ... — ალარ დაამთავრა მიშომ და ცხვირზე თითი ჩამოიკიდა.

4 ივნისი

ბუდე ასკილის ტოტებში აღმოჩნდა, სწორედ იმ ბუჩქზე, სადაც პირველად დავინახეთ ბულბული. საწყალი ჩიტი, მაშინ იქ არ იყო, ახლა კი ეცოდინება თავისი უბედურება. საცოდავი, ალბათ, როგორ კვნესის და ტირის, თუმცა მიშიკო ამბობს, ხელახლა დადებს კვერცხებსო. მატყუებს...

პირველად ვნახე ბულბულის კვერცხები. ძალიან ლამაზია, მომწვანო ფერი აქვს და ყვითელ-ყვითელი წინწკლებითაა დაფარული.

საღამოს მიშიკომ „შპრიცი“ გადმოიტანა თავისი სახლიდან, აი ისეთი, ფატი ბებიას რომ ქაფურის ნემსებს უკეთებდა ექიმი.

— შეინახე, არავინ გინახოს, არც დედაჩემთან დაგცდეს რამე, — გამაფრთხილა მიშომ.

მგონი მივხვდი, თუ როგორ აპირებს იგი ცილების შერევას. ხვალ დილით ბებია კრუხს დასვამს კვერცხებზე.

5 ივნისი

შუადღე იქნებოდა, როცა ღობეს მივადექი და ჩიტივით დავუსტვინე. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ფატი ბებიას უკვე ჩაეძინა და ჩვენს საქმიანობას ხელს არავინ შეუშლიდა. დავინახე, როგორ აფორიაქდა თავისი პალატის წინ მიშიკო, მგონი დაბალი სკამის ფეხს თლიდა წალდით, ყველაფერი მიწაზე დაყარა და სახლის კიბეებზე აირბინა ბულბულის კვერცხების წამოსაღებად.

— იცი, კინაღამ კატამ შემიჭამა, ბეწვზე მივუსწარი, — მითხრა ღობეზე გადმოსვლისას. ორივენი საბძლისკენ გავემართეთ.

— მართლა სძინავს ბებიას? იქნებ მხოლოდ თვალები აქვს მოხუჭული?

— ხვრინავს და... — მხრები ავიჩეჩე მე.

— დედა?

— დედა აბრეშუმის ჩელტის სათხოვნელად წავიდა, ჯერ არ მოვა.

საბძელს მივუახლოვდით. თხილის წნელისაგან დაწნული კარი გამოვაღეთ. მიშიკომ თავი შეჰყო საბძელში.

— ერრრ-უუ! — აიფაფრა კრუხი.

მარწანდელი სიმინდის ქუჩეჩით იყო მოფარული საბძელი. შუაში, ჩაღრმავებულ ადგილზე, კრუხი იჯდა, გაფოფრილ ფრთებქვეშ აქა-იქ მოჩანდა კვერცხები.

— მოვიტანო ნემსი? — ჩავჩურჩულე მიშოს. პასუხის მაგივრად გამოღებულ კარს ჩაეკიდა და ფეხი გადაჰყო საბძელში. კრუხმა წამოიწია და უფრო ხმამაღლა აკრიახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, — მიპასუხა მიშიკომ, — ეს ისეთ ამბავს ატეხავს, რომ ბებიაც არ, ჩვენს საწყალ ბებუასაც გააღვიძებს სამარეში.

— მაშ რა ქნენთ?

— უნდა დავიცადოთ, სანამ კრუხი გარეთ არ გამოვა.

გართულდა ჩვენი საქმე. ახლა ისეთი დრო უნდა შევარჩიოთ, რომ ბებიასაც ჩაეძინოს, დედაც სადმე წავიდეს და კრუხიც მოსცილდეს საბუდარს.

7 ივნისი

დღეს დედა თუთის ფოთლების საკრეფად წავიდა, ბებიასაც ჩაეძინა, კრუხიც გამოვიდა საბძლიდან, მაგრამ... ყველაფერი სხვადასხვა დროს მოხდა. მიშიკომ თქვა, თუ ორ დღეში არ გავაკეთეთ ყველაფერი, კვერცხები გაფუჭდება და ხახამშრალი დავრჩებითო.

8 ივნისი

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ბებია ფატი და დედაჩემი ლამაზად გამოეწყვნენ და გაღმა სოფელში წავიდნენ ვიღაც ავადმყოფი ნათესავის სანახავად.

— დედი, გოგი მარტოა და იმასთან ვითამაშებ, — გასძახა მიშიკომ დეიდა პელაგიას და ბულბულის კვერცხები ლეღვის ფოთოლში გამოახვია. ერთად წავედით ჩვენი საბძლისაკენ.

— აბა, გამოიტანე შპრიცი, სუფთა წყაროს წყალი თუ არის დოქში, ისიც წამოიღე, — უკვე ადარავისი ეშინოდა მიშიკოს და ხმამაღლა ლაპარაკობდა. შპრიცი დამალული მქონდა ოთახის ბუხარში, რომელსაც ზაფხულობით არ ანთებენ.

ასე დოქიან-შპრიციანა საბძელში გადავძვერით. კრუხი ახლა უფრო გაგულისდა, თვალები ისე გადაატრიალა, ისე გადაკარგა, თითქოს საკუთარ გულს ჩახედა და გააფრთხილა, მაგრად იყავიო.

— თუ წყნარად იქნები, ჭკუას იზამ, თორემ ერთს ისეთს აგიქშევ, რომ სულ გადაგავიწყდეს შენი კვერცხები, — გაფრთხილა მიშიკომ კრუხი. კრუხმა კი პასუხად ნისკარტი ჩაჰკრა ხელში, მერე მეორედ, მესამედ...

— ეი, ეი! — დაიყვირა მიშომ, სიმინდის ფუჩეჩი მოიქნია და კრუხს დაარტყა. შეშინებული და განცვიფრებული კრუხი საბძლის სახურავში გაძვრა და ეზოში გადაფრინდა, კრიახობდა და საყვედურს გვითვლიდა თავის ენაზე, ალბათ, ძალიან უკვირდა, რამ გააგიჟა ეს ბიჭები, რატომ ფატი ბებისი არ ეშინიათო. მიშოს დაწყებული საქმე ვეფხიამ დაამთავრა, კრუხს უკან გამოენთო და სულ კაკანად გადააქცია. საბუდარში ოცდახუთი კვერცხი იყო, რამდენჯერმე დათვალა მიშომ. ყველა რიყის ქვებივით გაცხელებულიყო. მიშომ ჯიბეში ჩაიყო ხელი. ვიფიქრე, ბულბულის კვერცხს ამოიღებს-მეთქი, მაგრამ შევცდი.

— ეგ ქათმის კვერცხი რაღად მოგიტანია?

— იცის ბიჭმა! — გაიღიმა მიშომ.

— თუ ბატისაა?

— არა, ქათმისაა... უკვე მესამე დღეა, კვერცხებს აზის კრუხი, შეიძლება გაფუჭებულიც იყოს, ამიტომ ძველი ამოვიღოთ და ეს კვერცხი ჩავუმატოთ, აბა, კიდევ დაითვალე, ხომ ოცდახუთია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ კვერცხებს დავთვლიდი, მიშომ დოქი წამოაქცია, ისე რომ წყალი ჩანდა, მაგრამ არ გადმოღიოდა, შპრიცი შეჰყო და შუშის დგუში მაღლა ასწია, წყალი არ გავიდა ნემსში.

— მავთული იქნება გაყრილი, აბა, ნახე! — ვთქვი მე.

მიშომ ნემსის წვერს დახედა და ნემსიდან გრძელი მავთული გამოაძრო.

— გცოდნია! — ჩაილაპარაკა თავისთვის. შპრიცი სამჯერ გამორეცხა წყლით, მერე ხელში თავისი მოტანილი ქათმის კვერცხი მოიმარჯვა და სწრაფად ჩაჰკრა ნემსი. კვერცხს არაფერი არ დატყობია, მხოლოდ ნემსი ჩაიმალა შიგ.

— ამოსწიე დგუში! — მითხრა მიშომ. ალელვებისაგან სუნთქვა შემეკრა, ხელები ამიკანკალდა.

— ეე, გატეხავ! — გაწყრა მიშო, კვერცხი მე დამაჭერინა და თვითონ ფრთხილად დაიწყო დგუშის ამოწევა, შუშაში ჯერ თეთრი ცილა გამოჩნდა, მერე ყვითელი კვერცხის გული, მერე ორივე ერთმანეთში აირია.

— საკმარისია! — უთხრა მიშომ თავის თავს. შპრიცს ნემსი წააძრო და ცილა გადააქცია. მერე ლეღვის ფოთოლი გახსნა და ბულბულის კვერცხს დასწვდა. მღელვარებისაგან გული ბაგაბუგით მიცემდა, თანდათან თვალები მიშტერდებოდა, ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ ჩვენი მიზანი გამართლდებოდა, მთელი ქვეყანა გაიგებდა ჩვენს სახელს, გაზეთებში გაგვწერდნენ... მერე მოსკოვშიც დაგვიბარებდნენ. ხომ შეიძლება, რომ მართლა ასე მოხდეს? ნეტავ დღისით ჩადის მატარებელი მოსკოვში, თუ ღამით?

— აქ ცოტა სიფრთხილეა საჭირო, — თქვა მიშომ და ბულბულის კვერცხი ორი თითით აიღო. ნემსი ჩაჰკრა და ცილა ამოქაჩა. ასე დაიცარიელა ოთხივე კვერცხი. მერე შპრიცს გახედა, იმდენივეა, რაც ქათმის კვერცხიდან ამოვიღეთო, აღნიშნა კმაყოფილებით, მერე თავის მოტანილ, უკვე ნახევრად ცილაამოცლილ ქათმის კვერცხს დასწვდა და მეორედ ჩაჰკრა ნემსი. ფრთხილად, ნელ-ნელა დაიწვა დგუშს. თანდათან იცლებოდა შუშა და თანდათან გვემატებოდა გაურკვეველი შიში ჩვენი ხელებით შექმნილი სასწაულის მიმართ. განა სასწაული არ არის ქათმისა და ბულბულის კვერცხების ცილა ერთმანეთს შეურიო, არც ერთი კვერცხი არ გატეხო და დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ეს ნამდვილად მოხდა?

— ოპერაცია დამთავრდა, — გაიღიმა მიშიკომ. მე სახეზე დავაცქერდი, სულ გაფითრებულიყო ჩემი დეიდაშვილი, მიწისფერი დასდებოდა ალელვებისაგან. — ქიმიური ფანქარი გექნება სადმე, — მითხრა ხმის თრთოლვით.

— რად გინდა? — ვკითხე, როცა ფანქარი მივუტანე.

— ჩვენი კვერცხი უნდა დავნიშნო, სხვაში არ აგვერიოს, — ფანქრის წვერს ენა აუსვა და კვერცხზე ხალვითი წერტილი დასვა, — აი, ამ კიდეში იქნება, შენც დაიმახსოვრე, — თქვა და კვერცხი საბუდარში ჩადო, — თუმცა, ჩვენი წოწილი ყველაზე გვიან გამოიჩეკება, ისედაც მივხვდებით.

საბძლიდან გადმოვედით, თან წამოვიღეთ საბუდრიდან ამოღებული კვერცხი, ვენახში ჩავიტანეთ და შორს გადავისროლეთ. მიშო ერთბაშად გამოიცვალა, რაღაც მძიმე-მძიმედ დადიოდა, ერთი-ორჯერ „თქვენობითაც“ მომმართა, ვითომ დიდი პატივსაცემი ვინმე ვიყავი, ბოლოს მითხრა:

— წამობრძანდით ჩვენთან, ვისადილოთ! — და გაეღიმა.

მეც ბურანში მგონია თავი, მეჩვენება, რომ დაუჯერებელი, გასაოცარი გმირობა ჩავიდინეთ. ხომ ადვილი შესაძლებელია, რომ გამართლდეს მიშიკოს ეზრი? თუ კი ქათამი და ბატი შეაჯვარეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღამებისას ბებიამ თქვა: ჩემს აქ არყოფნაში ეს კრუხი ვიღაცას შეუშინებია, საბუდარს აღარ ეკარებაო. ტანში დამცეცხლა, ვაი, თუ მიხვდეს ფერს, ანდა კრუხი მართლა აღარ დაუჯდეს კვერცხებს-მეთქი.

მაგრამ ახლახან შევამოწმე — კრუხი საბუდარში ზის.

თვალზე რული არ მეკარება. სულ იმას ეფიქრობ, ვის ემგვანება ჩვენი წიწილა — ქათამს თუ ბულბულს, თუ ორივეს ერთად? ალბათ, მიშიკოსაც არ სძინავს ახლა, წევს ბნელ ოთახში და ნესტოებს იფართოებს, თუმცა ამ უკუნ ღამეში ცხვირთანაც ვერ მიიტან თითს...

9 ივნისი

წუხელ დამესიზმრა — ვითომ შემოდგომა იყო, ვითომ ჩვენი ეზოს ქათმები ხეზე შესხდნენ და ტკბილი გალობა დაიწყეს, მერე ვითომ მაღლა-მაღლა აფრინდნენ და ცხელ ქვეყნებისაკენ გაეშურნენ. მთელი სოფელი გამოფენილიყო ამ უცნაურობის სანახავად. ფატი ბებია კი ლოყებს იკაწრავდა: ჩემს აქ არყოფნაში ვიღაცამ შემოშინა ქათმები, საბუდარს აღარ ეკარებიანო...

14 ივნისი

დღეს პირველად შევიხედე საბძელში, კრუხი გამოსული იყო. ჯერ არავითარი ნიშანი არ ეტყობა გამოჩეკას.

საღამოს ბებიას ვკითხე. მიპასუხა: ახალ მთვარეზე წაწილები ეზოში ირბენენო. როდის იქნება ახალი მთვარე? ეს ვეღარ ვკითხე, მეშინია, ეჭვი არ აიღოს.

22 ივნისი

დღეში ათჯერ მაინც ჩავუვლი და ამოვუვლი საბძელს. ჭუჭრუტანებიდან ვათვალიერებ საბუდარს. არავითარი ნიშანწყალი.

საღამოს ერთად წავედით წყაროზე მე და მიშიკო.

— ნემსით ცილის ამოღება შენ მოიფიქრე? — ვკითხე გზაში.

არაფერი მიპასუხა.

— თუ ეგეც მეწისქვილეს წაუკითხავს გაზეთში?

— ჰო, მეწისქვილეს... მაგრამ ბულბულზე ხომ არაფერი უთქვამს?

წყაროდან რომ ვბრუნდებოდით, მკითხა:

— შენ როგორ ფიქრობ, ვარია გამოიჩეკება თუ ყვინჩილა ჩვენი კვერცხიდან?

— სულ ერთი არ არის? ოღონდ ბულბულს დაემსგავსოს და...

— არა, ყვინჩილა ჯობს... საინტერესოა, რაგორ დაიყივლებს.

26 ივნისი

პირველი წაწილები! სამი ერთად, რა ლამაზები არიან!

მიშიკო თითქმის ჩვენთან გადმოსახლდა, ეზოდან ფეხს არ ვიცვლით.

— ასე არ ჯობს? — გვითხრა ბებიამ, — რომ დატანტალობდით ყოველდღე ტყე-ღრეებში...

27 ივნისი

კიდევ ხუთი წაწილი გამოტეხა კრუხმა. ჩვენი კვერცხი რაღაც უცხოსავით დევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიშიკო, მიშიკო! — ყოველ წუთს უძახის დედამისი. ახლაც ყურში ჩაჰ-
მის მიშიკოს უკმაყოფილო ბურღღუნი.

28 ივნისი

ჩვენი კვერცხი ვეღარ ვიპოვნეთ. ეტყობა, ბებიამ ადგილი შეუცვალა და
საბუდრის შუაში გადადო. ვერც ფანქრის ნიშანით შევამოწმეთ, კრუხის ნის-
კარტს ვერიდებით, უკვე 17 წიწილი ჰყავს. სულ საბძელთან ვტრიალებთ, ბე-
ბიას ეშვისა აღარ გვეშინია, ვითომ წიწილების სილამაზე გვიტაცებს.

დღეს მიშიკო გაგვილახეს. დედამისს შპრიცი დასჭირვებია, მაგრამ დგუში
ვერაფრით ვერ ამოუღია, მგონი გამორეცხვა დაგვავიწყდა და კვერცხის ცილა
მიხმებოდა შუშებს. რა ეშმაკად გინდოდა, რისთვის იხმარეო, მეც მესმოდა
დიდი პელაგიას ყვირილი. მიშოს უთქვამს, ფუტკრები მოვკალი და მუცლიდან
თაფლს ვუღებდი ნემსითო.

29 ივნისი

კიდევ კარგი, მივუსწარით — წიწილები ნაჭუჭებიდან ამომხტარიყვნენ,
მხოლოდ ერთს ამოეყო თავი კვერცხიდან, კრუხიც ეხმარებოდა და ნისკარტით
უმტვრევდა.

— ეს არის! — ჩაიჩურჩულა მიშომ. ერთმანეთს შევხედეთ, მიშომ ტუჩე-
ბის კენტა დაიწყო, მე თავი დავღუნე, თითქოს მე ვიყავი დამნაშავე, რომ ჩვე-
ნი წიწილა ჩვეულებრივი წიწილა იყო. დიდხანს ჩუმად დავყურებდით
საბუდარს.

— იცი რა? — ხმა ამოიღო მიშომ. — მერე გამოაჩნდება ყველაფერი...
ჯერ ადრეა, ოღონდ უნდა დავნიშნოთ...

— როგორ დავნიშნოთ? — ვკითხე მე და გავიფიქრე: „რა ჭკვიანია მი-
შიკო, რა თქმა უნდა, ერთი დღის წიწილი ვერაფრით ვერ დაემსგავსება ბულ-
ბულს, განა თვითონ ბულბულის ბარტყმა იცის ფრენა ან სიმღერა?“

— ხედავ, თავზე შავი წერტილები აქვს.

მართლაც, მეორე წყვილი თვალებივით შავი ხალები ამშვენებდა ჩვენს
წიწილს.

— აი, იმასაც რომ აქვს? — თითი გავიშვირე მე. კრუხი აიფოფრა, ეგონა,
რამეს ვუპირებდი.

— იმ წიწილს სხვანაირი აქვს! — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა მიშომ,
რადგან სტყუოდა.

— იცი რა, მოდი ძაფი შევაბათ!

მიშომ სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა, ისედაც ძაფზე დაკიდებული ღილი
სახელოდან მოიგლიჯა და ძაფი გამოაძრო.

მიუხედავად იმისა, რომ კრუხმა ერთი ამბავი შექმნა, ძაფი მაინც შევაბით
ფეხზე ჩვენს წიწილს — დაე, თვითონაც არ დაავიწყდეს, რომ ბულბულია და
არა ქათამი.

— რა დავარქვათ? — ვკითხე მიშოს.

— რომ არ ვიცით, ვარია იქნება თუ ყვინჩილა?

— ბებოს ვკითხოთ.

— ჯერ არც ბებოს ეცოდინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 ივლისი

ბებია გახარებულია, რადგან ცომს ჩვენ თვითონ ვუზელავთ წიწილებს და ვაუმეცთ. ამ მოვლა-პატრონობაში შეუმჩნევლად ვათვალიერებთ და ხელში ვიყვანთ, ჩვენს წიწილს მგონი უჭერს ძაფი. მიშიკომ თქვა, იზრდება და, ალბათ, ფეხიც გაუმსხვილდაო. ნეტავ, რეზინი შეგვება...

— წია, წია! — წიპწიპებს ნაზად ჩვენი წიწილა და მუსიკასავით ჩაგვესმის ეს ხმა. ხან ვკოცნით, ხან ლოყაზე ავის-ჩამოვისვამთ.

წიწილები უკვე ეზოში დარბიან, ჭია-ღუას ეძებენ, ხან ძროხის ნაკვალევში ჩარჩენილ წყალს მიეხვევიან გარშემო, სვამენ და რიგრიგობით იხედებიან ცისკენ, თითქოს სათამაშო წიწილები იყვნენ.

მგონი, კრუხიც შეგვეჩვია.

8 ივლისი

— წადით, ბავშვებო, გაიარ-გამოიარეთ, ტანი მაინც დაიბანეთ ღელეში, სულ სახლში ჯდომა გამიგონია? — გვითხრა ამ დილით ფატი ბებიამ.

— გეხმარებით, ბებია, წიწილებს ვუყურებთ, ქორმა არ მოიტაცოს.

— მე ვუყურებ, მეტი რაში ვვარგვარ დაჩაჩანაკებული დედაბერი...

— როცა გძინავს? — ვიპოვნე გამოსავალი.

— დედაშენი აქ არ არის?... ჯერ არ მოვსწრებივარ, ბავშვმა ზაფხულში არ ირბინოს და არ ითამაშოს, წადით, გადაყარეთ ამ ეზოდან ფეხები...

— ხომ შეიძლება, მართლა ქორმა მოიტაცოს ჩვენი წიწილა? — ვკითხე მიშოს, როცა მარტო დავრჩით.

— ჰოდა, მე ტყუილი კი არ მითქვამს ფატი ბებიასათვის.

9 ივლისი

შორიდან დავინახეთ, რომ კრუხი რატომღაც კორტნიდა წიწილს. მივირბინეთ, ჩვენი მერცხალა იყო (მიშომ თქვა მერცხალა დავარქვათ, ბებია ვეღარ მიხვდება, ბულბული რომ არისო. მეც დავეთანხმე). მიშომ ხელში აიყვანა და სული შეუბერა, გამოჩნდა ერთ ციცქნა ბარკალზე შემოჭერილი ძაფი.

— მგონი, ძაფს ხსნიდა თავის შვილს — დაეჭვდა მიშო. — მოხსნის და მერე უყარე კაკალი.

— რა ვქნათ? თეთრი ძაფი ხომ არ შევაბათ?

— ვითომ თეთრს ვეღარ დაინახავს კრუხი?

— რა ვიცი, იქნებ ვერ დაინახოს...

— შევაბათ.

შევაბით უფრო თავისუფლად, არ წავუჭირეთ.

ფოსტალიონმა მამას წერილი მოიტანა. თბილისში სიცხეები ყოფილა.

11 ივლისი

მიშიკო ჩემს წიგნებს ათვალიერებდა და შემთხვევით დღიური მოხვედრია ხელში, მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როცა ორი ფურცელი გადაიკითხა.

— ეი, ამხანაგო, სხვისი დღიურის კითხვა არ შეიძლება! — მივვარდი მე და ხელიდან გამოვტაცე. მიშიკომ ამრეზილად ამომხედა:

— ის კი შეიძლება, ყველაფერი რომ შიგ ჩაგწერია? დედაშენმა რომ

ნახოს, ხომ ჩაგვეშალა საქმე! ან ფატი ბებიამ რომ წაიკითხოს, ხომ აღარ შეგვიშვებს მომიშვებს ეზოში, — თქვა მიშომ და გაბუტული წავიდა.

მართლაც რომ ნახონ? ან წერისას თავზე წამომადგეს დედა? ტყუილად არ დამემდურა მიშო, სულ არ მიფიქრია ამის შესახებ. დღიური საღმე უნდა დავმალო ან სულ დავანებო წერას თავი. თბილისში გავიხსენებ და ჩავწერ.

26 ივლისი

ჩვენი მერცხალა ისე გაიზარდა და გალამაზდა, რომ ვეღარ იცნობ. ყველასგან განსხვავდება ფერით, უფრო მუქი და ნაზი ბუმბული აქვს. თავსაც კოხტად ამოძრავებს სიარულისას, სწორედ იმ ბულბულივით, ღელეში რომ დავდევდით. ხშირად საკენკით ვიტყუებთ და ვუსმენთ. ნამდვილად სხვანაირი ხმა აქვს, უფრო მუსიკალური და ტკბილი, მაგრამ ჯერ გამოკვეთილად არ ემჩნევა.

— ბებია, წაწოლებს რომ ვუვლიდით მე და გოგია, ხომ გვერგება თითოთითო ქათამი? — შეაპარა ამ დილით მიშომ.

— გერგებათ, შვილო, ამოირჩიეთ და გყავდეთ.

სიხარულისგან ორივენი გავწითლდით. მეტი რა გვინდა, — მერცხალა ჩვენი იქნება.

29 ივლისი

მერცხალა ყვინჩილა აღმოჩნდა.

2 აგვისტო

ჩვენზე უბედური არავინ გვგონია ქვეყანაზე — „მერცხალამ“ ფეხი მოიტეხა. ფატი ბებია ვეფხიას აბრალებს, ძვალს ღრღნიდა და იმ დროს გაუარა გვერდით ქათამმაო. მიშომ ძაღლი მაგრად მიბეგვა, მაგრამ რაღა დროისაა...

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ფეხზე ძაფს აღარ შევაბამთ. აქამდე კიდევ გვეშინოდა, სხვა ქათმებში არ შეგვეცვალოს-მეთქი.

3 აგვისტო

მე და მიშიკო ბებიას ოთახში ვიჯექით და ლეღვს შევექცეოდით. ბებიას მოვუკრიფეთ. მაგრამ ცოტა შეჭამა, მერე წამოწვა და კედლისკენ გადაბრუნდა, ეტყობა, ძილს აპირებდა. ის იყო უნდა გავსულიყავით, რომ ღიად დარჩენილ კარში მერცხალა გამოჩნდა, ჩვენ გავისუსეთ, რომ არ დაგვეფრთხო. ცოტახანს მერყეობდა მერცხალა, მერე ოთახში შემოაბიჯა, კოჭლობდა საწყალი, ფეხს ძლივს ადგამდა. მაგიდის ქვეშ შეძვრა და კენკვა დაიწყო, მერე თანდათან მოუჩქარა. არ ეგონა ამდენი ჭადის ნაფშხვენი თუ დახვდებოდა... სულმოუთქმელად კენკავდა, ალბათ, ეშინოდა, საცაა დამიჭშეევენ და გარეთ გამაგდებენო. მერე კმაყოფილებისგან აუკკუკდა.

— რა ჩიტივით ჭიკჭიკებს ეგ ქათამი... მოშივდა, ალბათ, და საკენკს გვთხოვს, — მოულოდნელად დაილაპარაკა ბებიამ.

ჩვენ სწრაფად გადავხედეთ ერთმანეთს გაფაორთოებული თვალებით. ჯერ გავწითლდით, მერე გავფითრდით, მიშიკო ერთბაშად მოწყდა და გარეთ გავარდა. მეც მივყევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გოგია, ბიჭო, დედაშენს უთხარი, ქათმებს ნუ მოამშიებ-თქვა, — ბოშაკ-მა კარებში ნახევრად ძილშეწასული ფატი ბებიას ხმა.

მიშიკო მხოლოდ ორღობეში შეჩერდა, ეზოდან გადმოხნეულილი ბროწეულის ტოტებქვეშ, ძლიერ სუნთქავდა აღელვებისა და დაღლილობისაგან.

— გესმის, რა თქვა? გაიგონე, რა თქვა ფატი ბებიამ? ჩიტივით ჭიკჭიკებსო, გესმის? ჩიტივითო, — ჭკუიდან შემცდარს ჰგავდა მიშო, — ჩვენ კი ყური შევაჩვიეთ და ვეღარც ვატყობდით.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიჯექით და ელაპარაკობდით ბედნიერებისა და დიდი სიხარულისგან გაბრუებულები. როგორ არ გვეგრძნო თავი ბედნიერად, როცა სხვამაც შეამჩნია და დაადასტურა ჩვენი მერცხალს უჩვეულო ხმა, მისი ჩიტივით ჭიკჭიკი... ეს იყო ჩვენი გამარჯვება, ჩვენი პირველი ჯილდო. უნდა ვუმადლოდეთ ფატი ბებიას, მართალია, არაფერი იცის, მაგრამ ის რომ არა, მე და მიშო ყურადღებასაც არ მივაქცევდით ჩვენი წიწილის „ჩიტივით ჭიკჭიკს", მაინც რას ნიშნავს მოხუცი ადამიანის გამოცდილება!

როცა ცოტაოდნავ დამშვიდდა, ახალი გეგმები დაიწყო მიშიკომ.

— იცი, კიდევ რა შეიძლება? მტრედის იხვთან შეჯვარება...

— მერე რა გამოვა?

— რა და... მტრედს ხომ წერილებს ატანენ... მიფრინავს, მიფრინავს მტრედი, ძალიან შორს მიფრინავს, მაგრამ შეიძლება დაიღალოს და ზღვაში დაიხრჩოს. თუ იხვთან ერწყება შეჯვარებული, მაშინ ზღვაშიც იცურავებს, დაისვენებს და ისევ გაფრინდება.

მე ძალიან მომეწონა ეს აზრი, მაგრამ უეცრად გავიფიქრე, მტრედი რომ წყალზე დაჯდეს, ხომ დაუსველდება გამოტანებული წერილი-მეთქი...

— თუთიყუში! — ისე ხმამაღლა წამოვიყვირე, რომ მე თვითონ შეკერთი.

— რა თუთიყუში? — წარბები შეიჭმუხნა მიშომ.

— მტრედი, იხვი და თუთიყუში უნდა შეჯვარდეს! — ფეხზე წამოვხტი აღელვებისგან.

—რატომ ვითომ?

— რატომ და, იხვთან შეჯვარებულ მტრედს ზღვაში ცურაობისას წერილი დაუსველდება, მაგრამ თუ ეცოდინება თუთიყუშივით ლაპარაკი, ყველაფერს დაიმახსოვრებს და წერილიც აღარ იქნება საჭირო. — ვთქვი თუ არა ეს, მიშიც წამოხტა და სიხარულისგან ტაში შემოჰკრა.

— მერე თუთიყუში რომ ჩვენ ტყეში არ ცხოვრობს?

— მე მოვახერხებ გაისად, თბილისის ზოოპარკში ვიყიდი კვერცხებს, — ვთქვი და თვალზე ცრემლები მომადგა ბედნიერებისგან.

26 აგვისტო

უკვე რამდენი ხანია, რაც მერცხალა „ყიყლიყოსავით" რაღაცას ყივის, მაგრამ რა შედარებაა, სად ჩვენ ბებერი მამლის ხრინწიანი ყივილი და სად მერცხალას გალობა. ამას სხვებიც ამჩნევენ — ძალიან ცდილობს მამლობას, მაგრამ არაფერი გამოუდისო.

გვიან ღამით მამა ჩამოვიდა თბილისიდან. მიშიკოს ბურთი ჩამოუტანა, მე — ახალი წიგნები. ეჰ, თბილისიდან წამოღებული ერთი ჩემოდანი წიგნები ხელუხლებელი და წაუკითხავი დამრჩა, მაგრამ სეირი ის არის, რომ თბილისისკენ ახლა ერთი ჩემოდანი და ცალკე კიდევ სამი წიგნიც უნდა წავათრიო. თითქოს თავის დროზე რადგან არ წავიკითხე, წიგნებმა ზომაში მოიმატეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 აგვისტო

— რომელი დავკლათ? — მომესმა დილით ლოგინში, მეზობელ ოთახში დედა ეკითხებოდა ბებიას.

— ფეხმოტეხილი რომ არი...

გველნაკბენივით წამოვვარდი და პერანგისამარა შევვარდი ბებიას ოთახში.

— რამ გადაგრია, ბიჭო, რამე ხომ არ მოგეჩვენა?! — შეკრთა დედა.

— დედა, ჩემო დედა... ბები, ფატი ბები... ფეხმოტეხილი ქათამი უნდა დაკლათ?

— რა დაგემართა, ბიჭო?!

— არა, არა, თუ გიყვარვართ არ დაკლათ მერცხალა, ის ხომ...

ბებიამ საბანი გადაიძრო და სწრაფად წამოჯდა ლოგინზე, თან მიყურებდა შეწუხებული სახით, თან ფეხებით ჩუსტებს ეძებდა, იმ წუთში უთუოდ დარწმუნებული იყო, რომ მე ჭკუა შემერყა. დედაჩემი კი მშვიდად შემომცქეროდა:

— მერცხალა ვიღაა, ბიჭო? — მკითხა.

— იმ ქათამს... იმ ფეხმოტეხილს, მერცხალა დავარქვით.

— ის თუ მერცხალია და მე ბულბული ვყოფილვარ, — თავზე მდუღარე გადამასხა დედამ.

— ნუ დაკლავთ, თუ გიყვარვართ, ნუ დაკლავთ... — და ტირილი ამივარდა.

— რა იყო, ბიჭო, რა მოხდა, — დაინტერესდა დედა, ალბათ იგრძნო, რომ ჩემი ასეთი საქციელი რაღაც საიდუმლოებას უკავშირდებოდა. — სახელი რომ დაარქვით, იმიტომ ნუ დავკლავთ?

— არა... — ამოვილუღლუღე და უეცრად გამახსენდა, — ეგ ქათამი ბებიამ მიშიკოს აჩუქა.

— უჰ, შე კაცო, — ძლივს მშვიდად ამოისუნთქა ბებიამ და ისევ წამოწვა, — ერთი საკვდილი გამოვიარე და ეს არის... მიშიკოს რაღა ფეხმოტეხილი მიეცე, სხვა ქათამი არ ურჩევნია?

— მიშიკომ ის ამოირჩია...

ამ დროს მამა შემოვიდა ოთახში.

— რაშია საქმე, სიძისთვის ერთი ქათმის დაკვლა გენანებათ? — გაიღიმა მამამ.

— რა დასანანებელია, მაგრამ ეს ბიჭი ფეხმოტეხილის დაკვლას არ გვანებებს.

— ფეხმოტეხილიც და დანარჩენიც... სუყველა გაწყვიტეთ, ყოველდღე კი არ ჩამოგივა სიძე.

დედა გარეთ გავიდა და მეც გავყევი. ღობეზე მიშიკო გადმოდიოდა, ეტყობა, გუმანით იგრძნო საფრთხე.

— დედა, დედიკო, მე და მიშო დავიჭერთ, რომელსაც გვეტყვი, ოღონდ...

— კარგი, დაიჭირეთ, ჯანდაბას თქვენი თავი...

მიშოს თავიდან ვუამბე ყველაფერი. ფერი წაუვიდა, მერე თვალები გაუტერდა, მერე პირი დააღო რაღაცის სათქმელად.

— მერე?! — კი არ მკითხა, დაიყვირა.

— გადავარჩინე, ვუთხარი, მიშიკომ ის ამოირჩია-მეთქი.

— ახლავე უნდა დავიჭირო.

— რისთვის?

— წავიყვან და ჩემთან დავამწყვდევ, — დაბეჯითებით თქვა მიშომ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოს თვალი მიმოავლო. მერცხალა რაღაცას დაეძებდა ბალახებში. დაფშვნილი სიმინდი გამოვართვით და იქითკენ გავსწეთ. ჯერ შორიდან გადვუყარეთ საკენკი, მაგრამ სხვა ქათმებმა მოირბინეს და სწრაფად აკენკეს. მიშომ გაბრაზებით აუქნია ფეხი, სხვა ქათმები ჩვენ არ გვაინტერესებდა. მივუახლოვდით მერცხალას. დაფნის ბუჩქებში აპირებდა შემალვას, მაგრამ სიმინდის მარცვლების ჩხრიალმა შეაჩერა. მიშომ საკენკი გადაყარა, მერცხალამ კოჭლობით მოირბინა და სიმინდს ძებნა დაუწყო ბალახებში. ახლა უფრო ახლოს დაყარა მიშომ საკენკი, მერცხალაც უფრო მოგვიახლოვდა, მერე ფეხებთან მოიბნია მიშომ სიმინდი... მერცხალა კენკვა-კენკვით წამოჰყვა სიმინდის მარცვლებს, სულ ახლოს მოვიდა... სულ ახლოს და... უეცრად გადაწვა მიშო.

კა-კა-კა-კა-კო-კო-კო-კოო — ეზო გაყრუა საშინლად დამფრთხალმა მერცხალამ, ფრთები დაიქნია, ფრენა-ფრენით გადაევლო დაფნის ბუჩქებს, აკაციის ხემდე ამაღლდა, ალვის ხის წვერს გაუტოლდა, გაფრინდა, შორს გაფრინდა, დაპატარავდა, სულ დაპატარავდა და როცა გაუჩინარდა, ჩვენ მხოლოდ ცაზე გაფანტულ ღრუბლებს ავყურებდით...

მიშოკოს შეეხედე, იჯდა მიწაზე, პირდაღებული, გაშეშებული და მაღლა იცქირებოდა, იქითკენ, საითაც მერცხალა გაფრინდა.

— სად წავიდოდა? — დავარღვიე სიჩუმე.

— მორჩა... გაგვიფრინდა, — თითქოს სიზმარშიაო, ისე თქვა მიშიკომ. — აქამდე ქათამივით ცხოვრობდა, აწი კი ტყეში იცხოვრებს... გათავდა, ხელიდან წაგვივიდა ჩვენი ბულბული.

— ვითომ აღარ დაბრუნდება?

— რაღას დაბრუნდება, ქათამი კი არ არის, — იწყინა მიშომ, — ეჰ, აქამდე უნდა მივმხვდარიყავით, რომ ტყე მოენატრებოდა. ნახე რა სიმაღლეზე აფრინდა?

— ალვის ხეს გაუსწორდა.

— ალვის ხესო? ღრუბლებში დაიკარგა... მალე თბილ ქვეყნებისკენ გაფრინდებიან ბულბულები, ეს სულ არ გამახსენდა.

— ბებიას რა ვუთხრათ?

— უნდა გაუნდოთ ყველაფერი.

— არ დაგვიჯერებს.

— რომ აღარ დაბრუნდება? — ნიშნისმოგებით ამომხედა მიშომ.

მაგრამ მერცხალა დაბრუნდა. მეზობელმა მოიყვანა იღლიაში ამოდებული, ჩვენს ვენახში ვნახე და კოჭლობით ვიცანით.

— რას ნიშნავს, რომ მოშინაურებულია! ვერ ელევა მიჩვეულ ეზოსა და პატრონს, — თქვა მიშიკომ. — მაგრამ სულერთია, როდესმე მაინც გაფრინდება, ბულბულები ვერ იტანენ ზამთრის სიცივეს.

მე დავეთანხმე.

აქ მთავრდებოდა გიორგი ავაზაშვილის დღიური, ქეთევანმა მოპირდაპირე ფურცელზე ფანქრით მინაწერი შენიშნა:

8 სექტემბერი

გადავიკითხე სოფელში დაწერილი ჩემი დღიური და გადავწყვიტე პირდაპირ გადამეთეთრებია ქართული ლიტერატურის საშინაო რვეულში, აი მართლაც „როგორ გავატარე არდადეგები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან მასწავლებელო, პირველი თქვენ ბრძანდებით, ვინც ჩემს დიდ ფიქრებს წაიკითხავს და ვისაც ეს ამბავი გავანდე.

რა ვიცი, იქნებ გვეჩვენებოდა ყველაფერი? იქნებ მეტისმეტი სურვილით მოგვდიოდა, რომ ჩვენი მერცხალა ბულბულად წარმოვიდგინეთ? მაგრამ იქნებ მართლაც ასე იყო; ხომ მართლა ჩიტივით ღრუბლებში აფრინდა მერცხალა, ბებიამაც ხომ მიაქცია ყურადღება მის უჩვეულო ჭიკჭიკს?

„რა ცელქი ყოფილა ეს მიშო, — გაიფიქრა ქეთევანმა, — მაგრამ, ეტყობა, გონებანათელი ბავშვია, გაიზრდება და მართლა სასარგებლო საქმეს გააკეთებს. თუმცა ჯერ რას გაიგებ, ვაჟა შარშანწინ ინჟინრობაზე ოცნებობდა, მერე მეზღვაურების ცხოვრებამ გაიტაცა. წელს კი ამბობს, ჭადრაკის ოსტატი უნდა გამოვიდეო. გაიზრდება და კიდევ შეეცვლება აზრი...“

ქეთევანმა წითელ ფანქარს წვერი წაუთალა და მეოთხე რვეულის კითხვა დაიწყო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი

*
* *

ჩუმი იყო და...
უთქმელი სევდა
კვალდაკვალ სდევდა...
უცბად მობერდა...
სულ ზურგით მახსოვს
კედელთან ახლოს
მდგარი მოლბერტთან.
უხმოდ, მუნჯივით,
ხელში ფუნჯებით —
წერდა და წერდა...
იყო მომთმენი:
სულ ერთი ციდა
მჭადის ნატეხი მიგვაჩნდა დიდად.
არ გაიტეხდა მაინც იტტიბარს;
პარიზმოვლილი
გლეხის ტყაპუჭს აღარ იხდიდა,
და ქალამნებში
შვილებსა გვზრდიდა.
წლები გავიდა.
გავიხსენებ ყრმობას თავიდან:
სუფთა ქართული,
სახატავებში მამა გართული.
აღზრდა — სპარტული...
დრო გავიდა და
ამიერიდან
სწორედ იმ დროის მადლიერი ვარ.

ერთი ფვეთი

მაღლა, მავთულზე ფვეთი ფვიმისა
ვერა, ვერ წყდება;
ზედ შერჩენილი
დიდხანს ჰკიდია;
აქეთ-იქიდან სხვებიც გაჩნდება
და შეუმჩნევლად მისკენ მიდიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუერთდება ერთი მათგანი
იმ უკარება ობოლ მარგალიტს;
შეიზრდებიან — თითქოს ერთი მსხვილი მძივია
და ორივ ერთად
დამძიმებულნი
უმალვე ქვევით ჩამოცვივიან.

უმზეო გალახი

ლოდი გადავგორე, —
ქვეწარმავალს მაგონებს
თეთრ-ყვითელი ბალახი.
შენ არა გაქვს ნანახი?
ქვას ასწევ და ნახავ:
უფერული, უმზეო...
— ვხარობ მიწის გულზეო,
ესეც იტყვის, რაღა!

ღამე ჯავაში

მთვარე სავსეა,
ღამე — უბადლო...
სად არის ძილი,
ძილი რას ჰქვია!
ცას ამაღამდელს
უნდა ვუმადლო, —
ქვეყნის სიმდიდრე
გადმოფრქვია.
გაჩაღებული მთვარით ტატნობი,
ირგვლივ — ნაძვების მწვანე კარავი,
ტუჩების სითბო...
ხუნთქვა ნაცნობი...
ხომ არვინ იყო?
მგონი, არავინ.
ღამის ალერსი
ტყეს რომ ეამა,
ეს — ნიავია ლიახვისპირის;
ნაძვი მოძებნა
გრილმა ნიავმა...
ნამძინარევი
უჩუმრად ტირის.
ვინ თქვას —
მძინარნი ალერსს არ გრძნობენ! —
აბა, ჯავაში უსმინოს ნაძვებს!
ლიახვო, ჩადი, ქალაქს აცნობე, —
ღამეს ამ ცის ქვეშ
რა ფერი აძევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო თევზაძე

ლირიკა

*
* *

მოგიახლოვდე? ვაი თუ ჩაქრეს
ცეცხლი, შენგან რომ გულზე მედება,
ვაი თუ დაწყდეს ჩონგურს სიმები,
ადრე გათავდეს შემოქმედება.

შორს ვიყო? მაშინ როგორ გავუძლო
შენს ნატვრას, ფიქრს და სულის წვალებას?
როგორ გავკაფო პოეზიის გზა,
თუ არ მინათეს შენმა თვალებმა.

მაშ რა ვქნა, მითხარ! მოვკვდე და მაშინ
მღელვარე გულის ცეცხლი ჩაქრება?
მე ხომ სიცოცხლის მომღერალი ვარ
და ჩემთან სიკვდილს რა ესაქმება!

მე ხომ ცხოვრების ღელვას ვესწრაფი,
მსურს გრიგალს გული არ მოვარიდო,
მე ხომ იმიტომ მოვილტვი შენკენ,
რომ სიყვარულის ძალა ვადიდო.

არა! სჯობს ისევ შორი ტრფიალით
შთამაგონებდე ლექსს და სიმღერას, —
ხომ იცი, მთვარე მზეს რომ შორდება
მაშინ ანათებს უფრო ძლიერად!

*
* *

ჯეირანი ხარ, თუ ალვის ხეებს
გაშლილ მინდორზე გააქვს შრიალი?
გნახე, დავკარგე სულის მშვიდობა,
გული გამიხდა ქარიშხლიანი.

გემუდარები ნუ გამიფრთხები,
ნუ გახდი ჩემს გზას ბნელს და ჩრდილიანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ უმშვიდობო სულს შეიყვარებ,
თუ ქარიშხალის არ გეშინია,

მოდი, ამავსე შენი მშვენებით,
ნამდვილ სიცოცხლის ვიგრძნოთ დიდება,
თორემ თავისი დრო აქვს სიყვარულს
და სიჭაბუკე გაგვიფრინდება!..

*
* *

მაგ თვალების ისრით დამჭრი,
წახვალ, გაუჩინარდები...
და ჩემს წუხილს სიოს ენით
ჩურჩულებენ ჩინარები.

ვერც ვერავის ვუმხელ სევდას,
არც არავინ მაიმედებს,
და შენც ერთი ტკბილი სიტყვა
ჩემთვის აღარ გაიმეტე.

ბევრჯერ მინდა ლექსი გითხრა,
მუნჯი ვხდები შენს მახლობლად,
ყველა სიტყვა გულში რჩება
რაც მაქვს შენდა შესამკობლად.

თუმც უტყვია სიყვარული,
ჩუმი, თოვლის ფიფქის მსგავსად,
წამწამების ოდნავ რხევით
რომ გააბამს საუბარსა.

მე შენს თვალებს ბნელში ვუცდი,
სად გაფრინდი თეთრი მტრედი?
მოდი, მთვარედ მომიშუქდი,
ცისკარივით გამითენდი,

თორემ მეტი მოლოდინი,
ეჭვი ძნელად ასატანი,
გულს გადაწვავს და ჩაქრება
სიყვარულის ჩირაღდანი.

*
* *

იმ ღამეს ნამდვილ ანგელოზს ჰგავდი,
მეგონე მართლა წმინდა მარიამ,
შენი თვალების შუქისგან დავდნი,
მას შემდეგ აღარ გამიხარია.

ეს მოჩვენება გადმექცა მწუხრად,
უეცარ ხილვით სულ გავიწირე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემომასიე ფიქრები უხვად,
და მთელი ღამე ვერ დავიძინე.

რა ვქნა, არ მინდა შეგხვდე სრულებით,
უშენობასაც თუმც ვეღარ ვითმენ
და ჩუმად ჩემს თავს ვეჩურჩულები
შენს მშვენებაზე აწყობილ რითმებს.

განთიადს მოჰგავს შენი სიცილი,
რკინაც გალღვება მაგ მწველ თვალებზე,
ან მე არ ვიყო, ან და ისინი,
ან ამნაირად არ მაწვალებდნენ.

მე რომ შემეძლოს ქვათა ღაღადი,
ან გადაქცევა ძეგლთა ხელოსნად,
მარმარილოში გამოგსახავდი,
კაცობრიობას ზედ რომ ელოცა.

ფარვანასავით მუდამ ცეცხლს ვეძებ,
გული უშენოდ მუდამ ღონდება,
იმ ღამის ხილვის წაშლა ვერ შევძელ, —
ნუთუ არასდროს განმეორდება?

*

* *

ისევ იმ ცეცხლით მანთებ ყოველთვის,
რითაც მანთებდი სიჭაბუკეში,
კვლავ ჩემი გული შენკენ მოილტვის,
შენა ხარ ჩემი ლექსის ნუგეში.

სულში მინთიხარ ჩაუქრობ ალად,
მაგრამ შორი-შორს ყოფნა ძნელია:
შენი თვალები ოდნავ შემკრთალან,
ჩემთვის კი მაინც ისევ მწველია.

და იმგვარ სევდას თუ შემომისევ,
სიჭაბუკეში რომ შემაწუხა,
გაივლის დრო და იმღერებ ისევ
ჩემსს ლექსს დაკარგულ ტრფობის პასუხად.
მაგრამ ეს გვიან იქნება მაშინ
და ჩემი გული, ლაღი და წრფელი,
ჩაიძირება ცხოვრების ზღვაში
და მისი პოვნა გახდება ძნელი.

და სანამ დროა გულის დუღილის,
სანამ სიბერე კიდევ შორს არის,
გადმომაშუქე ცისკრის ღიმილი,
კვლავ ამამღერე შენი მგოსანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუშასპე და რიცა...
ლურჯი ავადმყოფა...
მოხვალ? ალბათ არა!

ანა კალანდაძე

*

* *

ანა, შენი ლექსის ნანამ
მე ცათამდი ამიყვანა,
ფრთა შემასხა ქარიშხლისა
და ვერ გიგრძნობს გული განა,
რომ ჩემს სულში შემოიჭერ
ამოუხსნელ გამოცანად?!

გამოგგზავნა ქვეყნად ცამან,
თუ მიწაზე იად მოხველ?
მეპკურები ხან ცის ნამად,
ხან გულს აგზნებ მეამბოხედ.

შენი ფიქრი მკერდით დამაქვს,
ჩამეგუბე გულში სევდად,
სიყვარულზე მეტი რა მაქვს,
შენთვის ძღვნად რომ გამებედა?

ხელთ ავიღებ შენს წიგნს ოდეს,
ვარსკვლავები ახლო ჩანან;
წყარო ხევში უნდა რბოდეს,
სიყვარული — გულთა თანა...
იქ, რიცასთან დამელოდე,
მე უთუოდ მოვალ, ანა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„ჩინური ფინჯანი“

ხახატი ვ. ემალ ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასმათ დავითიშვილი

ჩანაფერი ფანჯარა

ზოგჯერ ღია ფანჯარაში ცხელი ნიავი შემოიბერებოდა ხოლმე და პაპიროსის კვამლის სქელ ფენებს, — ზევით და გარეთ ზანტად რომ მიიწევდნენ, — წეწდა, აფორიაქებდა.

ბიძინა ამჩნევდა: ჩამავალი მზის სხივებზე ბრალდებულის წაბლისფერ თმას ხანდახან ცეცხლისფერი გადაკრავდა ხოლმე.

თმის ფერის ეს მოულოდნელი შეცვლა, დიდი მოცისფრო თვალები, რომლებშიც თავშეკავება და ზრდილობა გამოსჭვივოდა, მისი ასეთი თეთრი, ლამაზად მოყვანილი ქალური ხელები, მარჯვენა ხელის შუა თითზე პლატინის მასიური ბეჭედი ბიძინას ზოგჯერ რაღაც ბუნდოვანს, შორეულსა და მოუსვენარს აგონებდა. მაგრამ ახლა მთელი მისი გონება მხოლოდ ერთ აზრს ემორჩილებოდა: ისე წარემართა დაკითხვა, რომ აეხსნა ეს საოცრად დახლართული, ძნელად გამოსარკვევი დანაშაული.

დიდი ხანია ბიძინას ასეთი რთული საქმე არ შეხვედროდა.

არც ბრალდებულთა დაკითხვამ, არც საბუთების გულმოდგინედ შესწავლამ არაფერი მისცა ხელშესახები.

გაფლანგული იყო ნახევარ მილიონზე მეტი. ბრალი ედებოდა შვიდ კაცს. ამათგან ხუთნი, — მათ შორის ეს ოცდაექვსი წლის ახალგაზრდაც, — საქმეში არსებული საბუთების მიხედვით მართალნი იყვნენ, ხოლო დანარჩენები — დამნაშავენი.

ბიძინას კი სწამდა, გამომძიებლის იმ განსაკუთრებული გუმანით, რომელიც ყოველთვის შველოდა საჭირო გზის შეუცდენლად მიგნებაში, რომ დამნაშავენი ის ხუთნი იყვნენ, მათ შორის ზაურიც.

ბიძინას ბევრის ატანა შეეძლო, თუკი ამას საქმე მოითხოვდა, მაგრამ არასდროს ასეთი მომთმენი ბრალდებული არ შეხვედრია. დაკითხვის დროს ყოველთვის უდარდელად იჯდა სკამზე და სხარტი პასუხებით ცდილობდა დამტკიცებინა, რომ ამ ჭუჭყიან, საეჭვო საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

აი, ახლაც იმდენად გულუბრყვილო სახე ჰქონდა, რომ ბიძინამ ეჭვით გაიფიქრა, ხომ არ შევცდიო.

მაშინვე ეფარმოუდგა თვალწინ.

სწორედ ამ დაკითხვის წინ იყო მასთან ლიდა.

ბიძინას შესვენება ჰქონდა, უგემურად საუზმობდა თანაშემწესთან ერთად, რომელიც ახლა კუთხეში პატარა მაგიდასთან იჯდა და მოთმინებით წერდა დაკითხვის ოქმს. დააკაკუნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძინამ თვითონ გააღო კარი. მის წინ ქალი იდგა. შეიპატიჟა და აჩქარებით
აალაგა საუზმის ნარჩენები.

პატარა, ზაფხულის სიცხით შეხუთულმა ოთახმა კვლავ ოფიციალური იერი
მიიღო.

ქალმა აუღელვებლად უამბო სათქმელი.

ეს ისტორია არაფრით არ იყო ახალი. ამის მსგავსი ხომ ბიძინას ხშირად
მოუსმენია.

...ლიდას ზაური, სწორედ ეს ბრალდებული ზაურ მაისურაძე უყვარდა.
ამ ორიოდე წლის წინ დაახლოვდნენ. მაშინ, როგორც ახლა, ლიდა წუნდებლად
მუშაობდა და ზაური მისი უშუალო უფროსი იყო.

თითქმის ერთი წელი იყო ლიდა ბედნიერი, მერე კი დასცილდნენ.

ოჯახის შექმნაში ლიდას ძალადობა არ სწამდა. მისი აზრით, საჭირო იყო
პატივისცემა და სიყვარული. ყველაფერი ეს კი გაჭქრა და ისიც იტანდა მარ-
ტოობას.

რამდენიმე თვის წინათ რაღაც საქმეზე მოუხდა შესვლა ზაურთან. სწო-
რედ ამ დროს ზაური საამქროში გაიძახეს და ლიდა კაბინეტში დაელოდა.

იატაკზე ქაღალდი შენიშნა. აიღო და მაგიდაზე დასდო.

ანაზღად თვალი მოჰკრა ბოლო სიტყვებს: „შენი ნინა“.

ეს რა ამბავია? დეპეშას თვალი გადავლო, მოსკოვიდან იყო. აღელვებულ-
მა ძლივს მოახერხა წაკითხვა. „ჩამოვალ თხუთმეტ დღეში მელოდე შენი ნინა“.

საქმე დაავიწყდა, ცრემლმორეულმა დასტოვა ოთახი. ხელში ის დეპეშა
ეჭირა და უნებლიედ ჰმუჭნიდა. აი თურმე რა ყოფილა...

მეორე დღეს გაიგო, ზაური ავად გახდა და არ მოვიო. მაგრამ იმავე დღეს
ამხანაგმა უამბო, ძმას ვაცილებდი, ზაური ენახე აეროდრომზე და, წარმოიდ-
გინე, თვალი ამარიდაო...

ლიდამ ხმის კანკალით დაამთავრა მოყოლა და ბიძინას დეპეშა გაუწოდა.
შემდეგ დაუმატა: სწორედ იმ ხანად დირექტორიც მოსკოვში იყო და იმ თხუთ-
მეტი ათასი მანეთის არასწორად გაფორმება, საიდანაც საქმე დაიწყო, და ზაუ-
რის გამგზავრება ერთმანეთს ემთხვეოდა.

ბიძინამ ლიდას რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვა მისცა, მადლობა გადაუ-
ხადა და კარებამდე მიაცილა.

ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, როგორ და რაში გამოეყენებინა ამ ქალის ნაამ-
ბობი, რომ სწორედ ამ დროს დასაკითხად გამოძახებული ზაურ მაისურაძეც
მოვიდა.

ზოგჯერ, დაკითხვის დროს, ბიძინას თვალწინ ლიდას აცრემლებული სახე
წარმოუდგებოდა ხოლმე.

ზაურის შვილის დედა, მიტოვებული, მარტოხელა.

რამ მოიყვანა გამომძიებელთან?

ეშვიანობამ?

მოვალეობის შეგნებამ?

იქნებ შურისძიებამ?

ბიძინა გუმანით გრძნობდა, რომ დეპეშა ქალისაგან არ იყო, ისიც გაიფიქ-
რა, ზაური ქალის გულისთვის მოსკოვში არ წავიდოდაო.

თხუთმეტი დღე, თხუთმეტი ათასი მანეთი — ვითომც შემთხვევითია?

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერჯერობით მხოლოდ ეშვი იყო და ამიტომ ბი-
ძინა თავს იკავებდა უდროო შეკითხვისგან. ცთუნება კი ძალზე დიდი იყო.
ბოლოს და ბოლოს არც შეკითხვით წასდებოდა საქმე. ხომ არ შეეკითხოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზერა თანაშემწეზე გადაიტანა და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ თვითონაც, თანაშემწეც და ბრალდებულიც ძალზე დაღლილიყვნენ.

— იმედია, შემდეგი შეხვედრა უფრო ნაყოფიერი იქნება. — ღიმილით თქვა ბიძინამ და წამოდგა.

— იმედია, ჩვენი შეხვედრა ამ შენობაში უკანასკნელი იქნება. სხვაგან, პირიქით, მოხარული ვიქნები. — ბიძინას მიბაძვით, ღიმილითვე შეეხმიანა ბრალდებული.

ბიძინა მოუბრუნდა.

— ალბათ, მოსკოვშიც გყავთ მეგობრები, არა?

— ესეც საქმეს ეხება? — გაეპასუხა ზაური.

— არა, რასაკვირველია, არა. ისე, სხვათა შორის შეგეკითხეთ. — მერე ყოყმანით დაუმატა, — მოსკოვში ვინმე ნინას ხომ არ იცნობთ? — და დაკვირვებით შეხედა.

მაინც წასცდა, ვერ გაუმკლავდა ცთუნებას.

ამ თითქოსდა შემთხვევითმა შეკითხვამ ბრალდებული ოდნავ შეაკრთო. ბიძინამ კი გულგრილად განაგრძო:

— თუმც, თქვენისთანა ჭაბუკს, ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, მათ შორის, ცხადია, ნინაც...

ბიძინამ კვლავ დაკვირვებით შეხედა.

არა, არ მოტყუვდა:

ზაურის დიდ, მოციისფრო თვალებში შიშმა გაიელვა და უცებ გაჰქრა.

ესეც საკმარისი იყო ბიძინასთვის. მიხვდა, რომ რაღაცას მიაგნო.

ზაური ხელის მოსაწერად დაიხარა. როცა ბიძინამ მის მოვლილ, თეთრ ხელებს შეავლო თვალი, შეამჩნია, პლატინის ლამაზი ბეჭედი ოდნავ თრთოდა.

ბრალდებული თავაზიანი ღიმილით გამოეშვიდობა და გავიდა.

თანაშემწემ წყნარად თქვა:

— გგონიათ, რომ ეგ მთავარია?

ბიძინამ დაღლილი მზერა საფერფლეს მოაშორა და უხმოდ დაუქნია თავი. რატომღაც გაიღიმა. მის ულამაზო, მაგრამ მიმზიდველ სახეს ბავშვური გულუბრყვილობის იერი მიეცა.

— დავამთავროთ, დღეს საკმარისია. წამოდი, ერთად ვისადილოთ. ამჯერად მე გპატიჟობ. — შესთავაზა.

— არა, გმადლობთ, კოჯორში ავალ, ცოლ-შვილთან... ხვალ ხომ კვირაა. იქნებ მეწვიოთ?

— არა, გმადლობთ... ისევ მარტოხელა გავტეხ პურს...

იყო ივლისის ცხელი, შეხუთული საღამო.

ბინდი ნელა, შეუმჩნევლად ეშვებოდა.

ჯერ თბილისის დარაჯებად აღმართული მთები ჩამუქდნენ ფერმკრთალი ცის ფონზე. მერე ნათურები აინთო.

რუსთაველის გამზირისკენ დაეშვა.

მიდიოდა ნელა, დაღლილი, მოთენთილი და ფიქრობდა — პირდაპირ სასტუმროს ნომერში მოეთხოვა ვახშმად გადაქცეული სადილი თუ რესტორანში ჩასულიყო. პირველი ამჯობინა.

გზაში ისევ ბრალდებულზე ფიქრობდა.

საინტერესოა, როგორი მშობლები ჰყავს?

ჩაბნელებულ ნომერში რომ შევიდა, ფანჯრის მუქი ფარდები გასწია და ელნათურების შუქში ჩაფლულ თბილისს გადახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცდაათი წელია, რაც თბილისი მიატოვა.

ოცდაათი... სამი ათეული წელი...

მიყუჩდა, დაჩლუნგდა ძველი სიყვარულისაგან შემორჩენილი წამება.

იქ, მოსკოვში, ცოლ-შვილი ელოდა, წყნარი, გულისხმიერი მეუღლე და ათი წლის დათო — მისი სიყვარული და სიამაყე.

ამ წამში საოცრად მოენატრა შინაური სითბო, ის ზრუნვა და ალერსი, რაც მას მუდამ ხვდებოდა ოჯახში. შეიძლება ამ სურვილს მყუდროებას მოკლებული სასტუმროს ნომერი იწვევდა.

შუქი აანთო, საწერ მაგიდას მიუახლოვდა, — წერილი უნდა მიეწერა.

დააკაკუნეს.

მორიგე შემოვიდა. წერილი გადასცა. ვისგან არის? ფრთხილად გახსნა.

„ჩემო ბიძინა!

ალბათ, აღარც გახსოვს, რომ ამ ქვეყნად შეიძლება კიდევ ვარსებობდე. თუმც, რა გაგემტყუნება.

მოხარული ვიქნები ჩემი ოჯახით, თუ პატივს დამდებ, ჩვენს ძველ მეგობრობას გაიხსენებ და ხვალ მთელი დღე ჩემი ტყვე იქნები. წარმოგიდგენია, რამდენი გვაქვს სალაპარაკო!

პატივისცემით, დალი.

უწინდებურად ზუსტად ცხრაზე ვდგები. ათის თხუთმეტი წუთიდან ღამის თორმეტამდე გელი“.

დალი?

დალი...

ბიძინამ ცივი ოფლი მოიწმინდა და აკანკალებული თითებით პაპიროსს ძლივს მოუკიდა.

არა, თურმე თავს იტყუებდა. არც მიყუჩებული და არც გამქრალა პირველი სიყვარული, „ბული რომ გადაუხსნა შავად.

მაშ დალი აქ არის, აქ, სადღაც ახლოს და მოუთმენლად ელის მასთან, ბიძინასთან შეხვედრას!

მოუთმენლად ელის ბიძინასთან შეხვედრას!

ამის გაფიქრება გაურკვეველ შიშსაც იწვევდა და სიხარულსაც.

სიმართლე რომ ითქვას, მაშინაც, გზაში, თბილისისაკენ რომ მოემგზავრებოდა, და იმ რამდენიმე დღის განმავლობაშიც, რაც აქ არის, მაცთურად სდევდა დალის ლანდი.

მაშ, თურმე ბიძინა მხოლოდ თავს იტყუებდა, დალი ნამდვილად დავივიწყე და სულაც აღარ მინდა მისი ნახვაო.

მაგრამ რა ძალამ უნდა დაავიწყოს ადამიანს პირველი სიყვარული!

მაინც როგორ უყვარდათ ერთმანეთი!

ერთმანეთი?

თუ ბიძინას ეჩვენებოდა?

იქნებ მხოლოდ მას უყვარდა და დალის მხრივ მხოლოდ თავშექცევა იყო?

არა, დალის რომ უყვარდა, ამაში ღრმად იყო დარწმუნებული და გრძნობდა კიდეც. თუმც იმასაც იყო მიმხვდარი, რომ ქალიშვილს ბიძინას გაურკვეველი მომავალი აშინებდა (მაშინ ბიძინა იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო).

... ოჰ, როგორ აწამებდა.

რომ ეტყოდა მოვალო, ეს იმას ნიშნავდა, რომ არ მოვიდოდა დათქმულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსა და ადგილს, ბიძინა კი მაინც ელოდა შეყვარებულის ჯიუტი იმედგაცარიელოდა და, მწარე ფიქრებში გართული, ებრძოდა დროსა და ეშვს. როდესაც იმედდაკარგული ბიძინა შინ დაბრუნდებოდა, ცოტა ხნის შემდეგ დალი თითონ მიაკითხავდა ხოლმე მის ღარიბულ, სტუდენტურ ოთახს და ისინი თავბრუდამხვევ ალერსში ივიწყებდნენ ყველაფერს.

ყველაფერს აპატიებდა, რაც უნდოდა ის გაეკეთებინა, ოღონდ მის მახლობლად ყოფილიყო.

ჰო, ყველაფერს აპატიებდა, მაგრამ...

მაგრამ შეუმჩნეველად გათენდა მათი განშორების დღეც...

... წინა ღამეს დალიმ მასთან გაათენა, ყველაფერი დაივიწყა და მორჩილად მინებდა ვაჟის სურვილს. წასვლის წინაც კი ეფიცებოდა სიყვარულს, უკოცნიდა ტუჩებს, თვალებს და ტიროდა, ტიროდა. სულს მოითქვამდა და ისევ სიყვარულს ეფიცებოდა.

და უცებ... რაღაც ათიოდე დღის შემდეგ დალი გათხოვდა იმ ადამიანზე, რომელსაც შვილად თუ ეკუთვნოდა, მაგრამ სამაგიეროდ უზრუნველ ცხოვრებას შეუქმნიდა.

დალის გათხოვების შემდეგ ბიძინა წავიდა, გასცილდა თბილისს. მხოლოდ ასეთ სიმორეს თუ შეეძლო მიეყუჩებინა მისი გულისტკივილი.

დრომ თითქოს განკურნა იგი.

თუმცა არა, სულ არ განუკურნავს. აი, ჩამოვიდა და კვლავ განახლდა, კვლავ იფეთქა ჩაფერფლილმა გრძნობამ...

ახლა როგორ მოიქცეს?

წავიდეს თუ არ წავიდეს?

რა მიზანი აქვს წასვლას?

საჭიროა თუ არა შეხვედრა?

მაგრამ უცებ ყველა ეს ეშვი უკვალოდ გაჰქრა, როცა წარმოიდგინა დალის კიკლუცი, თან ეშმაკობით სავსე გამოხედვა.

გაახსენდა, რომ დალის თითოეული ნაბიჯი ყოველთვის გაანგარიშებული იყო. ნუთუ ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, რაიმე მიზანი ჰქონდა მის ალერსშეპარულ წერილს? ნუთუ ახლაც არ არის გულწრფელი?

მაშინ, იმ საბედისწერო ღამეს, მასთან რომ დარჩა, იმ ღამეს კი იყო გულწრფელი?

უყვარდა და იმიტომ დარჩა, თუ ესეც მორიგი თაშექცევა იყო?

არა, ბიძინას ახლაც სჯეროდა, რომ დალის უყვარდა, ამაში მაინც არა სცდებოდა. მისი საქციელი კი იმით აიხსნებოდა, რომ სურდა მოვალეობითი ქორწინების წინ ნამდვილ სიყვარულს ზიარებოდა.

...მთელ ღამეს დალის ხედავდა სიზმარში. წარსული ცოცხლდებოდა.

დილით საშინელი თავისტკივილი აჰყვა. გადაწყვიტა, რომ არ წავიდოდა.

არა, არც ისე ადვილია ცეცხლთან თამაში.

ცივი აბაზანის მიღების შემდეგ თავისტკივილი დაუცხრა.

ჩემოდნიდან წიგნი ამოიღო და უგულოდ გადაფურცლა.

სიტყვებს კითხულობდა და აზრი არ ესმოდა. ზოგი ადგილი რამდენჯერმე წაიკითხა. ეს რა ღმერთი უწყრება. საათის რეკვის ხმამ გამოაფხიზლა — ათი შესრულებულიყო.

სასწრაფოდ წამოხტა, ტაქსი გამოაძახებინა და ჩაცმას შეუდგა.

აბა, რა გაძლებინებს მთელ დღეს ამ გაურკვეველ ლოდინში...

... ოციოდე წუთის შემდეგ პატარა, ლამაზი შენობის წინ იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიშკართან ღილი მოძებნა და ათრთოლებული თითი დააჭირა. გულსცემ-მის დასაოკებლად გაიარ-გამოიარა კიდეც და მანქანას, რომელმაც შემოტრიალებისას ცისფერი კვამლი დატოვა, ნაღვლიანი მზერა გააყოლა.

ჭიშკარი გაიღო. მის წინ ვიღაც სანდომიანი სახის თეთრწინსაფრიანი ქალიშვილი იდგა. მან ღიმილით შეიპატიჟა:

— მობრძანდით! დალი დიდი ხანია გელით!

ბიძინამ ნებისყოფა მოიკრიფა და არც თუ ისე მტკიცე ნაბიჯით გაჰყვა. გულში უეცარმა აზრმა გაუელვა — ხომ არ სჯობს, უკან დაბრუნდე, ვიდრე გვიან არ არისო. მაგრამ გვიანღა იყო ორპოფობაც, ლოდინის უსიამოვნო გრძნობაც და შიშიც: ფართო აივნიდან ცქრიალით, ახალგაზრდა ვოგონასავით ჩამორბოდა დალი.

ისევ ის დიდი მოცისფრო თვალები, რომლებიც ახლა სიხარულს აფრქვევდნენ (გულწრფელს? — გაკვრა ეჭქმა); ისეთივე მოქნილი და მოხდენილი, როგორიც უწინ, დიდიხნის წინათ.

დალი ძს წინ ღიმილით შეჩერდა და ხელები, ოდნავ დასრულებული, ლამაზად მოყვანილი თეთრი ხელები გაუწოდა.

— მობრძანდი. როგორ გამახარე, რომ მოხვედი. — ჩუმი, მღელვარე ხმით წამოძახა და სახლში შეუძღვა. მერე ყელის კოხტა შემოტრიალებით შეხედა და კვლავ ღიმილით უთხრა: — რატომ არაფერს იტყვი, გახსოვს, როგორი ენამჭევრი იყავი. მაინტერესებს, შეგეცვალა თუ არა ხმა!

ბიძინამ რაღაც წაიბურტყუნა საპასუხოდ და, დაბნეული, ნელა მიჰყვა. დალი მეორე ოთახში შეჩერდა და მრგვალ მაგიდასთან სკამი დაუდგა.

— ცოტა ხანს დაბრძანდი, კაბას გადავიცვამ. ისე ხომ არ ვიჯდები. — თან საშინაო კაბაზე დაიხედა და კვლავ უმიზეზოდ გაეცინა, ბროლის კბილები აეელვარა და მის პასუხს არ დალოდებია, კარებს უკან მიიმალა.

ბიძინამ ოთახს მოავლო თვალი. ოთახს, ისევე როგორც ყველაფერს, რაც დალისთან იყო დაკავშირებული, მისი ნატიფი გემოვნების კვალი ანჩნდა: ლამაზი ხალები, დამალი თურქული ტახტი, კოხტა მაგიდა, კუთხეში საკონცერტო როიალი. იცნო — ეს როიალი ხომ უწინ დალის სასტუმრო ოთახში იდგა. როიალის თავზე, ისევე როგორც მაშინ, ობლად იდგა ყვავილების ლარნაკი, ლარნაკში ჩაწყობილი წითელი ვარდები დამათრობელ სურნელებას აფრქვევდნენ. რაზეც კი ჩერდებოდა ბიძინას მზერა, — ამ ობლად მდგარ ლარნაკზე თუ კედელზე ჩამოკიდებულ სურათებზე, თურქულ ტახტსა თუ ვენურ სავარძლებზე, — ყველაფერი თვალს ასევნებდა და მთელ მის არსებასაც მყუდროებით ესალტნებოდა.

მღელვარება ოდნავ დაუცხრა.

შემოვიდა დალი.

გრძელი საშინაო ხალთის მაგივრად, რომელიც მას უფრო ამაღლებდა, თეთრი კაბა ჩაეცვა, ცოტა სრულს აჩენდა, სამაგიეროდ, მშვენივრად ჰქონდა გაწყობილი, მოხერხებულიც იყო და ფერიც უხდებოდა. გაახსენდა: დალის განსაკუთრებით უყვარდა თეთრი ფერი.

დალიმ როიალთან მდგარი მრგვალი უზურგო სკამი მიიწია და ბიძინას მახლობლად დაჯდა, მაგრამ იმავე წამს წამოხტა. ეტყობოდა ღელავდა.

— იცი, ბიძო, წამოდი, ბაღში ჩავიდეთ, თორემ აქ სული მეხუთება. — უმიზეზოდ გაიცინა, უკვე ნერვიულად, ხელი მოჰკიდა და აივანზე გიიყვანა.

ამ შემოკლებულმა სალერსო სახელმა ბიძინას ბევრი რამ გაახსენა, თავბრუ დაახვია. მორჩილად მისდევდა. დალის მშვენიერი ტანის ჰარმონიული რხევა მის მოყუჩებულ გრძნობებს ცეცხლს უკიდებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როცა მისი დაჟინებული თხოვნის შემდეგ ჰამაკში მოხერხებულად მოეწყო და თავის ფეხებთან ჩამომჯდარს დაკვირვებით შეხედა, გული დაწყდა.

არა, ეს წედან, უეცარი შეხვედრის დროს მოეჩვენა, რომ დალი უწინდელივით მომხიბლავი, უცვლელი იყო.

გავლილ წლებს მის ლამაზ სახეზე წვრილი, ოდნავ შესამჩნევი ნაოჭების თხელი ქსელი დაეტოვებინა. თმების ცეცხლიც ოდნავ მინელებულიყო. დროს ხომ არ ჩაეფერფლა და ნაცარი ხომ არ მიეყარა ალის გასანელებლად? თვალებშიც აღარ ჩანდა ის მწველი ნაპერწკლები, რომელთა დაკვესებაც საკმაო იყო, რომ ბიძინა თავდავწყვებამდე მისულიყო. ღიმილიც ისეთი მომჯადოებელი აღარ იყო, როგორც უწინ. მართალია, ბაგეთა მარჯანი კვლავ ლამაზ ჩარჩოდ მოხვეოდა თლილ კბილებს, მაგრამ მათზე ბიძინას ცოცნა აღარ იგრძნობოდა და თითქოს სწორედ ამიტომ დაკარგოდათ ძალა. მის წინ ხაწუსეული ქალი იჯდა, რომლისთვისაც დროს თავისი კვალი დაეჩნია.

შეიძლება დალიც ზუსტად ამასვე ფიქრობდა ბიძინაზე. არა, ბიძინას ვერ წარმოედგინა, რომ თვითონაც ამგვარად შეიცვალა, არ ფიქრობდა, რომ დალის წინ ახლა ჭაბუკური ცეცხლით აღგზნებული ბიძინა კი არ იჯდა, არამედ წლების განმავლობაში დაძაბული მუშაობით გადაღლილი, გამხდარი ორმოცდათორმეტი წლის მამაკაცი, თვალის ძირი რომ მუქი ზოლით ჩაშავებოდა.

საუბარი ვერასგზით ვერ აეწყო. შეიძლება ამას ბიძინას დაჟინებული, შემსწავლელი მზერა უშლიდა ხელს. ამ მზერის იქით წარსულის სურათები სცვლიდნენ ერთმანეთს.

რა დრო იყო!

რა ძალა ჰქონდა ამ, მის მახლობლად ჩამომჯდარ, თეთრ კაბაში გამოწყობილ ქალს!

ახლა?

ბიძინა მოუთმენლად შეიშმუშნა.

ნუთუ გაჰქრა ყველაფერი?

შორიდან ოდნავ გასაგონად მოესმა დალის ხმა:

— რატომ მიცქერი ეგრე დაჟინებით?

— რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, — ღიმილით უპასუხა ბიძინამ. ღიმილმა მის ულამაზო სახეს ბავშვური იერი მისცა. ამ ნაცნობმა გულუბრყვილო იერმა დალის თვითდაჯერება და რწმენა დაუბრუნდა, რასაც ბიძინას დაჟინებული მზერა და უცხო, გამხდარი სახე აფრთხობდა.

— გამოვიცვალე, არა?

ბიძინამ შეამჩნია, რომ ამ თითქოსდა უმნიშვნელო, უბრალო შეკითხვის პასუხს დალი დაძაბული ელოდა.

— არა, სრულებითაც არა. — მან კვლავ გაიღიმა. დაე, დამშვიდდეს. რატომ უნდა ატკინოს სიმართლით გული.

წარსული გაიხსენეს. ეს მათ აღიზიანებდა და აზიდავდა კიდეც.

— დედა ამ ათი წლის წინ გარდამეცვალა, მამა კი უფრო ადრე, — გულწრფელი ნაღველით თქვა დალიმ.

ბიძინამ მზრები აიჩეჩა. ზრდილობის გულისთვისაც კი ვერ მოახერხა ამ შემთხვევისთვის საჭირო სიტყვების მოძებნა. ახლა, როცა დალის მშობლები აღარ იყვნენ, მათ მიმართ მტრობას აღარ ვრძნობდა: გარდაცვლილებს მიეტევებათ ამქვეყნიური ცოდვები. თუმცა ბიძინას მშვენივრად ახსოვდა, რომ მის უბედურებაში დალის მშობლები მთავარ როლს ასრულებდნენ.

მერე დაიწყო გაუთავებელი „გახსოვს?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ამ სიტყვას უფრო ხშირად დალი იმეორებდა, ბიძინას ეჭვმეტად ეშინოდა ელვა, ხომ არ ცდილობს თავისი ძალაუფლების აღდგენასო. ეს აბეზარი ფიქრი, დალის ყოველი სიტყვისა და გამოხედვის დროს რომ ებადებოდა, უმალვე ჩამოიცილა. იფიქრებდა თუ არა ასე წინათ, მაშინ როცა... ეჰ, რა თქმა უნდა, არა, მისი ოდნავი გაღიმებისთვის ხომ თავსაც არ დაიშურებდა!

ახლა? ახლა კი ცდილობს, შეიტყოს რა იმალება მის სიტყვებსა და გამოხედვაში. ასაკის ბრალი თუა ეს უნდობლობა?

— იცი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს არაფერი ჩვენს შორის არ შეცვლილა და ისევე ახლობლები ვართ, როგორც უწინ. — ჩვეული სიკეკლუცით უთხრა დალიმ. მაგრამ მის მიბნედილ გამოხედვას ხანშესული ქალის მოღლილი იერი გამოჰყვა.

ბიძინასათვის ძნელი იყო თვალი მოეცილებინა კეკლუცი ღიმილის დროს ვერაგულად დანაოჭებული თვალის უპეებისათვის.

— სამწუხაროდ, სცდები. — თვითონაც ღიმილით უპასუხა. ბიძინასთვის, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო დაენახა, რომ გაღიმებისას მისი თვალების გასწვრივაც ღრმა ხაზები გადაიჭიმა.

— თვალყურს გადევნებდი, ყოველთვის ვიცოდი, რამდენი საფეხურით აიწევ სამსახურის კიბეებზე.

— მართლა? — ბიძინა საოცრად ასიამოვნა მისმა სიტყვებმა.

— საინტერესო და ძალიან კარგი ბიოგრაფია გაქვს. შენი ხნოვანებისათვის შესაშური აღგილი გიკავია. — გულწრფელად თქვა დალიმ.

ბიძინა ამაოდ ეძებდა მის სმაში დამალულ სინანულს, შენიღბულს მაინც, აშკარას თუ არა.

სწორედ ამ დროს გამოიარა მაღალმა სიმპათიურმა მოხუცმა.

— ბიძო, მგონი იცნობ. ჩემი მეუღლეა.

ცივად დაუკრა თავი. ამ მოხუცმა, რომელიც სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული, ოდესღაც მისი ბედნიერება დაანგრია.

„მისი მეუღლე“ („კარგად შენახული“ — როგორც თავისთვის გაიფიქრა ბიძინამ) ხუთ წუთსაც არ მჯდარა. მოწიწებით, რომელშიც ბიძინას სიყვარულის მოპაექრე გრძნობა ახლაც კი გამოსჭვიოდა, დალის ხელზე აკოცა, ბოდიში მოიხადა — სამე მაქვსო, შეიძლება სადილისათვის ვერ მოვასწრო ამოსვლაო და ღირსებითა და სიამაყით სავსე ნაბიჯით მიატოვა ორივენი.

ერთხანს დუმილი სუფევდა.

ისმოდა, როგორ თავგადაკლული ხმიანობდნენ სადღაც მიმალული ჭრიჭინები. ზოგჯერ ალმურმოდებული მდამოს სასიამოვნო ნიავი მიეალერსებდა ხოლმე. აქ, ხეებისა და ვაზების გაუვალ ხეივანში, გრილოდა.

მერე ისევ დალიმ დაიწყო. მის ხმაში ახლა ოდნავი სინანული იგრძნობოდა და ახალგაზრდობის უგუნურ წლებზე რაღაც თქვა გაცვეთილი, უმნიშვნელო. მაგრამ მოხუცის ნახვამ თუ გამოიწვია — მისი თვითეული სიტყვა მხოლოდ აღიზიანებდა ბიძინას.

გაჰქრა ოცნება, რომ შეიძლებოდა ძველი გრძნობის აღდგენა, როცა დალის უბრალო სურვილიც კი მისთვის კანონი გახდებოდა.

შუადღისას დალიმ ყავაზე მიიპატიჟა.

იმ კოხტა გოგონამ, ჭიშკარი რომ გაუღო, ბაღში პატარა მაგიდა ჩამოიტანა. ძვირფასი სუფრა გადაიფარა. ჭურჭელი დაწყო და ყავის დასხმა დიასახლისს მიანდო.

დალის თეთრი, ლამაზად მოყვანილი ხელების დანახვისას, ასე მოხერხებით

და სწრაფად რომ ელავდნენ სუფრაზე, ბიძინას დარდი შემოაწვა გულზე. — ეს ბიჭი ოჯახის დასახლისი, ახლა კი"...

„ხომ შეიძლებოდა, ჩემი მეუღლე ყოფილიყო, ჩემი შვილების დედა, ჩემი ოჯახის დასახლისი, ახლა კი"...

დალი თითქოს მიუხვიდა ფიქრებს, ნაზად უთხრა:

— ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ადამიანი ნებით თუ უნებლიეთ თავისივე ბედნიერების მკლელია. — ამ ეულგარულმა, არაფრის თუ ბევრის მთქმელმა სიტყვებმა ბიძინა გააბრაზა. ძლივს შეიკავა თავი.

„შეიძლება მის ხელში უბედური ვყოფილიყავი", — სცადა დაემშვიდებინა თავი. როგორც კი გაბრაზება დაუცხრა, ნაღვლით გაიფიქრა, რომ ყველაფერს აიტანდა, ოღონდ იგი გვერდით ჰყოლოდა. გრძნობდა, როგორ უბრუნდებოდა დალის მომხიბვლელი ძალა. ეს გრძნობა მაგარი და თან ტკბილი სასმელით თრობას ახსენებდა, ასეთი სასმელივით იზიდავდა და ნებისყოფას უკარგავდა.

„ნუთუ მიყვარს?" — შიშით გაიფიქრა, მაგრამ საკმაო იყო დალის გაღიმება და შიშიც უკვალოდ გაჰქრა. ხედავდა მხოლოდ მის ღიმილს, ძველებურად მომაჯადოებელს. სურდა მისი სიახლოვე, სწყუროდა მისი სიყვარული, მისი ალერსი.

ბიძინამ პატარა ჩინური ფინჯანი გამოართვა და მისი ეშმაკური გამოხედვისას კითხვით შეხედა. დალიმ არაფერი უთხრა და მზერა ფინჯანზე გადაიტანა.

ღმერთო ჩემო, როგორი გაუთავებელი მოგონებებით არის სავსე ეს დღე!

ლამაზი ფაიფურის ფინჯანი, რომელსაც საგანგებოდ გამოყვანილი უნატიფესი ნახატები ჰქონდა და რომელიც ახლა ბიძინას უმწეოდ ეჭირა ხელში, რაღაც ბუნდოვანს, რაღაც შორეულსა და გაურკვეველს აგონებდა.

— ნუთუ აღარ გახსოვს? — მოესმა დალის შემპარავი ხმა.

ბიძინა შეკრთა...

ეს ფინჯანი ხომ მისი ნაჩუქარი იყო. უკანასკნელი სტიპენდიით ნაყიდი უკანასკნელი საჩუქარი. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ დალი მოვიდა მასთან, რათა მეორე ღილას სამუდამოდ წასულიყო.

ტკბილ-მწარე მოგონებებმა თავგზა აურიეს ბიძინას.

კარგახნის დუმილის შემდეგ დალის ხმამ გამოაფხიზლა:

— ღმერთო ჩემო, რა ცუდი დიასახლისი ვარ, მიირთვე!

დალიმ ყავა დაუსხა და შაქარი ჩაუყარა.

— ტკბილი გიყვარს, ხომ მართალია?

— როგორ, კიდევ გახსოვს? — გაოცდა ბიძინა.

— გახსოვს, რამდენ ნამცხვარს ვანადგურებდით ხოლმე? — ღიმილით გაგაგრძო დალიმ. — მიირთვი, მიირთვი, თორემ მე თუ მიყურე, მშიერი დარჩები.

ყავა იყო სურნელოვანი და გემრიელი, ნამცხვარი — სასიამოვნო და შადისაღმძვრელი. იგი თავისით დნებოდა პირში.

როდესაც მეორედ შემოთავაზებული ყავა ჩამოართვა და მადლობის გადახდა დააპირა, ნაცნობი ხმით წარმოთქმულმა ფრანგულ-რუსულმა სიტყვებმა ფინჯანი ხელიდან გააგდებინა:

— Maman, добрый день!

ბიძინა თვალს არ უჯერებდა, მის წინ იდგა ზაურ მაისურაძე.

— ღმერთო ჩემო, ფინჯანი! — წაიჩურჩულა დალიმ. ფინჯანის ნამსხვრევებს დახედა. წამოიწია, მაგრამ შესძლო ნებისყოფის მოკრება და მშვიდი ხმით თქვა: — არა უშავს რა, ბიძინა, ნუ სწუხარ. ამბობენ, ჭურჭლის გატეხას ბედნიერება მოაქვსო. ეს ჩემი ვაჟია, გიცანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცნობთ ერთმანეთს. ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო ბიძინა? — თავდაჭერით, მშვიდად შეეკითხა ზაური.

— ძალიან გაინტერესებთ ჩემი ჯანმრთელობა? — გამომწვევად შეეპასუხა ბიძინა და როცა დალის ტანჯვით დამახინჯებულ სახეს მოჰკრა თვალი, კვლავ შიშით გაიფიქრა: „ნუთუ მეცოდება? ნუთუ კვლავ მიყვარს?“ მაგრამ იმავე წამს საპასუხო ფიქრმა გაუელვა: „არა, რომ მიყვარდეს, ხომ არ შეეკითხებოდი ჩემს თავს“ — და უცებ დამშვიდდა.

ბოლოს და ბოლოს, ასეთი ამბავიც ხდება ხოლმე ცხოვრებაში. და, რაც მთავარია, არ უნდა დავიწყებოდა, რომ დალი უმიზნოდ, ისე, სასხვათაშორისოდ არაფერს მოიმოქმედებდა.

მაგრამ ნუთუ ასე უგუნურნი არიან? ეს ხომ დანაშაულის პირდაპირი აღიარებაა? იქნებ დალის თავისი მომხიბვლელობისა და ბიძინას სიყვარულის იმედი ჰქონდა?

დიმსხვრა ის სილამაზე და განუმეორებელი განცდა, რომელმაც ამ სამი საათის განმავლობაში ასეთი ბედნიერება აგრძნობინა ბიძინას.

თავისდა გასაოცრად ბიძინა ტკივილის ნაცვლად მხოლოდ სინანულს და სიხარულსაც კი განიცდიდა. ამ გრძნობას იწვევდა ისიც, რომ იგი თავს აღწევდა იმ უხილავ, მომჯადოებელ, სიყვარულით დაწნულ სახიფათო ბადეს, რომელსაც დალი მთელი ამ ხნის განმავლობაში ასე გულმოდგინე ოსტატობით ქსოვდა.

ახლა საუბარს ბიძინა დაეუფლა. მას თითქოს ეშმაკები შეუჩნდნენ. დაუღალავად ოხუნჯობდა და ცდილობდა დედა-შვილი აეყოლიებინა. მაგრამ დალი არ ნებდებოდა, ჯიუტობდა. მას არ მოსწონდა, რომ საუბრის ძაფი ხელიდან გაუსხლტა.

ბიძინამ ნახევარ საათსაც მოიცადა და, მათი თხოვნის მიუხედავად, აღარ დარჩა.

წასვლისას დალის ქუდი მოუხადა, ხოლო ზაურს ორაზროვნად დაუტოვა:

— ჯერჯერობით,. ახალგაზრდავ...

ჭიშკარს რომ გასცილდა, ალმურმოდებულ მიდამოს გადახედა.

ქალაქამდე შვიდიოდე კილომეტრი ჰქონდა გასავლელი, მზის მწველი სიცხისგან ასფალტს ალმური ასდიოდა.

მაგრამ ახლა ისიც აღარ აფიქრებდა, რომ შეიძლება მანქანა ვერ ეშოვნა.

მთელი მკერდით ჩაისუნთქა მხურვალე ჰაერი და გზას დაადგა.

წინ ელოდა რთული, ძნელი საქმის დაბოლოვება. ამის გახსენებაც კი საკმაო აღმოჩნდა, რომ გონება კვლავ დაძაბულად ამუშავებულიყო..

„შურისძიება?“ — გაუელვა ფიქრმა.

ეჭვის საშინელმა დაუზოგავმა ჭიამ გონებისკენ გზა გაიკაფა, მაგრამ სინიდისი მიეშველა.

„ასეთ საზიზღრობას ვერ ჩავიდენდი“.

მაშ, საიდან იყო ეს სიხარული, უფრო სწორად, საზეიმო გრძნობა?

იქნებ იქიდან, რომ სიყვარული, რომელმაც მას ხელი ჰკრა, საკუთარი თავის ერთგული დარჩა და შესაფერი ნაყოფი გამოიღო?

შემთხვევით მოხდა?

ძნელი იყო ამის გაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კიღასონია

მ ა დ ლ ო გ ა

იმ გზებს, რომლებიც შენსკენ მოდიან,
გულებს, შენზე რომ დარდობენ წუთით,
ყველა შეხვედრებს:
მზიანს,
შფოთიანს,
მადლობას ვუთვლი.

გაყინულ ფანჯრებს,
ვიწრო ვაგონებს,
შვილებს, რომელთაც თხილამურს უთლი...
ყველაფერს, რაც კი შენს თავს მაგონებს,
მადლობას ვუთვლი...

*
* *

ნეტავი მალე მოვიდეს თოვლი —
წავალ, ვიცლი და დავიქანცები,
აღარ მახსოვდეს თითების თრთოლვა
და დალეწილი შენი ღაწვები.
გადაღეღილი ლურჯი საყელო,
მკერდი — მფეთქავი ფიქრით, განცდებით...
ნეტავი მალე მოვიდეს თოვლი —
წავალ, ვიცლი და დავიქანცები.

ა რ ვ ი ნ

საქართველოში ალბათ ისეთი,
შენ რომ იყავი, არვინ ყოფილა.
ვაი რომ მხოლოდ შორით გიმზერდი,
ვაი რომ ლექსიც ვერ გამყოფინე.
ბინდიან ქუჩებს რხევით მისდევდი,
ვფიქრობდი: დილამ შუქი მომფინა.
საქართველოში თურმე ისეთი,
შენ რომ იყავი — არვინ ყოფილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ვ. გოეთე

დამშვიდობება

„მშვიდობით!“ — დაე მითხრან თვალებმა,
ვერ დავძრა სიტყვა ბაგისმიერი!
ველარ ავიტან ამდენ წვალებას,
თუმცა ვაჟკაცი ვარ მეც ძლიერი.

ამ წუთს მწუხარე იქნება მეტად
თვით საწინდარი ტრფობის ძველისა:
ცივი — ამბორი ბაგეთა შენთა,
სუსტი — მოხვევა შენი ხელისა.

უწინ შევტრფოდი ბაგეს საყვარელს,
რომლის ამბორი ცეცხლივით მწვავდა,
პირველი იაც ასე გვახარებს,
მარტის თვეში რომ ვიხილავთ, ალბათ.

ახლა თაიგულს ველარ დაგიწნავ,
შენთვის ვარდები მე აღარ მომაქვს.
გაზაფხულია, ჩემო ფრანციკა,
ჩემთვის კი დადგა, ჩანს, შემოდგომა.

სამაისო

პურის ყანებსა და ჭვავებს შორის,
ძეძვის ღობეს და მესერებს შორის,
მწვანე ბალახზე, ჩრდილებში ხეთა,
მითხარ, საღ მიდის
ძვირფასი, ნეტავ?
ო, რარიგ მსურდა...
ვერ მიეუსწარი,
ჩანს, ჩემი ტურფა
შინ აღარ არის.
ამწვანდა ველი,
აყვავდა ბაღი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის უზრუნველიც
სეირნობს ლაღი.
მდინარის პირას, იმ კლდის მახლობლად,
სად მისი კოცნა დამამახსოვრდა,
მწვანე მდელოზე, ჩრდილებში ხეთა
ვიღაცას ეხედავ.
ის არის, ნეტავ?

ტ ბ ა ზ ე

ახალი საზრდო, სისხლი ახალი
ლაღი ქვეყნიდან ჩემს ძარღვებს ერთვის,
რა ლამაზია, რა აზრმაღალი
ბუნება, მე რომ მეყრდნობა მკერდით.
ტალღებზე ნაზად ირწევა ნავი,
ლურჯი ზვირთები ქვეშ რომ ეგება,
და მთა, ღრუბლებით შემოსილ თავით,
კეთილი მზერით წინ გვეგებება.

თვალებო, ჩემო თვალებო, რად ილულებით ნეტა?
სიზმრებო, ოქროს სიზმრებო, ისევ მოდიხართ ჩემთან?
გასწი, გამშორდი, სიზმარო, თუმცა ოქრო ხარ წმინდა,
ისევ მჩქეფარე სიცოცხლე და სიყვარული მინდა.

ციმციმებენ ვარსკვლავები
ლურჯ ტალღებზე ვაშლილ ფარად
და სველ ნისლებს შორი მთები
იხვევენ და სვამენ წყნარად.

დილის სიო მკვირცხლი რაშით
გრილ ყურეში დახტის, ლაღობს
და, არეკლილს ცისფერ ტბაში,
ვხედავთ უკვე მწიფე ნაყოფს.

ლამის სიმღერა

მომისმინე, შვებით სავსეს
ბალიშზე რომ თავი გიძევს!
ჩემი ქნარის ნარნარ ხმაზე
დაიძინე! რა გსურს კიდევ?

ჩემი ქნარის ნარნარ ხმაზე
ვარსკვლავთ ჯარი კიდით კიდე
მარადიულ გრძნობით მავსებს;
დაიძინე! რა გსურს კიდევ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადიულ გრძნობით მავსებს,
სიყვარულის ცეცხლს მიკიდებს
და დავცურავ ქვეყნის თავზე;
დაიძინე! რა გსურს კიდევ?

და დავცურავ ქვეყნის თავზე, —
შენ კი თითქოს მშველი კიდეც, —
სად ჰყინავს და ცივა ასე;
დაიძინე, რა გსურს კიდევ?

სად ჰყინავს და ცივა ასე...
და თუმც სიზმრებს გაეკიდე,
მომისმინე! შვებით სავსემ
დაიძინე! რა გსურს კიდევ?

მოგზაურის ღამის სიმღერა

ცით მოვლენილი ხარ შენ ასული,
ტანჯვას და ტკივილს უყურებ ყველას,
ვინც ორგზის არის ბედდანავსული,
ორმაგი შვებით აღავსებ ხელად.

დამღალა გზამ და უამინდობამ,
ხან სიხარულმა, ხან მწუხარებამ.
შემო ჩემს გულში, ტკბილო მშვიდობავ,
ტკივილთა ჩემთა დასაწყნარებლად.

დილეტანტი და ხელოვანი

ფურცლები, ერთად თავმოყრილი დიდი წვალებით,
მაინც ქვეყნიურ ცხოვრებაზე ივალალებენ
მუნჯი, ბლუ ენით.
მაგრამ, ო, თქვენ კი, ხელოვანის წმინდა ფურცლებო,
მარად უკვდავნო, სუყოველთვის ნირშეუცვლელნო,
კურთხეულ არს ზრახვანი თქვენი!

გერმანულიდან თარგმნა ვახტანგ ბეწუკელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსჯომ ბეჟანიშვილი

ზამთრის საღამო

თოვს. გარეთ სიბნელეა და სიჩუმე. გგონია, მოსწყდი ყველაფერს, უკაცურ კუნძულზე გაირიყე. ჯერ გაგიტყუებს ამინდი, ლამაზი ქალივით მიგიზიდავს, მერე მოგიგერს სუსხიან კლანჭებს და გაგგუდავს.

თოვს. ბუხარში უკანასკნელი ნაკვერჩხლები იფერფლება. სიცივე აბლაბუდასავით ედება კარებს, ფანჯრებს და სიბნელესთან ერთად ტაოსამშვილი სიგრილე მეფდება ყველა კუნჭულში.

გოდერძი ჩაფიქრებული ზის. დიდიხანია ძილი ერევა, ქუთუთოები ისე დაუძძიმდა, რომ თვალის გახელა უჭირს, მთელ სხეულში უსიამოვნოდ აკრიალებს, საფეთქლებში სისხლი ჩაქუჩივით უკაკუნებს, არაფერი სჯობია მისთვის ახლა ერთ პატარა ჭიქა არაყს და თბილ ლოგინს. სანატრელი სითბოს შეგრძნება იზიდავს გოდერძის, იგი თითქოს ცთუნების წინ იდგეს, არჩევანი მისთვის იმდენად სამძიმოდ ქცეულა, რომ გამოსავლის ძიებას შეალია მთელი საღამო, იფიქრა, იწვალა და აი შედეგიც: ბუხარი განელდა, ოთახში ცივა, გარეთ თოვს და ბუნებას ისე შეუკრავს პირი, რომ ალბათ ერთ კვირასაც არ გამოიდარებს.

— ნამდვილად ავად ვარ, — თქვა გოდერძიმ ხმამაღლა. წამოდგა, სამგზავრო აფთიაქის მომცრო კოლოფის ძებნას შეუდგა. მალე მიაგნო. — რა მაწუხებს ახლა მე და რა იქნება ყველაზე უებარი წამალი? — დაეკითხა თავისთავს. — თამარის ხელში მეც ექიმი გავხდი, — გაიფიქრა და წამლების პაკეტებს დახედა. ცოლის მოგონებაზე შეკრთა გოდერძი, თითქოს რის თქმასაც ერიდებოდა მთელი საღამოს მანძილზე, მაინც წამოსცდა. უსიამოვნოდ შეიჭმუხნა შუბლი, წამლების კოლოფი განჯინაში შედო, ბუხართან მივიდა, სამფეხა, დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

თამარი! მასთან დაკავშირებული იყო გოდერძის ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. ცოლის სახელის ხსენებასთან ერთად გოდერძის მეხსიერებაში ღრუბლებივით წამოიშალა მოგონებანი.

ხუთი წელია სოფელში ცხოვრობს თამარი, ხუთი წელია მასთანაა გოდერძი. ოთხი წლისაა მათი პატარა გოგონა, ისიც თამარი. გადის თვეები და წლები შრომაში, სიყვარულში. პირველად აქ რომ მოვიდნენ, ერთი პატარა ოთახი ჰქონდათ. ახლა ორსართულიანი სახლი უდგათ. საკარმიდამო ნაკვეთი მართლაც რომ ედემის ბაღს დაამსგავსებს. თალარი აივანზე მიუშვებს და ზაფხულობით, როცა მზე სწვავს მიდამოს, ვაზის ფოთლები ისე საუცხოოდ სწევენ ფარდების მაგვრობას, რომ თუ არა თამარის წინააღმდეგობა, გოდერძი თალარს ოთახის ფანჯრებზეც აიყვანდა. ხეხილს თვითონ ამყნობდნენ თამარი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი და ვინაიდან სოფლად დასახლდნენ, მოვალედ სთვლიდნენ თავს, ეროვნულობიაც შეესწავლათ. არც ისე ადვილი აღმოჩნდა აგრონომიის საფუძვლებიც. სოფელი წინ წასულა, ხალხი გათვითცნობიერებულა, მანქანებს თითქმის მთლიანად შეუცვლიათ ხელის სამუშაო და სხვა რომ არა იყოს რა, მამა-პაპიდან ყველაზე პატივსაცემი პიროვნებანი სოფელში — ექიმი და მასწავლებელი, მოვალენი არიან სოფლის საქმე იცოდნენ. მასწავლებელს სოფელი სრულებით არ უყურებს ისე, როგორც ქალაქად ახარისხებენ სხვადასხვა საგნის სპეციალისტებს. არა. მასწავლებელი სოფლის შეგნებაში არის ყველაფრის მცოდნე ადამიანი, თავისებური ენციკლოპედია... და ხშირად სოფელი მასწავლებელს აფასებს პირველ რიგში იმით, რამდენად მრავალფეროვანია მისი ცოდნა, შეუძლია თუ არა, რაც სჭირდება ან აწუხებს სოფელს, ყველაფერზე პასუხი გასცეს... ასევეა ექიმი. ექიმი ყოველისშემძლე ადამიანად ჰყავს წარმოდგენილი სოფელს. ექიმი ხალხის რწმენით უნდა იყოს ძალიან ქეთილი და გულისხმიერი — მართლაც, რად უნდა სოფელს საუკეთესო უროლოგი, თუ მან ხალხის სატკივარს, ხალხის გულს არ დაადო თავისი გული მალამოდ. სწორედ ამას გრძნობდნენ თამარი და გოდერძი და მთელი თავიანთი ახალგაზრდული გატაცებით, ხალისით, შრომის სიყვარულით სწავლობდნენ ყველაფერს, რაც სოფელს სჭირდებოდა, რაშიც ჯერხანად ნაკლოვანებას განიცდიდა ხალხი.

ერთი ზაფხულს კინომექანიკოსი არ გამოგზავნეს — გოდერძი იძულებული გახდა შეესწავლა კინტექნიკა და რამდენნიმე სეანსიც ეჩვენებინა სოფლის კლუბში ხალხისათვის. გოდერძის ამ თოსსნობამ ისე გაახარა და გაათამამა სოფლის ახალგაზრდები, რომ მათ სთხოვეს მასწავლებელს კლუბში კინტექნიკის შემსწავლელთა წრე შეექმნა.

ასე რომ სოფელი ჭირვეულია... სოფლის თვალი ძნელად მოტყუვდება, ხალხს დიდი მოთხოვნილებანი აქვს. და თუ მიაღწია ადამიანმა მასწავლებლობით და ექიმობით სოფლის სიყვარულს, მაშინ სამაგიეროდ ისეთ პატივსაცემასა და სიყვარულს მიიღებს სოფლისაგან, რომ მისი დარი გრძნობანი ქალაქის სკოლათა და პოლიკლინიკათა ათასეულებს სიზმრადაც არ მოეჩვენებათ...

გარეთ თოვდა ისევ, დიდი, ხელისგულის ოდენა ფანტელებთან, გულღიად, ბარაქიანად. დედამიწა იმოსებოდა თეთრი სამოსელით, ხეები დაზეინულნი იდგნენ, შორს, ტყიდან, დროდადრო მოისმოდა ბებერი ტოტის ჭახანი, თოვლის სამძიმისათვის რომ ვერ გაეძლო და ფრიალო კლდეზე გადაკიდული უფსკრულში ქშუტუნით მიეძანებოდა. სოფლის ბოლოში ტურები დაიჩხავლებდნენ და მათ ჩხავილს ისე გადაებმებოდა ძაღლების ვნიასი, რომ სამყარო ერთბაშად ივსებოდა ცოცხალი ხმებით, სიცოცხლის სუნთქვით; დიდი თოვლისა, ზამთრის მოწყენილი საღამოსა და სიჩუმის მიუხედავად, ცხოვრების მაჯისცემა ძლიერი იყო, ადამიანები ღრმად სუნთქავდნენ, გული გახარებული სცემდა.

გოდერძი წამოდგა. ოთახში გაიარა. საათს შეხედა. თერთმეტი სრულდებოდა. პატარა თამარს მშვიდად ეძინა. ლოყები ასტკეცოდა, ფუნჩული, თეთრი ხელი ნიკაპქვეშ ამოედო, წაბლისფერი თმები შუბლზე ჩამოშლოდა და მთელ სახეზე ბავშვური სისპეტაკის, უდარდელობისა და გულუბრყვილობის ნათელი ადგა. გოდერძიმ კარგახანს უყურა შვილს, მერე ჩამქრალ ბუხართან მივიდა, უნდოდა შეეკეთებინა, მაგრამ გადაფიქრა და კვლავ სკამზე ჩამოჯდა. გრძნობდა, ბუხრის ცეცხლი ვერ გაათბობდა. იგი მარტოობას შეეპყრო, დილიდან წასული თამარი ისეთი სანატრელი გამხდარიყო მისთვის, თითქოს ათი წელი არ ენახა. გრძნობდა — ოჯახს, ოთახებს, ავეჯს, ყველაფერს, რაც მის გარშემო იყო, აკლდა ქალის სითბო, დიასახლისის ხელი, საყვარელი მეუღლის სიახლოვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს არ უფიქრია გოდერძის, რომ თამარის პროფესია ასეთი მოუსვენარი. და ხიფათიანი იქნებოდა. აი, ახლა, ის, ვაქაცები, ღონიერი, უშიშარი, ზის სანადირო. თავისი საქმე დილას სკოლაში დაამთავრა, მერე კლუბში იყო, საბჭოში, მიიარ-მოიარა, ვის რა უთხრა, ვის რა დაეხმარა, დღის ბოლოს მოვიდა შინ, გათოშილი, გაყინული, შშიერი, შვილთან ერთად ისადილა, გათბა, მოისვენა და ახლა მშვი-დად და უზრუნველად ზის ბუხრის პირას. თამარი? დილიდან, ასეთ თოვაში, ამ სიცივეში, მარტოდმარტო უვლის სოფელს, არჩენს, ჰკურნავს ავადმყოფებს და თავად კი კენჭივითაა, ლოყაწითელი, ხალისიანი, უქრობი სინათლით სავსე თვა-ლებით, ნაპერწკალივით სწრაფი და უეცარი, ასეთი ლმობიერი, სათნო და კე-თილი.

„რაღა დღეს, სწორედ დღეს, ასეთ თოვლში გახდა ავად ჩვენი მეზობელი სოფლის ექიმი და ახლა იმ ექიმსაც და მის ავადმყოფებსაც ჩემმა ცოლმა უნდა უმკურნალოს? რაღა მაინცდამაინც ახლა მოუნდა ყველას ავად გახდომა“, — ფიქრობდა გოდერძი. დილით, როცა თამარი მიდიოდა, გოდერძის დაუბარა, თუ დამიღამდა და კვლავ დიდი თოვლი იყოს, მამუკასთან დავრჩებიო. ნუთუ დარჩა მამუკასთან?

გოდერძი არასოდეს ეჭვიანი არ ყოფილა და არც ჰქონია ამის საფუძველი. მამუკას ბოლო წლებში ოშვიათად ხვდებოდა, ყოველთვის უსიამოვნო გრძნ-ბით იწყებდა მასთან საუბარს, რადგან ეგონა, რომ მამუკა მხოლოდ მიყუჩებული იყო, რომ მამუკას დღემდე უყვარდა თამარი. ამის საბაბი თითქოს ჰქონდა გო-დერძის. მამუკა ცოლს არ ერთვადა, არავინ უყვარდა, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, თვეობით სოფელში არ იყო, მთაში აღამებდა და ათენებდა, მაგრამ რო-გორც კი ჩამოვდოდა სოფელში, მაშინვე თამარს იკითხავდა.

„იქნება ეს მხოლოდ მეგობრობაა“, — ფიქრობდა გოდერძი. თამარს იმ სო-ფელში მამუკაზე ახლობელი არავინა ჰყავს, მასთან დასავითაა გაზრდილი. რა არის აქ საეჭვო, რომ ექიმმა ავადმყოფის ბინაზე ერთი ღამე გაათიოს? მამუკას სახლში დები ჰყავს, დედ-მამა, მარტო ხომ არ არის, გოდერძის თავისი ეჭვების უსუსურობაზე ეცინებოდა. არ შეეძლო რაიმე ცუდი ეფიქრა თამარზე. ეს უდი-დესი შეურაცხყოფა იქნებოდა მათი სიყვარულისა. მაგრამ მაინც, სადღაც, გულ-ლის რომელიღაც კუნჭულში, სადაც ადამიანები, როგორც არ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, პატივს სცემდნენ და ენდობოდნენ, მაინც არ ჩაახედებენ სხვას, აი ის, იმ კუნჭულში ფათურობდა რაღაც იდუმალი ეჭვი, ეჭვი თუ შიში, რომ ღამე, თოვლში, რად უნდა ეველო მარტოდმარტო ქალს ან რად უნდა დარჩენილიყო სხვის ჭერქვეშ და არ მოსულიყო შინ?!.. რად უნდა ყოფილიყო ასეთი მოწყენი-ლი, უსიამოვნო და გულღასშული ეს ზამთრის საღამო, რად უნდა განელებულიყო ბუხარი... სითბო და ხალისი მოჰკლებოდა ოჯახს უქალოდ... აი ეს ყველაფე-რი აფიქრებდა და აკრთობდა გოდერძის. იგი მოუსვენრად იშმუშნებოდა, ად-გილზე ვერ ჩერდებოდა, ფეხაკრეფით დადიოდა ოთახებში: ბავშვს არ გაეღვი-ძოსო...

თოვდა, თოვდა სასიამოვნოდ თუ თამარი შინ იქნებოდა, და თოვდა ნერვე-ბისმომშლელად და გამაღიზიანებლად, თუ თამარი გზაში იყო და თავისი სუსტი ნაბიჯებით ფეხუკარებელ თოვლს მოარღვევდა, დაკარგულ ბილიკებს ეძებდა, სციოდა, ეშინოდა ტყრების ჩხავილისა, სიბნელეში მგლის თვალები ეჩვენებო-და, ცახცახებდა!..

„იქნებ არ დარჩეს მამუკასთან და წამოვიდეს? — გაიფიქრა გოდერძიმ. — თუმცა არა, ამ თოვლში, ასე გვიან, როგორ გაბედავდა წამოსვლას. არც გამო-უშვებდნენ, უთუოდ დარჩებოდა... მით უმეტეს, რომ დამიბარა“, — დაასკვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძიმ და მოწყენილობისაგან რომ აღარ იცოდა რა გაეკეთებინა, დასაძინებლად სამზადისს შეუდგა.

„იქნება წამოვიდა?“ — კვლავ გაუელვა აზრმა და საწოლზე ჩამომჯდარი ფეხზე წამოაყენა. გული და გონება ებრძოდა ერთმანეთს. გონება ამტკიცებდა, რომ ასეთ ამინდში არ წამოვიდოდა თამარი, გული ედავებოდა, არა, ღამე და თოვლი არაფერიაო, შენთან სიახლოვის სურვილი თამარს ყველაფერს გაბედვინებსო... ალბათ გზაშია... საცაა მოვა...

გოდერძი აწრიალდა, სწრაფად ჩაიცვა ჩექმები, ერბოთი გაპოხა, რომ თოვლი და სისველე არ მიჰკარებოდა, ნაბადი მოიხურა, ჯოხი აიღო, ფრთხილად გაღო კარი, ფრთხილადვე ჩაკეტა და კიბეზე დაეშვა. სულ მალე ორღობე გალია და შარაზე გავიდა. ძაღლებმა შეღრინეს, მაგრამ ეტყობა სიცივეში წამოდგომა დაეზარათ და მალე მოყუჩდნენ.

გოდერძი ჩქარი ნაბიჯით დაადგა გზას. სიარულმა გაახურა. თოვაც შეწყდა და ღამის სიჩუმეში გარკვევით მოისმა მისი ნაბიჯის ხმა, სპეტაკი თოვლის ტკეცანა, ხრაშუნი. გზა არ ჩანდა. თოვლს ამოეკრა შარა და მინდერებისათვის გაეთალნაბრებინა. გოდერძი ალღოთი მიჰყვებოდა ნაცნობ გეზს, მთელი გულით სუნთქავდა ჯანსაღ, ცივ ჰაერს, მიიჩქაროდა.

ნახევარზე მეტი გზა გავლილი ჰქონდა, როცა ღამის სიჩუმეში ხმაური შემოესმა. გოდერძი გაჩერდა, მიაყურა. იფიქრა მომეჩვენაო, გზა განაგრძო. არა, ხმაური გარკვევით ისმოდა. გოდერძი კვლავ გაჩერდა და სმენად იქცა. აშკარად გაიგონა თავისი ჩექმებისაგან განსხვავებით ჩქარი, მოკლე ნაბიჯის ხმა. გული შეუთამაშდა. თითქმის სირბილით გასწია წინ და სულ მალე ღამის სითეთრეში ადამიანების სილუეტებს მოჰკრა თვალი. წინ ქალი მოდიოდა... ის იყო, ის, თამარი, მაშ ვინ იქნებოდა სხვა. მეორე? მეორე კაცი იყო, მაგრამ ვინ, გოდერძიმ ვერ გაარჩია. წამით თვალებიც წაენისლა, გული შეეკუმშა, გაიქცა შესაგებებლად. ნაბდის კალთები აკავებდნენ, მძიმე ჩექმები ეფლობოდა თოვლში, მიიჩქაროდა. უცებ შეჩერდა და შვებით ამოისუნთქა. თამარს მამუკას მამა მოაცილებდა. მან შორიდანვე იცნო გოდერძი და მისალმების შემდეგ უთხრა:

— ბევრი ვეხვეწეთ, მაგრამ აღარ მოიცადა, შვილო...

— მადლობელი ვარ, ძია, ამ შუაღამეს შეწუხებულხართ, — მიუგო გოდერძიმ.

— იჰ, რა შეწუხებაა, შე კაი კაცო, თამარმა ჩემი შვილი სიკვდილს გამოსტაცა და ჩემი სამსახური რა სახსენებელია... თქვენ გაიხარეთ, შვილებო, გაიხარეთ...

ბერიკაცი გამოეშვიდობა და გაბრუნდა. მალე გადაეფარა მისი ბოხოხა ქუდი ფერდობს.

— გოდერძი!

გოდერძიმ ნაბდის კალთები გადაშალა, შეციებული თამარი გულზე მიიკრა და ხარბად ჩაკოცნა.

კარგა ხანს იყვნენ ასე ჩახვეულნი, მერე თითქოს შერცხვათო, ხელები ჩამოუშვეს, მოტრიალდნენ და გზას დაადგნენ.

— მამუკა როგორ არის? — ჰკითხა გოდერძიმ და ამ წუთებში ბავშვობად და გულუბრყვილობად მოეჩვენა თავისი წელანდელი ფიქრები, ეჭვი, მოწყენილობა.

— უკეთ. სისხლი გადავუსხი...

— კარგი, კარგი, ექიმო, — გაიღიმა გოდერძიმ. — კმარა. შენ როგორა ხარ, როგორ წამოხვედი მაინც ამ ღამით, სიცივეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ხედავ, წამოვედი. შენ რა, არ მელოდი?

— ვიცოდი, რომ აუცილებლად მოხვიდოდი, ასე არ დამიბარე, მოვალო? — თქვა გოდერძიმ და თავის სიცრუეზე გაეღიმა.

მამლებმა მეორედ იყივლეს, როცა თამარი და გოდერძი თავიანთი სახლის კიბეზე ადიოდნენ. გაყინული ნაბადი გოდერძიმ აივანზე მიაყუდა, ფეხების ბრახუნით შევიდა ოთახში, არ მორიდებია შვილის გაღვიძებას — მერე რა... თამარი ხომ შინ იყო!

ბუხარი აგუგუნდა. ოთახი გათბა. გათოშილი სხეული მოლბა, შვება იგრძნო. თამარი სწრაფად შეუდგა სამზარეულოში სირბილს, ვახშმის სამზადისს.

ცეცხლი გიზგიზებდა. ოთახი აივსო რაღაც გამოუცნობი ნეტარებით. დიასახლისს სრული უფლება ჰქონდა თავისი საზოგადო საქმიანობა, როგორც ექიმს, დამთავრებულად ჩაეთვალა და ოჯახისათვის მიეხედა.

გოდერძი თვალებანთებული უყურებდა თამარის ნაზ წელს, სავსე მხრებს, სწრაფ მოძრაობას, მამაკაცი გრძნობდა იმ ბედნიერებას, იმ სითბოსა და ხალისს, რასაც მატებს ოჯახს საყვარელი მეუღლის ტრიალი.

ბუხრის ცეცხლი ჯადოსნურად თამაშობდა ჭერზე. გოდერძი ისეთ დიდ სიხარულს განიცდიდა თამართან სიახლოვით, თითქოს სიყვარული ახლა გაჩენილიყოს მის გულში პირველად.

პატარა თამარს გაღვიძებოდა და ტიროდა. მას მხოლოდ ახლა გაეგო, რომ დედა დილიდანვე წასული იყო და საღამომდე არ ენახა.

შორს, ტყიდან მოისმოდა ბებერი ტოტების ჭახანი, მგლების ყმუილი. ზამთრის ღამე გადიოდა დინჯად, დარბაისლურად.

Სიყვარულისა და მადლობის გრძნობით მოიგონებენ თაობები მათ, ვინც რევოლუციის დროსა ბრძოლების ქარცეცხლში გამოატარეს და 40 წლის წინათ ხალხთა თავისუფლების სიმბოლოდ აფრიალეს ჩვენს ქვეყანაში, მათ, ვისი რაინდული სიცოცხლეც სახალხო საქმეს შეეწირა.

სწორედ ასეთი მგზნებარე ბოლშევიკი რევოლუციონერებისადმი — ნოე ბუაჩიძისა და თომა ჩუბინიძისადმი არის მიძღვნილი ქვემოთ მოთავსებული წერილები.

რევაზ იმნაიშვილი

სახელოვანი რევოლუციონერი

1907 წლის ოქტომბრის ერთ ნისლიან საღამოს ქუთაისის რკინიგზის სადგურში ჩვეული ხმაურითა და მხიარული სახით შემოვიდა პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი კონსტანტინე ერისთავი. მას ხელიხელგაყრილი მოჰყვებოდა მდიდრულ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაკაი. იქვე მოფუსფუსე პოლიციელები და ყანდარმები უდიდესი მოკრძალებით მიესალმენ მაღალ მოხელეს. მათ, რასაკვირველია, აზრადაც არ მოსვლოთ, რომ ბრწყინვალე თავადი საღგურში „საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა“ ხელისშემწყობად იყო მოსული და რომ მისი თანმხლები პირი გახლდათ ცნობილი ბოლშევიკი თომა ჩუბინიძე, რომელსაც ქუთაისის სატუსაღოდან გაქცევის გამო უკვე მეათე დღე იყო გაშმაგებით დაეძებდა ოხრანკა. ქუთაისის პოლიციმეისტერისა და საოლქო სასამართლოს პროკურორის მოთხოვნით მეფის ნაცვლის კანცელარიამ 1907 წლის 19 ოქტომბრს გუბერნიების ადგილობრივ ხელისუფალთა, საპოლიციო სამმართველოებს, დაქცევის განყოფილებათა უფროსებისა და სამძებრო პუნქტების გამგეებს მისამართით შემდეგი ოფიციალური მიმართვა დაგზავნა: „ამა წლის 26 სექტემბერს ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან საკანის ქვეშ გაყვანილი ხვრელის მეშვეობით გაიქცა... თომა ამბაკოს-ძე ჩუბინიძე, 30 წლისა, საშუალოზე მაღალი, რომელსაც აქვს შავი თმა, ასეთივე ფერის თვალები და შუბრალი წვერი... ბრალად ედება ურიადნიკ სტეპანოვის მოკვლა... და შორაპნის მაზრის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა.

აღმოჩენისთანავე ზემოადნიშნული პიროვნება, სხვა 37 გაქცეულთან ერთად, დაუპატიმრეთ, გაჩხრიკეთ და გადაგზავნეთ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებაში.

შეპყრობა აცნობეთ პოლიციის დეპარტამენტს და მეფის ნაცვლის კანცელარიას“.

პროფესიონალ-რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადის ღირსეული წარმომადგენელი თომა ადრიდანვე აიძულა ხელი აეღო სწავლაზე და სამუშაოს საძებნელად გამგზავრებულიყო ბათუმს. აქ მალე განიმსჭვალა რევოლუციური სულისკვეთებით და მიიღო კიდეც მონაწილეობა მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკურ გამოსვლებში. ამის შემდეგ თომა ჩუბინიძე შეეიდა ბოლშევიკების პარტიის რიგებში და მთელი სიცოცხლის მანძილზე გმირულად იბრძოდა თვითმპყრობელობის, ბერეტიანების, ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ. იგი მოკლეს მეწმენდიეური მთავრობის დამსჯელ რაზმებთან სისხლიანი შეტაკების დროს დუშეთში.

1905 წელს მუშათა მოძრაობის ტალღა საქართველოში არნახულად იყო აზვირთებული. გურიასთან ერთად რევოლუციური ბრძოლა ცეცხლი მოედო სამეგრელოს, ქართლს, თბილისსა და ქუთაისის მთელ რიგ რაიონებს. სახალხო მოძრაობამ ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებით ფართოდ მოიცვა შორაპნის მაზრა. სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურება პირობებმა ხელი შეუწყო აქ ჩვენი პარტიის აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას და უშუალოდ დააყენა დღის წესრიგში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ „შეიარაღებული აჯანყების უაღრესად ენერგიული და დაუყოვნებელი მომზადების ამოცანა. ამ პიროიობში თ. ჩუბინიძე ბეთაფოფილი იყო აგიტატორად და სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად

ღიდ მუშაობას ეწეოდა. მალე იგი აირჩიეს რსდმპ ქუთაისის კომიტეტის რაიონულ წარმომადგენლად შორაპნის მაზრაში. მისი ინიციატივით სოფლებში ირჩევდნენ ასისთავებს და ათისთავებს, რომლებიც ფაქტიურად რეგულირებას უწევდნენ მოსახლეობის მთელ ცხოვრებას სოფლად. რევოლუციური ორგანიზაციების მთავარ საქმედრო დასაყრდენს წარმოადგენდა "შეიარაღებული „დრუჟინა" ანუ „წითელი რაზმი".

სახალხო მოძრაობის აღმავლობამ თომა ჩუბინიძე — ეს უდიდესი გაბედულების დამაბალი, აწრაფად აიტაცა და სოფლის მეფლეგრე ცხოვრების სათავეში დაიყენა. გამოჩენილ ბოლშევიკს. ბუაჩიძესთან და სხვა პარტიულ აბსაგებთან. ერთად იგი მეთაურობდა შეიარაღებულ წითელ რაზმებს, აწყობდა თავდასხმებს საქმედრო ნაწილებზე, საპოლიციო პოსტებზე, ჯანდარმებზე, შოფლობდა იარაღს, 1905 წლის დამლეგისათვის კი მონაწილეობას იღებდა რევოლუციონერთა მიერ 77 თენგანის პოლუს მე-12 ასეულის განიარაღებაში. თომა ჩუბინიძეს ითვლებოდა ცნობილი რევოლუციონერის აფრასიონ მერკვილაძის უახლოეს თანამებრძოლად.

1905 წლის შემოდგომაზე რევოლუციონერთა ჯგუფში თომა ჩუბინიძის ხელმძღვანელობით მოკლა თავადი მელიტონ ვლადიმერის-ძე აბაშიძე. ეს პიროვნება, რომელიც ოზურგეთში ფლობდა ჩაის საპოლიციო უბნის პრისტავის მარჯვენა ხელი იყო, სისტემატურად დათარეშობდა სოფლებში კაზაკებთან ერთად და თავისი სისასტიკით გლეხობაში საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურა.

მალე შესრულებული იქნა მეორე ასეთივე აქტი. მოკლეს შავრაზმელი გრიგორ მდივანი. ეს უმიზნო ტერროისტული მოქმედება როი იყო; შავრაზმელთა წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა სამხედრო მოქმედების ერთ-ერთ სახეს, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო რევოლუციისათვის აჯანყების პერიოდში.

1906 წლის 9 იანვარს სოფელ სახმარში, რევოლუციური ხელისუფლების დადგენილებით, შემოღებული იქნა სამხედრო წესები. თეიმიტურობელთა ცდილობდა სასტიკად გასწორებოდა აჯანყებულებს. აფრასიონ მერკვილაძის რაზმის წინააღმდეგ მთავრობამ საკმაოდ მოზრდილი სამხედრო შენაერთი დაძრა. 1906 წლის 9 მარტს ღილით დამსჯელი ექსპედიციის ორგანიზატორებმა შეიტყეს, რომ აფრასიონ მერკვილაძე, თომა ჩუბინიძე და სხვანი მთელი თავიანთი სამხედრო ძალებით ისვენებენ სოფელ სახმარს ეკლესიის ეზოში. შავრაზმელები სასწრაფოდ გამოეწყვნენ საბრძოლველად. ისინი ფარულად გაჩს შემოდგნენ ეკლესიას. თავდამცველები ძმაბე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მაგრამ ისინი არ დაბნეულან, გმირულად შეებნენ ვერაგ მტერს. ბრძოლულმა იხსნა რევოლუციონერები. შემოტეხა შეფერხდა. შემდეგ მოგლეზენი ელვის სისწრაფით განეთიარდა. ამხანაგების მეკრეკილ ზურგზე ეცვა ალმალთა თომა ჩუბინიძე და ისარგებლა ეზოს ფენიანი ეკლესიის ფანჯრიდან. ეს ხმა ზეთელრაზმელებმაც მიბაძეს. ოფეთქებისა და გაჩაღებული სროლის საფარქვეშ თითქმის ყველა ალყაშემორტყმულმა შეძლო ჯალიდან გამოსვლა და შშვიდობიანად მიმალეა. აფრასიონ მერკვილაძის რაზმმა ამ დროს მხოლოდ ორი კაცი დაკარგა, შავრაზმელთა მხრივ კი ზარალი დიდი იყო. ბრძოლა ველზე დარჩა ბევრი დაღუპული ჯარისკაცის გვამი.

დასავლეთ საქართველოში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ჯარების შემოვრამ და გაძლიერებულმა რევრესიებმა ვერ შეაშინეს თომა ჩუბინიძე. სოფელ სახარაში გამართული ბრძოლის შემდეგ იგი მოხერხებულად დაეძარი ხელიდან მტერს და ფარულად გიემგზავრა ბათუმს, სადაც განაგრძობდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. მაგრამ ყანდარმერიამ მიაგნო მის კვალს. 1906 წლის 16 აგვისტოს დაბა ბარტხანის მახლობლად თომა შეიპყრეს და მოათავსეს ქუთაისის საპატრონო სპპყრობილეში. მის, როგორც აფრასიონ მერკვილაძის რაზმელსა და ერთ-ერთ აქტიურ ბოლშევიკს, მმიმე სასჯელი ელოდა. თომას არ აშინებდა სიკვდილის აჩრდილი, კი მგზნებარე რაინდი ოტტომისტური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და კიდეკ შეადგინა გაქცევის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით გარეთ დარჩენილმა პარტიულმა ამხანაგებმა დაიწყეს გვირაბის გაყვანა, რომელიც ციხის ერთ-ერთი საკანის ქვეშ უნდა შესულიყო.

ხვრელის თხრა დაიწყეს საპყრობილის მოპირდაპირე შენობიდან, რომელიც მოკალაქე ეარლამ ფანტხაველ ეკუთვნოდა. ობილისისა და ქუთაისის ბოლშევიკური ორგანიზაციების „წარმომადგენლებმა აღნიშნული სახლი და ეზო ნოტარიალური წესით ყალს გვარზე დაიქირავეს ექვსი თვის ვადით. „ზედამჭვრები", არალეგალური ბოლშევიკური საქმიანობის შესანიშნავი წარმომადგენელი მარო ბოკორიძე და ნატო კალანდაძე, თავს მათი თანმხლები ამხანაგების ფეხად ასალებდნენ. მალე რსდმპ ქიათურის ბოლშევიკურმა კომიტეტმა უდიდესი კონსპირაციის დაცვით მათ მიაშველა მაღარის ორი მუშა, რომლებმაც ერთი თვე იმუშავეს ინტანელ პირობებში, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწიეს.

ციხიდან გაქცევა დაიწყო 1907 წლის 26 სექტემბერს. სასატიმროდან შშვიდობიანად გავიდა ყველა, ვისაც კი ოფნად მინდა სტრიოზული პარტიული დანაშაული ედებოდა. გაქცეულთა შორის იყვნენ: ლეო შენგელაია (ქიანელი), დავით სულიაშვილი, თომა ჩუბინიძე, ისმაილ ჯუმბუტიძე, ანდრო ჯობაძე, მოსე ბეიტლერი და სხვანი, სულ 37 კაცი.

ამის შემდეგ ქუთაისის ბოლშევიკურმა პარტიულმა ორგანიზაციამ ხელი მოჰკიდა გაქცეულ პატიმართა ქალაქიდან გაყვანის ორგანიზაციას.

თომა ჩუბინიძე, როგორც ითქვა, თავად კონს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანტინე ერისთავის დახმარებით გაიპარა ქუთაისიდან და შეგიდობიანად ჩამოვიდა თბილისში. მაგრამ აქ ის დიდხანს არ გაჩერებულა, 1908 წლის დამდეგისათვის ფარულად მაქმში გაემგზავრა. თვითმპყრობელების აგენტებმა საბოლოოდ მაინც მიაგნეს მას. 1908 წლის მაისში ბოლშევიკური სამხედრო-ტექნიკური ჯგუფის ფარულ ლაბორატორიაზე პოლიციის თავდასხმის დროს დაჭრილი თომა ჩუბინიძე შეიპყრეს და მოათავსეს ბაილოვის ციხეში. ამ შეტაკების დროს დაიღუპა ცნობილი რევოლუციონერი სტეპკო ინწკირველი.

თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას განსაკუთრებით აწუხებდა თომას დაპატიმრება, რადგან თვითმპყრობელობას განზრახული ჰქონდა მისი სიკვდილით დასჯა. სათანადო მოთათბირების შემდეგ გადაწყდა თ. ჩუბინიძის გაქცევის მოწყობა. ამ მიზნით რამდენიმე პარტიული ამხანაგი თბილისიდან ჩავიდა ბაქოში და დაუკავშირდა ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობას, კერძოდ, სტეფანე შაუმიანს.

1908 წლის დამდეგისათვის თომა ისევ თბილისში და არალეგალურ პარტიულ მუშაობას განაგრძობს. ამ პერიოდში თბილისის ბოლშევიკური კომიტეტი ძლერ დიდ გაჭირვებას განიცდიდა სახსრების უქონლობის გამო. როგორც გამოსაკლისი 1909 წლის იანვარში მიზეილ ბოჭორიძეს წამოაყენა წინადადება გორის ხაზინიდან თთავრობის სახსრების ექსპროპრიაციის მოწყობის შესახებ. მეწუნეველებმა სასტიკად გილაშქრეს ამის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ბოლშეგიკურმა ჯგუფმა მოიწონა ბოჭორიძის წინადადება და ამ ოპერაციის მოსაწყობად შეადგინა კიდევ სპეციალური რაზმი, რომელშიც შედიოდნენ თომა ჩუბინიძე (რომელიც მაშინ თავად მაყაშვილის გვარს ატარებდა), მარო ბოჭორიძე და სხვანი. მაგრამ ეს წამოწყება მარცხით დამთავრდა. საქმე ისაა, რომ დაეცვა შეიტყო ხაზინის ქვეშა შიწის ს

ქართველმა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს სათავეში ჩადგომოდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ სახალხო გამოსვლებს. ამ მიზნით 1918 წლის დამდეგს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოსცა სპეციალური ბირთვი ამბოხებებისა, რომელსაც ევალებოდათ ამ საქმის საერთო ხელმძღვანელობა. პრაქტიკული მუშაობისათვის ცენტრიდან აღგილზე გაგზავნეს პარტიელ მუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ შორის აფხაზეთში — ა. დოლიძე, სამეგრელოში—ა. გეგეჭკორი, შ. ასკურავა, რაჭაში—ა. ელბაქიძე, დუშეთში—თ. ჩუბინიძე, მ. პაპუნაშვილი, თ. შეშიაშელი და სხვ.

თუმა ჩუბინიძე დუშეთში ჩავიდა 1918 წლის აპრილში და მაშინვე შეუდგა პარტიულ-პოლიტიკურსა და ორგანიზატორულ საქმიანობას. ადგილობრივი ბოლშევიკები ჩუბინიძის მეთაურობით ჩვენი პარტიის დიადი ლოზუნგების ქვეშ, ამზადებდნენ შრომელ მასას შეიარაღებული გამოსვლებისათვის, ამზელდნენ ხელისუფლების სათავეში გამძვრალ მენშევიკებს, მოეწოდებდნენ გლეხებს, ხელი შეეწყოთ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისა და ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

1918 წლის 6—7 ივნის სოფელ მჭადიჯვარში მოწვეული პარტიული აქტივის არალეგალურ სხდომაზე, რომელმაც განიხილა დუშეთის მაზრაში შეიარაღებული აჯანყების მომზადების კონკრეტული გეგმა, ჩუბინიძე არჩეულ იქნა რევოლუციური ცენტრის თავმჯდომარედ. მასვე ჰქონდა დავალებული საერთო ხელმძღვანელობის გაწევა სამხარო კომიტეტის პარტიული, სამხედრო და სამოქალაქო საქმიანობისათვის.

1918 წლის 17 ივნის, აჯანყების დაწყების პირველი დღიდანვე, თომა ჩუბინიძე შევიდა სამხედრო-რევოლუციური შტაბის შემადგენლობაში ბოლო დუშეთის მაზრიდან მენშევიკების განდევნის შემდეგ 25 ივნის მოწვეულმა ჯერთა ყრილობამ იგი აირჩია ჯერთა დეპუტატების საბჭოს დუშეთის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

თომა ჩუბინიძე დაუკავშირდა თბილისსა და ელადიკავკაზის ბოლშევიკურ კომიტეტებს და თ. შეშიაშელთან, მ. პაპუნაშვილთან და სხვებთან ერთად მოაწყო იარაღისა და მედიკამენტების გადმოტანა აჯანყებულთა დასახმარებლად. იგი ხელმძღვანელობდა იგრეთვე რევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის წარმართულ საქმიანობას ადგილებზე.

1918 წლის 2—6 ივლის დუშეთის დაცვის უძნელეს დღეებში თომა ჩუბინიძე ყოველმხრივ ალაპმეორტყმულ რევოლუციონერთა პირველ რიგებში იმყოფებოდა და გმირულად იბრძოდა მენშევიკების შავარაზმული შემტევი ნაწილების წინააღმდეგ.

1918 წლის 13 ივლისს, სოფელ ყაზბეგის მახლობლად, დამსჯელ რაზმემთან ცხარე ბრძოლასს მძიმედ დაჭრილი თომა ტყვედ ჩაუვარდა მტერს და მენშევიკ ჯალათებმა ბრძანებით იქვე იქნა დახვრეტილი.

1928 წლის 29 თებერვალს თომა ჩუბინიძე, როგორც სამოქალაქო ომის გმირი, დაღუპვის შემდეგ დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

დუშეთის აჯანყებაში მონაწილეობა იყო უკანასკნელი და უბრწყინვალესი პერიოდი თომა ჩუბინიძის რევოლუციური მოღვაწეობისა. მან კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა თავის მდიდარ ბიოგრაფიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა ივანიძე

ჩვენი პოლიტიკა ხალხის სამსახურია

„საჭიროა მხოლოდ გიყვარდეს, გიყვარდეს ადამიანი, აი ეს უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი... გიყვარდეს — და შენ შენს საქმეს გააკეთებ.

და მასაც უყვარდა, უყვარდა ასეთები...

და მთაც უყვარდათ იგი. ბევრმა, ბევრმა გულწრფელი ცრემლებით იტირა, როდესაც გაიგო, რომ ნოე ალარ არის, ისინი მწარედ აქვითინდნენ...“ ასე იუწყებოდა გაზეთი „ტერგასკაია პრავდა“ თერგის საბჭოთა რესპუბლიკის პირველი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის სამუელ (ნოე) ბუაჩიძის მუხანათური მოკვლის ამბავს.

სამუელი, რომელსაც პარტიასა და ხალხში ნოეს სახელით იცნობდნენ, განათლებული პარტიასტი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ბოლშევიკი იყო. მის განუყრელ თვისებებს შედგენილი პრინციპულობა, რევოლუციური გამბედაობა და თავდადება, მშრომელთა სიყვარული და მძაფრი სიძულვილი სოციალიზმის მტრებისა.

იგი დაიბადა დასავლეთ საქართველოში, პატარა სოფელ ფარცხნაღში, ღარიბი გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. შემდეგ სწავლობდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. ამ პერიოდში დაუმეგობრდა ახალგაზრდა სერგო ორჯონიკიძეს. მათი ურთიერთობა და მეგობრობა შემდეგ სულ უფრო ღრმავდებოდა და მტკიცდებოდა. ახალგაზრდა ნოეზე დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი პარტიის ერთ-ერთმა უხუცესმა წევრმა მიხა ცხაკაიამ. ამ უკანასკნელმა ჩაუნერგა მას რევოლუციური მუშაობის სიყვარული.

პროფესიით ნოე პედაგოგი იყო. მას ძალიან უყვარდა თავისი საქმე, ძალასა და უნარს არ ზოგავდა, რათა რაც შეიძლება მეტი ცოდნა გადაეცა ბავშვებისათვის. ნოე დაუღალავად იბრძოდა სასწავლებელში დამკვიდრებული სწავლების სქოლასტიკური მეთოდების წინააღმდეგ. იგი იყო პედაგოგი ნოვატორი, პედაგოგი რევოლუციონერი.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ნოე ბუაჩიძე დაუღალავად მუშაობდა პარტიულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. 1902 წელს იგი შედის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში.

სანტერესოა მისი პარტიული სახელის „ნოეს“ წარმოშობის ამბავი. ერთ დღეს ბელაგორის პარტიულ ორგანიზაციას (1903 — 1905 წლებში იგი იყო ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი) კრება ჰქონდა დანიშნული. იმ ხანებში კრებები უმთავრესად სოფლის გარეთ, მყუდრო ადგილას და, ამასთან, მთვარიან ღამეში ტარდებოდა. კრება სოფელ ფარცხნალიდან ცოტა მოშორებით, ტყეში მოიწვიეს. ორგანიზაციამ ახლომახლო სოფლებში წინასწარ დაგზავნა თავისი წარმომადგენლები, რომლებსაც ხალხისათვის უნდა ეცნობებინათ კრების ჩატარების ადგილი და დრო, ამასთან ისიც უნდა ეთქვათ, რომ კრებაზე იქნებოდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრებიც. კრებას ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის ქალებიც. კრებაზე მოვიდა აგრეთვე სამუელ ბუაჩიძის ოჯახის ყველა წევრი (მამა, დედა, დები და ძმები). როცა ხალხი უკვე შეგროვდა, ამ დროს გამოჩნდა სამი უცნობი: მათგან ერთი განსაკუთრებულ ყურადღებას იაკრობდა; მას წვერი ჰქონდა მოშვებული და ოდნავ კოჭლობდა. ამხანაგები მას „ნოეს“ ეძახდნენ. თავმჯდომარემ პირველი სიტყვა სწორედ მას მისცა. ნოემ ილაპარაკა გლეხების აუტანელ მდგომარეობაზე, მოეწოდა მათ ბოიკოტი გამოეცხადებინათ მემამულეებისა და სამღვდელოებისათვის, უარი ეთქვათ გადასახადების გადახდაზე. — ამ ბედშავი მდგომარეობიდან თქვენი ხსნა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციას, რომელშიც თქვენ უნდა შეასრულოთ მუშათა კლასის მოკავშირის როლი, — ეუბნებოდა ხალხს ორატორი. ნოეს შემდეგ კიდევ რამდენიმე კაცი გამოვიდა. პირველი ორატორის ვინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა ხალხისათვის უცნობი დარჩა. ეს უცნობი, რომელსაც ამხანაგები „ნოეს“ ეძახდნენ, იყო სამეულ ბუჭიჩეკ. მან ნიკ ოსტატურად და მოხერხებულად შესცლო ჯრიმის გაკეთება და ხმის გამოცვლა, რომ მისმა მშობელმა დედამაც კი ვერ იცნო.

ამ დროდან „ნოეს“ სამეულ ბუჭიჩის პარტიულ მეტსახელად იქცა.

ნოე აქტიურად მონაწილეობდა 1905—1907 წწ. რევოლუციაში. იგი ამ პერიოდში იყო იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიერ შექმნილი სამხედრო-რევოლუციური შტაბის ერთ-ერთი მთავარი წევრი და ბელგართის მებრძოლი წითელი რაზმის მეთაური. სამრალდებო ოქმში „ქუთაისის გუბერნიის შორამპნის მაზრაში 1905 წლის დეკემბერსა და 1906 წლის იანვარში რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეთა სიკმის შესახებ“ აღნიშნული იყო, რომ ბელგართის რევოლუციური ორგანიზაციის სათავეში იდგა სამეულ ბუჭიჩეკი ეს უკანასკნელი ხშირად აწყობდა მიტინგებს.

მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობისა და „ყვირილა-ბელგაროის რესპუბლიკის“ ორგანიზაციის გამო, როგორც ამ სამრალდებო ოქმში იყო ნათქვამი, მეფის ხელისუფლებამ საქმე გადასცა „კავკასიის სამხედრო სასამართლოს საომარი დროის კანონებით გასამართლებისათვის“. ნ. ბუჭიჩეკს მიუყენეს სამხედრო დებულების 279-ე მუხლი, რაც სიკვდილით დასჯას თვალისწინებდა, მაგრამ მან მოახერხა დამალვა, მამაცი რევოლუციონერი ხელიდან გაუსხლტა მეფის სატრაპებს. ოხრანკა დიდი ხნის განმავლობაში დაეძებდა ბუჭიჩეკს, მაგრამ ვერ აგნებდა მის კვალს.

ამის შემდეგ ნოე ჯერ ვლადიკავკაზში ცხოვრობდა, მერე მოსკოვში, სადაც დაამატებიმეს და მოათავსეს ცნობილ „ბუტირკის“ ციხეში. მოსკოვის სასამართლომ, რომელიც 1907 წლის დეკემბერში შედგა, მას 4 წლით საკატორღო მუშაობა, ხოლო შემდეგ ციმბირში სამუდამოდ გადასახლება მიუსაჯა. სასჯეულს ნოე ვოლოგდას სატუსაღოში იხდიდა. 1910 წელს იგი აქედან იაკუტიის ოლქის სოფელ ისიფკოში გადასახლეს, საიდანაც 1911 წელს საქართველოში გამოიქცა. მას აქ ცოტა ხანს მოუხდა გაჩერება, ჯერ ნოეორსისიასში ჩავიდა, შემდეგ ოდესაში, საიდანაც გემით საზღვარგარეთ — თურქეთში გაემგზავრა.

ნოე ბუჭიჩის მიერ იმპერიალისტური ომისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ წარმოებული პროპაგანდამ სულთანის თურქეთის ხელისუფალთა აღშფოთება გამოიწვია. ნოეს დევნა დაუწყეს. თურქეთის რეაქციულ პრესაში მის საწინააღმდეგოდ რამდენიმე წერილიც დაიბეჭდა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში იქ დარჩენა მისთვის უკვე შეუძლებელი იყო. ამიტომ 1914 წლის ზაფხულში კათოლიკური ბასლისის მსახურის ტანისამოსში გამოწყობილმა ნოემ თურქეთი დატოვა და ბულგარეთში გადავიდა. აქ მან სულ რამდენიმე თვე დაჰყო.

ნოე ბუჭიჩიის აქტიური რევოლუციური მუშაობა არც ბულგართის მთავრობის ყურადღების გარეშე დარჩენილა. ერთ დღეს პოლიცია მას თავს დაესხა, დააპატიმრა და შემდეგ ბულგარეთიდან გაადევნა. ნოე შვეიცარიაში ჟენევაზარი და 1914 წლის ბოლოს ქალაქ ჟენევაში ჩავიდა.

ნოე ბუჭიჩიის ცხოვრებაში უყოფლისად მნიშვნელოვანი პერიოდი ჟენევაში გატარებული წლები. აქ ნოე პირველად შეხედა ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელს ვ. ი. ლენინს. ვლადიმერ ილიას-ძე დიდი ნდობით ეკიდებოდა ნოეს; იგი მასში ხედავდა მტკიცე და შეუდრეკელ ბოლშევიკს. ლენინ ნოესადმი დიდ ყურადღებას აჩენდა. იგი სიამოვნებით უსმენდა ხოლმე ნოეს ყოველ წერილზე, აძლევდა რჩევა-დარიგებას; განუმარტავდა პარტიის პოლიტიკას და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

როგორც გადასახლებაში, ისე ემიგრაციაში ყოფნის დროს ნოე ბუჭიჩიე დაუღალავად და გატაცებით მუშაობდა თავისი იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად.

საყურადღებო და ამასთან ერთად თვისებურია ნ. ბუჭიჩიის აზრები ანტაგონისტურ საზოგადოებაზე, კლასებზე, სამშობლოზე. ერთ-ერთ წერილში, რომელიც კოლოგდაში გადასახლების დროს არის დაწერილი და დათარიღებულია 1908 წლის 12 იანვასით, ნ. ბუჭიჩიე წერდა: „ცხოვრების დედაარსი სხვადასხვა ინტერესებით და მისწრაფებებით აღსავსე ორი ჯგუფის ბრძოლაშია დამარსული. ამ ორ ჯგუფს შორის სამკვეთრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქმნის და იმეშავებს იმ ძირითად პირობებს, რომლებითაც იზომება კაცთა ბედნიერება თუ უბედურება, პროგრესი თუ რეგრესი. კაცობა-ადამიანობას ამიტომ აქვს მეგიდრო კავშირი ამ ბრძოლასთან. კაცი ის არის, ვისაც გათვალისწინებული აქვს ეს ბრძოლა, მისი შემქმნელი მიზეზები, კანონი და შედეგები, ვისაც, ამასთან, თავისი იდეალიო, თავისი შრომისა და ცხოვრების საგნად არჩეული აქვს ის მოელენესა და ძალებს შეუწყოს ხელი, რომელნიც ქმნიან კაცთა ბედნიერებას, კაცთა პროგრესისათვის საჭირო პირობებს“.

მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო ნოე ბუჭიჩიის ცხოვრება და მოღვაწეობა რრდილოეთ კავკასიაში, თერგის ოლქში, ეროვნებათა ამ კონგლომერატში. აქ იგი 1917 წლის მაისის ბოლო რიცხვებში ჩამოვიდა. ჩამოსვლისთანავე თერგის მუშებში, შრომელ კაზაკებსა და მთიელებში უყოფლისად დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა.

ნოემ აქ გაიცნო და დაუმეგობრდა სერგეი კიროვს, მასთან ერთად იგი ენერგიულად ხელმძღვანელობდა თერგის ბოლშევიკებს და თერგის მშრომელი მასების თავდადებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ნოე ბუაჩიძისა და სერგეი კიროვის მიერ ჩატარებულმა დიდმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. 1918 წლის 4 (17) მარტს, 11 საათსა და 35 წუთზე, განეუკეტელი და ჭეშხარე ოვაციით თერგის ოლქის ხალხთა პიატიგორსკის ყრილობამ ცნო საბჭოთა ხელისუფლება და მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, რევოლუციის ბელადს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს.

გამოცხადდა თერგის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე შეეიდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში. თერგის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო საბჭოს შეადგინა თერგის პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო. პირველი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლენინის ერთგული მოწაფე, თერგის ბოლშევიკების ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი სმეულ (ნოე) გრიგოლის-ძე ბუაჩიძე.

ნოე ბუაჩიძემ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის შშენებლობის, მისი დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის, მზარის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს. 1918 წლის მარტში იგი პირდაპირი მაგთელით ესაუბრა ვ. ი. ლენინს. ნოემ გაიცნო ლენინს თერგის საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება და ის უადრესად დიდი სიმნელეები, რომელთა პირობებში თერგის ბოლშევიკებს უხდებოდათ მუშაობა. რევოლუციის ბელადმა მას მისცა მთელი რიგი სახელმძღვანელო მითითებანი როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა სახელმწიფო შშენებლობის საკითხებზე.

1918 წელს ნ. ბუაჩიძის ხელმოწერით გამოიცა მთელი რიგი დეკრეტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოო აპარატის დამსხვრევას და ახალი, საბჭოთა ტიპის დაწესებულებების შექმნას.

თანამედროვე მოთხრობა, როგორც ვთქვეთ, ამგვარ სიუჟეტს ალარ შეიცავს. მაგალითად, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები მთლიანად აგებულია მოგლენათა ფსიქოლოგიური მხარის გადმოცემაზე. ამიტომ მწერალი ყოველთვის მოგლენათა სწრაფ განვითარებას კი არ ეძებს, არამედ პირიქით — თითქოს განზრახ ანელებს კიდეც მას. ამ „შენელებით“ აღწევს ნ. ლორთქიფანიძე მოთხრობის დინამიურობას და ემოციურ დაძაბულობასაც. რით გამოიხატება ეს? ნ. ლორთქიფანიძე საგნებსა და მოგლენებს ძალს ყოველდღიურ, ჩაზგასშელად სტატიკურ მდგომარეობაში გადმოცემს. ამიტომ კარგად მისთვის თავის ფუნქციას კლასიკური მოთხრობის სიუჟეტი.

1853 წლის 1 ნოემბერს ლ. ტოლსტოიმ თავის „დღიურში“ ერთი ასეთი შენიშვნა შეიტანა: „მე ვკითხულობდი „კაპიტანის ქალიშვილს“ და, ვიგულახ, რომ უნდა გამოვტეტე — დღეს პუშკინის პროზა უკვე მოძველდა, არა ენით, არამედ გადმოცემის მანერით. ახლო მომავლეულებში განცდათა ნიუანსებით დაინტერესებას სამართლიანად შეცვლის თვით მოგლენებით დაინტერესება. პუშკინის მოთხრობები როგორღაც „შიშველნი არიან“.

აქ ლაპარაკია არა მხოლოდ „ნიუანსებზე“, არამედ საერთოდ თხრობის პრინციპებზე, მოქმედების კანონებზე. და ფრიად სამსტატიტრია, რომ დიდმა მწერალმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეამჩნია აღნიშნული გარემოება.

დღეს, როგორაც ვკითხულობთ ი. ბუნინის (ანსაკუთრებით მეორე პერიოდის) მოთხრობებს,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ვთქვათ, „პარიზში“ ანდა „მეზობელს“, აშკარაა, რომ ბუნნი ამ მოთხრობებს ბევრს ყოველდღიურობის განზრახ გაძლიერებულ, უფრო სწორად, „გამეფულებრივებულ“ ფონზე. მეორე მოთხრობას თითქმის სულ აღარა აქვს სიუჟეტი, მაგრამ მას იგი ალარე ესაჭიროება. პირიქით, ყოველდღე გადმოცემულია ღრმა სტატიურობაში, აქეთ მოლიანად გადატანილია განწყობაზე და ეს განწყობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხაზგასმულია სწორედ სიუჟეტის განუვითარებლობით.

ცხადია, აქედან ის არ გამოდინარეობს, თითქოს თანამედროვე მოთხრობა მოწყვეტილი იყოს კლასიკურ ტრადიციებს. სრულიადაც არა. იგი ამ ტრადიციათა კანონზომიერი განვითარებაა და შორს დგას იმათგითვე უბადიებულ მოდერნიზმისაგან. ეს სავსებით გასაგებია: ყოველგვარი მოდერნიზმი უპირველეს ყოვლისა სწორედ თანადროულობის აღლოსაა მოკლეულია. ცნობილია, რომ მოდერნიზმი დღესაც პირველი იმპერიალისტური ომისფრონტელი ანტირეალისტური ხელოვნებიდან ამოდის. ლაკნნესის მოსწრებული თქმით, დღევანდელი მოდერნისტები თავიანთი ჰპპის კალუშებით დადიან. ასეთი განცხადება კი არ შეურაცხყოფაა არც ბუნნისა და არც ლორთქიფანიძეს. პირიქით: სინამდვილის რეალისტური წარმოსახვით ლორთქიფანიძე კლასიკური პროზის საუკეთესო ნიმუშს ტრადიციებს აგრძელებს, ხოლო მხატვრული ფრაზის ბეჭედი ალ ეჭირებოდა. ეს ალ ეუჭერა, სულ ნაწილა ორბელიანსაც ეუკადრებდა. ის ახალი, რაც ლორთქიფანიძეს ჭარბად მოაქვს თავის მოთხრობებში, თანადროულის ღრმა გაგებითა და მხატვრულად სწორი წარმოსახვით აიხსნება.

სიახლე თვით საგებისა და მოვლენების თავისებურ, განსხვავებულად აღქმას გულისხმობს. ამის საილუსტრაციოდ მე მინდა ერთიმეორეს შევუპირისპირო მოპასანი და ნ. ლორთქიფანიძე: მხედველობაში მაქვს „მენეუტტი“ და „ბებრები“. პირველი მოთხრობა დაწერილია დაუბრეწეულ დღეებზე: მოხუცი ცოლ-ქმარი ლუქსემბურგის ბაღს ესტუმრება ხოლმე — ეს ბაღი მათთვის წარსული საუკეთესო დასტურია. აქ ისინი სწუხან განგალიზე და თავიანთ ახალგაზრდობას მივიწყებული, გრაციოზული მენეუტით ეზმაურებიან ბაღის სიმარტოვეში. მოპასანი ყოველივე ამას გადმოსცემს მოქმედებით, მოეცოდნელა პასაჟებით. მოთხრობის სიუჟეტი ვითარდება სწრაფად და ამ განვითარებაში თანდათანობით იძერწება მოხუცთა ხასიათები. მოთხრობის ფინალი ასრულებს ამ ხასიათებს, ზედმწვნევნი რელიფურს ხდის მათ. მეორე მოთხრობაც დაუბრუნებელ დღეებზეა დაწერილი. აქაც მოხუცი ცოლ-ქმარი ეგონებს ზორეულ წარსულს. მაგრამ ამ ჯერად ლორთქიფანიძისთვის მთავარია არა ცხენთ შემოგალირთება (მენეუტის სპპირისპიროდ), არამედ ამ მოგონებით გამოწვეული განცდა, ამ განცდის დეტალურად, მრავალმხრივად ანალიზი ამიტომ მწერალი ასე იწყებს თხრობას:

„ხელის გულივით სწორია ახნაურ ბეგლარის ფერხლიის ოდეს ეზო. ნაშუადღეევს სიოს ენა ქნძისა, პატნისა და ოპბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გადაეკვეს. წნელის ღობე, კვინტები და ყორე გადაჭარბოულა მაყვალთ; დაუდღეული ღორი ამაოთ ღრტენსს — შემსოლეს ვერ ახეიზრეს. ყვავაყინილი ორსართულიანი პატარა ოდის პალატნი ეკოხნეა ცალი ხარი და ქალბატონ ეკატერინეს უშობელი. ზედა სართულის ალვაზე მოჩანს ალეფერნი ჩამოკიდებული სასროო ბადე და ოდ მოძველებული კეცი. ოდის წინ ნიკეზის ძირში გაფეენილ ეილოფეს წეეს ბერანვის ამარა, წყლებგამდილი ბეგლარი. გრძელ სკამზე ფულ-ვეკრეს ფშუშენის ძმანრე ეკატერინე.

დაცხრა მზე. ჩრდილმა მოიკიდა ფეხი. მეზობლებმა ფანჯრები გაალეს. დაბურული ოთახიდან ხალხი ჰაერში გამოეფინა“.

ამ უძრაობისა და სიმარტოვის გრძნობას მწერალი მოთხრობის ბოლოს ზედმეწევნით აქლიერებს „მოგონებათა ბორეულნი გახეეული სხეედნ, და ძნელი გამოსაცნობია, სეოვლენ თუ გაქვადებულ“, — წერს იგი მოხეცეების შესახებ. ლორთქიფანიძეს უპირეველესად კონკრეტული გაწერილია, მისი რეალური პირობები აინტერესებს (იგი თვით ამბავსაც დაალეკვნით გადმოსცემს). ამიტომაცაა პირველი მოთხრობის სათაური „მენეუტტი“, ხოლო მეორისა — „ბებრები“.

ცალკეული მოვლენის ყოველმხრივმა და დაწერილებითმა ანალიზმა თანამედროვე მოთხრობაში შეაცვალა სიუჟეტის მდინარება. ჩვეულებრივ, დრის მცირე მონაკვეთი აღებულია ხოლმე სტატიურ მდგომარეობაში. მაგალითად, ცრონეი ამერიკელი მწერალი ე. ჰემინგუეის მოთხრობა „კაცი წვიმაში“ მხოლოდ ერთი მოვლენის ფსიქოლოგიურ ანალიზს შეიცავს. მაგრამ ეს მოვლენტი სავსებით ტიპიურია მოთხრობაში განსაზღვრებული ხასიათებისათვის. ამაგე დრის თხრობა განზრახ შენელებულია უკიდურესობამდე. ეს კარგად ჩანს მეორე ამერიკელი მწერლის ე. კოლდუელის მოთხრობაში „ტეეკ ალარა“ შვედებისაგან“, რომელშიც ერთი და იგივე ფსიქოლოგიურად სწორად მერეული ფრაზა (დიალოგებში თუ ავტორისეულ რეპლიკებში) თხრობის მანძილზე რამდენჯერმე მეორდება. ასეთი ხერხი, რომელიც თავისთავად ახალი არაა, როგორც ჩანს, საკმაოდ პოპულარული დასავლურ მწერლობაში (მაგალითად, ჯოენ ბერნის „წყანარი ამერიკელი“, უ. საროიანის მოთხრობები და სხვ.). მისი ფუნქციაა — დასცეს მოთხრობის ტემპი და მკითხველის ყურადღება მთლიანად ერთ კონკრეტულ განწყობაზე გადაიტანოს.

კითხვა, რომელიც შეიძლება დაისვას ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, ალბათ ასეთი იქნება: ხომ არ შეიძლება კლასიკური სიუ-

ჟეტის შერწყმა თანამედროვე მოთხრობის ახალ ტენდენციებთან? მართლაც და, ასეთი თვარიელი ვარიანტი თითქოს საუკეთესო უნდა ყოფილიყო. მაგრამ სინამდვილეში ეს საჭირო აღარაა — თანამედროვე მოთხრობა თავისი ბუნებით ჭკვეთრად გამოკვეთილ სიუჟეტს (კლასიკური გაგებით) აღარ საჭიროებს. მაგალითისთვის მოვიყვანთ სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „შემოდგომის წვიმა“.

წვიმის გაუთავებელი ზოლები, დანისლული ბარემი და მანქანალს სერნელება სოფლის თითქოსდა დაუსრულებელი, ერთფეროვნება დღის მძაფრ შთაბეჭდილებას ქმნის. მწერალი „წვიმიდან“ თუ „აღარ წვიმდის“ მოშამბუზრებელი სეირათების სპეციფიკური აღწერით თანდათან ანლიერებს ამ შთაბეჭდილებას, რადგან იგი საჭიროა მოთხრობის ძირითადი ხაზისათვის.

„დანისლული ბარემი ისე პატარად არის შემოსაზღვრული, თითქოს ქვეყანა რამდენიმე ნაბიჯი იყოს და იქვე თავდებოდეს. აღარსად გელი, აღარსად მთა, ყველგან მხოლოდ ნისლის სიცარიელე“.

შემდეგ:

„ისევ წვიმდა წვრილი და ხშირი კამარით. ჰაერი ოდნავადაც არ იძროდა. თითქოს წარამეოდა ბუნებას სხვა რამე უნარი, გარდა ცრქელის დენისა. ცა და მიწა ერთმანეთში გადაქსოვილიყო წვიმის დაუსრულელი ძაფებით. წყალი ჩამოდიოდა სახურავიდან, ხეებიდან, ჩალისა და თივის ზენიენებიდან, ყველა მხრიდან ღელე მოჩხრიალებდა“.

ანდა:

„აღარ წვიმდა, მაგრამ უფრო ნოტიო იყო, ვიდრე თავსხმაში. მაშინ წვიმის ხმა მაინც ალოკცლებდა გარემოს, ახლა კი ისეთივი ფაფუნი ნესლისაგან გაბერილი იყო და დამხრჩვალს ჰგავდა“... და სხვ.

მოთხრობის ძირითადი ხაზია მათხოვრის უეცარი სტუმრობა და ამ სტუმრობასთან დაკავშირებული — „შენი კარგად ყოფნით, ნეტავი მარილეკ არ გაგეთბე“ — სიტყვები უსაზღვარო და გარიყული ადამიანისა, რომელმაც კერიის მივიწყებულები სითბო განიცადა და... მაღლობა აღარ (თუ ვეღარ) თქვა. ს. კლდიაშვილის ამ მოთხრობის გამო ბ. ხუხაშვილმა თავის წერილში „ახალი მოთხრობების კვალდაკვალ“ ასეთი შენიშვნა გააკეთა: „მწერალი... არ ხელთავაკ სიუჟეტს. მწერალი... არ გვაძლევს ამ უბედური ადამიანის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. აქ ყველაფერი გარედანაა დანახული“. მე მგონია, გ. ხუხაშვილს ამ მოთხრობის ანალიზის დროს მხედველობიდან, სულ ცოტა, ორი რამ მაინც გამორჩა: ჯერ ერთი, პეიზაჟისა და კერის სითბოს კონტრასტი. როგორც დავინახეთ, ს. კლდიაშვილისათვის ეს კონტრასტი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, წინაადგილზე შემოხვევაში სრულიად ზედმეტი იქნებოდა დაუსრულებელი წვიმის ხაზგასმული აღწერა. ამ კონტრასტ[illegible] წყალობით უეცრად გაიხსნა მათხოვრის ფსიქიკური პორტრეტიც: მან, ბოლოსდაბოლოს, მოულოდნელად აპოიონ ხმა და ამ სამიოდე სიტყვამ საოჯახოობრ გამოიტანა განწირულებისა და საკუთარი ცხოვრების უაზრობის მწარე ფიქრები, რომლებიც ამ უბედურ ადამიანში იყო დასადგურებული. მერიე, აქედან გამომდინარე, ს. კლდიაშვილმა განზრახ აარიდა თავი ყოფნელგვარ სიუჟეტურ ვარიანტებს, რადგან ეს გამოიწვევდა ისევ და ისევ ამ კონტრასტის მიდგენებას, რომელიც მას უკარნახა სინამდვილემ. ს. კლდიაშვილისათვის მთავარი იყო არა ამბავი, რომელშიც მოქმედების მეშვეობით გამოიძერწებოდა მათხოვრის ხასიათი, არამედ ერთი წუთიერი ალბზნება, რომლის დროს ყველაზე უფრო უშუალოდ იფეთქებდა ამ ადამიანის მიძინებული სული. და მწერალმა ამას სავსებით მიაღწია კიდეც.

თანამედროვე მოთხრობა რომ კლასიკური მოთხრობის შემდგომი კანონზომიერი განვითარებაა, ამას ყველაზე უკეთ მ. ჯავახიშვილის მაგალითი დასტურებს. მ. ჯავახიშვილი, ჩემი აზრით, ერთგვარი შეალედია ქართული მოთხრობის განვითარების გზაზე, და აი რატომ: ყველა მისი მოთხრობა (მოქმედების განვითარების თვალსაზრისით) ზუსტ კომპოზიციურ ხაზს მიჰყვება. ამ ხაზმა არ იცის ტეხილები, მოვლენები ერთიმეორეს ცვლის და სწორადაც ვითარდება ერთ სიბოლოო კომპოზიციურ წერტილამდე. ყველა მომდევნო მოვლენა უფრო დინამიკურია, ვიდრე წინა. ასეა, მაგალითად, მოზრდილ მოთხრობაში „ლაშაღელი და ყაშა“, ასევეა ასხმული მწვანეიერი მოთხრობა „მარილი ამდულან“. მაგრამ განცდათა დეტალურად გადმოცემისადმი ინტერესი აქ უკვე ცვლის თვით მოქმედებით დაინტერესებას. უკანასკნელი მოთხრობის სიუჟეტი ნათლად გამოკვეთილია, მაგრამ უკვე აღარაა მონოლითური, როგორც ეს კლასიკურ მოთხრობას სჩვევია; იგი იმდენად აქტიური აღარაა, როგორც დ. კლდიაშვილთან, ანდა მოპასანთან, მაგრამ აქ მაინც მოვლენათა გარკვეული რიგია და ამდულას ხასიათი სწორედ ამ მოქმედებათა საშეალებით დადის მკითხველამდე. მ. ჯავახიშვილი კლასიკური მოთხრობის ერთგულია, თუმცა ფორმ ნაკლებ ინტერესს იჩენს სიუჟეტისადმი და აქცევნ მოვლენათა ფსიქოლოგიურ წარმოსახვაზე გადააქცევს. ამიტომ მის მოთხრობებში ამბავი მუდამ დაკვეშდებარეშეა. მაგალითად, „ქუჩაში“ მწერალი სიუჟეტური ქარგითა და პასაჟებით კლასიკური მოთხრობის ტრადიციებს გაანგრძობს. საგულისხმოა ჯერ ერთი კონტრასტი — ყოველ მოსაპარლეს რეკონსეკვენციას შემდეგ თვით ასაპარლებენ; მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ მას ასაპარლებს მის მიერვე ოდესღაც უდანაშაულოდ დასჯილი. მ. ჯავახიშვილი მაინც აო სარგებლობს აღნაშნული სიუ-

ᲛᲔᲢᲐᲤᲝᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

შინ დამკვრივებული და შეკვეცილი ფრაზის აუცილებლობაც ბუნებრივად წამოიკრა. მხატვრობის თვალსაზრისით იგი ამიტომაა მეტადრე პროქტიკული, რომ ერთი და იგივე მოვლენის ყოველმხრივი ფსიქოლოგიური მოტივირების დროს შესაძლოა მისი ზნარი გამეორებაც.

ქართულ სინამდვილეში ამის საუკეთესო მაგალითია ისეე ნ. ლორთქიფანიძე; მისთვის, როგორც ღრმად რეალისტური მწერლისთვის, ასეთი ფრაზა მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა მხატვრული წარმოსახვისა. ამავე დროს მწერალს ფსიქოლოგიური მოტივირების სიმძიმე უფრო ოსტატურად გამართულ დიალოგებში გადაკვეს (რაც მას ერთგვარად აკავშირებს ფ. კლდიაშვილთან), ვიდრე ასეთი ფრაზებით გამართულ ავტორისეულ რემარკებში.

მხოლოდ და მხოლოდ მწერლის მიერ გადაჭარბებულად აქცენტირებული განწყობა საჭიროებს მხატვრული ფრაზის თვითმიზნურ სიმოკლესა და სიხშირეს. ჩვეულებრივ, აქაც თავს იჩენს ცალმხრივობა და პირმოთხრა. მოთხრობა, მარტოოდენ „საერთო“ განწყობის წარმოსახვის გამო, აბსტრაქტულად ხოლმე და განყენებული, მწერალს მხედველობის არედან რჩება (თუ იგი განზრახ ვერ ხედავს) მოთხრობის სოციალურ-ისტორიული ბალანე. ამ „სენით“ არის შეპყრობილი, ეჭვმეტეს თავ, თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის საუკეთესო ფრთაც — ჰემინგუეი, სარიანი და სხვ. ცხადია, რომ ეს სულ ადვილად აიხსნება მწერლის პარტიულობითა და სოციალური ტენდენციებით.

თანამედროვე საბჭოთა მოთხრობისათვის ასეთი თვითმიზნურობამდე მისული „აბსტრაქტული“ განწყობის წარმოსახვა, კონკრეტული სოციალურ-ისტორიული ბალანის გარეშე, რა თქმა უნდა, იმთავითვე უცხოა. პირიქით — საბჭოთა ლიტერატურა სწორედ სინამდვილის ყოველმხრივსა და სწორ ისტორიულ სურათს გადმოსცემს. უპირველეს ყოვლისა სიმართლე — ასეთია ის აუცილებელი წინაპირობა, რომელიც კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებმა დაუტოვეს ჩვენს თანადროულობას. „უპირველესად, ჩემო მეგობრებო, არაა საჭირო სიცრუე... ხელოვნება იმითაა განსაკუთრებული და კარგი, რომ იქ არ შეიძლება იცრუო...“ — ამბობდა ჩეხოვი და დასძენდა: „შეიძლება იცრუო სიყვარულში, პოლიტიკაში, მედიცინაში, შეიძლება მოატყუო ადამიანები და თვით უფალი ღმერთიც, — ყოფილა ასეთი შემთხვევებიც, — მაგრამ ხელოვნებაში სიცრუე არ შეიძლება...“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ კაკაბაძე

ლიონ ფოიხტვანგერის რომანი გოიას შესახებ

ავტორი თხუთმეტი რომანისა, რომელთაგან ათი — ისტორიულ თემას ეხება, 71 წლის ლიონ ფოიხტვანგერი შემოქმედებითი ძალების აყვავების პერიოდშია. სწორედ სიჭარმაგის წლებში განიცადა მან მკვეთრი იდეურ-მხატვრული მეტამორფოზა, რაც ადრეული ნაწარმოებებსა („უსახური ჰერცოგი ქალი მარგარიტა მაულტაში", 1923, „ებრაელი ზიუსი", 1925, „იუდეველთა ომი", 1932, „ცრუ ნერონი", 1936 და სხვა) და ბოლოდროინდელ რომანებს შორის არსებულ განსხვავებაში გამოიხატა.

თავისი ერთ-ერთი რომანის („მელიები ვენახში") ბოლოს ფოიხტვანგერი ისტორიული ნაწარმოების ავტორზე შენიშნავდა: „მას სურს აწმყო განასახიეროს — იგი ისტორიაში ეძებს არა ფერფლს, არამედ ცეცხლს. მას სწადია თავისი თავი და მკითხველი აიძულოს, უფრო ნათლად დაინახოს აწმყო მისგან უკუქცევის მეოხებით".

ლიონ ფოიხტვანგერის ბოლო დროის ისტორიული რომანების ღირსება ისაა, რომ მიუხედავად მწერლის ცდისა — თანადროულობის პრობლემები ისტორიულ სამოსელში გათავსებისაჩინოოს—მის რომანებში მაინც დაკარგული არაა ისტორიული კოლორიტი და სურნელი, ე. ი. ეს რომანები არაა ზედმეტად მოდერნიზებული და მეტისმეტად „აქტუალიზებული", რაც მკითხველის ესთეტიკურ სიამოვნებას ვნებას აყენებს ზოლმე. მის ადრეულ ნაწარმოებებში კი თანადროულობა, აწმყო ერთთის მექანიკურად, შიშვლად, უშუალოდ გადაატანებოდა წარსულში. ისტორია, შორეული ეპოქა მხოლოდ ჩაჩარი იყო ავტორისათვის სანტერესო ამბისა თუ იდეათა კომპლექსისათვის. ფოიხტვანგერი უძველესი ჩანს ისტორიულ პიროვნებებს თანამედროვე ადამიანთა ფსიქიკას, აზრთა წყობასა და ემოციებს მიაწერდა, რასაც მის ნაწარმოებებში ანტიისტორიული სიყალბე შეჰქონდა. იგი უხეშ ანაოლოგიებსა და პარალელებს ატარებდა ისტორიასა და თანადროულობას შორის (ისე, მაგალითად, „ცრუ ნერონში" გამოყენებულია ჰიტლერის, გერინგის, გებელსის და სხვათა პარალელური პერსონაჟები. ასევე ვნახულობთ ამ რომანში ფაშისტების მიერ რაიხსტაგის დაწვის, დიმიტროვის პროცესის, წოგნების საჯარო განადგურებისა და სხვა პარალელურსა და ანალოგიურ ამბებს). და მიუხედავად იმისა, რომ ფოიხტვანგერი უმეტეს შემთხვევაში ძველი დროის, გარკვეული ქვეყნის ზნეთა, ჩვეულებათა და ყოფითი დეტალების სწორ, გაუყალბებელ სურათს იძლეოდა, მაინც მისი ადრინდელი ისტორიული რომანები ანტიისტორიზმით ხასიათდებოდა.

ლიონ ფოიხტვანგერის უკანასკნელი რომანები — „გოია ანუ შეჩეენების ბედითი გზა", „სიბრძნე შლეგისა ანუ სიკეთილი და გარდაქმნა ანნ ჟაკ რუსოსი", „მელიები ვენახში" და „ტოლედოელი ებრაელი ქალი" უდავოდ ახალი ეტაპია მწერლის შემოქმედებაში.

ფოიხტვანგერის რომანი გოიას შესახებ ორ წიგნად ჩაფიქრებული ნაწარმოების მხოლოდ პირველი ნაწილია. მასში არ სრულდება XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის უდიდესი ესპანელი მხატვრის შემოქმედებითი გზა; რომანი მოიცავს გოიას ცხოვრებას 1793 წლიდან მოყოლებული 1806 წლის ჩათვლით.

იწყება რომანი და მკითხველი შედის XVIII საუკუნის კათოლიკურ ესპანეთში. საუკუნის მიწურულია. დასავლეთ ევროპის თითქმის ყოველი კუთხიდან განიდევნა შუა საუკუნეები, მხოლოდ იბერიის ნახევარკუნძულზე, რომელიც სამი მხრიდან ზღვით, ხოლო მეოთხე მხრიდან მთებითაა გარემოცული, შუა საუკუნეები კვლავ ძალაშია.

ინკვიზიცია ჯერ კიდევ მძვინვარებს, აუტოდა-ფეთა ცეცხლი ჯერ არ ჩამქრალა, ფრანგული ენციკლოპედია აკრძალულია. დიდ ინკვიზიტორთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებიან გრანდებიც კი, მინისტრებიც, თვით მეფე...

...მადრიდში ჰერცოგის ქალის კიტანა დე ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას სასახლეში თავი მოუყრია ესპანეთის მაღალ არისტოკრატიას. პარიზის რიოალისტერად განწყობილი მსახიობები, რომლებიც საფრანგეთის რესპუბლიკამ პირნეების გადაღმა გადიარეს, ფრანდელად დიდებულებს უწერენებენ სპექტაკლს მარია ანტუანეტის შესახებ, აქვეა ფრანსისკო გოიაც — ერთადერთი პლებეი მთელ დარბაზში. მას მდიდრულად აცვია, მაგრამ თავი ცოტათი უხერხულად უჭირავს.

რომანის დასაწყისში გოია ამოლიტიკოსად და „წმინდა ხელოვნების“ მიმდევრად გვეკლინება. მისი აზრით, ხელოვნებას არაფერი ესაქმება პოლიტიკასთან. ვინც პოლიტიკოსია გართული, მან რაიმე მხრივ აუცილებლად უნდა გადაამარბოს, ის უეჭველად ცალმხრივი, სექტანტურად შეზღუდული და ფანატიკოსი უნდა იყოსო — ფიქრობს გოია. იგი დარწმენებულია, რომ ძალაუფლება მეფეებს ღმერთისაგან აქვთ მინიჭებული. ამიტომ გოია თავს არც თუ ისე ცუდად გრძნობს გრანდების წრეში, ესპანეთის 119 გრანდიდან მას თითქმის ნახვენი უკვე დახატული ჰყავს... გოია მეფის კარზე ოფიციალურად მიღებული და პატივცემული ხელოვანია, მინიჭებული აქვს „სასახლის პირველი მხატვრის“ ტიტული, აკადემიის პრეზიდენტიც. აქვს ფული, ქონება, ჰყავს ცოლ-შვილი, საყვარლებიც. გოია სვებდნინერია. თითქოს მეტს ვერაფერს ვერ ინატრებდა კაცი, ისიც წარმოშობით გლეხი.

დიდ ინკვიზიტორს სურს საკვიდლით დასაჯოს ჩხეროვსულად მოაზროვნე, დემოკრატი და ლიბერალი ოლავიდე. რიმის პაპისაგან ნებართვა მიღებული, ინკვიზიტორს წინ ლორენზერი ეღობება. ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედებას ვერ ბედავს ვერც პირველი მინისტრი, დონ მანუელ გოდოი. მაშინ ლიბერალები გოიას სთხოვენ, იშუამდგომლოს პირველ მინისტრთან, ესპანეთის ფატიერ მმართველთან, დაარწმუნოს ოლავიდეს გადარჩენის აუცილებლობაში. მაგრამ გოია ჯიუტად იმეორებს: „მე მხატვარი ვარ, მე მხატვარი ვარ, სხვა არაფერი, გარდა მხატვრისა“. მას აუკეიტებენ აზრი, არ ჩაერიოს პოლიტიკაში, რომ პოლიტიკა, სახელწოდი მოღვაწეობა ხელოვანის საქმე არაა.

დონ კასპარ ხოველანოსი, პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალების ბელადი, დემოკრატიულად და რადიკალურად მოაზროვნე, ეუბნება გოიას: „ჩვენ, ესპანელებს, გვკვრიდეი დავიღი, რომელიც ხალხს სასახლის წინააღმდეგ მრისხანენი აღავსებდა; ის დახატავი არა ელეგანტურ ბაროვანებს, არამედ ამბოხებულებს ზეკეს. პოლიტიკურ ენებს შერეულეთ ნიჭი ხელოვანისა სასწაულებს მოიმოქმედებს“.

ასევე საყვედურობს გოიას ამოლიტიკოსობის გამო მისი ერთგული ასისტენტი ალეუტენტ ესტევი: „ენი ნიჭის მიუზღავავ, ეიღრე დიდვაროვან ბანოვანთა ხატვას თავს არ დაანებებ, ეროვნული მხატვრობა ნაგავი და უაზრობა იქნებაო“.

ერთხელ ალეუტენინან სიუბარში გოიას ეკლესიტრული აზრი დასცდება: „ეგზეუბია საეჭვო, შეგუება...“

მაგრამ თანდათანობით, ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვების, ესპანეთის სოციალურ სინამდვილეზე ფიზიკი დაკვირვების მეოხებით, რეაქციული ძალებისა და ინკვიზიციის თარეშით აღშფოთებული ფრანსისკო გოია ამოლიტიკოსიდან პოლიტიკოსად, ენებიან სახზიდით მოღვაწედ, მეგრპოდ ჰუმანისტად იქცევა. ის დარწმუნდება, რომ ამსოლუტური ნეიტრალობა შეუძლებელია: ან რეკვიცორნერების მხარეზე უნდა იყო, ანდა დემოკრატ-პროგრესისტებისა. შუა ადგილი არ არსებობს...

მას არც ეკამდე ეხალისებოდა რელიგიურ სიუეტებზე ხატვა, ამიერიდან სპბოლოდ აიკრეა ამ საკმეზე გული.

ერთხელ მან გაბუტხადა ჰერეოგის ქალს ალბას: „წმიდანების დახატვა ვერაა მინაცადამინაც სასიამოვნო საქმე. ეშმაკის გამოობაება ჩინებულად შემიძლია, ის მე ხშირად მინახავს, წმიდანები კი — ეშეიათად“. წმიდანთა, ანგელოსთა და ეიღრ არსებათა სახეებსა და ეიეურებს გოია ერთთან მიეუიტ, ამეკეეეენიერ, „ცოდეიელ“ ეიოსა და გამომეტყველებას აძლევდა. მის მიერ დახატულ ბეკრ ანგელოსსა და წმიდანში ეიოლი გამოსაცნობი იყვნენ რეალური ადამიანები, გოიას ნაცნობი ქალები და მამაკაცები. ხშირად იგი ანგელოსს მიდეკოდა რომელიმე ლამაზ როსკიპს ეიღებდა (მაგალითად, მაღრიდში განთქმულ მეძავს რაფაელს).

ინკვიზიტორები თანდათანობით აღმაცერად უწუდებენ ეკერს „მეფის მხატვარს“. რამდენჯერმე ის გაადფრთხილეს არამპრეაბარი ეზზი — დაასწრეს სხვა ბრალდებულთა გასამართლებას. მეფე-დედოფლის, აგრეთვე პირველი მინისტრის წყალობა რომ არა, გოიას ბუტა-და-ეე არ ასცდებოდა დიდი ხანია. წმიდა ოფიციუმი ბოლმასა და გეულს იგრეეეებდა მხატვრის მიმართ. დიდმა ინკვიზიტორმა ტეენიზოზომ გოიას შესახებ ვანაცხადა: „როცა ის წმიდანებს ხატავს, მათში აქსოვს შეიდსავე ცოდვას და მათ უფრო მიმზიდველს ხდის, ვიდრე სათნოებათ“.

ბოლოს გოია ამდენად აღშფოთდება რეაქციული ძალების თარეშით, რომ გადაასწავეტს გამოაშზეეფოს თავისი არსებული რეკიმის მამხილებელი, დიდებულთა და იეზუიტთა ვანმაკენებელი სატირული ოფორტები — „კაპრიჩოები“. ეს იყო კარიკატურები დედოფალსა და მეფეზე, პირველ მინისტრსა და ინკვიზიტორებზე.

და ერთ მშვენიერ დღეს გოიასთან გამოცხადდება ინკვიზიციის მეშვანთ მოსილი შეარეკი, რომელიც მხატვარს „წმიდა ოფიციუმის“ უწყებას გადასცემს: წმიდა ტრიბუნალი ინარეზეა მას.

მეორე დღეს ის ეამოეცხადდება წმიდა სამსაჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს წინაშე „წმიდა სახლში“. მსაჯული მას წინ დადგებს ოცდამესამე კარჩინოს. ამ კარჩინოს გოიას ხელით მიწერილი ქონდა: „ყოველი ქალი, რომელიც მთელ ქვეყანას ერთი ლუკმა პურისთვის ასე ბეჯითად და ნაყოფიერად ემსახურებოდა, არ იმსახურებს სასჯელი ცოდ მოაკვრობას!“

სურათზე გამოსახული იყო: მეძავი ქალი დგას ცოდვიერის სამსალეში, წმიდა ტრიბუნალის მდივანი მას განაჩენს უკითხავს. გარშემო ცნობისმოყვარე ხალხი თავშეყრილი, თავი თავზე მიუდეიათ, გიფურთოუტელი თვალებით შეპყურებენ „ცოდვილს“ და შიშით ატანილნი ისმენენ განაჩენს...

— რა გსურდათ ამით გეთქვათ, — ეკითხება მსაჯული გოიას, — ვინ ექეცეა ამ ქალს ცოდად? წმიდა სამსალეიერო?

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გიჩვენებ, რომ შემძლია ვიცეკვო ფანდანგო რომელიმე თქვენგანის გვამზე.

ტავერნას ეს გაბედული ნათქვამი მოეწონა, მაგდები კიდევ უფრო გამოიცინცხლდნენ.

მაგრამ ჯაბუკმა, რომელმაც ალბას „გაბახა" უწოდა, თქვა:

— მე დავითვლი ათამდე. და თუ შენ ამასობაში შენს ქალს პირბადეს არ ჩამოახსნევინებ, მოიღებ პანჩურს, რომელიც შორს გაგაფრენს.

გოია მიხვდა, რომ ახლა მოქმედება იყო საჭირო. ის წამოდგა ზეზე და დანა მოსსნჯა ხელით. უცებ ტავერნის გაოცების წამომძახილები მოედო. ალბას ჩამოეხსნა პირბადე. „ალბა, ჩვენი ალბა!" ისმოდა აქეთ-იქიდან (ალბა უყვარდათ, რადგან უდიდესი არისტოკრატი საქციელით სადა და უბრალო იყო, მახასავთ იქცეოდა და ხალხში გარეგვას არ თაკლობდა). მაშინ ჯაბუკმა თქვა:

— უკაცრავად, სენიორა. ღმერთმა იცის, თქვენ გაბახა არა ხართ. თქვენ ჩვენიანი ხართ.

ჩოჩქოლი მიწყდა. ტავერნა დაშოშმინდა...

გოიას, რომლისთვისაც თითქმის ყოველთვის ღია იყო დიდებულთა სახლის კარები, მალე მობეზრდა უსულგულო და ფუჭე დიდგვაროვანთა საზოგადოება. იგი გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს მდაბიოთა შორის, ვიდრე სამეფო ოჯახის ლობის წარმომადგენლებთან. მას უზომო სიამოვნებას გვრიდა ჩამოფლეთილ მეჯორეებთან და ბლეზებთან მუსაიფი, მათთან პურის გატეხვა. გოია ბუნებრივად, ყოველგვარი პოზის გარეშე, ეროდა მათს ბაასში, ჩხუბსა და აყალმაყალში. მას ავიწყდებოდა ხოლმე თავისი ზედამხედველობა. მას უყვარდა თავისი ვინაობის გაუმჟღავნებლად ხალხში შერევა, ხალხის ინტერესებით ცხოვრება, მისი ენვბებისა და ზრახვების გაზიარება.

ლიონ ფოიჰტვანგერის მიერ დახატული გოია უაღრესად ადამიანური და მიწიერი ხასიათისაა. მისთვის უცხო არაა მოკვდავთა სისუსტენი და ნაკლოვანებანი (გოია მაინცდამაინც ღრმა პატივსცემით არ ეკეცვა ცოლს; მას მრავალი საყვარელი ჰყავს, მეცრეოდენი სინდისის ქენჯნის გარეშე იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობს ცოლს, საყვარელი ქალის გულისთვის ხშირად გულს იყრის ოჯახზე და სხვა).

რომანი უდიდესი ინტერესით იკითხება. მასში მკაფიოდ იგრძნობა ისტორიის სუნთქვა და XVIII საუკუნის ესპანეთის ეროვნული კოლორიტი. ნაწარმოები ლირიკული სითბოთი და გულთადი უშუალობითაა გამსჭვალული.

ზოთა ხანთაძე

სამეგრელოში, ასი წლის წინათ...

1856—1857 წლის სუსხიან ზამთარში სოფელ სალხინოს გლეხები მთავრის სასახლის მშენებლობაზე გამორეკეს. სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანი ჩქარობდა — ეკატერინე დადიანი რუსეთიდან მალე უნდა დაბრუნებულიყო და სალხინოს სახაფეხურო სასახლე მზად რომ არ დახვედროდა, სახლთუხუცესს ცუდი დღე დადგებოდა. ისიც დაუზოგავად ამუშავებდა გლეხებს. ერთხელ თოკით აჭერნდათ კოჭი, თოკი გაწყდა, კოჭი ჩამოვარდა და ორი ათეული კაცი დააშავა. ბეკეთა ქვანია მეორე სართულიდან მოწყდა, ჩამოვარდა, თავი გაიტეხა და დაყრუებდა. გამკითხავი არავინ იყო. სამუშაოზე გამოსულ გლეხებს სახლთუხუცესსა სურსათ-სანოვაგე არ მისცა. უკვე დაგიწუებას ეძლეოდა ტრადიციული წესი, რომლის მიხედვითაც ბატონის სამუშაოზე გამოსული გლეხისთვის საუმეულ-სასმელი ბატონს უნდა ეძლია. ჯერ კიდევ დავით დადიანმა აიძულა გლეხები საბატონო სამუშაოზე საკუთარი სანოვაგით გამოსულიყვნენ და მას შემდეგ თავად-აზნაურებმა ეს წესი საყალდებულოდ აქციეს.

გლეხებმა მოიტანეს სანოვაგე და მთავრის წისქვილში სიმინდის დაფქვის ნებართვა ითხოვეს. სახლთუხუცესმა ნება დართო, მაგრამ მოხელეებს უბრძანა სიმინდის დაფქვისთვის მინდი აეღოთ.

ამ თვითნებობამ გლეხები მოთმინებიდან გამოიყვანა. მთ მიატოვეს სამუშაო და სამართლის „გასაჩენად" სამეგრელოს მმართველად დროებით დატოვებულ გრიგოლ დადიანს მიმართეს. გრიგოლი ადრევე უკმაყოფილო იყო ეკატერინე დადიანისა და ახლა ამ უკანასკნელს კიდევ უფრო გაენაწყენებინა: რუსეთში გამგზავრების წინ ეკატერინემ მას ოსტატურად და მაღალფარდოვნად შედგენილი სამოქმედო „ინსტრუქცია" მისცა, რომლითაც გრიგოლ დადიანი ფაქტიურად უუფლებო მმართველად დატოვა. სახლთუხუცეს დავით ჩიქოვანსაც კი მოქმედების მეტი თავისუფლება ჰქონდა, ვიდრე გრიგოლს.

გრიგოლმა „მოიშველია" ინსტრუქცია და გლეხების წარმომადგენლებს ჩიქოვანთან უთანხმოების მოგვარებაზე და სამართლის მიცემაზე უარი უთხრა. მაშინ გლეხებმა ფიცი დადეს, რომ არავითარ სამუშაოს არ შეასრულებდნენ, არ დაემორჩილებოდნენ მთავრის მოხელეებს, ერთად დაიცავდნენ თავს მთავრის მოხელეთა და თავად-აზნაურთა ძალადობისაგან. სალხინოელ გლეხებს თითქმის მთელი სალიპარტიანო შეუერთდა. წაჩხურუს, კიწიის, თამაკოს, გურძმის, ენინთას, აბედათის და სხვა სოფლების გლეხობა ფეხზე დადგა. ამოვლინდნენ ხელმძღვანელებიც. ესენი იყვნენ: უტუ თოდუა, წაჩხურუელი გლეხი, ხელობით შინამრეწველი მეკუთრე, რომელსაც უადგილი პატიოსნების ვამი ხალხი „მართალ თოდუას" ეძახდა, შუკოჩია კილასონია, რომელმაც ითავა ზემო სამეგრელოსთან — ლაკადასთან კავშირის დამყარება, გვატი გაღეილია, სქვამაია ნადარაია და სხვანი. ამათგან შეიქმნა აჯანყების ხელმძღვანელი ბირთვი — „სხენუ", რაც სათათბიროს ნიშნავს.

სხენუმ შუკოჩია კილასონია ზემო სამეგრელოში გაგზავნა, ხოლო ბასა სხლუტეია საქონდიდოფში ოფრინა და გლეხებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. აჯანყებულებმა ცხარე შეტაკებაში დამპარტეს მთავრის რაზმი, რომელსაც სახლთუხუცესის ძმა ივანე ჩიქოვანი მეთაურობდა, გაიძეგეს თანამდგომის პირები, დაარბიეს სოფლის კანცელარიები, აიკლეს დადიანების, ჩიქოვანებისა და ფალავანების მამულები, აფროკეს მურაზ ანჯაფარიძის სახლარი (სოფ. კეწიაში), გაათავისუფლეს ციოლეგში ჩაყრილი და ტუნდზე მიმპყრო გლეხები, თავადების ოჯახებიდან გამოიყვანეს მოახლეები და შინაფმეში, სახლეში გაისტუმრეს ისინი... შემდეგ მათ წაჩხურუს ეკლესიის ხატზე ფიცი დადეს, რომ არ უღალატებდნენ საერთო საქმეს, ააფრიალეს

ფრობა — „მილი“ (რომელიც, გადმოცემით, წითელი ფერისა იყო) და ოჩხომური-ლესტიენკარტხი-ჭაქვინჯის გზით დაიძრე ზუგდიდისაკენ.

ასე დაიწყო სამეგრელოში გლეხთა დიდი აჯანყება, რომელსაც თავისი მკვეთრი ანტიბატონყმური ხასიათითა და იდეოლოგიით უპირველესი ადგილი უკავია რეფორმის წინაღრეფდელი საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

გასული საუკუნის შუა წლებში სამეგრელო რუსეთის ვასალი სამთავრო იყო. მის შემადგენლობაში უკვე ადარ შედიოდა სამურზაყანო, რომელიც რუსეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1840 წელს ჩამოართვა დადიანს და იქ თავი მოხელე (ოჩამული) დანიშნა. ნაფოფიერი მიწა, უხვი მცენარეულობა, წყლების დიდი რაოდენობა და ზღვის სიახლოვე კარგ პირობებს ქმნიდა ქვეყნის სამეურნეო განვითარებისათვის. მილიონზე მეტი ქეცვა მიწა იყო გამოსადეგი მიწათმოქმედებისათვის. მაგრამ ფეოდალური წყობილების პირობებში ეს სიმდიდრე თითქმის გამოუყენებელი რჩებოდა. ათვისებული იყო მხოლოდ 55.000 ქეცვა მიწა, ე. ი. აღნიშნული ფართობის ერთი მეოცედი.

რუსეთთან შეერთების შემდეგ სამეგრელო ახალ ეკონომიურ გარემოცვაში აღმოჩნდა. ამიერ-კავკასიის ვაჭრობა ყოველწლიურად იზრდებოდა. უმნიშვნელოვანესი საავჭრო გზა სამეგრელოზე გადიოდა, უმნიშვნელოვანესი საავჭრო საზღვაო პუნქტი (ფოთი) სამეგრელოს მახლობლად მდებარეობდა. XIX საუკუნის 20-იან წლებში შედავთანაწი ტარიფის დაწესებამ დიდად შეუწყო ხელი ვაჭრობის გაფართოებას. ეს ვაჭრობა იზიდავდა სამეგრელოს მოსახლეობას და ამ ქვეყნის მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარების თავის ინტერესებს უმორჩილებდა. იზრდებოდა სასაქონლო წარმოება სამეგრელოს მარცვლეულის მეურნეობაში და მეღვინეობაში. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მეაბრეშუმეობა, რომლის პროდუქციის ორი მესამედი უცხოეთის ბაზრებზე (ევგენატეკა და ალეიერნი, ხაფრანგეთსა და გერმანიაში...) გადიოდა.

შეიმჩნეოდა ცალკეული რაიონების სპეციალიზაცია მეურნეობის ამა თუ იმ დარგში. მაგალითად, ჯვრის რაიონში მოჰყავდათ უპირატესად თამბაქო, რომელიც გაჰქონდათ გასაყიდად იმერეთის ბაზრებზე. ზუგდიდში 1852 წ. სიგარის დამამზადებელი ფაბრიკა ამუშავდა. სოფ. ლესიჭინეშენი და მის მახლობლად ზეთისხლიის პლანტაციები გააშენეს, სოფ. აბასთუმანში ზეთის გამოსახდელი ქარხანა გახსნეს. სენაკში ენერგოს პლანტაციები მოაწყეს. თაკლათში და სახარბდიოში დაფნის ფოთოლის და კაკალს ავრცელებდნენ. გაიზარდა ხე-ტყით ვაჭრობა. მეგრელი ვაჭრები ზოგჯერ წარმატებით უწევდნენ კონკურენციას უცხოურ კომპანიებს.

სამეგრელოს შინაგანი ვაჭრობაც ზრდის განიცდიდა. აქ მრავალი ტრიალეზადა ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმი (ოქრომჭედლობის, ქსოვის, ხის დამუშავების და სხვ.).

ერთი სიტყვით, გასული საუკუნის შუა ხანებში სამეგრელოს ეკონომიკა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, ადგილი ჰქონდა ფეოდალსასაკონო ურთიერთობის ზრდას, მეურნეობის ორგანიზაციის მაღალ ფორმებზე გადასვლის ცდებს, მეურნეობის დარგების სპეციალიზაციას, სამოქალაქო წამოწყებებს დაკავებული შრომის გამოყენებით, დამუშავების დარგში მანქანური წარმოების დანერგვის ცდებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენები ძირითადად მაინც მოსახლეობის დაბალ ფენებს, გლეხობასა და ზვრილ აზნაურებს ამოძრავებდა.

ვაჭრობისა და ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობის ზრდა, კერძო ინიციატივის, ბურჟუაზიული თვისებების გაძლიერება, ფეოდნ მოთხოვნილების გადიდება და სხვა ამგვარები გლეხისაგან მოქმედების მეტ თავისუფლებს მოითხოვდა. მაგრამ ამავე ხანებში გლეხი ძმიმე ფეოდალურ ბორკილებში იყო გამბული, სამატონო ვალდებულებებთა და გადასახადებით იყო შებოჭილი და ეს ტვირთი სულ უფრო და ეფერო უმძიმდებოდა. გლეხი წინააღმდეგობაში გიიწლართა, მისი მდგომარეობა ატუნული შეიქნა, ახალ ვითარებას ადარ შეესაბამებოდა ის ურთიერთობა, რომელიც მწარმოებელ საზოგადოებას ბატატონეულ წოდებებთან აკავშირებდა...

თავადაზნაურობა, რომელიც მთელი მოსახლეობის (127.000 სული) მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენდა, ექსპლუატაციას უწევდა 113.200 სულ დამოკიდებულ შრომელს, რომლებიც ნაწილდებოდნენ მემეგრე გლეხებად (უდიდესი ნაწილი — 85.520 სული), მოჯალაბეებად, მსახურებად და ანატებად.

საოცრად მრავალფეროვანი იყო გლეხების ვალდებულებანი მემატონეთა წინაშე. ისინი ინაზავდნენ ბატატონეულ კლასს, თავიანთ ხელსუფფლებს, ეკლესიას. გლეხი ყოველწლიურად იხდიდა ძირითად გადასახადს, რომელსაც თავი ბეგარა ეწოდებოდა. წლის დამდეგს მას საახალწლო გადასახადს ახდევინებდნენ, მარხვის დადგომისას — სამარხოს; თუ დიდმარხვა იყო, გლეხი ოდიდი პიჩურს იხდიდა, თუ საშობაო მარხვა — ოქრისე პიჩურს; აღდგომის იგი საალდგომო გადასახადს იხდიდა, აღდგომის გასვლის შემდეგ — ნაოდგომოს; დადგებოდა ყველიერი და გლეხი ვალდებული იყო საყველიერო გადასახადი მიერთმია ბატონისათვის. მისსმენ, როცა ბუგული „ბუგუს“ დაიძახებდა, გლეხი ვალდებული იყო ბატონისათვის განსაკუთრებული გადასახადი გადიეხადა, რომელსაც ამატკური ერ-

ქვა. ყოველთვიურად გლეხი ქათამს მიართმევდა თავის ბატონს, ამას სამაგი ქათამი ერქვა. ბატონს სტუმარი მოუვიდოდა — გლეხს ძღვენი უნდა მიერთმინა; გლეხი ბატონს სტუმრად შიიწვევდა — ოჯახმეურის გადასახადი იყო, ბატონი თვითონ ეწვეოდა — სამსახურნილო ერქვა; ბატონს ქორწილი ჰქონდა — გლეხი საქორწილო გადასახადს იხდიდა, ბატონი მგლოვიარედ იყო — გლეხს სამარხო უნდა გადაეხადა; გლეხი ინახავდა ბატონის ოჯახოსანს, რისთვისაც საღეღოფლო კულულს იხდიდა; გლეხი ინახავდა ბატონის მოხელეებს და მომსახურე პერსონალს: მოურავს (სამოურაო გადასახადით), მეჯინიბეს და ცხენებს (ზამთარში ცხენის ჩაბმის გადასახადით, ვაზაფხულზე — სამეჯინიბეო გადასახადით), ბაზიერებს (საბაზიერო გადასახადით), ძაღლების მწვრთნელებს და ძაღლებს (საკერხეულო გადასახადით), მწუმესებს (სამეკოგეო გადასახადით) და ა. შ. ბატონი ლაშქრად მიდიოდა — გლეხი ხალაშქოს იხდიდა, ბატონს თუ ეახე ჰქონდა — გლეხს საცეხო გადასახადი ეკისრებოდა.

ცალკე იყო მართვა-გამგეობის შესანახი გადასახადი, რომელსაც საერო ერქვა. თუ გლეხს ქორწილი ჰქონდა — მას საჩექმე გადასახადი უნდა გადაეხადა, თუ ქვრივი თხოვდებოდა — საქვრივე; როცა გლეხის ოჯახი იყრებოდა, საგამყოფო გადასახადს კრებდნენ; გლეხი თუ მდინარეში თევზს დაიჭერდა — მეზუთხეს გადასახადს გადაახდევინებდნენ; ბატონის მიწას თუ დამეშავებდა — მოდის გადასახადს იხდიდა; ბატონის სძოფრით ისარგებლება — ბაზის გადასახადს იხდიდა. ბატონს ნადიდან თავის განთავისუფლებას თუ მოინდომებდა — საუნდო უნდა მიერთმინა ბატონისათვის. გლეხს ჯარიმებიც სულს უხუთავდა: ჩხუბი მოუვიდოდა — სამჯიღოს არომევდნენ, უცოდინარობით უგულური სიტყვა წამოსცდებოდა — საბრიყვოს გადაახდევინებდნენ...

გლეხი ამუშავებდა ბატონის მამულს კვირაში ორი დღე. მოსავლის აღების დღეებში ნაღში გამოდიოდა. ძძლევდა ბატონს შინაყმას, ფარეშს, მოაბლეს, ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოს და სამსახურს ბატონის კარზე — მეჯინიბეობდა, მეწისქვილეობდა, მეციხოვნობდა, ქეშეიობდა, მზარეულობდა და ა. შ.

ერთი სიტყვით, დაბეგრილი იყო გლეხის ყოველდღიური ცხოვრება, ყოველგვარი საქმიანობა, ყოველი ნაბიჯი, ყოველი ამოსუნთქვა, მისი ზეიმი და მისი მწუხარება.

მართალია, ყველა გლეხი ყველა გადასახადს ხშირად არ იხდიდა, სხვადასხვა გლეხს ეს გადასახადები სხვადასხვა პოეულობით ეკისრებოდა, მაგრამ გლეხის გადასახადთა ტვირთი ისეთი დიდი იყო, რომ იგი წლიდან წლამდე ვერ ახერხებდა მათს გასტუმრებას, დავალიანებას ამუშავებდა და და ძველს ახალი ემატებოდა.

ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენამდინელი გლეხი, როცა გასული საუკუნის შუა ხანებში სამეგრელოს ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა მისგან მეტი ამძიმრაგება მოითხოვეს, ფულის საჭიროებამ გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანა იგი.

სამეგრელოს თავად-აზნაურებს სულ უფრო და უფრო მეტი ფული სჭირდებოდათ. ფულის შოვნა თავსატეხს საზრუნავად იქცა. ცხოვრების ევროპული წესი, ფუფუნება, ავეჯისა და ხელოსნების ვამოწერა ევროპიდან, რაც ჩვეულებრივ მოყვნილად იქცა იმდროინდელ სამეგრელოში, აუარეზელ ხარჯვის მიითხოვდა. თავადაზნაურობა მეგობშეთა ხელში ვარდებოდა. სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს ვარდაცვალების შემდეგ 15.000 მანეთი ვალი დარჩა ქუთაისელი ვაჭრებისა. ფრმთსადგენია რა მდგომარეობაში იქნებოდნენ თავადაზნაურთა სხვა წარმომადგენლები. ძლიერდებოდა ნატურალურ გადასახადოა ფულად გადასახადებით შეცვლის ტენდენცია. ვაბატონებულ კლასს იერიში მიჰქონდა გლეხობაზე. ირღვევოდა გადასახადთა ყოველგვარი ნორმა, უმიგალითოდ იზრდებოდა თავად-აზნაურთა თვითნებობა. გასული საუკუნის შუა ხანებში გლეხებს ახალ-ახალი გადასახადები დაეკისრა... გლეხები უარს ამბობდნენ ახალი გადასახადების გადახდაზე, ურჩობდნენ, ჩიოდნენ, გარბოდნენ სამეცელი მებატონეებისაგან და თავს აფარებდნენ მთებსა და ტყეებს. სამეგრელოს სოფლებში დაფლობელი კლასობრივი ბრძოლა იყო გაჩაღებული. თავად-აზნაურთა სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა: ღილები, ზუნდი, ქანჩი, ძმიმე ჯაჭვი — ხაჯალური (ანუ დალინური), გლეხის უღელში შუბმა („ჯოლოს ორვეა"), თვალების დათხრა ან ამოწვა, ცოცხლად მიწაში დამარხვა, კიღურების მოჭრა, ტანზე მაწვნის გადასხმა და მზეზე გაჩერება — ყველაფერი ეს ფართოდ იყო გავრცელებული სამეგრელოში. გლეხს სჯიდნენ სულ მცირე დანაშაულისათვის, სულ მცირე მიზეზით და სრულიად უმიზეზოდაც.

ყოველივე ამის გამო იყო, რომ სამეგრელოში გასული საუკუნის შუა ხანებში მრავლად მოხდა გლეხთა გამოსვლა და მღელვარება. 1841 წელს სამეგრელოს გლეხობა გურიის ჯანყყოს გამოეხმაურა. ჯვარის რაიონში ათასზე მეტი გლეხმა მოიყარა თავი და დაიძრა „გურულების დასახმარებლად. გზაში მთ აიკლეს ვრიგოლ დადიანისა და ოფიციერთა მმეღანი.

დავით დადიანის რაზმებმა შეაჩერეს და გაფანტეს ამხედრებული გლეხები.

საქაჩიბაიის გლეხები აუჯანყდნენ მებატონე ხოფერიებს 1846 წელს. მთავრის რაზმებთან შეტაკებაში მათ მოკლეს მეიგანნბეგი ვამეყ დადია-

ნი. მომდევნო წლებში აჯანყების ცეცხლში გაეხვია ნოჯიხეთი, მარტვილი, ხიბულა და სხვა სოფლები. გლეხთა დიდ მოღელვარებას ჰქონდა ადგილი სუჯუნაში 1855 წელს...

1855—1856 წლებში თურქების შემოსევისა და შიმშილობის შედეგად გლეხთა მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. „ყირიმის ომის“ დროს დასაგლეთ საქართველოში ომერ ფაშას სარდლობით შემოჭრილმა თურქთა ჯარმა გააჩანაგა სამეგრელო, ეაარნია და აიწოცა მოსახლეობა, გაფანტა სოფლები. რუსთა ჯარის მიერ ყარსის აღების შემდეგ თურქები სამეგრელოდან გაიძარცნენ და ნანგრევები და შიმშილი დატოვეს აქ. ჯერ კიდევ 1854 წლიდან ვაზსა და თუთას ავადმყოფობა მოეკლო, რამაც მკვეთრად დასცა ღვინისა და აბრეშუმის მოსავალი. სამეგრელოს მოსახლეობა მტრად ძმიმე მდგომარეობაში აღმოჩდა. თავადაზნაურობამ ზარალის ანაზღაურება გლეხობის ხარჯზე მოინდომა. გლეხს სულის მოთქმა არავინ აცალა.

ასეთი იყო მდგომარეობა მთელ სამეგრელოში და, როგორც კი სალნინში აჯანყების ზარმა დაჰკრა, გლეხობა ყველგან ფეხზე დადგა.

აჯანყების ტალღამ სწრაფად გადიარა სამეგრელოს სოფლებზე, ზემო სამეგრელოში აიჭრა, სუჯუნისა და საჯიალოს რაიონებზე გადაგორდა და კირცხი-ონჩხეთრის მახლობლად შეიკრა, შეგროგდა და ზუგდიდს დაეტაკა.

ჯგარისა და ლიანი გლეხებმა გრიგოლ დადიანს ბეგარა-გადასახადების ეროი წლით გადადება სთხოვეს. ომმა, შიმშილმა, წინა წლის მოუსავლიანობამ გლეხობა წელში გაწყვიტა და იგი შეიდგაოს ითხოვდა. გრიგოლ დადიანმა გლეხების წარმომადგენელები გაიჯოხინა, თავის მოსალეკეს კი უბრძანა ჯგარისა და ლიის მეცხოვრენნი ეყოფოთ და სხვა ადგილებში გადაესახლებინათ... მას სურდა ამ სოფლების ტერიტორიაზე ხილის ბაღები გაეშენებინა. ჯგარში აჯანყება დიაწყო, ლიისა და ჯგარის ბაზმს უტეკ ბპტტრია უთავა, წალენჯიხა-ფუქის რაზმს ...ლეკან კკარაცხეკია, ხოლო ჯგალი-საჩინოს რაზმს — ვიტტა კკარაცხეკია. აჯანყებულებმა ვანაიარაღეს მთავრის რაზმები, შეიპყრეს მოხელეები, დაწვეს სოფლის კანცელარიები (ჯგარისა და წალენჯიხაში) და ოხუჯის ეგზიარ კირცხისაენ დაიძრნენ. ასე რომ როცა სალინპარტიანოდან სხენეს მიერ გგზავნილი შუკოჩია კიოლაონია ლაკადაში მივიდა, იქ უკვე გზზავზებდა აჯანყების ხანძარი.

მთელ სამეგრელოში განთქმული იყო ქიაჩის ხატი. ოხუჯის მახლობლად შეიკრიბნენ აჯანყებლები. გამოასვენეს ხატი და „საშინელ ფიცით“ დაიფიცეს, რომ საერთო საქმეს ... ლატენდნენ. მეკიდად უსწორდებოდნენ აჯანყებლები თავად-აზნაურებს: ჯგარში მათ დაარბიეს გრიგოლ დადიანისა და თავად აფაქიძეთა მამულები, წალენჯიხაში — ტარიელ და პლატონ დადიანების სასახლეები, კირცხში — ტაგუ ჯიჯინიისა და გოშუას სახლ-კარი, ხიბულაში — გიორგი და კონსტანტინე დადიანების მამულები.

ანალოგიური ამბები მოხდა ქვემო სამეგრელოში, სუჯუნდიდოში, სადაც მარტში ეკეთ მთელი გლეხობა აჯანყებული იყო. ადგილ სოფლები სუჯუნა, საჯილაო, სირიანჭრში, სეფიეთი, საქარიბაო და სხვ. აჯანყებას აქ სათავეში ჩაუდგა საჯილაოელი გლეხი, წვრილი ვიჯარი კოჩა თოდუა, აზნაურ კორძაიას ყმა. მთავრის რაზმები აქაც განიარაღებული იქნა, აკლებული იქნა თავადაზნაურთა ოჯახები და მამულები (მაგალითად, ჯორჯაღიანისა ნოჯიხევში).

შემდეგ აჯანყებელები შეეყრნდნენ ზუგდიდისაკენ მიმავალ სალიპარტიანოელ გლეხებს და ამბილში კირცხი-ონჩხეთრის მახლობლად მთელი აჯანყებული გლეხობა გიერთიანდა. შეგროვდა აჯანყებულთა თითმეტასიანი ლაშქარი — „ურდუმი“, როგორც მას ეძახდნენ იმერიონდელ სამეგრელოში. აჯანყების საერთო მეთაურად გამოიჩიდეს უტუ მეკვა, რომელსაც ხალხმა უმალ ეგნაცვალეს უფლებები მიანიკა. მას „კესარს“ ან „დადიას“ უწოდებდნენ.

გლეხები სამეგრელოს ფაქტიური ბატონ-პატრონება გახდნენ. ღიმყარდა გლეხთა დროებითი მმართველობა, რომელსაც „სხენუ“ ხხორეიელებდა სალიპარტიანოდან. საყვირისა და ბუკის ცემით აჯანყებულთა ლაშქარმა შემოიარა სამეგრელოს სოფლები (ბანძა, ჯოლეკი, შხეფი, თეკლათი, ქვალონი, ყულისკარი, ფოცხო, ხორში, ზეთა, ბპასოუმანი და ა. შ.) და აფიეიტდა მოსახლეობას აჯანყების ერთიანულებაზე. აჯანყებულ გლეხებში გავრცელდა საბრძოლო სიმღერა „უტეს ჯარის“ შესახებ („აბა, ულია“), რომელიც დღემდე შემონახული ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში. სიმღერაში ლაპარაკია თავად-აზნაურთა წოდების ძირფესვიანად ამოგდებაზე, გლეხიაკეის განთავისუფლებაზე ბატონყმური ჩაგვრისაგან.

გლეხებმა ყველაზე გაოუქმეს ძველი ხელისუფლების ორგანოები და სოფლებში დანიშნეს ნეობით აღჭურვილი პირები, მამასახლისები.

12 მაისს აჯანყებულებმა ეერიში მიიტანეს და დაიკავეს მთგრის ოეზიდენცია — ზუგდიდი. ეს იყო აჯანყების ზენიტი. მაისის მეორე ნახევარში აჯანყების ტალღა დაბლა დაეშვა.

„აზნაურთა და თავადთა წოდებები არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან ადამიანები ერთმანეთის ძმები არიან“, არ უნდა იყოს კაცის კაცი, ყმა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ — ᲘᲡᲘ ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲣᲛᲝᲯᲐᲠᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲚᲝᲠᲜᲘᲜᲒᲘ. ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲒᲐᲣᲪᲕᲚᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲥᲘ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲘᲐ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲚᲘᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲔᲜᲘᲡ ᲑᲐᲢᲠᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲡᲐᲛᲘᲒᲠᲝᲚᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲗᲝᲛᲐ ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲪᲘ ᲐᲜᲢᲘᲐᲠᲐᲢᲝᲜᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲬᲘᲜ ᲧᲣᲚᲓᲠᲘᲡ ᲛᲘ ᲛᲚᲘᲠᲘ ᲐᲜᲢᲘᲐᲠᲐᲢᲝᲜᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. — ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲕᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡ ᲨᲔᲘᲠᲗᲣᲓᲘᲡ, ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲘᲡᲐᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘ **ᲑᲐᲢᲠᲘᲐᲠᲘᲡ** ᲗᲕᲘᲗᲔᲜᲘᲑᲜᲐᲖᲔ“. ᲔᲡᲔᲐ ᲩᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲚᲐᲜᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲔᲓᲒᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲑᲠᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲒᲔᲓᲒᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲘᲒᲠᲝᲚᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲗᲝᲛᲐ ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ.

ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲔᲚᲗᲝᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲥᲘ ᲣᲤᲠᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲒᲘᲜᲓᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲘᲠᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲭᲘᲜᲯᲘᲠᲘᲡᲘᲐ ᲣᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲔᲚᲩᲘᲤᲘᲡ. — „ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲜᲐᲐ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲡ ᲒᲔᲚᲩᲘᲤᲘᲡ. — ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡ ᲨᲔᲘᲠᲗᲣᲓᲘᲡ, ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲘᲡᲐᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘ **ᲑᲐᲢᲠᲘᲐᲠᲘᲡ** ᲗᲕᲘᲗᲔᲜᲘᲑᲜᲐᲖᲔ“. ᲔᲡᲔᲐ ᲩᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲚᲐᲜᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲔᲓᲒᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲑᲠᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲒᲔᲓᲒᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲘᲒᲠᲝᲚᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲗᲝᲛᲐ ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲓᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ.

ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲠᲬᲧᲓᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲥᲘ ᲣᲤᲠᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲒᲘᲜᲓᲘᲡ. ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲭᲘᲜᲯᲘᲠᲘᲡᲘᲐ ᲣᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲪᲘᲤᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲘᲒᲘ ᲬᲘᲜ ᲧᲣᲚᲓᲠᲘᲡ ᲛᲘ ᲛᲚᲘᲠᲘ ᲐᲜᲢᲘᲐᲠᲐᲢᲝᲜᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. — ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲕᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡ ᲨᲔᲘᲠᲗᲣᲓᲘᲡ, ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲘᲡᲐᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘ **ᲛᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ**, **ᲠᲐᲪ** ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ **ᲛᲐᲛᲔᲚᲘᲡ**. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲪᲐᲠᲪᲚᲘᲡᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲠᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲐᲠᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲔᲖᲘᲗ ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲘᲢᲘᲐ.

ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲰᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜᲘ ᲚᲝᲠᲜᲘᲜᲒᲘ, ᲓᲠᲝᲗᲐ — „ᲨᲘᲚᲝ“, ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲘᲧᲝᲤᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲡᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲚᲛᲔᲓᲛᲧᲤᲐᲚᲘ ᲑᲘᲠᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲚᲘ. „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“, ᲛᲐᲗ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲐᲕᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲐᲕᲘ ᲓᲠᲝᲗᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ. ᲛᲐᲒᲐᲠᲐ **ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲠᲐᲜᲘᲐ** ᲡᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲔᲖᲘᲗ ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲒᲐᲣᲬᲧᲕᲘᲢᲘᲐ.

ᲡᲐᲛᲘᲒᲠᲝᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲔᲚᲗᲝᲛᲐ ᲐᲧᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ **ᲡᲮᲕᲐᲒᲠᲐᲜᲘᲐ** ᲡᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲗᲘ. ᲛᲐᲒᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲔᲚᲩᲘᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ. ᲛᲐᲒᲐᲠᲐ **ᲛᲘᲗᲝᲛᲝᲠᲔᲑᲘᲡ** ᲡᲐᲛᲘᲒᲠᲝᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის წინაშე აჯანყებულები დათმობაზე წავიდნენ. კოლუბაკინმა თანმხლები ქართველების რისტომ მიქელაძისა და რაფიელ ერისთავის პირით აცნობა გლეხებს, რომ რუსეთის მთავრობა განიხილავს მათს საჩივრებსა და უკმაყოფილებას. მან უბრძანა გლეხებს დაშლილიყვნენ. უტუ მიქავა ენდო რუსი მოხელის სიტყვებს და ბრძოლაზე ხელი აიღო. მოკლე ხანში კოლუბაკინმა უტუ მიქავას თანხლებით შემოიარა აჯანყებული სოფლები (თეკლათი, ქვალონი, ზენი, აბასთუმანი და სხვ.) და ყველგან გაიმეორა თავისი დაპირება. აჯანყებულმა გლეხებმა დაშლა დაიწყეს. მართალია, წლის მეორე ნახევარში ხან აქ, ხან იქ ისევ იფეთქებდა ხოლმე გლეხთა მღელვარება (აგვისტოში — ზუბში, ხორში, ნოკალეგში, სექტემბერში — ჯეარში, ლიაში, წალენჯიხაში, ნოემბერ-დეკემბერში — ნახუნუუში და ა. შ.), მაგრამ ეს უკვე აღარ იყო სერიოზული ბრძოლები. აჯანყება ფაქტიურად მაისის მეორე ნახევარში დამთავრდა.

მეფის მთავრობამ სასტიკად მოატყუა გლეხობა. როგორც კი აჯანყებული გლეხები დაიშალნენ, აჯანყების მეთაურები შეიპყრეს და გასამართლების შემდეგ რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს, გლეხებს კი ბრძოლიდეს, რომ უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდნენ თავიანთ მებატონეებს. აქა-იქ გლეხებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს და რუსეთის მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ჯარის ნაწილებთან შეტაკებაც მოუხდათ. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია.

მეფის რუსეთის მთავრობამ გლეხთა ეს აჯანყება საბაბად გამოიყენა და სამეგრელოს სამთავრო გაუქმა. გლეხებმა ამის შემდეგ მთელი ძალით იგრძნეს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სუსხი და ექვსიოდე წლის შემდეგ ისევ იარაღს მოჰკიდეს ხელი. მაგრამ გლეხთა ეს აჯანყებები მარცხით მთავრდებოდა, სანამ რევოლუციური პროლეტარიატის სახით მათ ხელმძღვანელი ძალა არ გაუჩნდათ.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება წარმოადგენდა სრულიად რუსეთის მასშტაბით იმ რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთ გამოვლინებას, რომელმაც აიძულა ალექსანდრე მეორის მთავრობა გლეხთა „ზევიდან“ განთავისუფლებაზე ეფიქრა, რათა მისი ტახტი და მისი სახელმწიფო „ქვევიდან“ არ ამეთქეფულიყო. ესაა ამ აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობი იედლიჩკა

მოზღვავებული შთაგებდილები

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის დღე, როცა თვითმფრინავის სარკმელში პირველად დავინახე კავკასიონის მთაგრეხილი. დილის მზის სხივებში ჩემს თვალწინ აელვარდა თოვლით დაფარული მწვერვალები. მთების ხერხემალზე ზანტად მიეცურავდა ცხვრის ფარასავით გაშლილი ვეება ღრუბლები. რძესავით თეთრი ნისლი შადრევნებად დუღდა და მწვერვალებს აწყდებოდა. ქვემოთ კი, თვითმფრინავის ქვეშ, გაწოლილიყო შავი ზღვა, შუაგულში მუქმწვანე, შორს კიდევ მოთეთრო-რუხი და აზიურ განაპირა კიდეებზე გარშემორტყმული ისევ თოვლიანი მთებით, რომლებსაც გვირგვინივით ედგა თავზე ღრუბლის ქათქათა ქულები.

შემდეგ გამოჩნდა ნაპირები, მდინარეებითა და ციცაბო გზებით დაღარული პეიზაჟი. აქა-იქ გვხვდებოდა ყავისფერდაკრული პატარ-პატარა ღრუბლები, რომლებიც მთებს მოსწყვეტოდნენ და დედამიწას გადაჰყურებდნენ. მე ჯერ კიდევ კარგად არ ვიცოდი, სად ვიყავი, მაგრამ უკვე ვხვდებოდი, რომ უკანა პლანზე მთების. გასწვრივ მცურავ ღრუბლითა ფარდები საქართველოს ეკუთვნოდა და რომ ეს მაღალი კედლები აღმოსავლეთ ჰორიზონტზე მის სადარაჯოზე იდგნენ.

ბოლოს გამოჩნდა ქალაქი, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, მარადიული ქალაქი. თვითმფრინავი დაეშვა სამხრეთის სიმწვანეში. შეხვედრა, ყვავილების თაიგულები, მისალმებანი...

...მანქანა გზატკეცილზე გადის. და, აი, მოხდა რაღაც მოულოდნელი: ანტ-კურად ამაღლებული, მშვიდი და საკუთარ გულში სილამაზეჩაქსოვილი პეიზაჟიდან ქშენით გამოდის მატარებელი. ორი დღის შემდეგ ამ ჩემი შთაბეჭდილების შემწეობით მივხვდი და შევამოწმე, თუ რატომ დახატა ლადო გუდიაშვილმა თავის სურათში („მცხეთა") მატარებელი, რომელიც ასევე მარცხენა მხრიდან გამოდის. ეს გასაოცრად ემოციური მომენტია — ასეთი კონტრასტი პეიზაჟისა და ტექნიკისა. ტექნიკას არ შეუძლია დაარღვიოს ამ პეიზაჟის სიმშვიდე და მისი წარმტაცი სილამაზე; პირიქით, ის კიდევ უფრო ზრდის მის მომხიბვლელობას.

იმავე საღამოს ქალაქი ჩემთვის თავის სიმღერებს აგუგუნებდა სასტუმრო „თბილისის" ფანჯრებთან და მეჩვენებოდა, თითქოს ჩამმურჩულებდა: აი ის ქვეყანა, რომელზეც ოცნებობდი, აი ის აღთქმული ქვეყანა!..

მე რომ განზრახვა მქონდა დავკმაყოფილებულიყავი მგზავრის უბრალო შთაბეჭდილებებით, ამავე გზით უნდა განმეგრძო ჩემი თხრობა. მაშინ ისიც უნ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და მომეთხრო, თუ ორი დღის წინ თვითმფრინავის მრგვალ სარკმელში რეგალია გამოჩნდა რუსეთის პეიზაჟი, რუს ფერებში გახვეული, თავისი მუქ-მწვანე ჯაღლებითა და თავისი დაუჯერებლად სერიოზული ყავისფერი ნიადაგით. შემდეგ მოსკოვი და ფერად-ფერადი ნათურებით გაჩირაღდნებული ლენინის გორება, ღამისეული ჰორიზონტი, და ყოველივე ამასთან იქ გატარებული ერთი დღეც... მაგრამ ჩემი მიზანი საქართველო იყო, ქვეყანა, რომლის შესახებ ბევრი რამ წამეკითხა და ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ, რომელიც მიუხედავად მის ახლო გასაცნობად გაწეული ჩემი ხანგრძლივი და დაუღალავი მუშაობისა, მაინც ოცნებად რჩებოდა.

მე ვიცნობდი თბილისს ალექსანდრე ქუთათელის კაზმული სიტყვით აღწერილი რომანით — „პირისპირ“, რომელიც წარმოადგენს ეპოქათა მიჯნაზე ადამიანთა და მათი ცხოვრების თანადროული სურათების მხატვრულად და დოკუმენტურად თანაბარი სიძლიერით ამსახველ დიდ ტილოს. მაგრამ თბილისის სურნელება მე ახლა-ღა შევიგრძენი. გიორგი ლეონიძის ლექსებში მე ვხედავდი კახეთს, ალაზნის ველს, რომელზეც წითელი საფრავივით ალისფრად იღერება განთიადი. მაგრამ ახლა უკვე ვიცი, რომ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

პირველი თვალსაჩინო ხატოვანი წარმოდგენა საქართველოზე მე მივიღე ლადო გუდიაშვილის სურათებით. მისი სურათები შესანიშნავად ავსებდნენ იმ ტიპებს, რომლებსაც თვალი მოვკარი ქუჩებში. მაგრამ რა ფანტასტიკური სიმაღლეზე არიან აყვანილი ეს ადამიანები! ამ დიდმა ქართველმა მხატვარმა უსაზღვროდ დამაინტერესა თავისი ხელოვნების ბუმბერაზული გაქანებით, თავისი ფანტაზიის სიძლიერითა და ნაირფეროვნებით, შემოქმედების ფერებისა და იდეურობის სიმდიდრით. დამაინტერესა ესოდენ მრავალსახოვანი და, ამავე დროს, ურღვევ მთლიანობაში გაერთიანებული ხელოვნებით, რომელშიც გარე სინამდვილე და შინაგანი განცდები გამუდმებით შერწყმულია, ხელოვნებით, რომელიც სინათლეს ჰფენს დანახულს და ღრმა შემეცნებით, სანის გულს რომ სწვდება, ხელოვნებით, რომელშიც ცხოვრებისა და წიგნის შთაგონებანი ერთმანეთს ისე უსისხლხორცდება, რომ ძნელშესატყობია ზღვარი მათ შორის.

მე ბევრი რამ ვიცოდი გასული საუკუნის ქართველ მწერალთა შესახებ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ვიხილე მათი პორტრეტები და ხელნაწერები, აგრეთვე იმ გარემოს თვალსაჩინო სურათები, რომელშიც უხდებოდათ მათ ცხოვრება, ბრძოლა და მუშაობა, მხოლოდ მაშინ ჩაეწვდი ამ ადამიანთა მთელ სიდიადესა და მათი სახის სირთულეს; აგერ რამდენი წელიწადია ვსწავლობდი და ვთარგმნიდი რუსთაველს, და მხოლოდ ახლა, როცა ისტორიულ მუზეუმში ვიხილე ქართველი გადამწერლების მიერ გულმოდგინედ გადაღებული „ვეფხისტყაოსანი“. სრულიად ახალმა სინათლემ გააშუქა ჩემთვის ქართული პოეზიის ეს საუნჯე, ეს „მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“.

ამრიგად, სიურპრიზებსა და ახალ-ახალ ცნობებს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდი. დიდად გამაოცა და მომიხიბლა ქართველ მოღვაწეთა პანთეონის უბრალოებამ, სადაც ხეების ჩრდილქვეშ, ქალაქის ხმაურს დაშორებულნი, საუკუნო ძილით განისვენებენ ქართველი ერის დიდებული ადამიანები. თანაბრად გაოცებული ვეყაენ გუშინდელი დღითა და თანადროულობით.

მაგრამ, პირველ ყოვლისა, მე გამოაცა იმ მდიდარმა ცხოვრებამ, რომელიც ვნახე ქართული კულტურის ძირითად დაწესებულებების ყველა ჩემთვის მისაწვდომსა და ახლობელ დარგში — უნივერსიტეტსა და აკადემიაში. განმაცვიფ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რა მეცნიერული მუშაობის ინტენსიობამ. მე არ ძალმიძს სრულად შევაფასო ნარჩენ დარგებში გაწეული მუშაობის შედეგები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ლინგვისტიკაში ქართულ მეცნიერებას მოწინავე ადგილი უჭირავს. აქ წყვეტენ მრავალ პრობლემას, რომლებიც ეხება არა მარტო თვით ქართული ენის ისტორიას, არამედ ქართველური ენების მთელ ოჯახს, აგრეთვე კავკასიოლოგიას და ურთიერთობას წინა აზიის მკვდარ ენებთან.

ამ დარგში უდიდესი ამოცანებია და ქართველ მეცნიერებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, ვინაიდან ძირითადად აქაა თავმოყრილი საკითხები, რომელთა გადაჭრა უფრო ადვილია დღეს, ვიდრე ხვალ; რადგან უნდა ვიფიქროთ, რომ ლიტერატურული ენები დროთა განმავლობაში უკანა პლანზე მოაქცევენ ნაკლებად განვითარებულ ენებსა და დიალექტების ფორმებს. მაგრამ ქართველი ლინგვისტები თავის სიმაღლეზე დგანან და ვფიქრობ, რომ მსოფლიო მეცნიერულს აზრს უფლება აქვს მოელოდეს მათგან ძირითადი პრობლემების თანდათანობით გადაჭრას, რაც, რა თქმა უნდა, მრავალი წლის დაძაბულ შრომას მოითხოვს.

მგზავრის შთაბეჭდილებანი და შემეცნების ზიარება ყოველთვის ერთიმეორეში აღრეული და მოუწესრიგებელია, ბოდიშს ვიხდი ქართველი მკითხველების წინაშე, რომ ამ მხრივ ჩემიც არ განსხვავდება სხვებისაგან. ვინაიდან, თუ დამკვირვებელს, თუნდაც ერთი თვალის მოვლებით, შეუძლია სწორი დასკვნის გამოტანა, მაშინ, როგორც წესი, მათი გამოსახვა ვერ აუდის ხოლმე თემების მოზღვავებას.

ჩეხურიდან თარგმნა
შალვა გვინჩიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბუშის შვიდი გურჯაანელი"

მერი კარბელაშვილი

გიორგი ოჩიაურის პორტრეტები და გარელიეფები

გამოფენაზე ხშირად თვალს მოვკრავთ ქანდაკებას, ბარელიეფს ან მხატვრულ ტილოს, რომელიც თავისი მხატვრული გამომსახველობით და შინაგანი სიძლიერით გვიზიდავს. მივალთ, დავდგებით ნამუშევართან და სახელწოდების წაუკითხავად ჩაფუდგებით მის შინაარსს, რიტმს, მუსიკას, ავტორის ჩანაფიქრსა და გულისნადებს. დიდხანს ვჩერდებით ხოლმე ასეთ ნაწარმოებთან და, როდესაც ცქერით გულს ვიჯერებთ, მხოლოდ შემდეგ დავაკვირდებით ნაწარმოების ბოლოში მიკრული ლითონის პატარა ფირფიტას, რომელზეც ავტორის სახელი, გვარი, დაბადების წელი და ნამუშევრის სახელწოდებაა აღნიშნული.

ღღეს უკვე ხშირად შეგხვდებათ გამოფენაზე ასეთი ნაწარმოებები და იმ პატარა ლითონის ფირფიტაზე გამოყვანილი გვარი და სახელი — მოქანდაკე გიორგი ოჩიაური, რომლის ნამუშევრებმა სულ რამდენიმე წელია, რაც ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მისი ნამუშევრები ცხადად აკლენენ მხატვრის შემოქმედებითს შესაძლებლობებს; იგრძნობა, რომ ახალგაზრდა ავტორს მრავლის თქმა სურს და ამ საიქმელისათვის საკუთარ გზას მიაკვლევს. მის სახელოსნოში შეიძლება ვნახოთ მონუმენტური ფიგურა, პორტრეტი, ბარელიეფი...

მხატვრული ინტერესების მრავალმხრივობა, კონკრეტულ შემთხვევაში ამოცანის ბეჯითად გაგზრება და შესრულების სიფაქიზე—აი რა არის დამახასიათებელი მოქანდაკისათვის.

ბოლო დროს ოჩიაურმა თავისი ყურადღება ძირითადად ორი ხაზით წარმართა — დეკორაციული ბარელიეფი და პორტრეტი. მან შეასრულა ბარელიეფების მთელი სერია, რომელთა თემას ქართული ხალხური სიმღერების მოტივები დაუდო საფუძვლად (მრავალკამერი, ჰარულალე, გუშინ შვიდნი გურჯაანელნი). ამ-ქამად იგი მუშაობს ბარელიეფებზე „ოროველი" და „ზამთარია". ეს ბარელიეფები მხატვრისთვის შინაგანი, ორგანული რამ არის და არა მხოლოდ ორიგინალურად შერჩეული თემა. თვით თემის შერჩევაში — ქართული ხალხური სიმღერები — ერთგვარი გამოსავალი ჰპოვა თანშეზრდილმა სიყვარულმა ქართული ხალხური შემოქმედება-

ზ. სიკარაძის პორტრეტი

სადმი. თავის ბარელიეფებში მოქანდაკე ცდილობს ამ სიმღერების შესტაყვისი განწყობილება შექმნას, პლასტიკური საშუალებებით გადმოსცეს ის არსებითი, რაც მას ქართულ სიმღერებში იზიდავს — ვეკაკური პოეზია და ემოციურობა.

იმ ნამუშევრებს შორის, რომლებზედაც ჩვენ შევჩერდებით, შესრულების დროის მიხედვით ყველაზე ადრეულია „ჰარელალე". მოქანდაკე სიუჟეტს თვისებულად მიუდგა — მან ნადირობიდან დაბრუნების სცენა მოგვცა. აქ სიმღერის აღქმა უშუალოდ სიმღერიდან ნასესხები დეტალებით კი არ ხდება, არამედ მონადირეების მტკიცე ნაბიჯის, ფიგურების მოძრაობის რიტმით.

ამ კომპოზიციაში მთავარია სამი მომავალი კაცის ფიგურა. პირველ მათგანს მოზიდული ჰყავს ჯაჭვით დაბმული ავაზები, ორ მომდევნოს კი ნანადირევი მოაქვს. ავაზებიანი კაცი თითქო წუთით ანელებს ნაბიჯს და უკანმოქცეული ყალისკენ იბრუნებს პირს. სამივეს ... ბიჯებს ფართო, მტკიცე ნაბიჯით. ისინი ერთი მიმართულებით მოძრაობენ. მოძრაობის სწორედ ეს ერთგვაროვანი ხასიათი ქმნის რიტმს. მაგრამ ეს რიტმი საგრძნობლად ნელდება მეორე, ავრეთვე სამი კაცისაგან შემდგარ ჯგუფში — ისინი ხილს ლებენ გიდრიდან და ერთმანეთს სთავაზობენ. ავაზები იკავებენ მთელ მარცხენა კუთხეს და ჩარჩოს გარეთ გამოდიან. მათი მოქნილი სხეულების მოძრაობა უკავშირდება ცენტრალური ჯგუფის მოძრაობის რიტმულობას. ამ ავაზებს, ნახევრად ფანტასტიკურ ცხოველებს, რაღაც ზღაპრული და ეპიკური შეაქვთ რელიეფში. იქ, სადაც ავაზებია, მიწა დაბლდება — იქმნება შთაბეჭდილება, რომ მონადირეები მთიდან თავქვე ეშვებიან. ამ შთაბეჭდილების შექმნას ხელს უწყობს ფონიც — მონადირეების ფიგურებს უკან ჩანს ტყით შეფენილი მთის კალთები, მთაზე საფეხურებად გაშენებული სოფელი და ზორეული მთები.

ტანსაცმლის ნაოჭების, ჯაჭვის პერანგების, ავაზების ჯაჭვის ზედმეტად დეტალური დამუშავება, ისევე, როგორც არასაკმარისი ლეგიკური დაკავშირება მონადირეთა ჯგუფსა და გიდრონთან გაჩერებულ ჯგუფს შორის, მაწუხებს, რომ ამ ნამუშევრის შემქმნელი ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ნიჭიერმა მოქანდაკემ შესძლო გადმოცა ვეკაკური სიმხნევე და ძალა, რითაც შინაგანი კავშირი დაამყარა სიმღერასთან.

მეორე კომპოზიციაში უკვე თვით ნადირობის სცენაა წარმოდგენილი:

„გუშინ შვიდნი გურჯანელნი
სანადიროდ წასულიყვნენ,
იქ მოეკლათ თეთრი ტახი" და სხვ.

ეს რელიეფი თითქოს კონკრეტული მომენტის ილუსტრაციაა: „შვიდთავ ესროლეს შვიდ-შვიდიო". აქაც გარკვეული ადგილი ეთმობა „თეთრ-ბითს" ელემენტებს — ასეთია, მაგალითად, მოკლული ტახი, რომელიც უშუალოდ სიმღერის ტექსტს უკავშირდება, მაგრამ ამგვარ „ლიტერატურულ" დეტალებს აქ უფრო ნაკლები როლი ენიჭებათ, ვიდრე წინა ბარელიეფში. სიმღერის ტექსტიდან უშუალოდ ნასესხებ ამბებს მოქანდაკე მნახველს თავს არ იხვევს. აქ დეტალებს მხატვრული აქცენტის მნიშვნელობა აქვთ და დეკორატიული ხასიათი.

ეს კომპოზიცია გაცილებით უფრო დინამიკურია, ვიდრე „ავაზებით ნადირობა“. ავაზებით ნადირობის რიტმი აქ შეცვლილია მკვეთრი დაძაბვით, რომელიც პირველი ფიგურის მძლავრ მოძრაობაში პოულობს გამოსავალს. ფიგურებს აერთიანებს მთავარი ფიგურისკენ მიმართული სხეულების მოძრაობა და ოდნავ შერკალული ფორმები. ეს „შერკალვა“ მეორდება მშვილდების შერკალულ ხაზებში, რომელთა ნახატი, თითქმის როგორც წმინდა დეკორატიული მოტივი, ევლება ფიგურებს მარჯვენიდან, მარცხნიდან და ზემოდან. ფონი სრულიად სადაა, მხოლოდ ძალიან დაბალ რელიეფში გაკეთებული მთის ქედის ტეხილი ხაზი, რომელიც ხის ბუნებრივი ბოკვოლების მიმართულებას იმეორებს, ზემოდან საზღვრავს ფიცარს. თუ ამ ბარელიეფს წინა ნამუშევრის შევადარებთ, დავინახავთ, რომ აქ ადრი არის დატალიზაცია და დაწერილმანება. სახეები ზოგადადაა დამუშავებული, ასევე ზოგადია სამოსელი, რომელიც მხოლოდ ხაზს უსვამს სხეულის მოძრაობას და ცალკე დათვალიერების საგნად არ იქცევა. ასეთი ზოგადი დამუშავება კარგად ეფარგება ბარელიეფის დეკორატიულ ხასიათს. ამგვარი დეკორატიული მიდგომის დროს ზოგ შემთხვევაში გამართლებას პოულობს რელიეფის სიბრტყის დარღვევა (პირველი ფიგურის მარჯვენა ფეხი წინა სიბრტყეზეა, უკანასკნელი ფიგურის მუხლი და მკერდი კი ერთ სიბრტყეზე), დეკორატიულადვეა გაგებული სიმღერის ტექსტიდან ნასესხები დეტალები („თეთრი ტახი“) და მხატვრის მიერ თავისუფლად დამატებული საგნები, რომლებიც მიწაზე მოჩანს — ფიალა, ყანწი, ხილი — ისინი ავსებენ თავისუფალ სიბრტყეს. საინტერესოა, რომ მათ ისეთივე ხასიათი აქვთ, როგორც ტექსტიდან ნასესხებს. თხრობითი ელემენტი მინიმუმამდეა დაყვანილი. მოქნდაკის მთავარი ამოცანაა — სიმღერის ზოგადი, ემოციური ხასიათი გადმოცეს. ამას იგი პლასტიკური საშუალებებით — სხეულთა მოძრაობით ახერხებს. მოძრაობის გამოსახატავად კი ამეტყველებულია არა ცალკეული ნაკვთი თუ კუნთი, არამედ მთელი სხეული ერთიანად. სხეულის მოძრაობის პლასტიკით და მოქნილი კონტურის დენადობით მოქანდაკე ცდილობს ნორკი შესახას ქართული სიმღერის მელოდიას.

სიმღერების ციკლს ბარელიეფთან ახლოა ბარელიეფი „შემოდგომა კახეთში“ (1935). შემოდგომა მხატვრის წარმოდგენაში დაუკავშირდა ბუნების მადლს, სოფელსა და სიუხვეს.

წინა პლანზე არიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები ლოდინში ... რეობაში მყოფი მონადიმენი, ხოლო უკანა პლანზე მზადებაა — ირმის სწვავენ. რელიეფი აქ უფრო მაღალია, ფონი ჩარჩოსა უფრო ღრმადაა ჩაჭრილი, ვიდრე წინა ნამუშევრებში. გაძლიერებულია პლასტიკური სიმკვეთრე, ფესვების დაპირისპირება ფონთან. სხეულები მკვეთად ნაწილდება პარალელურ სიბრტყეებზე. რელიეფში არაა არავითარი „ცხოველსატყლობა“ და „ჰაერიანი პერსპექტივა“. უკანა პლანის პატარა ფიგურებიც მკვეთრია და მკაფიო. მაშინ, როცა გურჯანელეთმან დიდი მნიშვნელობა აქვნდა კონტურის მოქნილი ხაზების დეკორატიულობას, — აქ დეკორატიულობა უფრო რელიეფის პლასტიკური მასების განაწილებაში იქმნება ცენტრში რთული მოძრაობა — ზურგზე წამოკიდებული კაცი ასმეკი ამხანაგს ლვინოს, ეს რთული მოძრაობა უპირისპირდება შედარებით მშვიდ მდგომარეობაში მყოფ ფიგურებს — მარცხნივ, დაცლილი ყანწით ხელში მდგომსა, და მარჯვენა კუთხეში წამოწოლილ კაცებს. მათი მასების სიმძიმე კარგად ეფარგება სიკაბისა და დოვლათის იდეას, რომელიც მხატვრის მიერ „შემოდგომის“ აღქმას უდევს საფუძვლად. უკანა პლანს ამ რელიეფში განსაკუთრებული მნიშვნე-



ძველიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომა

კახეთში

ლობა აქვს. რამდენიმე დეტალი — დეკორატიულად გადაწყვეტილი მსხვილი ხე, სახლი, უფრო სწორედ, სახლის კრამიტიანი სახურავი, სულ პატარა ხე სახლს ზემოთ, და ფიგურები სახლის წინ, უშუალოდ უკავშირდება ამბავს, ახასიათებს გარემოს, რომელშიც ვითარდება მოქმედება. ამავე დროს ეს უფრო ხმადაბალი გადმოდრეკაა თემისა, რომელსაც წინა ფიგურების რთული მოძრაობა ეპიური ძალით გამოხატავს. საერთო განწყობის გამოძახილადვე აღიქმება დეკორატიული დეტალები: ვაზის ღერწი და პატარა ყვავილი ყანწნაინი კაცის ფეხებთან.

თავისი თემით ცალკე დგას ბარელიეფი „სამუშაო დღე დამთავრდა". ეს თემა, აღებული მეტალურგების ცხოვრებიდან, მოქანდაკემ დაიყვანა შშველი სხეულის მოძრაობის ეტიუდამდე, რაც მოქანდაკეებისათვის მიმზიდველი ამოცანა იყო ყოველთვის.

ბარელიეფის კომპოზიცია სადაა. სისადავე რამდენადმე თვით თემთითაცაა ნაკარნახევი. დეკორატიული დეტალები აქ უადგილო იქნებოდა, გამოყენებულია მხოლოდ აუცილებელი აქსესუარები. კომპოზიცია გეომეტრიულ ცენტრში იყოფა ტიხრით, რომლის ორივე მხარეს ორ-ორი ფიგურაა მოთავსებული. ასიმეტრიული ჰორიზონტული ტიხრები ფიგურებს უკან ანელებს, აწონასწორებს ფიგურების ვერტიკალებს. სხეულები ერთმეორეს არ ეფარებიან: მაშინ როცა წინა რელიეფში მასების დეკორატიული განაწილება და ზოგჯერ გადახლართვაც კი იყო, აქ ფიგურები თავისუფლად თავსდებიან სიბრტყეზე — მათ აერთიანებს მოძრაობა. სხეულების დამუშავება ზოგადია, უფრო ზოგადი, ვიდრე ჩაცმული ფიგურებისა. აქაც ყურადღების ცენტრშია არა ცალკეული ნაკვთები, არამედ მთელი სხეული; პლასტიკურობას აქ მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე წინა დეკორატიულ რელიეფებში. ხეზე ჭრის მანერა ყველი ამ რელიეფებისა ერთგვაროვანია. მოქანდაკე ხმარობს თხელ საჭრისს, რომლითაც წვრილი შტრიხების ამოკვეთა შესაძლებელი. ჭრა რბილია, ისე რომ შენარჩუნებულია ხის რბილი ფაქტურა. მიწა, ფონი დასერილია წვრილი ნაკვეთით, როგორც დაშტრიხვით. ფონზე გამოსახულებანი კეთდება დაბალი რელიეფით, ხოლო როცა გამოსახულებანი არაა, ფიცარი მაინც არ რჩება ბრტყელი, ის ოდნავ უსწორმასწოროა, რაც ზოგჯერ მხოლოდ ხელის შეხებით შეიგრძნობა და რაც ზედაპირს სიცოცხლეს მატებს. დეტალების დაწვრილებით დამუშავების დროს მოქანდაკე აღწევს იმას, რომ ფიგურა მთლიანად იკითხება და არ იშლება ცალკეულ ნაკვთებად.

ხაზი უნდა გავსვას ერთ გარემოებას: სიმღერების თემაზე გაკეთებულ კომპოზიციებს სრულიად არ აქვთ ეთნოგრაფიულობის და ისტორიზმის ნიშნები, მიუხედავად ძველი იარაღებისა და კოსტიუმებისა. ეს ატრიბუტები უშუა-

ლოდ ერწყმის ამბავს — ყოველგვარი წინასწარ გამიზნული ტენდენციის გარეშე.

რელიეფის პრობლემას კარგად წყვეტს მოქანდაკე მედალიონის — დავით გურამიშვილის შესრულების დროსაც. მხატვრული სახის გადაწყვეტისას მოქანდაკე თავის თავს არ ღალატობს და ახერხებს ისტორიზმისა და თხრობითობის თავიდან აცდენის მაშინაც, როცა საქმე კონკრეტულ, ისტორიულ პიროვნებას ეხება.

ბ. ოჩიაური მედალიონის შესრულებისას დაეყრდნო პოეტის ცნობილი ავტოპორტრეტს. აქედანაა ნასესხები კოსტუმი — მაღალი საყელო და კაბა. ავტოპორტრეტმა უკარნახა მოქანდაკეს წაგრძელებული პროპორციები, რომლებმაც რელიეფში ახალგაზრდული აშოლტილობის ხასიათი მიიღო. მოქანდაკის წინაშე რთული ფორმალური ამოცანა იყო: ფიგურის ვერტიკალის ჩაწერა და გაწონასწორება წრეში. მოქანდაკემ მკერდქვემოთ გადაკრილი პროფილით გამოსახული ფიგურა მედალიონის ცენტრში მოათავსა. გამოსახულების ორივე მხარეს დარჩენილ არეზე თავისუფლადაა განლაგებული წარწერა — პოეტის სახელი და გვარი. წარწერას დიდი მნიშვნელობა აქვს კომპოზიციის გაწონასწორებისათვის. სახის წინ ცარიელ არეს ავსებს პატარა ყვავილი, რომელსაც არა მხოლო ფორმალური მნიშვნელობა აქვს — იგი უპასუხებს პორტრეტის საერთო ლირიულ განწყობილებას. კისერი და მხრები ერთიანად, დაუნაწევრებელ ბლოკს ჰქმნის, რაც ისედაც წაგრძელებულ კისერს კიდეგ უფრო აგრძელებს. თავს მოხდენილი, მკაფიოდ გამოკვეთილი ფორმა, ხოლო სახეს ნატიფი პროფილი აქვს. მიეხედავად მეორე ზომისა, სახე ფაქიზადაა ნაძერწი რბილი მოდელირებით — ოდნავ შესამჩნევი გადასვლები ტუჩებთან, ცხვირთან, ყურამლის ძვლებთან და რბილი გადასვლა თავის ქალაზე, თმაზე. შიგნაწინი ფორმა იკერება მკაფიოდ მოხაზული, სუფთა კონტურით. მკერდის კონტურს ერწყმის საყელოს დიაგონალური ხაზი. კონტურის სქემატურობასთან ერთად საყელოზე გრაფიკულად ამოკაწრული წვრილი ხაზი და სულ პაწაწინა ყვავილი, რომელიც თითქოს ყრუ გამეორებაა, გამოძახილია ფოსნე სახის წინ მოთავსებული ყვავილისა. სხეულის და სახის პირობითობასთან თვალსაჩინოა ნაკვთების ინდივიდუალური ხასიათი. ტუჩების, ცხვირის თავისებური ფორმა, თითქმის ფრონტალურად ამოჭრილი თვალის გამომხატველობა გამოსახულების კონკრეტულ ხასიათს ანიჭებს. მნახველი გრძნობს, რომ გამოსახული პიროვნება არტისტული, დახვეწილი ბუნებისაა, და ამას მოქანდაკე აღწევს ყოველგვარი ატრიბუტების (მაგ., წიგნი, ქნარი, გრაგნილი) მოხმარების გარეშე, მხოლოდ პლასტიკური ფორმებისა და კონტურის გამომხატველობით.

კომპოზიციურ საშუალებათა მკაცრი შემოფარგლული ხასიათდება ბ. ოჩიაურის მეგობრებისა ბიბლიოგრაფია
ბიბლიოთეკა
ბიბლიოგრ
ბიბლიოთ
ბიბლიოგ
ბიბლ
ბ
ბ
ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ოჩიაური ლადო ასათიანის პორტრეტზე მუშაობის დროს

ხის გარეგნული გამომეტყველების ან გარკვეული მდგომარეობის და განწყობის ჰაცენტირებით ეფექტის მიღწევას. ერიდება ხასიათის, ფსიქოლოგიური განცდის გარეგანი ნიშნებით გამოხატვას (თავის დახრა, მობრუნება, შეკმუხნული წარბები და სხვ.). ის მიზნად ისახავს ხასიათის გადმოცემას პლასტიკური ფორმების მკაფიო გამოყვანით და გამომხატველობით. მოქანდაკე მოდელის ერთი რომელიმე განწყობის ასახვას კი არ ცდილობს, ხასიათის მხოლოდ კონკრეტულ მხარეს კი არ ავლენს, — არამედ უფრო მყარს, მუდმივს და ზოგადს.

გ. ოჩიაურის ნამუშევრების განხილვა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა მოქანდაკე ჯერ კიდევ დაუცხრომელ შემოქმედებითს ძიებაშია. ის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სავსებით გარკვეულ მხატვრულ ამოცანას ისახავს. მოქანდაკე მუშაობს პორტრეტზე ძალიან თავშეკავებული პლასტიკური საშუალებების გამოყენებით და ამავე დროს ქმნის სულ სხვა ხასიათის დეკორაციულ ბარელიეფებს. ამ ნამუშევრების ემოციურობა და გამომხატველობის ძალა ახალგაზრდა მხატვრის მაღალ ნიჭზე, გემოვნებასა და მხატვრული ინტერესების მრავალმხრივობაზე მეტყველებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეორგი ქიქოძე

ლადო გუდიაშვილი

ამ ორმოცეიოდე წლის წინათ სამი ახალგაზრდა ქართველი მხატვარი გაერთიანდა, რათა მოწაფეობა მიეღოთ რუსთველის პროსპექტზე, სამხატვრო გალერეაში მოწყობილ გამოფენაში. დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და შალვა ქიქოძე თითქმის თანამესაკენი იყვნენ, უფროსი მათგანი მხოლოდ სამი-ოთხი წლით სჯობრობდა ყველაზე უმცროსს. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთს მხატვრულ სკოლას წარმოადგენდნენ: ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ წერის მანერით, სამპატიებით, მსოფლმხედველობით. ეს ახალგაზრდა მხატვრები მართებულად აფასებდნენ წინა თაობის ფერწერულებს — გიგო გბაშვილს, მოსე თოთიძს, აღუქსანდრე მრეველიშვილს, განსაკუთრებით მოსწონდათ ნიკო ფიროსმანი; მაგრამ მათ უნდოდათ ვადაელახათ როგორც აკადემიური, ისე ნატურალისტური და პრიმიტიული მხატვრობა და ახალი სიტყვა ეთქვათ ხელოვნებაში.

ქართველი საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა იმ სამეულის გამოსვლას, ისევე როგორც ცოტა ხნის წინათ ძველი ქართული ფრესკოების და მინიატურების გამოფენას. ამ ძველი ქართული ხელოვნების გამოფენამ, სხვათა შორის, ცხადაყო, რა დიდი მემკვიდრეობა დაეტოვებინათ ჩვენს წინაპრებს როგორც მონუმენტური ფერწერის, ისე წიგნის ილუსტრაციის დარგში; აღე ერთს ქართველ მხატვარს უფლება არ ჰქონდა უგულებელეყო ეს მემკვიდრეობა, თუ მას სურდა ნაციონალური ხელოვანი გამხდარიყო.

ერთი რამ აერთიანებდა სამ ახლადგამოსულ ქართველ მხატვარს: ეს იყო ის უდიდი ეშმარიტება, რომ შეეძლებელია პლასტიკური ხელოვნება სინამდვილის პასიური ასახვით დაკმაყოფილდეს, მან აგრეთვე მისი განმარტებაც უნდა მოგვაცეს. მეორე ღებულება შეიძლება ეთქვას, პირველი შეხედვით, უფრო სადავოდ ეჩვენოს, თუმცა ის არსებითად არაფერს შეიცავს საფიროს: ემპირიული სინამდვილე, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრება ზეგავლენას ახდენს ხელოვნებაზე, მაგრამ ხელოვნება თავისი მხრით მოწოდებულია ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. დიდი ხელოვანი არსებითად ისეთივე რეფორმატორია, როგორც დიდი მეცნიერი და დიდი პოლიტიკური მოაზროვნე.

პარიზში, სადაც დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და შალვა ქიქოძე გავემგზავრნენ 1919 წელს, მათ შეინარჩუნეს მეგობრული ურთიერთობა, რამდენჯერმე სურთო გამოფენაც მოაწყეს, მაგრამ მათი შემოქმედებითი გზები რადიკალურად დაშორდა ერთმანეთს. შალვა ქიქოძე ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. დავით კაკაბაძის საუკეთესო რეალისტური სურათები, რომელნიც დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კედლებს „ამშვენებენ“ ან მის სეიფში ინახებიან, მისი „დედა“, იმერეთის პეიზაჟები, ნატურმორტი, ავტოპორტრეტი, „მაღნეულის დამუშავება სვანეთში“, „მთის სამუშაოები“ და სხვ., პარიზში გაგზავრებამდე ან იქიდან დაბრუნების შემდეგ არიან შესრულებული. პარიზში გატარებული რვა-ცხრა წელიწადი დავით კაკაბაძემ უმთავრესად თეორიულ და ტექნიკურ ძიებებს შესწირა, ეს ძიებები მიძღვნილია ხელოვნების ფილოსოფიის, ფერწერის, პერსპექტივის, კომპოზიციის საკითხებისადმი. მან იქ რამდენიმე ლიტერატურული შრომა გამოქვეყნა ქართულ ენაზე და რამდენიმე ანტრაკტული, უსაგნო სურათი შექმნა.

ძნელია ორი ხელოვანის აღმოჩენა, რომელნიც ისე დაშორებულნი იყვნენ ერთი-მეორეს, როგორც დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილია: მეგობრობა, ერთნაირად უადგილად განვითარებული გემოვნება, ერთი და იგივე პატრიოტული შეგნება მათ ხელს არ უშლიდა სხვადასხვა მხრიდან მიდგომოდნენ ხელოვნების ძირითად პრობლემებს და სხვადასხვანაირად გადაეკეთათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი. დავით კაკაბაძეც დიდი კოლორისტი და დიდი გრაფიკოსი იყო, მაგრამ მისი შემოქმედება უპირატესად გონებაზე იყო დაყრდნობილი. ის ამტკიცებდა, მათემატიკის და ფიზიკის კანონების გარეშე ვერ შეიქმნება ვერც ერთი ხელოვნური ნაწარმოებები. როგორც ზოგჯერ ინტელექტური ტიპის ადამიანებს სჩვევიათ, მას უნდა ჰქონოდა სკეპტიციზმის შეტეხვები: ალბათ ამით აიხსნება ხანგრძლივი პაუზები მის შემოქმედებაში.

ლადო გუდიაშვილი, პირველი, ინტუიციის, ფანტაზიის და თვითრწმენის ადამიანია: არასოდეს მას, როგორც ჩანს, თავის თავში და თავის მოწოდებაში ეჭვი არ შეპარვია.

უეჭნარეს ყოველისა გიორგაძის იწვევს მისი ნაყოფიერება, მისი ძიებების მრავალმხრივობა. ის იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც არ ეძებენ სწრაფწამავალ პოპულარობას.

პირველი გამოსელისთანავე ლადო გუდიაშვილმა გამოამჟღავნა, რომ ის ძალიან თვითნება მხატვარი იყო და არ სურდა თავისი პროფესორების — მოსე თოიძის, ოსკარ შმერლინგის, ეგიშერ თათიეოსიანის მიერ ნაჩვენები გზით ვლო. როგორც ნოვატორებს სჩვევთან, ლადო გუდიაშვილი თავისი მამების გაკვეთილებს ეურჩებოდა, რათა თავისი პაპების შეგონებისათვის დაეგდო ყური. თავისი ზორეულად წინაპრების მხატვრული ანდერძი კი მან ნაწილობრივ საკართველოს მუზეუმებში შეისწავლა, ნაწილობრივ ძველი ტაძრების კედლებზე; თავისი აკადემიური განათლება მან ძველი ქართული მინიატურას, მინანქრის და ოქრომჭედლობის ოსტატებისაგან, აგრეთვე საფარის, ზარზმის, ოშკის ფრესკოების და ჩუქურთმის ოსტატებისაგან მიიღო. ამ მხრივ მისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მონაზონობა ექვთინე თაყაიშვილის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს სამცხე და ტაო-ლალარჯეთ მოვლო და იქაური მონუმენტური ძეგლები შეისწავლა.

მაგრამ ლადო გუდიაშვილს არც ამ თავისებურ აკადემიაში შეუწყეტიეს თავისი შემოქმედება უბრალო ასლის გადაღებების როლით: მისმა ფუნჯმა და მისმა ფანქარმა ძველი კედლის ნახატი და ძველი წიგნის ილუსტრაცია გადაიტანა და ამ ამოძრავა და მისი უფრო გვიანდელი პერიოდის „ფრესკოს ღიმილი“ მისი ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი შედეგია.

ლადო გუდიაშვილის პირველი ტილოების შესახებ ფრანგმა კრიტიკოსმა მორის რიანსაძეს შენიშნა, მათზე ასახულ ფიგურებს დარბაისლური, მეგვისებური პოზები აქვთ, დამახასიათებელი ბიზანტიური და ქართული საეკლესიო მხატვრობისთვისო. რას ასახავენ ეს პირველი ტილოები? თბილისელ კინტოების და მათ ქალებს ბარი ქალების დროსტარეების სადგე ქალების გარეუბნის ბაღში, დარიბულ სუფრას მწვადითა, ცოცხალითა, მწვანილოთა და ღვინის დოქით, აქლემის ყელებიანნი ცხენებით შებმული ეტლს, გრძელწვერიანი განდეგილის შეხვედრას მდინარეში მოსაბანად ქალებსა და ნიამორთან, ქალს და ნიამორის ალერსს და სხვ. ეს კინტოები, ყარაჩოღელები და მათი სატრფოები სეედიანად იკერავნიან. ზოგიერთი მათგანის თვალში რაღაც სატანური ცეცხლი ელვის. კოლორიტი მუქია, ბეიზეაკი და ცა ძუნწად ნანაშენები, მაგრამ ფიგურებს და სანგებს მტკიცე კონტურები აქვთ.

ამ პირველის სურათებმა და გრაფიკულმა ნახატებმა ლადო გუდიაშვილს დიდი პოპულარობა მოუპოვეს ხელოვნების მცოდნეთა და მოყვარულთა წრეებში: არა მარტო პარიზში, სადაც მან რამდენჯერმე მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა გამოფენაში (შემოდგომის სალონში, დამოუკიდებელთა სასახლეში, მარტორქის გალერეაში), არამედ საფრანგეთის გარეთაც, ბელგიაში, შეერთებულ შტატებში და სხვაგან. კრიტიკოსები და რეცენზენტები აღნიშნავდნენ, ლადო გუდიაშვილი თავისი სურათების გმირული და ელეგიური პოეზიით გვაყვარებს ქართველ ხალხს, ცნობილ თავისი რაინლობით და სიკოცხლის მძაფრი შეგრძნობითო; ის იმ ხელოვნითა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც გამოსაცალს უჩენენენენ ჩიზში მოქცეულ თანამედროვეს მხატვრებსო. ამ გამოფენამთა დასკვნა მორის რიანსაძეს მოგვაგო თავის მონოგრაფიაში: „ლადო გუდიაშვილმა თავის შემოქმედებაში შესძლო წონასწორობა დაეფარებია გონებისა და პირადი გრძნობიერობის ფშვულსებს შორის. ამრიგად მან შექმნა ორიგინალური სამყარო, რომელიც მოხიბლავს, აიღელვებს და შეაშფოთებს თვით იმ ადამიანებსაც, რომელთაც ჭკონათ, დიდი ხანია გრძნობიერობის ხელოვნებისა გაკარტნდაო“.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ლადო გუდიაშვილის თემატიკა არაჩვეულებრივად გაფაფართოვდა, მისი კოლორიტი უფრო თბილი და ნათელი გახდა, მისი ხაზები უფრო ჰარმონიული, ხოლო მისმა კომპოზიციურმა ნიჭმა თითქმის უბადლო სრულყოფას მიაღწია.

* * *

როდესაც თქვენ რუსთაველის პროსპექტის ჩრდილოვანი უბრეტების, თელვების და ცაცხვების ხეივნიდან ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენაზე შედიხართ, რომელიც ამას წინათ გაიხსნა სამხატვრო გალერეაში, ეგრეკვნებათ, ქართულ პოეტური სამყაროში მოხვედით, შექმნილში ღრმად მგრძნობიარე და მდიდარი ფანტაზიით დაჯილდოებული ფერმწერლის მიერო. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს მრავალფეროვნება მით უფრო გაოცებთ, რომ მისი შემქმნელის ყურადღება უმთავრესად მიპყრობილია არა საქართველოს ბუნებისა, ყოფაცხოვრებისა და არქიტექტურული ძეგლებისკენ, არამედ ადამიანისკენ. მხატვარი შედარებით ძნელად აღნაშნავს პეიზაჟს, ის ცდილობს ახსნას ყველაზე დიდი სიიდუმლოება— ადამიანის სხეულის და სულის სიიდუმლოება და ახსნას ისე, როგორც ჭეშმარიტად ეროვნულ მხატვარს შეეფერება.

არიან მხატვრები, რომელთაც თითქო ეშინიათ ქალისა, განსაკუთრებით ტიტველი ქალისა, და გაურბიან მის დახატვას. ასეთია, მაგალითად, პოლ სეზანი, რომელიც ფიქრობს, ოთხი ფრანკი ძალიან დიდი გასამრჯელოა ტიტველი მოდელის ერთი სეანსისთვისო. ქალის მოდელის წინაშე ის უპირატესობას აძლევდა ვაშლს, თუნდ დამკვნარს, ყვავილს, თუნდ ხელოვნურს. ჩვენი ლადო გუდიაშვილი იმ მხატვრებისა და პოეტების ბანაკს ეკუთვნის, სადაც ქალი, მართებულად თუ უმართებულოდ, ბუნების გვირგვინადაა გამოცხადებული. ის მილიონებს არ დაიშურებდა თავისი მოდელებისათვის, მაგრამ ერთი რომ, მას მილიონები არ ჰქონდა და, მეორეც, მისი მოდელები მას ფულად გასამრჯელოს არ თხოვდნენ: ისინი კმაყოფილი იყვნენ იმით, რომ მისი ფუნჯი მათ უკვდავყოფდა.

ის ხატავს სხვადასხვა სოციალური წრის და სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ქართველ ქალებს, საფლავიდან ამოსულ სერაფიტას, რომელსაც ბედნაწი მეცნიერები უეჭვრად გოიკეთია, რაშიდან გადმოვარდნილ, დაჭრილ ამორძალს, თამარ მეფეს, მანანა ორბელიანს, ჩვენს თანამედროვეებს, სასახლის ოთახზე მსხდომარეთ, ან მწვანე კორდზე წამოწოლილთ, თავბრუდამხვევ ქარიშმლიან ფერხულში ჩაბმულთ ან ანტიკურ ღმერთების ფერად ფანტასიებში, საკოლეტურნო შრომაში ჩაბმულთ ან რელიგიური პრიალესის მონაწილეთ. მაგრამ ამ ქალებს აქვთ რაღაც საერთო, რაც მათ ურთიერთშორის ანათესავებთ: ესაა პოეტური სპეტაკული, რომელიც მათ ახვევიათ.

მხატვარს, როგორც ეტყობა, გულმოდგინედ არ შეუსწავლია ადამიანის ანატომია და მისი ქალაღაეკეთი საღმონსტრაციოდ არ გამოუტანიან მედიკური ფაკულტეტის ლექციებზე. ისინი არც ეროტომანნი მამაკაცის კაბინეტის შესამკობად ვარგანან.

თავისი ქალების სამყაროს მხატვარმა დაუბარდაპირა მამაკაცების სამყარო, დასახლებული ფოლადის კუნთებიანი ან ღრმად ჩაფიქრებული, ბედნიერად მომღიმარე ან ტრაგიკული ნაოცნებით სახეგადარეული ადამიანებით. მათ შორის ყველაზე დამახასიათებელი შეიძლება მისი გრაფიკის შედევრი „გუდამაყრელი მწყემსი" იყოს, რომლის თვალებიდან თითქო მთელი თაობები იყურებიან, დაწყებული ძველი იბერიელებიდან და გათავებული ვიკა-ფშაველის გმირებით.

სიყვარული მხატვარს, უწმინარეს ყოფილსა, წარმოდგენილი აქვს როგორც ალერსი; ამ ალერსის სიმბოლო სუსტი ნიამორია. მხატვრის ფუნჯი თითქო ნიამორიეთ ელერსება ქალის სხეულს.

„ლოყა" შედეგად შეიძლება ჩაითვალოს — როგორც კოლორიტისა და ნახატის, ისე კომპოზიციის თვალსაზრისით. ამ სურათმა შორეული ასოციაციით შეიძლება ედუარდ მანეს „ბალკონი" და ოგიუსტ რენუარის „ლოყა" მოგვაგონოს; მაგრამ მსგავსება არ სცილდება კომპოზიციის ხაზღვრებს. ეს სამი ქართველი ახალგაზრდა ქალი, რომელნიც თეატრში მოსულან, რათა თავი მოწონონ პარტერის და იარუსის საზოგადოებას, მშვენიერ თაიგულს ქმნიან ხანდაზმული მამაკაცის გვერდით, რომელსაც მხოლოდ სცენა აინტერესებს. და ეს კონტრასტი საეცხოოდ იხატება ფერადების გამმაში, რომელიც თალნი ფერებით იწყება, რათა შვინდის ფერსა და მწვანეში გადავდგეს, ხოლო ბოლოს შეუდარებელ უნაზეს ნაზეკვარტნებში დაიწმინდოს.

ის არ ცდილობს მაყურებელი თავისი პალიტრის სიმდიდრით ვაოიოოს: ამ მხრივ ის არ ჰგავს ზოგიერთ მამლილოროწმენე ინპრესიონისტს, რომელიც სპეკტრის ყველა ფერს იყენებს, რათა სურათი მოლიელავე ფარჩის ქსოვილს ან მაკრატანეულ გაზონს დამსგავსოს. თავდაბალველად ის უფრო ყავისფერს, ნაცრისფერს, მუქ ლურჯს იყენებდა, შემდეგ უფრო მწვანეს, შინდისფერს, ღვინის ფერს, ოქვიათად ვარდისფერს აძლევს უპირატესობას. როდესაც მას სურს შიშველი ქალის სხეულის კოლორიტი გადმოსცეს, სადაფის და სპილოს ძვლის ელფერს მიმართავს, და სხეული თითქო გარედან კი არაა განათებული, არამედ თვითონ გამოსცემს სინათლეს. ამრიგად უნაზესი შუქის ილუზიის შთაბეჭდილება იქმნება.

თავისი სიჭაბუკის დროს მასწავლებლის მოსე თოიძისაგან განსხვავებით, არსად ის საქართველოს მეცხვრეთა ფიგურებზე, გვიგრავრებულ ჰაერს, ვერცხლისფერად განათებულ თივრიალან ღამეებს არ ხატავს. მას უყვარს ჩრდილოვანი თაღები და კამარები, ეზოები და აივნები, სადაც ახალგაზრდა ქალები სამთის ცეკვავენ, ან ბეთუზაზა ბიჭები და გოგონები სვეფლის ნიღბად ახალგაზრდა მსახობს უცქერიან. მას უყვარს ძველიური კორდები, სადაც ტანთგახდილი ქალაშვილები წამოწოლილან და ფეხები მეფირარეში ჩაუშვიათ, კიბეები და ბალუსტრადები, სადაც ულამაზესი ქალაღაეკი თავები ყვავილწნელებს ჰქმნიან. მის შავგვრემან ქალ-ვაეკებს, ვნების ცეცხლით გარეულნს, მთვრალინი ღამეები ან სპეირდებით საოცნებოდ, ისინი თითქო ბედნიერი სიზმრების სამყაროში ცხოვრობენ. თუ დამოუკიდებელი პეიზაჟი ეპიზოდურ როლს ასრულებს ლადო გუდია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის შემოქმედებაში, სამაგიეროდ მისი პორტრეტებისაგან ერთი მდიდარი გალერეა შეიქმნებოდა. ნაკლულოვანნი ლიტერატურული და ეკონომიურადფიული მასალების შესწავლის საფუძველზე ის ჰქმნის ისტორიული პირების—ბეკა და ბეშქენ ოპიზარების, არჩილ მეფის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა პორტრეტებს, და ჩვენ გვჯერა, რომ ეს დამამიანები მართლაც ასეთები უნდა ყოფილიყვნენ. ის ხატავს თავის თანამედროვეებს, უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდა ლამაზ ქალებს, და ჩვენ გვჯერა, რომ ოდნავი იდეალიზაცია არსებითად ზნისს არ აყენებს მოდელს რეალისტურ ასახვას. ჰუმანიზმის იდეის ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს „ფიროსმანის სიკვდილი“, რომელშიც ყოველგვარი სანტიმენტალიზმის გარეშე გადმოცემულია გამოჩენილი ქართველი ხალხო მხატვრის ტრაგედიის უკანასკნელი აქტი. ეს სურათი დიდი განზოგადების სიმაღლეზეა აყვანილი: ასე დაიღუპა არა მარტო ნიკო ფიროსმანი, ასე იღუპებოდა საერთოდ ყველა დავიწყებული და გამოუცნობი ტალანტი! ასეთია ამ მშვენიერი ტილოს აზრი.

თავისი აზროვნების ორიგინალობა ლადო გუდიაშვილმა განსაკუთრებით გრაფიკაში გამოამჟღავნა. ის ნახატის დიდი ოსტატია, ეს ნათლად სჩანს მის ფერწერაშიაც. მისი ფიგურების კონტურები მკვეთრია, მათი მოძრაობა შეტყველი და რიტმიულია. მაგრამ ქართველი ფრანსისკო გოიას სახელი მას მისმა თამამმა გრაფიკულმა ნახატებმა მოუპოვეს. ამ ნახატებში ის გამოდის კაცობრიობის მოწინავე იდეებისათვის დიდ მებრძოლად. ყველა ატავისტურ ძალას, რომელნაც ლამობენ დამამიანის თავისუფალი შემოქმედება შებოჭონ, მის ბედნიერებას ხელი შეუშალონ და თანამედროვე საზოგადოებას უკან დაახვევინონ ბნელი გამოქვაბულისა და ჯუნგლმეულებისაკენ, ის დაცინვის ბასრი იარაღით ებრძვის. ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი გაოცებული ხედავს, რომ ეს დიდი ლირიკოსი და ეპიკოსი აგრეთვე ულმობელი სატირიკოსიც ყოფილა.

ქართველმა საზოგადოებამ დიდი აღტაცებით მიიღო ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენა; ცხატარამ ეს წარმატება დიამსახურა თავისი ზნეობრივი ძალით და თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით, ყველაზე მეტად კი იმით, რომ მისი შემოქმედება მაყურებელს შეუმღვრეველ სიხარულს ანიჭებს და სიცოცხლის ენერგიას მატებს. ესაა ცხოვრების დამდასტურებელი, ოპტიმისტური ფილოსოფიის აღიარება. მაგრამ უმართებულობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მისი სურათები ყველანი ერთნაირად სრულქმნილნი არიან. საერთოდ მისი დიდი კომპოზიციები უფრო სუსტ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე პატარები. არც „თამარ მეფის კარი“, არც „ღვეზის ქორწილი“, არც „მაჭრობა“ არ ეკუთვნის მისი შედევრების რიცხვს. ზოგიერთ ტილოს მანერულობა აყენებს ზიანს, ზოგს — გადაჭარბებული დეკორაციულობა. გამოფენა მოიგებდა, თუ მისი მომწყობნი უფრო კრიტიკულად შეარჩევდნენ მასალას.

შეცდომა იქნებოდა აგრეთვე წარმოგვედგინა—ლადო გუდიაშვილი თანამედროვე ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში რაღაც ქეოფსის პირამიდასავით დგას და მის გარშემო მხოლოდ უდაბნოებიაო. საბჭოთა საქართველოს პლასტიკურ ხელოვნებას ბრწყინვალე მიღწევები აქვს და მრავალი გამოჩენილი ოსტატის დასახელება შეიძლება როგორც ფერწერის და გრაფიკის, ისე ქანდაკების, ხეროთმოძღვრების და კერამიკის დარგში. ლადო გუდიაშვილი მხოლოდ ერთ-ერთი დიდი ორიგინალური ოსტატია, მისი შემოქმედება საქართველოს სინამდვილეს ახალი და მოულოდნელი თვალსაზრისით აშუქებს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ

ყოველ ადამიანს აქვს მიდრეკილება სილამაზისადმი. მას უყვარს არა მარტო მუსიკა, სახვითი ხელოვნება და პოეზია, არამედ ცდილობს მოახდენილად შეამკოს თავისი ბინა, იქონიოს ლამაზი ნივთი, ტანისამოსი და სხვ. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ლამაზი ცხოვრების შედეგად იქმნება მყუდროება, იზრდება შრომისუნარიანობა და ცხოვრების ხალისი. გლეხკაცი ამაყობს თავისი კეთილმოწყობილი სოფლითა და კარმიდამოთი, ქალაქელი — თავისი ქალაქით, ლამაზი ქუჩებით, რომლებიც ქმნიან საშობლოს კონკრეტულ გრძნობას. განა თბილისის მშვენიერებაც არ არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ასე გვიყვარს ჩვენი დედაქალაქი!

ჩვენს ხალხს ძლიერ უყვარს ხელოვნება, რადგან ნამდვილი რეალისტური ხელოვნება ყოველთვის ხალხურია, ესსახურება ხალხს, მის ცხოვრებას, სილამაზეს. იგი გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, უმღერის ადამიანს, აყალიბებს და ამაღლებს ხალხს შეგნებას. ხელოვნება ადამიანთან მჭიდრო კონტაქტშია. იგი მას ხვდება არა მარტო მუზეუმებსა და თეატრებში, არამედ სასლში, ქუჩებში, ბაღებსა და პარკებში, ყოველდღიურ ცხოვრებასა და შრომაში.

ამ წერილში ჩვენ განსაკუთრებით გვინდა შეეჩერდეთ დეკორატიულ-გამოყენებითს ხელოვნებაზე, ე. წ. მეორე ხელოვნებაზე. იგი უფრო მასაწვდომია ხალხისათვის, ყველაზე მეტად გავრცელებული და შეჭრილია მის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩვენი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების წარმატება საყოველთაოდ ცნობილია. ხალხური ოსტატების ბევრი შშვენიერი ნაკეთობა გეხმაღლეს პერიოდულ გამოფენებზე და საზღვარგარეთის საერთო ყურადღებასაც იქცევს; მაგრამ მათი მასობრივი გავრცელება ხალხში, ფართო მოხმარების საგნად გადაქცევა, საშუალოდ, ვერ მოხერხდა. დღეს, სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგის სწრაფი განვითარების დროს, მსუბუქი მრეწველობისა და გამოყენებითი ხელოვნების პროდუქცია სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს ხალხის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს.

ბევრი ფაბრიკა-ქარხნის მესვეური უგულებელყოფს მხატვრული წარმოების განვითარებას, ვერ ითვალისწინებს მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ხალხის ესთეტიკური აღზრდისა და კულტურული დონის ამაღლების მხრივ. მხატვართა საკავშირო ყრილობაზე მართებულად გამოითქვა საყვედური ამ სამხატვრო ორგანიზაციებისა და მხატვართა მიმართ, რომლებიც ჯერეოვან ყურადღებას არ აქცევენ გამოყენებითს ხელოვნებას და სათაკილო საქმედ მიაჩნიათ მისი სამსახური.

მოვიგონოთ, რომ ანტიკურსა და აღორძინებას ეპოქებში ხალხის მხატვრული გემოვნება ვლინდებოდა არა მარტო მონუმენტურ ძეგლებსა და ფრესკულ ფერწერაში, არამედ აგრეთვე საყოფაცხოვრებო ნივთებში, იუველირულ სამკაულებში, ჭურჭლისა და იარაღის მორთულობაში, ავეჯისა და სამოსლის ფორმასა და ნახატში. გამოჩენილი ოსტატები არ თაკილობდნენ უბრალო ფორის მოხატვას, ბაშაწინა ღილის შემკობასაც კი; სახელოვანმა ბენვენუტო ჩელინიმ სამარილის გამოუდგა კი „იტდრა“.

მარქსის განმარტებით, ადამიანის ირგვლივ საგნები წარმოადგენენ მისი გრძნობების, მისი არსის ნივთიერ ასახვას. ისინი იქმნებიან ადამიანის მიერ „არა მარტო სარგებლიანობის კანონის თანახმად, არამედ სილამაზის კანონის თანახმადაც“. თუკი ამ თვალსაზრისით შეეხედავთ ჩვენს საყოფაცხოვრებო საგნებს, დავრწმუნდებით, რომ ისინი ვერ ასახავენ ჩვენი ქვეყნის საერთო კულტურულ დონეს, ხალხის სიმდიდრეს, მის გემოვნებასა და გემოვნებას.

ქალაქს ძლიერ ამშვენებს და ალაცოცხლებს ბაღნახთა ვიტრინები. ყველაზე ხალხმრავალი ჩვეულებრივად ის ქუჩებია, სადაც თამბოლილია სავაჭროები. გადავხედოთ რუსთაველის პრ-ს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეკენ და აღვილად შეეგმნნეკენ, რომ აქ განლაგებული სავაჭროთა წყალობით ხალხის ნაკადი ძირითადად მის ერთ მხარეზე მიიმართება. მაგრამ როგორი ყურადღებაა ექცეკენ მაღაზიების გაფორმებას? თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა ვიტრინას, სადაც ჩანს მხატვრისა ან საერთოდ გემოვნების მქონე ადამიანის ხელი, ვიტრინეკის უმრავლესობა მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს.

დავიწყოთ თუნდაც მანეკენებიდან. ან, მიდიხართ მზა ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინის გასწვრივ და ვიტრინებიდან ვიეკერენ კისერგაშეშებული, საოცრად დაფრჩენილი, სევდიანი, გაწყენილი ირონია და გაურკვეველი ფერის თვალები ჭმენე მანეკენები. მათს არარეპორტიულ სხეულებს, რომლებიც ბოსტანში დასობილ საფრთხობელებს გვანან, მოიმხარებელი დამფრთხალი ფრინველივით გაურბის. დაბალი გემოვნებით ფა ნაჩქარეკი ხელით შეკერილი არც თუ ისე დაბალი ხარისხის ქსოვილის სამოსი, რომელიც ამ მანეკენებს „აშშენებს", სრულიად გიკარგავთ ჩაცმა-დახურვის მადას. ყოველივე ეს გასაგებია, როდესაც არ არის გამორიცხული — ასეთი სამოსით გამოწყობილი, ხსენებული მანეკენებს არ დამამსგავსოთ. რეკლამის მოგალობაა მიიზიდოს მომხმარებელი, გამოიწვიოს მასში ესთეტიკური სიამოვნება, მოაწონოს ესა თუ ის საგანი, ნივთი თუ საქონელი. აქ კი პირიქით ხდება. მსგავსი დაბალი, პრიგინერული, ყოველგვარ ესთეტიკურობას მოკლებული ვიტრინები და რეკლამები გემოვნებას უფუქებენ და აფრთხობენ მომხმარებელს. აქ ჩვენ ვხედვებით უამრავი საგნის დაზვინვას მათი ფერის, ფორმისა და ზომის განურჩევლად, ყოველგვარი კომპოზიციის გაუთვალისწინებელად, მათს განლაგებას პრიმიტიული სიმეტრიის საფუძველზე.

თუ დავუკვირდებით თვით საგნებს, განსაკუთრებით კი წვრილ საწარმოთა და ატელიეების პროდუქციას, დაეინახავთ საშინელი ნიმუშებით შემკულ, ჭაუტელ ხალიჩებს, სუფრებსა და თავსახეგვებს, ჯოსატმასის ან პლექსიფოფლის სამფლენებს, შემკულს ბანალური ყვავილებითა და ჩიტებით, ფოტოსურათების ჭრელ ჩარჩოებს. განსაკუთრებით საკალათო მდგომარეობის შეიძლება ეწავწყოეთ ბაზრებში, სადაც იყიდება ვინმე საქმოსან „ბზატვართა" მიერ დათხაპნილი სუფრათები და მაკიდის საფარები ტრადიციტულ გვდვნთ, ტის პირას გაბაბული გამოვეებული ქალწულებით ან ეეფხვთან შებრძოლებული ტარიელთან. აქვე შეიძლება შეიძინოთ ღია ბაროგეი ბოლოვეული რეპრტუარიან ნასესხები ბომბონიერე მზეთუნახავებისა და გაპრიალებული მამაკაცების გამოსახულებებით, რომლებიც მოგაჩვენებ შეუოსაზებია გულისამაჩუყებელი ტატიდებთან და ისინთ გაგგმირული გულით.

მაგრამ ვკვეს თუ არა უფლება გამოვიჩინოთ ასეთი სიმკაცრე ბაზრის საქმოსანების მიმართ, როდესაც არანაკლებ უგემოვნო აბსურდული ვხვდებით თვით უნივერსალურ მაღაზიებში? თვალიერებთ შპალერის ეკსპოზიციას და გაკვირთ — ვინ შეარჩია ეს ირშეები, ეს ნახატი, ეს ფერები, ან ვის დაებადება სურვილი შეიმკოს ასეთი მხატვრობით თავისი ბინა და დღედაღამე უმზიროს იმ ტუსსა და ჭროღა ჭუჭყიან ფერებს?! აქვე ახლოს გამოკიდულია განათების არმატურა — მძიმე ჯაჭვებზე ირხევა სახინკლე ქვაბივით უხეში ჭაღები მსხვილი ჭანჭიკებით დამაგრებული ფიტილებით.

დიახ, ასეთი საგნების მეშვეობით ძნელი უნდა იყოს ხალხის გემოვნების ვანვითარება. ესთეტიკურ აღზრდას დიდი ღრო სჭირდება და გემოვნებეის გამახვილება ბავშვობის ასაკშივე უნდა იწყებოდეს. ამის ხელს შეუწყობდა მსუბუქი, ლამაზი, გემოვნებით შეფერადებული სათამაშოები. რა თქმა უნდა, არა „ბავშვთა საშყაროში" გამოფენილი უადგილად ძმიმე, ადვილად მსხვრევადი, ჭუკტელი და ყოველგვარ გამოეტყვეელებს მოკლებული დაგდიდნილი თოკინები, დაფეხვილი სპილეები, დაბრეკილი მანქანები და ნესვისმაგვარი ბურთები!

რა შეიძლება იყოს წყინნე ან კარგ სურათზე უკეთესი და სასიამოვნო! მაგრამ წყინის მაღაზიის თარობიც, სამწუხაროდ, უფიერული და უსახო. ეს განსაკუთრებით ჩვენნ რეცხეტლიკის გამომეცემლობათა პროდუქციის შეეხება. აქ სეზონურად გაბატონებული ყდის ეროი ფერი (საწყობში არსებული გრანიტოოს მიხედვით) და გაფორმების უკვე ტრადიციული, თითქმის ერთადერთი სქემა. აქვე მაღაზიებში გამოკიდებული ზეთით შესრულებული სურათების ხარისხზე რომ ალარ ვილაპარაკოთ, არჩევანც ხომ ძალზე შეზნეულია. ისევ შიშკინის სახრალო დათვები, ალვაზოვსკის „ეტეტრე ტალღა" და ოროიოე სხვა, რომლებიც გვხვდება თითქმის ყველა სასადილოში, კლუბების ფოიეში და ალუბალ მრავალ ბინაში. ნუთუ ორი-სამი, თუნდაც კარგი ნაწარმოების პირი დაკამაყოფილებს ყველა ადამიანის გემოვნებას; ან იქნება სურათის ნაცვლად ოოოკროვი-ანი ან მოვერცხლილი თამაშირის ქანდაკებებს შეეენა სჯობს მეშჩანური გემოვნების დაკმაყოფილების მიზნით?

იქნებ საკონდიტრო მაღაზიაში შეარჩიოთ ახალგაზრდა ადამიანისათვის საჩუქრად ვანკუთვნილი ლამაზი კოლოფი. მაგრამ მასზე ისევ შიშკინია და ვასნეკეოთ (ეს უკვე ნამდვილად უადგილოა!) რეპროდუქციებია, ან მდარე გემოვნების ორნამენტად ჩარჩოში მოთავსებული რუსთაველის პორტრეტი, რაც უკვე ვულგარულია და არასაკადრისი.

რამდენადმე უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ალეკვის მხრივ. მაღაზიებში, თუმცა იშვიათად, მაინც შეხვდებით სადა, კეთილშობილი ფორმის, კარგად გალაქქულ გლეგეზედაპირიან ალეკვს რა

თქმა უნდა, ლაპარაკია არა ჩვენს თბილისურ პროდუქციაზე, რომელიც გადატვირთულია პროფილირებული ელემენტებით, რთული კარნიზებით და ამავე დროს გამოირჩევა შესრულების მეფარა ხარისხით, თუმცა სალამაზის გარეკეული პრეტენზიით არის გამოშვებული.

ალარ დგიწყებთ ფართო მოხმარების სხვა საგნების დახასიათებას, გვინდა, ზემოთქმულიც საკმარისია. ფართო მოხმარების ყოველი საგანი: პაპიროსია თუ ასანთის კოლოფი, კოსმეტიკის ყუთი თუ ჭურჭელი, ყურნელის ყდა თუ იუველირული სუფენრები, უნდა იყოს სადა, მაგრამ ამასთანავე მიმზიდველი, ორიგინალური და ლამაზი ამ სიტყვის კარგი გაგებით.

მეზეუმებში ჩვენ ხშირად გვხიბლავს ანტიკური კერამიკული ჭურჭელი, უტილიტარული თვალსაზრისით სავსებით გამართლებული და ამავე დროს სრულიფიელი ფორმის შავი და წითელი კრატერები, ამფორები, ლაკიფები და პიდრიები შავი სანდალოზის, თეთრი ან წითელი ნაკვთებით, რომლებიც ხელოვნების ძვირფას ნიმუშებს წარმოადგენენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ასეთი ჭურჭელი ფეფუნების საგანი როიი ყოფილა — უბრალო თიხისაგან, მრავალ ეგზემპლარად კეთდებოდა და გათვალისწინებული იყო ფართო მოხმარებლისათვის. ყოველდღიური მოხმარების საგნის ასეთი მხატვრული დონე მართლაც რომ გასაოცაფერებელია. აქვე შეიძლება ვნახოთ ბეთლეჰემი დამზადებული ე. წ. ტანაგრას ქანდაკებანი. ეს მეცრე ზომის, ფაქიზად შეფერადებული თიხის ქანდაკებანი ასევე მასობრივი წარმოების პროდუქციას წარმოადგენდა. ბატარა ქანდაკებანი ასახავენ მშვენიერ ქალწულებს, სარკიან პრანჭია მზეთუნახავებს, ფედობრივ გრძნობას, მეგობრობას და სხვა ყაროვლ სცენებს. რა მშვენიერი და პოეტური ეს ქნნილებანი! რამდენი ახრი, გონებამახვილობა, ოსტატობა და ფაქიზი გემოვნებაა ჩაქსოვილი მათში! მაგრამ რად გვეპრდება ასეთი შორეული ექსკურსები. განა ჩვენში არ იყო ბრწყინვალე ხალხური შემოქმედება? განა დღესაც არ გვიოცებს ქართული ქედურობა და სევადი, ფილიგრანი და გრეხილი, მინანქარი და კერამიკა? განა თანამედროვე გამოფენებზე არ იქეცეს ყურადღებას ხალხური ოსტატების — ბ. ხანდამაშვილის, ა. და თ. ჯიბეიების, ი. ბოტკოფლის, ა. და ბ. მანოკოვამბოლშვილებისა და სხვათა ბრწყინვალე ნაბუშვერები, ან მხატვარ-კერამიკოსების — ზ. მიისურაძის, გ. ქართველიშვილის, ნ. გოგელაურას, ს. სულხანიშვილის, ი. ყანდარშვილისა და სხვა მრავალი ოსტატის მაღალხატვრული კომპოზიციები, კერამიკული ქანდაკებანი ან ჭურჭელი! განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მოჭანჯაე გიორგი სესიაშვილის შშვენიერი, სიყვარულით შესრულებული და ძლიერ მეტყველი მცირე კერამიკული ქანდაკებები და სახმარი ნივთები.

მაგრამ სად შეუძლია ჩვენს მოქალაქეს შეიძინოს ეს ნივთები? რატომ ვერ მოხერხდა ამ ნივთების სერიული წარმოება? განა გასაოცარი არ არის, რომ ეროვნული შემოქმედების ნიმუშები ჩვენში იშვიათობას წარმოადგენენ, მაშინ როდესაც ყველა ოთახის თაროები გაივსო შორეული ჩინეთის ტიბრული მინანქრით შემკული მასობრივი პროდუქციის ლითონის ჭურჭლით!

რა თქმა უნდა, თბილისის საწარმოთა მიერ დამზადებული ლერწკი ნუკეტრთმით მოხატული თეთრი ფოქაები და ლერტები ვერ შეეცვლებენ ამ ხარეულს. ამასთანავე ისინი, საშუალოდ, არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებენ და რამდენადმე (უნდა მოვთაფიფოდეთ) საბაზანის არმატურის ელფერი დაკმაოდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არ შეიძლება გვერდი ავუქციოთ თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესსა და ურთულეს საკითხს — საკითხს ეროვნული ტრადიციების შესახებ. ცხადია, რომ ახალი მხატვრული კულტურის შექმნა შეუძლებელია ტრადიციების გათვალისწინებისა და მათი შემოქმედებითად ათვისების გარეშე. ჩვენ სათუთად უნდა დავიცვათ ხალხური შემოქმედების ტრადიციები, თანამედროვე ცხოვრებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაპაკრეს თავისი ეროვნული სახე. მაგრამ ძველი ტრადიციული ფორმები, მიუხედავად მთელი თავგანაცი მიმზიდველობისა, მოითხოვენ შემოქმედებითის ცვლილებებსა და განახლებას. მეშვედრეობის ათვისება არ უნდა აბრკოლებდეს ახალი ხელოვნების განვითარებას. ახალი მხატვრული კულტურა პირველ ყოვლისა უნდა იყოს თანამედროვე, ხალხს გრძნობებისა და აზრების, დღევანდელი დღის ამსახველი.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიისა და მთავრობის მითითებათა შედეგად უკვე უარყოფილია ეკლექტიკური, კაზმული ფასადების არქიტექტურა, რომლისთვისაც სილამაზის ცნება" გაიგივებული იყო ყალბ მონუმენტურობასა და სიდიადესთან. ცხოვრებამ მოითხოვა მუშაობლების ფართო ინდუსტრიალიზაცია, რომლის პირველი — მსუბუქი, ელეკტროფიკაციანი, სუფთა და მყუდრო, ჰიგიენური და პროპორციული "მენთბეები შექმნიან არქიტექტურული სილამაზის ახალ კრიტერიუმს.

ცხადია, ახალ არქიტექტურას უნდა შეეესტეტიზებოდეს ბინის მოწყობილობაც. უნდა ეერიდოთ ბინის დაზნეიანს მრავალი ზედმეტი ნივთით (XIX საუკუნის ნეიფუალისამებრ) და ფართოდ გამოიყენოთ ჩაშენებული აეეკლის პრაქტიკა. თვით ავეკი და სოიკაჭი ნივთი უნდა იყოს სადა, მსუბუქი, ცხადი ფორმისა, ყოველგვარი უაზრო სამკაულებისა და მოროულობის (რაც ზშირად საჭიროა მხოლოდ ნივთის ცუდი ხარისხის მისაჩქმალავად) გარეშე. საცხოვრებელ ბინაში ყოველი საგანი უნდა უპასუხებდეს თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულებას—იყოს სასარგებლო და ამავე დროს ლამაზი. ოთახი, ავეჯი, ხალიჩა — ყოველივე, რაც არსებობს ჩვენს ირგვლივ, უნდა იყოს ერთმანეთთან შეხამებული, სუნთქავდეს ერთი ცხოვრებით, ავსებდეს ერთმანეთს, ქმნიდეს საგნების ჰარმონიას.

ყოფაცხოვრების კულტურული დონის ამაღლების მიზნით საჭიროა საყოფაცხოვრებო საგნებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ფართო ქარხნული წარმოება. საჭიროა, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს განაგებდნენ მხატვრები და არქიტექტორები და არა მხოლოდ შემთხვევითი საქონელმცოდნენი, არაკომპეტენტური ადმინისტრატორები და ეკონომისტები. მხატვართა და არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირები პრაქტიკულად უნდა ეხმარებოდნენ მრეწველობას, აყენებდნენ მის წინაშე მხატვრული განვითარების ახალ ამოცანებს, მონაწილეობდნენ მთის გადაჭრაში

დრო, სპეციალურმა უმაღლესმა სასწავლებლებმა ხელი მოკიდონ მრეწველობისათვის საჭირო კადრების მომზადებას. ჩვენ უადრესად გვჭირდება კარგი სპეციალისტები დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ავეჯის, ქსოვილებისა და სხვათა წარმოებაში. სპეციალისტებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან მხატვრულ წარმოებას, მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ხალხის ესთეტიკურ აღზრდას. ეს კეთილშობილური საქმე უნდა დავიწყოთ საშუალო სკოლიდან და ყოველმხრივ უნდა განვუვითაროთ ბავშვებს გემოვნება და სილამაზის გრძნობა.

გემოვნება, მხატვრული კულტურა არის ხალხის ცივილიზაციის, მისი წარმოების, ტექნიკის ამსახველი. ჩვენს ირგვლივ ყოველი საგანი უნდა ასახავდეს ჩვენი ხალხის მაღალ კულტურულ დონეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ე. მარიამიძე

5 წლის მხატვრის „ატელიეში“

ერთ იუმორისტულ ჟურნალში მოთავსებული იყო უსიტყვო კარიკატურა: ბავშვებით სავსე საკლასო ოთახში ხატვის მასწავლებელს გეომეტრიული ხაზებით ადამიანის ფიგურა გამოუყვანია დაფაზე. დაფის მეორე კუთხეში კი მოჩანს პატარა მოსწავლეების მიერ დასვენების დროს სასხვათაშორისოდ მიჯღაბნილი ადამიანთა ფიგურები, რომლებიც გაცილებით რეალისტური, სრულყოფილი და დინამორია, ვიდრე მასწავლებლის ნაცოდვილარი.

კარიკატურა, იმის გარდა, რომ დასცინის არაკვალიფიციურ მასწავლებლებს, ხაზს უსვამს იმ უშუალობასა და ათვისების საოცარ უნარს, რომლებიც ასე დამახასიათებელია ბავშვებისათვის.

შემთხვევით ნახულმა კარიკატურამ გამახსენა ასე შემთხვევით ყურმოკრული ამბავი 5 წლის თბილისელი ბიჭუნას მიტო გორდელაძის შესახებ, რომელიც თურმე „ისე ხატავს, რომ საკუთარ თვალებს არ დაუჯერებ“. დავინტერესდი და წავედი. მაგრამ ვისთვის უნდა დამეჯერებინა, თუ არა საკუთარი თვალებისათვის, როცა მიტოს „გამოფენა“ დავათვალიერე, როცა პატარა ხელოვანმა „ჩემი თხოვნით“ საჭიდაოდ გამოსული, მკლავებჩახლართული ფალავნები დახატა, და ამ ჭიდაობას მრავალი მაყურებელი „დაასწრო“.

მრავალფეროვანია პატარა მხატვრის „გამოფენა“. ჯერჯერობით, მისი „ამპლუა“ სპორტია, იქნებ ამიტომაცაა, რომ მიტო ასე კარგად დაუფლებია მოძრაობას. აი, ჰაერში შემხტარი ფეხბურთელი ცდილობს თავით მისწვდეს ბურთს; აი, მოჭიდავე, რომელმაც წონასწორობა დაკარგა და საცაა მიწაზე გაიშხლართება; აი, მიჰქრის ციგა მთის ფერდობზე და გრძნობ, როგორ წივის ქარი მოციგავის ყურებთან; აი, ტალღებზე შეგდებული გემი, რომელიც მეორე წუთში იმავე ტალღებში გაუჩინარდება. მიტოს უყვარს მეომრებისა და ცხენების ხატვაც. აქვს ნატურიდან ხატვის „გამოცდილებაც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო საცქერია, როდესაც პატარა მიტო მაგიდაზე ნიკაპს შემოსდებს და ხატვას დაიწყებს. მეტისმეტი გატაცებისა და მონდომებისაგან ენას გამოყოფს, ხან თვალებს მოჭუტავს, ხან ერთი ლოყით „დაწვება“ მაგიდაზე, ხან — მეორეთი, თუ ფანქარმა იცელქა და უსწორო და ზედმეტი ხაზები გაუსვა, მიტო საშლელს იშველიებს. მან მამისგან იცის, რომ საშლელით ისევე შეიძლება ხატვა, როგორც ფანქრით.

მიტოს მამა — გიორგი გორდელაძე პროფესიონალი მხატვარია. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, დიდად შეუწყო ხელი ბავშვის მიდრეკილებას.

მიტოს ერთ ნამუშევარს უფროსის ხელით აწერია: „დახატულია თბილისის ტელესტუდიაში, გადაცემის დროს“. მიტომ შარშან ოქტომბერს დაიწყო ხატვა, რამდენიმე თვის შემდეგ კი იგი ტელეცენტრში „მიიწვიეს“ საბავშვო გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად. მამამ, გიორგი გორდელაძემ, ერთ ხელში პატარა მხატვარი აიყვანა, მეორეში მთელი მისი „გამოფენა“ დაიჭირა და ასე გასწია ტელესტუდიისაკენ. მიტოს არც მისკენ მომართული აპარატებისათვის მიუქცევია ყურადღება, არც სტუდიის თანამშრომლებისათვის—აიღო ფანქარი, რვეული და გატაცებით დაიწყო ხატვა.

მიტო ჯერ პატარაა, მას ძალზე სათუთად უნდა მოპყრობა, მან ჯერ ისევე არაფერი უნდა იცოდეს თავის უნარზე, როგორც ამ სტრიქონების არსებობაზე. ეს სიფრთხილე მანამდეა საჭირო, სანამ მიტოს გონება არ „დაეწევა“ და არ წარმართავს მისსავე ნიჭს.

— საინტერესოა, ყველაფერი უნახავს, რასაც ხატავს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფეხბურთის მატჩი უნახავს და თვითონაც ხშირად თამაშობს. ციგაობაც უყვარს, დანარჩენი „თემები“ მამისგანაა ნასესხები, მამის ნახატებს ბაძავს.

— სწრაფად ითვისებს თუ არა რჩევა-დარიგებებს?

— პირველად მიტოს წარმოდგენა არ ჰქონდა პერსპექტივაზე (რა თქმა უნდა, ახლაც არ ესმის ეს ტერმინი), დღეს კი შორეულ საგნებს შესაფერისად ამცირებს.

მაგონდება ერთი შემთხვევა — ჩვენს მეზობელ ქალს შვილის წერილი მოუვიდა კიევიდან. წერილის ბოლოს პატარა შვილიშვილს სახლები მიეხატა. სახლებს შორის სივრცე და მთელი ცა კი სულ წერტილებით იყო დაწინწკლული. სწორედ ამ წერტილებმა მიახვედრა ბებია, რომ კიევში თოვლი მოსულიყო. ბავშვის მამა ამის შესახებ არაფერს იწერებოდა.

ამ მცირე ინფორმაციაში მიტო გორდელაძის შესახებ ნათქვამი ზოგიერთი სიტყვა — „გამოფენა“, „ამპლუა“, „გამოცდილება“, „მიიწვიეს“ და სხვა წინწკლებში მოხვდა, გაივლის დრო და, იმედია, ეს წინწკლები გაკრება, ეს სიტყვები ნამდვილი, პირდაპირი მნიშვნელობით ნათქვამ სიტყვებად გადაიქცევა.

არ მქონია განზრახვა, რომ პატარა მიტოს მაგალითი არაჩვეულებრივ მოვლენად გამომეცხადებინა, და თუ რაიმე ამის მსგავსი იგრძნობა, ეს მხოლოდ იმ დიდი სიამოვნებისა და აღტაცების ბრალია, რაც 5 წლის წინათ დაბადებულმა მხატვარმა განმაცდევინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა დადიანი

რაც გამახსენდა

И как-то весело и больно
Тревожить язвы старых ран!
Лермонтов.

მემუარული ლიტერატურა, როგორც ცნობილია, დიდად მიჩნეული რამ არის მხატვრულ მწერლობაში.

ერთ დროს იყო ისეთი მიმდინარეობაც მსოფლიო ლიტერატურაში, რომ საერთოდ ბელეტრისტიკას ეს ჟანრი (მემუარული) დაჰფარავსო, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს ასე არ არის.

ბალზაკი, ზოლა, პიუგო, ლევ ტოლსტოი, გოგოლი, დოსტოევსკი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და სხვა ასეთები მუდამ უეჭნობი ყვავილები იქნებიან მწერლობით შემოქმედებაში. ეს მომავალშიაც ასე იქნება და განა ამის დამამტკიცებელი არ არის ჩვენში საბჭოთა რუსული და ქართული საბჭოთა პროზა? ამას თითქმის ჩამოთვლაც არ უნდა.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მემუარულ ლიტერატურას თავისი დიდი ღირსება და სიმძიმე არა ჰქონდეს.

მე კი პირადად თუ ვბრიყვდები და ამ მონაქცევზე ვკიდებ ამ ჟანრს ხელს, ის იმისათვის კი არა, რომ საერთოდ ჩემი ბიოგრაფია იყოს მდიდარი სხვადასხვა მომხიბლავი სათავგადასავლო შემთხვევებით, არამედ იმისათვის, რომ მკითხველს ყურადღებას წარეუდგინო თუ ჩვენში, ჩემ დროს (1890 — 1957-მდე) როგორ გამოვლინდა ერთი შუათანა კაცის ცხოვრება ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე, მით უფრო, რომ ეს ადამიანი (ე. ი. მე) გამოსული იყო იმ წრიდან, რომელიც არც თუ ისე მისდევდა (გარდა მამიჩემის ოჯახისა) მწერლობას, თეატრს და საერთოდ დემოკრატიულ მუშაობას ხალხისათვის.

ამას გარდა მე მომიხდა კარგა ხანგრძლივი ცხოვრება ამ ქვეყნად და ბევრი რამ ვნახე და განვიცადე, ბევრი ვინმე რჩეულთაგანიც გავიცანი და მათი გახსენება, რაღა თქმა უნდა, ერთგვარ ხალისს შეძენს ამ ნაწარმოებს.

ერთი კია, რაც აქ იქნება გახსენებული, იქნება სწორეტყუეარად და გულწრფელად გადმოცემული, თუმცა... როდის იყო, რომ გულწრფელად არ ვწერდი, თვით უბრალო გამოსვლებშიც კი.

თვით ნაწარმოები იქნება დაყოფილი ბავშვობიდან მოყოლებული ჩემ დღეიდღეულ დღემდე და ყოველივე მოთხრობილი იქნება იმის მიხედვით, თუ როგორ რა გამახსენდება.

იმიტომაც ვარქმევ ამ ნაწარმოებს „რაც გამახსენდა“.

1

სულ პირველი რა მახსოვს ბავშვობისა? — ჩვენი ოჯახის ცხენებით მოგზაურობა.

მამას ხშირად დაეყავდით სოფლიდან სოფლად იმერეთში, სამეგრელოში, ქართლშიაც. ხან ჩვენს სამეგობრო სოფლებში, ეს უფრო დასავლეთ საქართველოში, ხან სტუმრად, ნათესავებთან.

გვიხდებოდა აგრეთვე მატარებლითაც სიარული სოფლებიდან ქალაქებში, უფრო ქუთაისს და თბილისს, ამიტომაც ბავშვობიდანვე შემიყვარდა მოგზაურობა და ეხლაც ხანდაზმული მისი „ტრფიალი ვარ“ (ილიას სიტყვა). ეხლაც არ ვერიდები შორეულსა და ხანგრძლივ მგზავრობას.

ერთ დროს ხომ „მოგზაური“ დასიც მყავდა. მართალია, მის დაარსებას სხვა, უფრო საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოუბრივი ხასიათის მიზეზები ჰქონდა, მაგრამ არ ითქმის, რომ ამ საქმისათვის ჩემს მეზაურებსაც დაუზარებლობასაც ხელი არ შეეწყოს.

ბავშვობის დროის მოგზაურობიდან კი ყველაზე პირველად მახსენდება იმერეთში სოფ. სვირიდან სადგურ აჯამეთზე გამგზავრება. ნათლად მახსოვს, ლაზარე რატანს, მამიჩემის ამ ერთგულ კაცს, ეუჯექ ცხენზე უნაგირის წინ.

ლაზარე რატანზე უთუოდ შემდეგშიაც მომიხდება ვრცლად ლაპარაკი, ამიტომაც ვუბრუნდები ამ ჩემი პირველი მოგზაურობის ამბავს. თუმცა აქ საამბობიც არაფერია. მხოლოდ თუ ვიხსენებ, იმისათვის, თუ რა ჩამაჩნდა გუნებაში.

შეიძლება ისეთ თითქო უმნიშვნელო შთაბეჭდილებებიდან შემდეგ ირკვეოდეს, თუ როგორ მუშავდება ადამიანის ზნე, ხასიათი, სულიერი მიდრეკილება. მეც მატომ მინდა აღვნიშნო, თუ რა რისგან შედგა ჩემში.

ეს ნაწარმოები ხომ ჩემი ცხოვრების შეჯამებას ემსახურება, ამიტომ არ მინდა გამოვტოვო არც ერთი წვრილმანი, რაც კი ოდესმე გულს ჩამმჩნევია. ამ წიგნის სხვა რუბრიკებში საზოგადოებრივი მოვლენებიც იქნება მოთხრობილი, მანამ კი პირადად ჩემთვის საჭიროა ვიცოდე, თუ ის კაცი, რომელიც მე „მეზარა“ (ჩემ თავზე ვამბობ, რასაკვირველია) მთელი ჩემი სიცოცხლის ბილნაზე, როგორი იყო ბოლოს და ბოლოს, და ან მე მის კარგა ვიცნობდი, შესწავლილი მყავდა თუ არა.

ხომ არის დიდ მოაზროვნეთაგან ნათქვამი — თავის თავის ცნობა მეტად დიდი რამ არისო. მე დავუმატებ, თუნდაც მონაკვეთზე-მეთქი და ამით აქ მოვჭრი სიტყვას.

ვერ ვიტყვი მაშინ მსიამოვნებდა უნაგირის კოტასთან ჯდომა თუ არა, შემდეგში, სხვა დროს, ძალიან გამჭირვებია ხოლმე, რადგან უთუოდ რაკი წამოვიზარდე, ვეღარ ვეტეოდი, მინდოდა თვით მე მემართა ცხენი, დამოუკიდებლად, ე. ი. მარტო ვმჯდარიყავ, და აკი შედარებით მალე მოვიპოვე „ავტონომია“. 8 — 9 წლის ბიჭი უკვე თავისუფლად ვაჭენებდი ცხენს ჩვენი ფართო ეზოს მიდამოში სოფ. ბეთლემს (ბერთემს) უბელოდაც კი.

ამ მოგზაურობისას კი ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ უკვე დღე ღამეს ეყრებოდა და ბინდბუნდი იყო, სადღაც ცის კიდურს კიდევ აჩნდა მზის ნათელი, ეოტა მოწითალო კვალი. მის აქეთ კი ტყვიისფერი ღრუბლები ირეოდნენ, ეს უთუოდ დასაღელეთისაკენ იყო, ეტყობა ამ მხარისაკენ მივდიოდით, მხოლოდ ჩვენს უკან, მაშასადამე აღმოსაღელეთისაკენ, ცა სულ ჩაშავებული იყო და ამის შემხედვარე ბავშვის ნორჩი გონება ერთგვარი გაურკვეველი შიშით იყო შეპყრობილი.

გაურკვეველი შიშით, რომ ვამბობ, ამას აქვს თავის მიზეზი. რადგან ჩვენს ოჯახში არავინ არასოდეს არ გვაშინებდა პატარეს ჯოჯოხეთით, ან რაიმე სხვა ზღაპრული ჯანდაბებით და მისი ურჩხულებით. ეს მამიჩემისაგან ყველას აკრძალული ჰქონდა და ამიტომ იყო ჩემი შიშიც გაურკვეველი, უფრო ცხოველურ-ინსტინქტიური.

ისე კი, ეხლა მახსენდება, იმდენად მიტაცებდა მგზავრობა და ისიც ვაკაცის გულ-მკერდს ამოფარებულს, რომ მაინცდამაინც დიდ შედრკომას არა ვგრძნობდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნათელ ცის კიდურისაკენ ვიყურებოდი.

ცხენების ფეხების თქარათქურში თითქო ცოტათი მთვლემდა კიდეც და შორეული ჯუჯუმკლის ხმა თითქო მინანავებდა.

აი ეს ჯუჯუმკალი ჩემთვის დაუვიწყარია. პირველად ვისმინე მისი ხმა ამ მოგზაურობისას.

მე შემდეგში გავიგე, მოჩიტულზე, რომ დედამიწის ზურგზე (ჩვენს ცდომილზე) სანამ მუსიკალური ბგერა ბუღბულის მომბიძლავ სტვენამდე ამაღლდებოდა და შემდეგში ადამიანის ყილის ხმათა კრიმანჭულით დაგვირგვინდებოდა, პირველი მომღერალი, ანუ ხმის გამომღები, ჯუჯუმკალი იყო და მერმე ისიც მუტუდ სინათლეში. მას ჰკონია, თურმე, რომ ეხლაც პირველყოფილი დროა და შებინდდება თუ არა, იწყებს თავის ფეხების ხახუნს და გამოსცემს ნაზსა და თითქო სევდიან კილოს.

